

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტი

სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები

№5

ISSN 2449-3112

თბილისი, 2022

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტი

სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები

№5

ISSN 2449-3112

თბილისი
2022

**თსუ იურიდიული ფაკულტეტი
სისხლის სამართლის მიმართულების
პერიოდული გამოცემა**

სარედაქციო საბჭო:

**მანია ივანიძე
მარინა მესხი
ნინო გომბინაშვილი
თამარ მახარაძე**

კორექტორი **ნელი ელიზბარაშვილი**

ტექ. რედაქტორი **კახაბერ რუსიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **თამარ სტიფნაძე**

© ავტორთა ჯგუფი, 2022

ISSN 2449-3112

გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №47.
239-15-22; E-mail: meridiani777@gmail.com

შინაარსი

ედიპარ ფუტკარაქი

ბატონი ოთარ გამყრელიძე 90 წლისაა..... 5

ედიპარ ფუტკარაქი

მეცნიერული კეთილსინდისიერებისათვის..... 7

ლალი ფაფიაშვილი

თვითნკრიმინირებისგან დაცვის უფლება და ნიმუშის აღება სისხლის სამართალწარმოებაში..... 12

გიორგი საყვარელიძე

ირიბი ჩვენების დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში 27

მარიამ მითაიშვილი

ბრალდებულის ან მისი ახლო ნათესავის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის მტკიცებულებად გაზიარების წინაპირობები..... 55

თამარ მაზანაშვილი

ოჯახში ძალადობის ზოგიერთი პრობლემატური საკითხი (შედარებით სამართლებრივი ანალიზი) 64

ზინიკო ქობალია

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანი ასპექტები.. 83

ედიპარ ფუტკარაქი

ეკონომიკური ინტერესისა და მოტივის მნიშვნელობა ეკონომიკურ და არაეკონომიკურ დანაშაულში 104

დავით ხურციძე

ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობის გამოძიებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი..... 117

გიორგი სვინაძე

დისტანციური მართლმსაჯულების პრობლემები და პერსპექტივები სისხლის სამართლის პროცესში..... 127

ბატონი ოთარ გამყრელიძე 90 წლისაა

ედიშერ ფუტკარაძე

სამართლის დოქტორი, პროფესორი, ო. გამყრელიძის ყოფილი დოქტორანტი.

დღევანდელი დღე განსაკუთრებული და მნიშვნელოვანია საქართველოს იურიდიული საზოგადოებისათვის. 90 წლის წინ, 1932 წლის 14 მარტს, დაიბადა თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის სკოლის, პროფ. თ. წერეთელთან ერთად, თანადამფუძნებელი და შემდგომ მისი ძალზე მნიშვნელოვანი განმავითარებელი თავისი სამეცნიერო ნაშრომებითა და ახალგაზრდა მკვლევრების აღზრდით, თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი, ამ ინსტიტუტის ცოცხალი მემკვიდრე დაარსებიდან დღემდე, პროფესორი, პუბლიცისტი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე ბატონი ოთარ გამყრელიძე.

ბატონი ოთარი თავისი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობით ცნობილია არა მარტო საქართველოში, არამედ ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. მის სამეცნიერო ნაშრომებს კარგად იცნობენ და აფასებენ დასავლეთის ქვეყნებში. აქ ზედმეტია საუბარი მის სამეცნიერო დამსახურებაზე ქართული სისხლის სამართლის განვითარებაში.

აქვე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბ-ნი ოთარი არის არა მარტო იურისპრუდენციის, არამედ ხელოვნების, ისტორიის, ლიტერატურის, განსაკუთრებით კი პოეზიის დიდი მცოდნე და ძალიან საინტერესო მოსაუბრე.

მისი ნაშრომები ღრმა აკადემიურ შინაარსთან ერთად გამოირჩევა ქართული ენის დიდი ცოდნით, სიყვარულითა და გადმოცემის სიმარტივით, რაც ასე მიმზიდველს, გასაგებსა და საინტერესოს ხდის მკითხველისათვის.

ჩემთვის დიდი პატივია, რომ ბ-ნი ოთარი ბრძანდებოდა ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელი სადისერტაციო ნაშრომის შესრულებისას. სწორედ მისი ინიციატივა იყო, რომ დისერტაციაზე მუშაობისას სამეცნიერო სტაჟირებაზე წავსულიყავი გერმანიაში.

ბ-ნი ოთარი ბრძანდება არა მარტო დიდი მეცნიერი და პედაგოგი, არამედ ძალიან დიდი პიროვნება ადამიანურ ურთიერთობებში.

მან აღზარდა არაერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ქართულ სისხლის სამართალში და ახლაც ნაყოფიერად აგრძელებს ამ კეთილშობილურ საქმეს.

ძალიან ბევრი რამის თქმა შეიძლება ბ-ნ ოთართან დაკავშირებით და მაინც სიტყვები არ იქნება საკმარისი იმ ყველაფრის სათქმელად, რაც გულში გვაქვს და რისი თქმაც გვინდა მის მაღლიერ ადამიანებს.

ალბათ, ყველა თავისას იტყვის თავის დროზე თავისებურად, მე კი, როგორც მისი ერთ-ერთი მოსწავლე და კოლეგა, ვულოცავ მას 90 წლის იუბილეს და ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და კვლავაც ნაყოფიერ საქმიანობას ქვეყნის საკეთილდღეოდ.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბ-ნ ოთარს ძალიან უყვარს პოეზია, ამიტომ იუბილის მილოცვას მისდამი მიძღვნილი აკროსტიქით გავაგრძელებ:

ო	ოთარ ბატონს იცნობს ქვეყნად ყველა,
თ	თუკი ნაუკითხავს სამართალი.
ა	ამდენ ნაშრომს ვინც შექმნიდა, ყველას
რ	რომ არ აფიქრებდეს მომავალი.
გ	გამყრელიძე არის კარგი გვარი,
ა	ამაგდარიც ხომ ბევრი ჰყავთ გვარში,
მ	მაინც სხვაა ბატონი ოთარი,

ყველაზე ცნობილი თავის დარგში.
 რამდენი შექმნა ნაშრომი კარგი,
 ეს შრომები გაუძლებენ წლებს,
 ლალად ვითარდება ჩვენი დარგი,
 იმიტომ, რომ მას უთმობდით დღეებს.
 ძნელად გვხვდება კაცი თქვენი რანგის,
 ესე განმანათლებელი დარგის!

ბატონ ოთარ გამყრელიძეს

დიდი არის თქვენი ღვაწლი,
 მოხდელი გაქვთ ქვეყნის ვალი,
 თქვენი შრომით განვითარდა
 ჩვენი სისხლის სამართალი.

უმართლობას, ამსრულებელს,
 ამჩნევია თქვენი კვალი,
 თქვენს შრომებზე გაიზრდება
 თაობები მომავალი!

მართლაც თქვენი ნაშრომები
 აზრით არის ბევრის მთქმელი,
 ალბათ, გახსოვთ, გზას გიკვლევდათ
 დიდი თინა წერეთელი.

გააგრძელეთ მისი სკოლა,
 დაამჩნიეთ თქვენი კვალი,
 თქვენით მუდამ იამაყებს
 ჩვენი სისხლის სამართალი!

თქვენი ამაგის წინაშე
 ბევრს მუხლი აქვს მოსადრეკი,
 თქვენ იგივე ხართ ჩვენთვის, რაც
 გერმანიისთვის იეშუეკი!

იეშუეკს, როქსინს კარგად იცნობთ,
 ეს თქვენთვის არ არის ძნელი,
 საქართველოში კი ვიცით
 გამყრელიძე, წერეთელი!

არასოდეს არ ჩაქრება,
 რაც ანთეთ ცეცხლის ალი,
 კვლავაც ელის ახალ შრომებს
 თქვენგან სისხლის სამართალი!

მეცნიერული კათილსინდისიერებისათვის

ედიშერ ფუტკარაძე

**თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, სოხუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი.**

ზეპირად იცოდე „ვეფხისტყაოსანი“ ეს დასაფასებელია, მაგრამ ამაზე უფრო მნიშვნელოვანია ახალი ლექსის დაწერა. ის უფრო მეტს შემატებს ჩვენს პოეზიას.

სხვისი გენიალური აზრების ცოდნა და ციტირება მნიშვნელოვანია, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და გადმოცემა, რა თქმა უნდა, თუ ის რაიმე თუნდაც მცირე მნიშვნელობის „სიახლეს“ შეიცავს ამა თუ იმ დარგისათვის, მეცნიერებისათვის.

სხვის გენიალურ მოსაზრებებს მკითხველი ან/და მსმენელი სხვაგანაც წაიკითხავს ან მოისმენს და შეიძლება უფრო უკეთესადაც. ის, რაც სხვაგან ვერავინ ნახავს, იქნება მხოლოდ საკუთარი ნააზრევით შექმნილი მოსაზრებები. სწორედ ამ თვალსაზრისით იქნება მნიშვნელოვანი და საინტერესო სამეცნიერო ნაშრომი, როდესაც მასში გადმოცემული იქნება ავტორისეული მოსაზრება სხვადასხვა საკითხზე. ეს ისეთი მოსაზრებაა, რომელსაც სხვაგან ვერსად ვნახავთ.

ამიტომ ნაშრომის შექმნის დროს რაც არ უნდა ბევრი და საინტერესო წყარო გამოვიყენოთ, ის მაინც ვერ გახდის მიზიდიველს ნაშრომს ინტელექტუალური მკითხველის თვალში. განათლებული, ინტელექტუალური მკითხველი ეძებს ავტორისეულ და თუნდაც მცირე მნიშვნელობის სიახლეს. თუ ნაშრომში არ არის დარგის განვითარებისათვის შემოთავაზებული თუნდაც მცირე მნიშვნელობის „სიახლე“, მაშინ ის ამ დარგის განვითარებას ვერაფერს შემატებს და არც არაფერის მომცემი იქნება.

სხვათა მოსაზრებებს ჩვენ სხვაგანაც წავიკითხავთ. ავტორისეულს, განსხვავებულს კი მხოლოდ მოაზროვნე და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე ავტორთან, რომელიც სხვის მოსაზრებებს იშველიებს (აკრიტიკებს ან იწონებს) საკუთარი, ახალი პოზიციის შესამუშავებლად და ჩამოსაყალიბებლად.

მთავარია, რომ ნაშრომი სიახლეს შეიცავდეს, ის თუ როგორ მიიღებს მკითხველი ამ განსხვავებულ სიახლეს, ეს დროისა და მოთმინების საკითხია, რომელიც დაადასტურებს ან უარყოფს ამ „სიახლის“ ვარგისიანობას ან უვარგისობას.

ამიტომ სხვისი გენიალური აზრების გადმოცემას დარგის განვითარებისათვის საკუთარი პოზიციის, მოსაზრების შემუშავება და მკითხველამდე ან მსმენელამდე მიტანა სჯობია. ის „სიახლე“, რომელიც გაუძლებს ჯანსაღ კრიტიკასა და დროს, გახდება მნიშვნელოვანი და დაიკავებს ღირსეულ ადგილს ამ დარგის განვითარებაში. ხოლო ის „სიახლე“, რომელიც მყარ არგუმენტებზე არ იქნება დაფუძნებული, ვერ გაუძლებს ჯანსაღ კრიტიკას და ვერც დროის ქარტახილებს. ამიტომ ის არც თანამედროვეობისათვის იქნება საინტერესო და მით უმეტეს არც მომავალი თაობებისათვის. „სიახლის“ მნიშვნელობა მისი აქტუალობის შენარჩუნებაშია. აქტუალობისა და გამოყენებადობის დაკარგვასთან ერთად „სიახლის“ მნიშვნელობა „ძველდება“, იკარგება და ჩნდება „ახალი სიახლის“ შექმნის აუცილებლობა, რაც ყველა დარგს სჭირდება შემდგომი განვითარებისათვის. ამიტომ თუნდაც გენიალური აზრების განმეორება, ახლის შექმნის გარეშე, საკმარისი არ არის დარგის განვითარებისათვის, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს უკვე შეცვლილი, განვითარებული საზოგადოების მოთხოვნებსა და ინტერესებს. ტექნიკურ მეცნიერებასთან ერთად ეს მოეთხოვება ყველა დარგს და მათ შორის სამართალს.

სისხლის სამართლს კი განსაკუთრებით.

არსებობს მეცნიერება საზღვრებს გარეშე. აქ იგულისხმება ისეთი მეცნიერება, სადაც მიღწეული აღმოჩენა ან/და გამოგონება საერთო სიახლეა და ხელმისაწვდომობის შემთხვევაში ყველგან მოიგნას სარგებლობას. მაგალითად, ტექნიკის მიღწევები. მსოფლიოს რომელიმე ქვეყანაში ახალი სამედიცინო პრეპარატის ან ტექნიკის ახალი მოდელის შექმნა მთელი მსოფლიოსათვის საინტერესოა და მსოფლიო განვითარებას უწყობს ხელს ამ კონკრეტულ დარგში. ასეთი სიახლე საინტერესოა და სასარგებლოა ყველასათვის, სანამ უფრო ახალი რამ არ იქნება შექმნილი ან აღმოჩენილი, რომელიც „დააძველებს“ ამჟამინდელ მიღწევას და „ახალი სიახლე“ იქნება ამ დარგში. ეს ასე გაგრძელდება სხვადასხვა ტემპით, რაც აუცილებელი და გარდაუვალია კაცობრიობის განვითარებისათვის.

რა თქმა უნდა, ამ განვითარებაში სხვადასხვა ერების, სახელმწიფოებისა და მით უმეტეს ადამიანების დამსახურება განსხვავებულია. ის სახელმწიფოები, სადაც არ ან ვერ იქმნება ასეთი „სიახლე“, იძულებული არიან დაესესხონ ან მიბაძონ სიახლის მწარმოებელ ქვეყნებს, რაც ზრდის სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულებას, მათ შორის, პოლიტიკურს, ეკონომიკურს, კულტურულს და ა. შ.

ზოგიერთი დიდი მასშტაბის სიახლე გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე და კიდევ ცვლის მას.

ხშირად იმ სახელმწიფოში, სადაც „ახალი პროდუქცია“ იქმნება, ამის შესასწავლად ჩადიან სხვა ქვეყნის მოქალაქეები. უმეტესად ისინი სწავლობენ მხოლოდ იმას, რაც შეიქმნა და მეტს ვეღარ ავითარებენ, ვერ ქმნიან ახალს, განსხვავებულს და ექცევიან სხვის მიერ შექმნილი „სიახლის“ ტყვეობაში.

რა თქმა უნდა, არსებობს ერთეული გამონაკლისები, მაგრამ ეს საერთო სურათს ვერ ცვლის.

შეიძლება მართლაც მიზანშეწონილი იყოს ახალი ტექნიკის შესწავლა ან შეძენა, რომელსაც შენ ვერ ქმნი და საკუთარ ქვეყანაში გადმოიტანა და გამოყენება. მაგრამ რამდენად მიზანშეწონილია ეს გავაკეთოთ სამართალში?!

ჩვენ შეიძლება ვისარგებლოთ სხვაგან შექმნილი ტექნიკით, რადგან ჩვენ თვითონ ვერ ქმნით და უარის თქმის შემთხვევაში ჩამოვრჩებით ტექნიკურად ცივილიზებულ მსოფლიოს.

ასეთი „სიახლეებით“ სარგებლობა აუცილებელიცაა და გარდაუვალიც.

მაგრამ რა ხდება ამ მხრივ პოზიტიურ სამართალში? ვინ უნდა მივიჩნიოთ სამართლებრივად უფრო განვითარებულად? ტექნიკური და ფინანსური განვითარება იმავდროულად ნიშნავს სამართლებრივად განვითარებას?

შეიძლება ერთნაირი კანონებით იცხოვროს ეკონომიკურად და კულტურულად სხვადასხვა დონეზე განვითარებულმა სახელმწიფოებმა?

საჭიროა კი ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული სახელმწიფოებისათვის ტექნიკის მსგავსად „სამართლის“ გადმოღება „განვითარებული სახელმწიფოებიდან“ და ამისათვის მის შესასწავლად უცხოეთში წასვლა?

ტექნიკა „მოქმედებს“ საზღვრების გარეშე, სანამ არ დაძველდება. შიდასახელმწიფოებრივ სამართალს კი, თავისი მოქმედების სივრცე აქვს. როცა ის ამას დაკარგავს, აღარც იარსებებს.

სახელმწიფოებისათვის ზოგჯერ აუცილებელია საბუნებისმეტყველო და ზუსტ მეცნიერებაში სხვაგან მიღწეული სიახლეების დანერგვა, მაგრამ „სხვისი“ სამართლის გადმოღება „კლავს“ საკუთარ სამართალს.

გლობალიზაციის პროცესიდან გამომდინარე, აუცილებელი ხდება სამართლებრივ ნორმათა ჰარმონიზაცია, დაახლოება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ უარი ვთქვათ საკუთარ სამართალზე და ვეძიოთ ან ვისწავლოთ ის სხვაგან, რომელიც ჩვენგან განსხვავებული, სხვანაირია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვისგან სწავლა, სხვაზე მიბაძვა, ცოდნის მიღების შუალედუ-

რი მდგომარეობა და ხდება „სხვისი“ ცოდნის შესწავლა. საკუთარი, დამოუკიდებელი, ახალი ცოდნის მისაღებად კი აზროვნებაა საჭირო. საკუთარ აზროვნებაზე უარის თქმა და სხვაზე მიბაძვა ხელს უშლის დამოუკიდებელ განვითარებას.

სხვაგან არსებული ცოდნის შესწავლა საჭიროა მეტი ინფორმაციის მისაღებად, მაგრამ თუ არ/ვერ მოხდა მისი შემდგომი განვითარება, მაშინ სხვის ცოდნაზე ვჩერდებით და ჩვენ ახალს აღარაფერს ვქმნით. ველოდებით ახლის შექმნას ისევე სხვაგან, რომ ვისწავლოთ და შემდეგ გამოვიყენოთ. ასეთ შემთხვევაში ვხვდებით სხვისი ცოდნის შემსწავლელი და „მომხმარებლები“. მაგრამ თუკი შესწავლით, მიბაძვით მიღებულ ცოდნას ჩვენი საკუთარი აზროვნებით განვავითარებთ, მაშინ ჩვენც გვექნება ნვლილი ახალი ცოდნის შექმნაში და მხოლოდ მიმბაძველები არ ვიქნებით.

მიმბაძველობა დღეს ძალიან აქტუალურია ჩვენთანაც, განსაკუთრებით კი განათლების მიღების საქმეში. დღეს ბევრი ახალგაზრდა მიდის სასწავლებლად საზღვარგარეთ. ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად ასეა. რამდენად კვალიფიციური სპეციალისტები მზადდებიან და ბრუნდებიან საქართველოში, ეს ცალკე საკითხია.

სტუდენტებს არც მეცნიერები ჩამოუვარდებიან და ბევრი მიდის უცხოეთში სამეცნიერო სტაჟირებაზე, კვლევაზე. მაგრამ სადაც არ უნდა წაიკითხო, ამას სხვაც გააკეთებს. ეს არ იქნება შედეგიანი, თუ მათი დამუშავების საფუძველზე სიახლეს არ შემოგვთავაზებთ.

უცხოეთში წასვლა და სამეცნიერო ცენტრებში კვლევა უნდა იყოს საშუალება ახალი ცოდნის შესაქმნელად და არა თვითმიზანი.

რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია იქ დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების შესწავლა და სხვისთვის გაზიარება, მაგრამ ეს იქნება ინფორმაციული ხასიათის საქმიანობა და არა შემოქმედებითი, როდესაც ყველასგან და არსებულისგან განსხვავებული, თუნდაც მცირე მოცულობისა და მნიშვნელობის, მაგრამ „სიახლე“ იქნება შემოთავაზებული.

სად წავიკითხავთ და რას, იმაზე მეტად მნიშვნელოვანია სად რას შევქმნით და როდის. ეს იმიტომ, რომ რაც აქ და დღეს ჩვენ სიახლე გვგონია, ის უკვე სხვაგან შექმნილია. ამიტომ არის აუცილებელი ინფორმაციის ცოდნა სხვადასხვა საკითხზე, რათა ჩვენი „სიახლე“ უკვე „ძველი“ არ აღმოჩნდეს. დღევანდელი ინფორმაციის ტექნიკური საშუალებების არსებობის ფონზე ეს პრობლემა თითქმის აღარ უნდა არსებობდეს, მაგრამ დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ასეთი რამ სავსებით შესაძლებელია.

მართალია, დღეს უფრო მეტი ინფორმაცია არსებობს და ადვილია ინფორმაციის მოპოვება, ვიდრე ადრე, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დღეს უფრო უკეთესად ვაზროვნებთ ჩვენ, ვიდრე ადრინდელი თაობის ადამიანები, რომელთაც ასეთი ტექნიკურ-ინფორმაციული უზრუნველყოფა არ ჰქონდათ.

დღეს ჩვენი და ზოგადად კაცობრიობის განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ყოფნა სწორედ მოაზროვნე ადამიანების შემოქმედების შედეგია, რომლებმაც თავიანთი აზროვნებით შექმნეს ახალი „ცოდნა“ მეცნიერების სხვადასხვა დარგში და არ დაკმაყოფილდნენ მხოლოდ მიღწეულით, უკვე არსებული ცოდნის შესწავლითა და გამოყენებით ან/და თუნდაც სხვებზე გადაცემით.

განვითარებისათვის „სიახლის“ შემოტანა აუცილებელია. სიახლის შემოტანისათვის კი აზროვნებაა აუცილებელი და მიმბაძველობა და გამოცდილება საკმარისი არ არის. ამით მხოლოდ არსებული ცოდნის შესწავლა და გამოყენებაა შესაძლებელი, რაც დღეს ასე მზარდ მოთხოვნებს უკვე ვეღარ დააკმაყოფილებს. სადაც იქმნება სიახლე, განვითარებაც იქ არის.

განვითარება მხოლოდ სიახლის (ახალი ცოდნის) შექმნაშია. რაიმე დარგი ვითარდება მხოლოდ მაშინ, თუ იქ ახალი ცოდნა შეიქმნება.

ჩვენთვის უცნობი საკითხის გაცნობა, შესწავლა და შემდეგ გადმოცემა არ ნიშნავს დარგის განვითარებას და ჩვენს ნვლილს დარგის განვითარებაში. ეს ნიშნავს ჩვენს განვითარებას სხვის

მიერ უკვე შექმნილი ცოდნის ხარჯზე.

ხშირად ასე ემართებათ იმ მეცნიერებს, ვინც უცხოეთში ცოდნა მიიღო. ვიმეორებ ცოდნა მიიღო და არა შექმნა. ხშირად მათ თავი მოაქვთ უცხო ენების ცოდნით და მის მეშვეობით სხვისი (უცხოელის მიერ შექმნილი) ცოდნის გაცნობით.

უკვე შექმნილი ცოდნის შესწავლა და სხვისთვის გაცნობა თავისთავად არ არის ცუდი და კეთილშობილი საქმეა, თუ ეს კეთილსინდისიერად ხდება. თუმცა, ხშირად არაკეთილსინდისიერებისას, ხდება უცხო ნაშრომების გაცნობა და საკუთარი სახელით მიწოდება იმ მკითხველისა თუ მსმენელისათვის, ვინც ჯერ ამ ცოდნას არ იცნობს, თორემ როცა გაიცნობს, მიხვდება თუ ვინ არის ამ ცოდნის შემქმნელი და ვინ მიმწოდებელი. და თუ ეს მოხდება ისეთ საზოგადოებაში, სადაც დაბალია ცოდნის რეალურ შემქმნელთა შეცნობის ალბათობა, მაშინ ამ ცოდნის არაკეთილსინდისიერი მიმწოდებელი თავს ცოდნის შემქმნელებად აცხადებენ და არა სხვისი ცოდნის მკითხველამდე ან მსმენელამდე მიმტანებად.

სხვაგან მიღებული ცოდნის შესწავლა ლიტერატურის დამუშავებით თუ სხვა გზით საჭიროა იმიტომ, რომ ვიცოდეთ რა ხდება ამა თუ იმ დარგში. ეს საჭიროა ასევე იმისათვის, რომ თუ ჩვენ რაიმე სიახლეს ვქმნით, ვიცოდეთ ის უკვე ხომ არ არის შექმნილი სხვის მიერ. ეს იმიტომ რომ უკვე შექმნილი ცოდნის, თუნდაც კეთილსინდისიერად ხელმეორედ შექმნა, დარგს ვერ განავითარებს. ეს დონე უკვე არსებობდა და თუკი ჩვენ კეთილსინდისიერად რაიმე აღმოვაჩინეთ ისე, რომ პლაგიატს ადგილი არ ჰქონია, ეს მიუთითებს ჩვენ ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე და კეთილსინდისიერებაზე, მაგრამ არა დარგის განვითარებაში წვლილზე, რადგან ეს უკვე სხვამ შეძლო ჩვენამდე.

ამიტომ მეცნიერული სიახლეების გაცნობა აუცილებელია თუნდაც ახალი სიახლეების შესაქმნელად და ამ გზით მეცნიერების განსავითარებლად. მეცნიერული სიახლეების გაცნობა უნდა იყოს საშუალება და არა თვითმიზანი. საშუალება ახალი ცოდნის შესაქმნელად და არა შექმნილი ცოდნის ჩვენი სახელით მისათითებლად.

ახალი ლიტერატურის გაცნობა კეთილსინდისიერ მეცნიერს სჭირდება იმისათვის, რომ იცოდეს როცა რაიმე ახალს ქმნის, ხომ არ არის უკვე სხვის მიერ შექმნილი და მან თუნდაც ცოტათი ხომ არ „დააგვიანა“. არაკეთილსინდისიერს კი სჭირდება იმისათვის, რომ მოახდინოს მისგან გადმოწერა (ანდა გადმოთარგმნა) და საკუთარი სახელით მიანოდოს იმას, ვისთვისაც ეს სიახლე უცნობია და უცნობი იქნება საკმაო ხნით კიდევ. ასეთ დროს, ის არის ცოდნის შემქმნელსა და მომხმარებელს შორის შუამავალი არსებული ცოდნის მისაწოდებლად. როცა არ შეგიძლია ახალი ცოდნის შექმნა, არსებული ცოდნის მკითხველისათვის მიწოდებაც კეთილშობილური საქმეა, თუ ეს კეთილსინდისიერად ხდება. მკითხველი ამ სხვის მიერ შექმნილ ცოდნას სხვა გზითაც გაეცნობა და ოდესღაც, ადრე თუ გვიან, ეს დროის საკითხია, მიხვდება თუ ვინ იყო მისი შემქმნელი, მისი ნამდვილი ავტორი და ვინ მიიტანა ის მასთან ზოგჯერ არასწორი შინაარსითა და ფორმით.

ამიტომ სჯობს ახალ წიგნებს გავეცნოთ იმისათვის, რომ ვიცოდეთ რა ახალი ცოდნა არის უკვე შექმნილი, რომ მის შესაქმნელად „ტყუილად აღარ დავიხარჯოთ და არ გავეცნოთ მათ იმისათვის, რომ იქედან რაიმე სიახლე გადმოვწეროთ (ან გადმოვთარგმნოთ) და ნამდვილი ავტორის მითითების გარეშე მივანოდოთ მკითხველს.

დღევანდელი ტექნოლოგიების პირობებში უფრო ადრეა შესაძლებელი ახალი ცოდნის შემქმნელი ნამდვილი ავტორის დადგენა, ვიდრე ეს ადრე იყო. ტექნოლოგიურმა საშუალებებმა შეიძლება გააადვილოს არსებული ცოდნის მოძიება და დამუშავება, გახადოს ადვილად ხელმისაწვდომი დაინტერესებული ადამიანისათვის.

მაგრამ არსებული ცოდნის ხელმისაწვდომობა და დამუშავების შესაძლებლობა არ არის საკმარისი ნამდვილი „ახალი ცოდნის შესაქმნელად“. ის უფრო მეტს მოითხოვს. პირველ რიგში, ეს არის აზროვნების უნარი. ამიტომ საკუთარი ნააზრევით შექმნილი ახალი ცოდნა, „რა თქმა

უნდა, ამ დარგში არსებული ცოდნის დამუშავების“ თუ სხვა გზით, მეტს მათებს და ავითარებს დარგს, ვიდრე არსებული ცოდნის გამოყენება.

სიახლის შემქმნელი მეცნიერები დარგის განვითარებას ემსახურებიან, შექმნილი ცოდნის გამავრცელებლები (თუნდაც საკუთარი სახელით) მხოლოდ მის გამოყენებას. ისე თუ კარგად ჩავუღრმავდებით, ვინც ცოდნას ქმნის ის მეცნიერია, ვინც მხოლოდ ავრცელებს ის ამის მასწავლებელი.

თუმცა, ზოგ მასწავლებელს ეს ეთაკილება და მეცნიერება სურს. თუ ვინ არის მეცნიერი და ვინ მასწავლებელი, ვინ ორივე ერთად ან არცერთი, ამას დრო, მოთმინება და მკითხველი დაადგენს.¹

¹ შენიშვნა: რადგან მეცნიერულ კეთილსინდისიერებაზე ვსაუბრობ, ამ ნაშრომში აღარ ვახდენ სხვა ნაშრომების ციტირებას. მართალია, სამეცნიერო ნაშრომი განსხვავდება ლიტერატურული ნაშრომისგან და გარკვეული მოცულობით მოითხოვს კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით არსებული და ხელმისაწვდომი ლიტერატურის დამუშავებას, განხილვასა და გამოყენებას, მაგრამ ამ ნაშრომის თემატიკიდან გამომდინარე, იგი ყოველგვარი ციტირების გარეშე შემოგთავაზეთ. იმედი მაქვს ეს ნაშრომი დაიმსახურებს როგორც მონონებას, ასევე შესაძლო კრიტიკასაც.

თვითინკრიმინირებისგან დაცვის უფლება და ნიშნის აღება სისხლის სამართალწარმოებაში

ლალი ფაფიაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე

შესავალი

სისხლის სამართალწარმოებაში მხარეთა სტრუქტურული, პროცესუალური თუ მატერიალური უთანასწორობის² გათვალისწინებით *nemo tenetur se ipsum accusare vel prodere* სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების ძირითადი ასპექტი³ და *საერთაშორისო სამართლით აღიარებული სტანდარტია*⁴, რომელიც განმტკიცებულია ევროპის საბჭოს 48 ქვეყნის კონსტიტუციასა⁵ და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს სტატუტში⁶, ICTY⁷ და ICTR⁸ *ad hoc* ტრიბუნალების და სიერა ლეონეს სპეციალიზებული სასამართლოს დამფუძნებელ დოკუმენტებში.

უფლება იცავს რა პირს საკუთარი თავის წინააღმდეგ მაინკრიმინირებელი ჩვენების მიცემის იძულებისაგან⁹, მჭიდრო კავშირშია არა მარტო სამართლიანი სასამართლოს უფლების¹⁰ სხვა კომპონენტებთან (უდანაშაულობის პრეზუმფცია¹¹ და დაცვის უფლება), ღირსების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, ნაშების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვასთან, არამედ წარმოადგენს ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უმთავრესი პრინციპის გამოძახილს, რომლის თანახმად, დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანი არ შეიძლება აღქმული იყოს როგორც ობიექტი, მიზნის მიღწევის საშუალება, არამედ იგი თავად უნდა იყოს ის მიზანი, ორიენტირი, რომელსაც ეფუძნება სახელმწიფოს პოლიტიკა ნებისმიერი მიმართულებით.¹² აღნიშნულის მიუხედავად, არ არსებობს კონსენსუსი უფლების მოქმედების ფარგლებთან დაკავშირებით¹³ და კვლავაც მისი გავრცელება მამხილე-

² *Owusu-Bempah A.*, Defendant Participation in the Criminal Process, Routledge, 2017, 11

³ დეტალურად იხ. *Roberts P. and Zuckerman A.*, Criminal Evidence ,2nd ed, Oxford, 2010, 555

⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, 123. იხ. მაგალითად, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი (მუხლი 14); გაეროს „ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დაცვის პრინციპები“ (პრინციპი 21); ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია (მუხლი 8), ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, (მუხლი 6. მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ არ არის გათვალისწინებული ევროპულ კონვენციაში, პრეცედენტული სამართალი მას განიხილავს სამართლიანი სასამართლო განხილვის ფუნდამენტურ ასპექტად) და სხვა.

⁵ ეს უფლება ასევე მოიაზრება აშშ-ის კონსტიტუციის მე-5 და მე-14 შესწორების კონტექსტშიც.

⁶ მუხლი 55(1)a

⁷ მუხლი 21(4)g

⁸ მუხლი 20(4)g

⁹ იხ. მაგ., *Lee v New South Wales Crime Commission*, (2013)251 CLR 196

¹⁰ Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights, Right to a Fair Trial (Criminal Limb) , European Court of Human Rights, 31/08/2019, 34

¹¹ იხ. მაგ., სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში, საქართველო, OSCE/ODIHR, 2014წ, პარ. 124

¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №1/4/809 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ტიტვიკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-41

¹³ *Quirk H.*, The Right of Silence in England and Wales: Sacred Cow, Sacrificial Lamb or Trojan Horse? წიგნში: Obstacles to

ბელი ჩვენების გარდა სხვა სახის მტკიცებულებების (მაგ., ნივთმტკიცებები, დოკუმენტები) წარმოდგენის იძულებაზე.

1. დუმლის უფლება v. თვითნაკრძინირებისგან დაცვის უფლება

დუმლის უფლებას და თვითნაკრძინირებისგან დაცვის უფლებებს შორის მსგავსების მიუხედავად მათ შორის არსებითი სხვაობაცაა. კერძოდ, დუმლის უფლება ეხება მხოლოდ კომუნიკაციას (ვერბალურ კომუნიკაციას ან შესტების ენას) და იცავს საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების (იმისდამიუხედავად არის თუ არა ეს ჩვენება აშკარად ან პირდაპირ მამხილებელი ხასიათის)¹⁴ მიცემის იძულებისგან. ხოლო თვითნაკრძინირებისგან დაცვის უფლება იცავს საკუთარი თავის ინკრძინირების¹⁵ და მამხილებელი ინფორმაციის მატარებლების წარმოდგენის იძულებისგან¹⁶ იმისდამიუხედავად, სარგებლობს თუ არა პირი ბრალდებულის სტატუსით (მთავარია შეიძლება თუ არა ის მიჩნეული იქნეს *de facto* ბრალდებულად¹⁷). იმავდროულად სწორედ მისგან გამომდინარეობს დუმლის უფლება,¹⁸ უფლების მოქმედება არ ვრცელდება შემთხვევებზე, როდესაც იძულებით მოპოვებული ინფორმაციის გამოყენება არ ხდება ინფორმაციის მიმწოდებლის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნისთვის (ინფორმაციის მიწოდების გამო ენიჭება იმუნიტეტი დევნისგან – ე.წ. *use immunity*), ან პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის საფრთხე არის მხოლოდ თეორიული ან ჰიპოთეტური.¹⁹

ევროკავშირის განმარტებით, თვითნაკრძინირებისგან დაცვის უფლება უფრო ფართოა და მოიცავს ორ კომპონენტს: დუმლის უფლებას და იძულებითი აღიარებისგან დაცვას.²⁰

Fairness in Criminal proceedings. Individual Rights and Institutional Forms, *Jackson J., Summers S.* (editors), Hart Publishing, 2018,9,77. მაგალითად, საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ ყურადღებას ამახვილებს ჩვენების მიცემის და აღიარების იძულებისგან დაცვაზე, „ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია“ – საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის და ბრალის აღიარების დასაშვების წინაპირობებზე (მუხლი 8(3)), ხოლო „ადამიანის და ხალხების უფლებათა აფრიკული ქარტია“ საერთოდ არ შეიცავს აღნიშნულ უფლებას ისევე როგორც „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენცია“ სახელდებით არ ითვალისწინებს აღნიშნულ უფლებას (თუმცა მოიაზრებს მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლებაში).

¹⁴ *Anthony Gray*, Constitutionally Heeding the Right to Silence in Australia, *Monach University Law Review*, (2013)39, 204

¹⁵ Australian Law Reform Commission, Traditional Rights and Freedoms – Encroachments by Commonwealth Laws (ALRC Interim Report 127), 31/07/2015; იხ. მაგ. *Funke v. France*, no. 10828/84, ECtHR, 25/02/1993; *JB v. Switzerland*, no.31827/96, ECtHR, 03/05/2001

¹⁶ იხ. მაგ. *Funke v. France* no. 10828/84, ECtHR, 25/02/1993; *JB v. Switzerland*, no.31827/96, ECtHR, 03/05/2001

¹⁷ საქმეში *Serves v. France*, no. 20225/92, ECtHR, 20/10/1997 ოფიცერი სასამართლოში დაკითხეს მკვლევლობასთან დაკავშირებით, რომელშიც ფორმალურად არ იყო ბრალდებული, თუმცა არსებობდა ეჭვი დანაშაულთან მისი კავშირის შესახებ.

¹⁸ Human Rights in the Administration of Justice: A Manual on Human Rights for Judges, Prosecutors and Lawyers, 240 <https://www.ohchr.org/Documents/Publications/training9chapter6en.pdf>

¹⁹ იხ. *Weh v. Austria*, no. 38544/97, ECtHR, 08/04/2004

²⁰ Legal Digest of International Fair Trial Rights, OSCE/ODIHR, 26/09/2012, 99; იხ. The Presumption of Innocence, GREEN PAPER, EU Commission, COM(2006) 174 final, 26/04/2006, 9

2. უფლება ფართო და ვიწრო გაგებით

იურიდიულ ლიტერატურაში განასხვავებენ უფლებას ფართო და ვიწრო გაგებით.

ფართო გაგებით აღნიშნული უფლება კრძალავს სამართლის ძალით პირის იძულებას ბრალდების მხარეს გადასცეს ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ან გაზარდოს მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის/ მსჯავრდების შესაძლებლობა, ან გამოყენებული იქნეს მის წინააღმდეგ სასამართლოში. ფართო გაგებით უფლება არ განასხვავებს მტკიცებულებას იმისდამხედვით ამ მტკიცებულების არსებობა დამოკიდებულია თუ არა ბრალდებულის ნებაზე. შესაბამისად, უფლება კრძალავს ბრალდებულისგან ნებისმიერი სახის ინფორმაციის გამოთხოვას იმისდამიუხედავად ეს მტკიცებულება არსებობდა ბრალდებულისგან დამოუკიდებლად თუ არა.

ვიწრო გაგებით უფლების მოქმედება ვრცელდება იმ ინფორმაციაზე (ინფორმაციის მატარებლებზე), რომლის არსებობა უკავშირდება ბრალდებულის ნებას (და არ არსებობს ბრალდებულის ნებისგან დამოუკიდებლად). ამიტომ ქვეყნები, რომელთა საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს უფლების ვიწროდ განმარტებას, ადგენენ ბრალდებულის აქტიური მონაწილეობის პირდაპირ ან ნაგულისხმევ მოთხოვნას და ზოგიერთ შემთხვევაში – იძულების ზომებს ბრალდებულის პასიურობისთვის.²¹ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობაც შეზღუდულად განმარტავს თვითინკრიმინირებისგან დაცვის უფლებას და ითვალისწინებს საპროცესო იძულების გამოყენებას ბრალდებულისგან მამხილებელი მტკიცებულებების მოპოვებისთვის.

უფლების ფარგლებთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში²² გამოთქმული პოზიციები ძირითადად ორ ნაწილად იყოფა: ეპისტემოლოგიურ და არაეპისტემოლოგიურ მიდგომებად.²³

ეპისტემოლოგიური მიდგომა ფოკუსირებულია უდანაშაულო პირების დაცვაზე არასწორი მსჯავრდებისგან. ეს მიდგომა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ იძულებამ შეიძლება გამოიწვიოს ისეთი ინფორმაციის და მტკიცებულების მოპოვება რომელიც არასარწმუნო ან არასანდო იქნება. თუმცა, ეს საფრთხე არსებობს მხოლოდ იმ მტკიცებულებებთან მიმართებით რომლებიც პირს არა მარტო გააჩნია, არამედ რომელთა შეცვლაც მას შეუძლია იმგვარად რომ ცვლილებამ გავლენა იქონიოს მტკიცებულების მტკიცებით წონაზე ბრალდებულის ბრალეულობის საკითხზე ზემოქმედების მიზნით.²⁴

არაეპისტემოლოგიური მიდგომები განსხვავდება დასაბუთებაში, მაგრამ მათ აერთიანებთ დეონტოლოგიური შეხედულებები ჭეშმარიტ ღირებულებებზე, რომლებიც არ უკავშირდება ფაქტების დადგენის სიზუსტის ხელშეწყობას. ერთერთი ასეთი მიდგომის თანახმად ყურადღების გამახვილება პოტენციურად მამხილებელ ინფორმაციაზე წარმოადგენს ინდივიდუალური ღირსების შეურაცხყოფას.²⁵

არაეპისტემოლოგიური მიდგომა ემყარება პერსონალური ავტონომიის პატივისცემის პრინციპს და მოითხოვს, რომ პირს ჰქონდეს სამართლიანი შესაძლებლობა ჩამოაყალიბოს სა-

²¹ *Owusu-Bempah A.*, Defendant Participation in the Criminal Process, Routledge, 2017, 3. მაგ., ინგლისური სისტემა ამ მხრივ განსაკუთრებით მკაცრ მიდგომებს ითვალისწინებს ბრალდებულების მიმართ, ვინაიდან თუ ბრალდებული უარს იტყვის შეთავაზებულ საპროცესო შეთანხმებაზე მას ემუქრება უფრო მკაცრი სასჯელის გამოყენების საფრთხე, თუ გადაწყვეტს ისარგებლოს დუმილის უფლებით და არ/ვერ წარმოადგენს გამამართლებელ მტკიცებულებებს (უდანაშაულობის პრეზუმფციის მიუხედავად) მისი დუმილი შეიძლება მისსავე წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული/განმარტებული, როგორც ბრალის დამადასტურებელი მტკიცებულება. იქვე, 179

²² მაგ. იხ. *Dershowitz AD.*, Is There a Right to Remain Silent? Coercive Interrogation and the Fifth Amendment After 9/11, New York, OUP, 2008, Ch. 6

²³ ყველაზე საინტერესოდ ევრისტიკული დაყოფა მიიჩნევა.

²⁴ *Choo A.*, Give us what you have _ Information, Compulsion and the Privilege Against Self-Incrimination as a Human Right, Criminal Evidence and Human Rights, *Roberts P., Hunter J.*, (editors), Hart Publishing, 2012, 255

²⁵ *Ho H.L.*, Liberalism and the Criminal Trial, Singapore Journal of Legal Studies, 2010, 87

პასუხო პოზიცია დანაშაულის ჩადენის ბრალდებასთან /ექვთან დაკავშირებით, რაც მოიცავს შესაძლებლობას თავად გადაწყვიტოს და აკონტროლოს ინფორმაციის გასაჯაროების დრო და ვითარება – ეს კი მოითხოვს უფლების ფარგლების გაფართოვებას.

კანადის უზენაესი სასამართლოს განმარტებით, უფლების ფარგლები განსხვავებულად არ უნდა იქნეს რეგულირებული გონებრივ და სხეულებრივ პროდუქტებთან მიმართებით, მიუხედავად იმისა, რომ უფლებას მოქმედების შეზღუდული არეალი გააჩნია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მისი საზღვრების დადგენისას სხვადასხვა გარემოებები უნდა იქნეს გათვალისწინებული.²⁶

ახალი ზელანდიის კანონმდებლობა და პრაქტიკა ძალიან ვიწროდ განმარტავს უფლებას და მის მოქმედებას ძირითადად ჩვენებაზე ავრცელებს – კერძოდ, მხოლოდ „ზეპირად გაცხადებულ ფაქტზე ან მოსაზრებაზე, ასევე იმ დოკუმენტში მოცემულ ფაქტსა და მოსაზრებაზე, რომელიც მოგვიანებით იქნა შექმნილი სპეციფიკური ინფორმაციის წარმოდგენის მოთხოვნის საფუძველზე. შესაბამისად, უფლების მოქმედება არ ვრცელდება მოთხოვნამდე არსებულ დოკუმენტებზე, ბრალდებულის ყველა სახის ანატომიურ, ბიოლოგიურ და ნებისმიერი სხვა სახის ნიმუშებზე.²⁷ ახალი ზელანდიის უზენაესი სასამართლოს განმარტებით, უფლების მოქმედება არ ამართლებს პირის უარს ისეთი ფიზიკური ნიმუშის წარმოდგენაზე რომელიც დამოუკიდებლად არსებობს და შეიძლება მოძიებული იქნეს ბრალდებულის ჩვენების გარეშეც. ამიტომ უარი იმ ნივთმტკიცების წარმოდგენაზე რომელიც ადამიანისგან მომდინარეობს (მაგ. შარდის ნიმუში), არ გამოდინარეობს თვითინკრინინირებისგან დაცვის უფლებიდან²⁸.

საქმეზე *Prosecutor v. Delalic*²⁹ (საკითხი ეხებოდა კონკრეტული წერილის ავტორის დადგენას) სასამართლომ განსაკუთრებით ფართოდ განმარტა უფლება და შესაძლებლად მიიჩნია მისი გავრცელება ნივთიერ მტკიცებულებებზე, როდესაც მათი გადაცემა ხდება იძულების გამოყენების შიშით. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ მართალია უფლების მოქმედება ვრცელდება დაკითხვისას ჩვენების მიცემაზე და ხელწერის ნიმუში თავისთავად არის ნეიტრალური მტკიცებულება, მაგრამ თუ ხელწერის ნიმუში სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში შექმნის პირის ბრალდებისთვის საფუძველს, მაშინ სასამართლოს განკარგულება აიძულებს ბრალდებულს გასცეს საკუთარი თავის მამხილებელი მტკიცებულება.³⁰

ინდოეთის უზენაესმა სასამართლომ თვითინკრინინირებისგან დაცვის უფლებასთან შეუთავსებლად მიიჩნია ინდოეთის საგამოძიებო პრაქტიკაში გამოყენებადი ისეთი ტექნოლოგიები, როგორცაა: 1) პოლიგრაფი (ე.წ. სიცრუის დეტექტორი); 2) ნარკოანალიზი, რომელიც უკავშირდებოდა ინტრავენურად ნარკოტიკული ნივთიერების შეყვანას დასაკითხი პირისთვის (პრეპარატი ინვევს ჰიპნოზურ ტრანსს, სუსტდება ტვინის კონტროლის ფუნქცია და დაკითხვისას პირი იძლევა ჩვენებას იმ საკითხებზეც, რაზეც სხვა შემთხვევაში უარს იტყოდა ჩვენების მიცემაზე და რაც მოგვიანებით შეიძლება მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული); 3) ტვინის ელექტრო-მაგნიტური გამოკვლევა / ტვინის ელექტრო აქტივაციის პროფილი (BEAP) – კითხვებზე ტვინის რეაგირების მიხედვით იმის განსაზღვრა ცნობილია თუ არა დასაკითხი პირისთვის გარკვეული ინფორმაცია (მეთოდი შესაძლებლობას იძლევა სურათების, აუდიო-/ვიდეო აუდიო ჩანაწერის ფრაგმენტების პირისთვის დემონსტრირებით დადგინდეს დასაკითხი პირი ხომ არ ცდილობს გარკვეული ინფორმაციის დამალვას). სასამართლოს განმარტებით, ასეთი ტესტების გამოყენებისას დუმის მიუხედავად ბრალდებულს არ რჩება შესაძლებლობა თავად გააკეთოს არჩევანი დუმის უფლებით სარგებლობასა და მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაცემას შორის

²⁶ იხ. *R. v. S.A.B.*, 2003 SCC 60 (CanLII), [2003] 2 SCR 678, 34

²⁷ *Cropp v. Judicial Committee and McKenzie*, [2008] NZSC 46, [47], Evidence Act 2006 (NZ) s51(3)

²⁸ *Choo A.*, Give us what you have _ Information, Compulsion and the Privilege Against Self-Incrimination as a Human Right, in the book: *Criminal Evidence and Human Rights*, *Roberts P., Hunter J.*, (editors), Hart Publishing, 2012, 244

²⁹ *Prosecutor v. Delalic Trial Chamber ICTY*, 19/01/1998, par. 58

³⁰ *Prosecutor v. Delalic Trial Chamber ICTY*, 19/01/1998, par.48

და ამდენად ეწინააღმდეგება თვითინკრიმინირებისგან დაცვის უფლებას.³¹ თუმცა მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენდა მტკიცებულება (ინფორმაცია), რომელიც არ არსებობს დამოუკიდებელი სახით და წარმოადგენს ბრალდებულის გონებრივი /ინტელექტუალური საქმიანობის შედეგს. ხოლო გამოყენებული საშუალებები ახდენს არა უბრალოდ ბრალდებულის უარის დაძლევას, არამედ ბრალდებულის ნებაზე ზემოქმედებას და უზრუნველყოფს მისი ინტელექტუალური პროდუქტის მოპოვებას მისსავე საწინააღმდეგოდ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (შემდეგში – ევროპული სასამართლო) უფლებას ვინაოდ განმარტავს. სასამართლო უფლებას განიხილავს მჭიდრო კავშირში უდან-აშაულობის პრეზუმფციასთან (ასევე – კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან და კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალულ მოპყრობასთან კონტექსტში) და მის მოქმედებას უკავშირებს სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების საფრთხეს. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს პირს უკვე მინიჭებული აქვს თუ არა ბრალდებულის სტატუსი. მთავარია შეიძლება თუ არა ის მიჩნეული იქნეს *de facto* ბრალდებულად.³² შესაბამისად, უფლება არ გამოიყენება თუ არ არსებობს პირის მიმართ დევნის დაწყების საკმარისად კონკრეტ-იზირებული საფრთხე, პირს არ აქვს წაყენებული ბრალი (ან არ არის დაკავებული და მისგან ითხოვენ რაღაც ინფორმაციას) და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა ჰიპოთეტურია.³³ იმავდროულად, იმისდა მიუხედავად, მონაწილეობს თუ არა პირი სისხლის სამართალწარმოებაში ან არის თუ არა ბრალდებულისგან განსხვავებულ როლში, დაუშვებელია პირის იძულება საკუთარი თავის მამხილებელი ჩვენების მიცემაზე.³⁴

უფლება პირველ რიგში ვრცელდება ჩვენებაზე და არ ვრცელდება მასალაზე, რომელიც შეიძლება მოპოვებული იქნეს მართალია იძულების გამოყენებით, მაგრამ რომელიც ბრალდებულის ნებისგან დამოუკიდებლად არსებობს. მაგალითად, სუნთქვის, სისხლის, შარდის, დნმ-ის ნიმუშები, სასამართლოს განჩინების საფუძველზე მოპოვებული დოკუმენტაცია. ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ სისხლის³⁵ და შარდის, დნმ-ის ნიმუშების აღება პირისგან, სასამართლოს განჩინების საფუძველზე დოკუმენტაციის ამოღება³⁶ არ არღვევს თვითინკრიმინირებისგან დაცვის უფლებას. იმავდროულად, დაუშვებელია ბრალდებულის წინააღმდეგ იმ ინფორმაციის გამოყენება რომელიც მოპოვებულია ბრალდებულისგან სისხლის სამართალწარმოების ფარგლებს მიღმა იძულების გზით,³⁷ საზოგადოებრივი უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნებისთვის ისეთი ღონისძიების გამოყენება, რომელიც დუმის უფლების არსს ლახავს,³⁸ ასევე სანქციების გამოყენება ბრალდებულისგან ჩვენების მოპოვების მიზნებისთვის.³⁹

³¹ იხ. Selvi et al v. State of Kamataka, (2010)7 SCC 263, [2010] 5 LRC 137; ციტირებულია- *Jayawickrama N.*, *The Judicial Application of Human Rights Law, National, Regional and International Jurisprudence*, 2nd ed., Cambridge University Press, 2017,620

³² საქმეში Serves v. France, no. 20225/92, ECtHR, 20/10/1997 ოფიცური სასამართლოში დაკითხეს მკვლელობასთან დაკავშირებით, რომელშიც ფორმალურად არ იყო ბრალდებული, თუმცა არსებობდა ეჭვი დანაშაულთან მისი კავშირის შესახებ.

³³ *Choo A.*, Give us what you have _ Information, Compulsion and the Privilege Against Self-Incrimination as a Human Right, in the book: *Criminal Evidence and Human Rights*, Roberts P., Hunter J., (editors), Hart Publishing, 2012,249

³⁴ იქვე, par. 49.

³⁵ Detlef-Harro Schmidt v. Germany, no. 32352/02, ECtHR, 05/01/2006

³⁶ Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights, Right to a Fair Trial (Criminal Limb) , European Court of Human Rights, 31/08/2019, 35

³⁷ Guide on Article 6 of the Convention, Right to a Fair Trial (Criminal Limb), ECHR,31/80/2019, 37

³⁸ Heaney and McGuinness v. Ireland, no.34720/97, par. 58, ECtHR, 21/12/2000; Jalloh v. Germany, [GC], no. 54810/00, par. 9, ECtHR, 11/07/2006

³⁹ იხ. *Nowak M.*, U.N.Covenant on Civil and Political Rights: CCPR Commentary, 2nd ed., 2005, 354, par. 75; Fair Trial Manuel, 129

ევროპული სასამართლო თვითინკრინინრებისგან დაცვის უფლებას სამართლიანი სასამართლოს უფლების ქვაკუთხედად მიიჩნევს⁴⁰ და მასში მოიაზრებს სხვადასხვა ასპექტებს. მათ შორის, ბრალდებულის უფლებას არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ, უფლებას არ გადასცეს ბრალდების მხარეს დოკუმენტები, რომლებიც შეიძლება მოგვიანებით მისი მხილებისთვის იქნეს გამოყენებული.⁴¹ თუმცა აღნიშნული არ ეხება ჩხრეკა-ამოღების ან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსსკ-ის) 136-ე მუხლის საფუძველზე იგივე დოკუმენტის გამოთხოვის შემთხვევებს.⁴²

3. Ratione materiae

nemo tenetur-ის პრინციპი არ არის აბსოლუტური.⁴³ მისი შეზღუდვა დასაშვებია საქართველოს სსსკ-ით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით (მაგალითად, მოწმის იძულებითი მიყვანა, მის მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამოყენება ჩვენების მიცემაზე უარის თქმისთვის და სხვა), თუ შეზღუდვის ინტენსივობიდან გამომდინარე არ ილახება უფლების არსი. გამოყენებული იძულების კანონიერების განსაზღვრისათვის ევროპული სასამართლო აფასებს: 1. გამოყენებული იძულების სახესა და ხარისხს; 2. შესაბამისი პროცესუალური განატიების არსებობას; 3. იძულების გზით მოპოვებული მტკიცებულების გამოყენების მიზანს; 4. კერძო და საჯარო ინტერესთა თანაფარდობას.⁴⁴

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გადანყვეტილებაში „საქართველოს მოქალაქე ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლი (კონსტიტუციის მოქმედი რედაქცია) მოიცავს მხოლოდ საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებას.⁴⁵ აღნიშნული მსჯელობით სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 პუნქტით დაცული სფეროდან გამორიცხა საკუთარი თავის წინააღმდეგ სხვა სახის მტკიცებულებების ბრალდების მხარისთვის გადაცემისგან დაცვის უფლება.

მოგვიანებით სასამართლომ კიდევ ერთხელ დააზუსტა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 პუნქტით დაცული უფლების შინაარსი და განმარტა, რომ აღნიშნული დანაწესი მოიცავს ორ ასპექტს, თვითინკრინინრებისგან დაცვის უფლებას და კანონით განსაზღვრულ ახლობელთა წრის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის ვალდებულების არარსებობას.⁴⁶ ამასთან, სასამართლომ თვითინკრინინრებისგან დაცვის უფლება პრაქტიკულად ისევ დაუკავშირა მხოლოდ ჩვენების მიცემის იძულებას და განმარტა, რომ თვითინკრინინრებისგან „დაცვის უფლება წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლების ფუნდამენტურ კომპონენტს,

⁴⁰ იხ. John Murray v. the UK, [GC], no. 18731/91, par.44, 45, ECtHR, 08/02/1996

⁴¹ Funke v. France, no.10828/84, ECtHR, 25/03/1993; Griffin v. Pantzer (2004)137 FCR 209

⁴² Dyson Heydon, Cross on Evidence, Lexis Nexis Butterworths, 9th ed., 2013, 25090

⁴³ იხ. Ibrahim and Others v. the United Kingdom, nos. 50541/08, 50571/08, 50573/08, 40351/09, par.269, ECtHR, 13/09/2016

⁴⁴ Pavlenko v. Russia, no. 42371/02, par.100, ECtHR,01/04/2010; Bykov v. Russia, [GC], no.4378/02, par.92, 104 ECtHR, 10/03/2009; Joelle Vuille, Luca Luparia, Franco Taroni, Scientific Evidence and the Right to a Fair Trial under article 6 ECHR, Law, Probability and Risk, vol.16, Issue 1, March 2017, 55-68; Ibrahim and Others v. the United Kingdom, nos. 50541/08, 50571/08, 50573/08, 40351/09, par. 269, ECtHR, 13/09/2016; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015, 124

⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის გადანყვეტილება N2/3/182,185,191 „საქართველოს მოქალაქე ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4

⁴⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადანყვეტილება №1/4/809 „საქართველოს მოქალაქე ტიტვიკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-40

იცავს რა პირს საკუთარი თავის წინააღმდეგ მაინკრიმინირებელი ჩვენების რაიმე ფორმით მიცემის დავალდებულებისა და იძულებისაგან [...] თვითინკრიმინირების იძულებისგან დაცვა წარმოადგენს ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უმთავრესი პრინციპის გამოძახილს, რომლის თანახმადაც, დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანი არ შეიძლება აღქმული იყოს როგორც ობიექტი, მიზნის მიღწევის საშუალება, არამედ იგი თავად უნდა იყოს ის მიზანი, ორიენტირი, რომელსაც ეფუძნება სახელმწიფოს პოლიტიკა ნებისმიერი მიმართულებით.⁴⁷

„საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-8 პუნქტის⁴⁸ კონტექსტში ჩვენების მიცემა გულისხმობს ვერბალურ, წერილობით ან სხვა ნებისმიერი ფორმის ქმედებაში საკუთარი ნებელობითი ელემენტის რეალიზებას, გამოხატვას. ხოლო თვითინკრიმინაციისგან დაცვის უფლება კრძალავს სწორედ პირის ნებაზე ზემოქმედებას, მისცეს ჩვენება რაიმე ფორმით, საკუთარი თავის წინააღმდეგ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხსენებული უფლების შეზღუდვას ვერ გამოიწვევს რეგულირება, რომლის ფარგლებშიც არ ხდება პირის ნებაზე ზემოქმედება მისგან მტკიცებულების მოპოვების მიზნით.“⁴⁹

იმავედროულად, არასწორია უფლების სფეროს შეზღუდვა მხოლოდ აღიარებითი ჩვენებით ან „საკუთარი თავის“ მამხილებელი ხასიათის მატარებელი გამონათქვამებით. ჩვენება, რომელსაც ერთი შეხედვით არ აქვს მამხილებელი ხასიათი (მაგ., თავის გამამართლებელი გამონათქვამები ან ინფორმაცია ფაქტობრივ საკითხებთან დაკავშირებით), შეიძლება მომავალში გამოყენებულ იქნეს ბრალდებულის იმპრინენტის ან სასამართლო განხილვაზე წარმოდგენილი მტკიცებულებების ეჭვქვეშ დასაყენებლად. შესაბამისად, არსებითია ის, თუ რა გამოყენება ექნება სისხლის სამართლის საქმეში იმ მტკიცებულებებს, რომლებიც იძულებით იქნა მოპოვებული⁵⁰. ამდენად, ეს უფლება იცავს პირს არა მხოლოდ საკუთარი თავის მამხილებელი ჩვენების მიცემის, არამედ ნებისმიერი განცხადების გაკეთების იძულებისგან⁵¹ (მაგ., *Saunders v the UK* სადაც განმცხადებელმა საერთოდ არ მისცა ჩვენება გამოძიების მსვლელობისას), რომელიც შესაძლებელია შემდგომში სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში ბრალდების პროზიციის გასამყარებლად იყოს გამოყენებული,⁵² და ვრცელდება უკლებლივ ყველა სისხლის სამართლის საქმეზე – გამოსაძიებელი დანაშაულის სიმძიმის და სახის მიუხედავად⁵³, მათ შორის იურიდიულ პირებზეც.⁵⁴ იმავედროულად, „უფლება კრძალავს სწორედ პირის ნებაზე ზემოქმედებას, მისცეს ჩვენება რაიმე ფორმით, საკუთარი თავის წინააღმდეგ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხსენებული უფლების შეზღუდვას ვერ გამოიწვევს რეგულირება, რომლის ფარ-

⁴⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/4/809 „საქართველოს მოქალაქე ტიტუკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-41

⁴⁸ გადაწყვეტილების მიღების დროს მოქმედი რედაქცია

⁴⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/4/809 „საქართველოს მოქალაქე ტიტუკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-42. სასამართლომ ვერ დაინახა თვითინკრიმინირებისგან დაცვის უფლების დარღვევა საქართველოს სსსკ 120-ე მუხლით გათვალისწინებულ წესში. სასამართლომ აღნიშნა, რომ „სადავო რეგულაცია ადგენს შედეგს, რომელიც მოჰყვება დაცვის მხარის მიერ მისი ნების თავისუფლების პირობებში სასამართლოს წინაშე საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შუამდგომლობის წარდგენას. ნების თავისუფლებით განხორციელებული ქმედების შედეგის შესაძლო არასასურველობა ვერ იქნება კონსტიტუციის მითითებული ნორმის შემზღუდველი ფაქტორი.

⁵⁰ *Saunders v. the United Kingdom*, [GC], no. 19187/91, par. 70, 71, ECtHR, 17/12/1996

⁵¹ მოსამართლე მარტენსი უფლებას განმარტავს როგორც ადამიანის უფლებას, არ იყოს ვალდებული გასცეს საკუთარი თავის საწინააღმდეგო მტკიცებულებები, რაც ასევე მოიცავს დუმის უფლებას: განსხვავებული აზრი საქმეში *Saunders v. the United Kingdom*, [GC], no. 19187/91, par. 4, ECtHR, 17/12/1996

⁵² *Saunders v. the United Kingdom*, [GC], no. 19187/91, par. 71, ECtHR, 17/12/1996

⁵³ *Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights, Right to a Fair Trial (Criminal Limb)*, European Court of Human Rights, 31/08/2019, 35

⁵⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015, 123

გლებშიც არ ხდება პირის ნებაზე ზემოქმედება მისგან მტკიცებულების მოპოვების მიზნით.⁵⁵

ამდენად, საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება ეფუძნება პრინციპს, რომ სისხლის სამართლის საქმეში პროკურატურამ პირის ბრალეულობა უნდა დაამტკიცოს მტკიცებულებებით, რომელიც არ არის მოპოვებული იძულებით, მოტყუებით ან ბრალდებულის ნების დათრგუნვით. იგი კრძალავს იძულების ნებისმიერ ფორმას, პირდაპირსა თუ არაპირდაპირს, ფიზიკურსა თუ ფსიქოლოგიურს⁵⁶ (იკრძალება პირის გაფრთხილება, რომ სასამართლოს მიერ ბრალდებულის მხრიდან თანამშრომლობაზე უარი (მაგ. ჩვენების მიცემაზე, დოკუმენტაციის წარმოდგენაზე და ა.შ. უარი) შეიძლება შეფასდეს სასამართლოსადმი უპატივცემულობად ან მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლად და პირს დაეკისროს სასჯელი.⁵⁷ იმავდროულად, მხოლოდ ის ფაქტი, რომ პირს სთხოვენ სიმართლის თქმას, არ არღვევს მისი დუმილის უფლებას⁵⁸). გამოძიების ორგანოებთან თანამშრომლობის იძულებამ შეიძლება შელახოს თვითინკრიმინირებისგან დაცვის უფლება და საექვო გახადოს შემდგომი სასამართლო განხილვის სამართლიანობა.⁵⁹ მიუხედავად იმისა, რომ უფლებას მიმართება აქვს პირველ რიგში დუმილის უფლებასთან და *per se* არ გამორიცხავს იძულების გამოყენებას ნივთმტკიცების (მაგ. სისხლის ან სხვა ანატომიური და ბიოლოგიური ნიმუშების) იძულებითი წარმოდგენის უზრუნველსაყოფად.⁶⁰

ჩვენების და ინფორმაციის მატარებლების მიმართ განსხვავებული მიდგომის მიზანია ბრალდებულის მიმართ არაჯეროვანი იძულების პრევენცია.⁶¹

4. მტკიცებულების წარდგენის ვალდებულება

ზოგადი წესის თანახმად, ბრალდებულს არ აკისრია ბრალის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულება, თუმცა რიგ შემთხვევებში თავად ბრალდებული შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი მტკიცებულების წყარო.⁶²

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, თვითინკრიმინირებისგან დაცვის უფლების მიზანია ბრალდებულის ნების პატივისცემა, მაგრამ უფლების მოქმედება არ ვრცელდება თითის, ხელის, ფეხის კვალზე, ხელწერის ან ხელმოწერის ნიმუშებზე, სხეულის ნაწილის შემონმებაზე იდენტიფიცირების მიზნებისთვის.⁶³ „თვითინკრიმინირება“ გულისხმობს ისეთი ინფორმაციის გადაცემას, რომელიც ემყარება გადამცემი სუბიექტის ცოდნას და არ მოიცავს სასამართლოში იმ დოკუმენტების წარდგენის უბრალო მექანიკურ პროცესს, რომლებიც არ შეიცავს ბრალდებულის პერსონალურ ცოდნაზე დამყარებულ ინფორმაციას. ანალოგიურად არ მოიცავს სხეულის მაინკრიმინირებელ მდგომარეობას როგორცაა მაგალითად ალკოჰოლის შემცველობა სისხლში ან ამონასუნთქში. სისხლში ალკოჰოლის შემცველობის დასადგენად სისხლის ნიმუშის აღება სატრანსპორტო საშუალების მძღოლისგან, ვისაც არ შეუძლია (მისი მდგომარეობიდან გამომდინარე) ან არ სურს სისხლის ნიმუშის გაცემა, არ არღვევს თვითინკ-

⁵⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №1/4/809 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ტიტვიო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-42

⁵⁶ სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში, საქართველო, OSCE/ODIHR, 2014, 124

⁵⁷ Berry v. Jamaica, no. 330/1988, UN Doc. CCPR/C/50/D/330/1988(1994)

⁵⁸ Castillo Petruzzi et al v. Peru, par. 167, IACHR, 30/05/1999

⁵⁹ Commission of the European Communities, Green Paper, The Presumption of Innocence, 26/04/2006, COM(2006)174 final

⁶⁰ Legal Digest on International Fair Trial Rights, 99

⁶¹ ob. Jalloh v. Germany, [GC], no. 54810/00, par. 101, ECtHR, 11/07/2006

⁶² Funke v. France, no. 10828/84, par.44, ECtHR, 25/02/1993; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015, 124

⁶³ Saunders v. the United Kingdom, [GC], no. 19187/91, par. 69, ECtHR, 17/12/1996

რიმინირებისგან დაცვის უფლებას. ეს ნიმუში წარმოადგენს მხოლოდ საექსპერტო კვლევის ნიმუშს და წინასწარ უცნობია ექსპერტიზის შედეგები, იმავდროულად ნიმუშის აღება არ უკავშირდება ბრალდებული პირის მხრიდან რაიმე განცხადების გაკეთებას ან იმდაგვარ აქტიურ ქცევას, რაც შექმნიდა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ ის აცნობიერებს რომ ნიმუშის აღება გამოიწვევს მის პასუხისმგებლობას.⁶⁴

სისხლის, შარდის, დნმ-ის ნიმუშები, თითის ანაბეჭდები, გარეგანი ნიშნები – ტატუ, ნაკანრები, ფიზიკური მთლიანობის დარღვევის ნიშნები შეიძლება გამოყენებული იქნეს მტკიცებულებად, და სავარაუდოდ უახლოეს მომავალში – უფრო ფართოდ იქნება გამოყენებული ბიომეტრიული იდენტიფიცირება თვალის გუგებით. სხეულის გამოყენება მტკიცებულების წყაროდ სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ტექნოლოგიური და სამეცნიერო მიღწევების, განსაკუთრებით დნმ-ის პროფილირების კვალდაკვალ, თუმცა სხეულებრივი ნიმუშების გამოყენება მტკიცებულებად უკავშირდება თვითინკრინირებისგან დაცვის უფლებას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის და სხეულებრივი მთლიანობის, საშუალებათა პროპორციულობის საკითხებს.⁶⁵

უფლება არ უკავშირდება სისხლის სამართალწარმოებაში იმ მასალის გამოყენებას რომელიც ბრალდებულისგან შეიძლება იქნეს მოპოვებული საპროცესო კანონმდებლობით ნებადართული იძულების კანონიერად გამოყენების გზით და ბრალდებულის ნებისგან დამოუკიდებლად არსებობს (მაგ. სასამართლოს განჩინების საფუძველზე მოპოვებული დოკუმენტები, სუნთქვის, სისხლის, შარდის ნიმუშები, სხეულის ნიმუშები – მაგ. დნმ-ის პროფილები,⁶⁶ ჰაერის, წყლის, თმის, ხმის ნიმუშები⁶⁷ და გენეტიკური ანალიზისათვის საჭირო სხეულის ქსოვილის ნიმუშები,⁶⁸ ბრალდებულის სხეულში დამალული ნარკოტიკების მოპოვება ბრალდებულის გულისრევის ხელოვნურად/იძულებით გამოწვევის გზით, პირადი ჩხრეკის შედეგადად ამოღებული ნივთები და სხვა);⁶⁹ ნივთმტკიცებებს (დანაშაულის იარაღი, ნივთიერებები); ბრალდებულს არ აქვს უფლება უარი განაცხადოს ფიზიკური საგნების გადაცემაზე/ წარდგენაზე მაშინაც, როდესაც დარწმუნებულია ამ მტკიცებულების მამხილებელ ხასიათში ისევე, როგორც არ აქვს უარის თქმის უფლება ნიმუშის აღების მოთხოვნაზე, მაშინაც თუ ამ მტკიცებულებას შეუძლია მისი მხილება დანაშაულში.⁷⁰

სასამართლოს განჩინების საფუძველზე მტკიცებულებების მოპოვების შემთხვევაში ბრალდებულის მხრიდან თანამშრომლობის სურვილის არსებობა-არარსებობას მნიშვნელობა არ

⁶⁴ Decision of the Constitutional Court of Portugal 15/07/2013, (2013)3 Bulletin on Constitutional Case-Law, 340 (ციტირებულია წყაროდან: *Quirk H.*, The Right of Silence in England and Wales: Sacred Cow, Sacrificial Lamb or Trojan Horse? in the Book: Obstacles to Fairness in Criminal proceedings Individual rights and Institutional Forms, *Jackson J., Summers S.* (editors), Hart Publishing, 2018, 96)

⁶⁵ *Easton S.*, Silence and Confessions: The Suspect as the Source of Evidence, 2014, 194

⁶⁶ *ib. Saunders v. the UK*, [GC], no. 19187/91, ECtHR, 17/12/1996; ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება, Bulletin on Constitutional Case-Law 3(1997), 441 (ციტირებულია წყაროდან: *Quirk H.*, The Right of Silence in England and Wales: Sacred Cow, Sacrificial Lamb or Trojan Horse? in the Book: Obstacles to Fairness in Criminal proceedings Individual rights and Institutional Forms, *Jackson J., Summers S.* (editors), Hart Publishing, 2018,96)

⁶⁷ *P.G. and J.H. v the UK*, no. 44787/98, par. 80 ECtHR, 25/09/2001, სასამართლომ ხმის ნიმუში გაუთანაბრა სისხლის, თმის ან ნებისმიერ სხვა ობიექტურად არსებულ მასალას რომელიც გამოიყენება ექსპერტულ კვლევაში და რომელზეც არ ვრცელდება უფლების მოქმედება.

⁶⁸ *Saunders v. the United Kingdom*, [GC], no. 19187/91, par. 69, ECtHR, 17/12/1996; *O'Halloran and Francis v. the United Kingdom*, [GC], nos.15809/02 25624/02, par. 47, ECtHR, 29/06/2007; *P.G. and J.H. v. the UK*, no.44787/98, par. 80, ECtHR, 25/09/2001

⁶⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015, 124

⁷⁰ *Izzi M.*, Compelled Self-Incrimination, 2018/05/04. <https://www.legalmatch.com/law-library/article/compelled-self-incrimination.html>

ენიჭება, ვინაიდან სასამართლოს განჩინება პროცესის მწარმოებელ პირს ანიჭებს იძულების გამოყენების უფლებას. შესაბამისად, განჩინების შემთხვევაში პრაქტიკულად ადგილი აქვს თანამშრომლობის იძულებას. სწორედ ეს საკითხი წარმოადგენს ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში მსჯელობის ძირითად საგანს.

საქმეში *Saunders v. the UK* სასამართლომ უფლების მოქმედება არ გაავრცელა სისხლის, შარდის, სუნთქვის და სხეულის ქსოვილების ნიმუშებზე. *Jalloh v. Germany* გადაწყვეტილებაში სასამართლო შეეცადა განემარტა *Saunders v. the UK* საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება. სასამართლომ კოკაინით სავსე პარკი მიიჩნა თავიდანვე მამხილებელ მტკიცებულებად, ხოლო ვინაიდან ბიოლოგიური და ანატომიური ნიმუშების მამხილებელი ხასიათი დგინდება მხოლოდ შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ და ნიმუშების მოპოვების მომენტში მათ არ გააჩნია მკვეთრად გამოხატული მამხილებელი ხასიათი, – მათ არ გააჩნიათ მამხილებელი მტკიცებულების სტატუსი და შესაბამისად მათზე არ ვრცელდება უფლების მოქმედება. ამდენად, სასამართლო მიჯნავს უფლების მოქმედებას *per se* მამხილებელი მტკიცებულებების მიმართ უფლების გავრცელებას „ნეიტრალურ“ ინფორმაციასთან მიმართებით უფლების გავრცელებას.⁷¹

ამდენად, ფიზიკური იძულების გამოყენება აღნიშნული მასალების ან ნივთმტკიცების მოპოვებისთვის დასაშვებია (დაუშვებელია აღიარების მოპოვებისთვის) ბრალდებულის ფიზიკურ ანატომიაში იძულებითი ჩარევა⁷² (იკრძალება მხოლოდ „არასათანადო იძულება“⁷³) და შესაბამისად, „გარკვეული ინტენსივობის იძულების გამოყენება ნივთმტკიცების მოპოვების მიზნით დასაშვებია მე-6 მუხლის კონტექსტში, როდესაც ეს მტკიცებულებები არსებობს ბრალდებულის ნებისგან დამოუკიდებლად. მაგ., სუნთქვის, შარდის, თითის ანაბეჭდების, ხმის, თმის, დნმ-ის პროფილები საექსპერტო კვლევის და არა ბრალდებულისგან აღიარების მოპოვების მიზნებისთვის.“⁷⁴

ბრალდებულისგან დნმ-ის პროფილის გამოთხოვისას კერძო და საჯარო ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის უზრუნველყოფის მიზნით გამოთქმულია მოსაზრება გამოძიების ორგანოს მიერ ბრალდებულისგან ნიმუშის აღების მოთხოვნის უფლების გაუქმების და ბრალდებულის თანხმობის გარეშე ნიმუშების მოპოვებაზე გამოძიების ორგანოს ვალდებულების გაფართოების შესახებ (რათა ნიმუშის გაცემაზე ბრალდებულის უარი არ იქნეს მის წინააღმდეგ გამოყენებული ისევე როგორც ამას ადგილი აქვს ჩვენებაზე უარის თქმის შემთხვევაში).⁷⁵

5. სასამართლოების პოზიცია ბრალდებულისგან ნიმუშის აღებასთან დაკავშირებით

ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში ციფრულ მტკიცებულებებთან ერთად ანატომიური და ბიოლოგიური ნიმუშები სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების და დანაშაულის გახსნის საკითხებში. ამავე მიზეზით, ბრალდებულები, როგორც წესი, უარს აცხადებენ ნებაყოფლობით დნმ-ის ნიმუშის გაცემაზე რათა თავადვე არ მოახდინონ მამხილებელი მტკიცებულების მინოდება ბრალდების მხარისთვის. მიუხედავად იმისა რომ აღნიშნულ შემთხვევებში ნიმუშის მოპოვება ხდება სასამართლოს განჩინების სა-

⁷¹ *Choo A.*, Give us what you have _ Information, Compulsion and the Privilege Against Self-Incrimination as a Human Right, in the book: Criminal Evidence and Human Rights, *Roberts P., Hunter J.*, (editors) ,Hart Publishing, 2012

⁷² იხ. *Jalloh v. Germany*, [GC], no. 54810/00, par. 103-123, ECtHR, 11/07/2006

⁷³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015, 125. კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებისთვის ბრალდებულის ნების წინააღმდეგოდ მისი ორგანიზმიდან ნივთმტკიცების ამოღებისას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს სამედიცინო ჩვენებას და ამოღების პროცედურებს სამართლებრივ საფუძველთან შედარებით. *Виткаускас Довидас, Диков Григорий, Защищая право на справедливое судебное разбирательство, предусмотренное Европейской конвенцией по правам человека*, 2018, 139

⁷⁴ იხ. *Jalloh v. Germany*, [GC], no. 54810/00, par. 103-123, ECtHR, 11/07/2006

⁷⁵ *Gans J.*, Something to Hide: DNA, Surveillance and Self-Incrimination, *Current Issues in Criminal Justice*, Vol. 13, 2007, 168-184

ფუძველზე, პრაქტიკაში როგორც წესი ისმის საკითხი ერთი მხრივ, თვითინკრინინირებისგან დაცვის უფლების და სასამართლოს განჩინების საფუძველზე ნიმუშის მოპოვების ურთიერთ-მიმართების შესახებ და მეორე მხრივ – სასამართლოს განჩინების შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში ბრალდებულის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსკ-ის) 381-ე მუხლით მსჯავრდების თვითინკრინინირებისგან დაცვის უფლებასთან შესაბამისობის შესახებ.

სასამართლოს განჩინების საფუძველზე დნმ-ის ნიმუშების მოპოვება ზღუდავს თვითინკრინინირებისგან დაცვის უფლებას, თუმცა ცალკეული კატეგორიის დანაშაულთა სპეციფიკის და ბუნების გათვალისწინებით საჯარო ინტერესი გადასწონის ბრალდებულის კერძო ინტერესს (არ იყოს საკუთარი თავის მამხილებელი მონმე) და სასამართლოს განჩინების საფუძველზე დნმ-ის ნიმუშის იძულებით მოპოვება მიიჩნევა დასაშვებად (აშშ შემთხვევაში – ითვლება აშშ კონსტიტუციის მე-5 შესწორებით უზრუნველყოფილი უფლებიდან გამონაკლისად).⁷⁶

უფლების ფარგლებთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა ერთსულოვანია და ადგენს, რომ უფლების მოქმედება ვრცელდება ჩვენებებზე (მათ შორის ბრალდებულის მამხილებელ აზრებზე) (რაც განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ტექნოლოგიების განვითარების და ცალკეულ შემთხვევებში ადამიანის გონების „ნამკითხველი“ ტექნოლოგიების გამოყენების პირობებში) და არა ნივთიერ მტკიცებულებებზე (მაგ. ბრალდებულის სხეულის მამხილებელ ასპექტებზე). ამ მიდგომის თანახმად, ნიმუშების მოპოვება იძულების ღონისძიებების გამოყენებით ბრალდებულის დანაშაულთან შემხებლობის განსაზღვრისათვის არ არღვევს თვითინკრინინირებისგან დაცვის უფლებას.

მიუხედავად იმისა, რომ საერთო სასამართლოები, როგორც წესი, საქართველოს სსსკ-ის 147-ე მუხლის საფუძველზე დასაშვებად მიიჩნევენ იძულების პროპორციული ძალის გამოყენებით ბრალდებულისგან სასამართლოს განჩინების საფუძველზე ნიმუშის აღებას, ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლომ ბრალდებულისგან სასამართლოს განჩინების საფუძველზე ხმის ნიმუშის აღება დაუკავშირა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ უფლებას, საქართველოს სსსკ 38-ე მუხლის მე-16-18 ნაწილით ბრალდებულისთვის მინიჭებულ უფლებებს, ამავე კოდექსის მე-12 მუხლის მე-4 ნაწილის დანაწესს, პირის სამართლებრივ სტატუსს⁷⁷. სასამართლომ აღნიშნა, რომ ბრალდებულს უფლება აქვს არ მისცეს გამოძიებას ხმის ნიმუში თუ ფიქრობს, რომ ეს მის საწინააღმდეგოდ იქნება გამოყენებული, რაც არ ართმევს გამოძიებას უფლებას სხვა კანონიერი მეთოდებით და საშუალებებით მოიპოვოს ხმის შესადარებელი ნიმუშები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ჩაატაროს ფონოსკოპიური ექსპერტიზა პიროვნების იდენტიფიცირებისთვის.⁷⁸

აღნიშნულის საპირისპიროდ, სტრასბურგის სასამართლომ საქმეზე P.G and J.H. v. UK⁷⁹ აღნიშნა, რომ ხმის შესადარებელი ნიმუში, რომელიც არ შეიცავს მამხილებელ ინფორმაციას შეიძლება განიხილებოდეს სისხლის, თმის, და სხვა ფიზიკური თუ ობიექტური ნიმუშების სახით, რომლებიც გამოიყენება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაში და რომლებთან მიმართებითაც არ გამოიყენება თვითინკრინინირებისგან დაცვის უფლება. მათ შორის იმ შემთხვევაში როდესაც ბრალდებულის ხმის შესადარებელი ნიმუშის მოპოვება განხორციელდა ბრალდებულის ხმის ბრალდებულის ინფორმირების გარეშე ფარულად ჩანერის შემთხვევაში. სასამართ-

⁷⁶ იხ. მაგალითად, Parks St., Compelled DNA Testing in Rape Cases: Illustrating the Necessity of an Exception to the Self-Incrimination Clause, 7 William and Mary Journal of Women and the Law, 499(2001), 499; Schmerber v. California, 384 U.S. 757(1966)

⁷⁷ მონმისგან სასამართლოს განჩინების საფუძველზე ნიმუშის აღება დასაშვებად მიიჩნია იმ შემთხვევაშიც, როდესაც აღნიშნული ნიმუშის საფუძველზე სხვა მტკიცებულებებთან ერთად, შეიცვალა მონმის სტატუსი და მას ბრალი წარედგინა

⁷⁸ ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე N1გ/945-15

⁷⁹ P.G and J.H. v. UK, ECtHR, No. 44787/98, 25/09/2001, par.80

ლომ კვლავაც მიუთითა *Saunders v. the UK* გადაწყვეტილებაზე.⁸⁰

ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ანატომიური/ ბიოლოგიური ნიმუში თავისი ხასიათით ნეიტრალური ხასიათის მატარებელია და მამხილებელ ხასიათს იძენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაემთხვევა შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ კვალს. შესაბამისად, ნიმუშის მოთხოვნის მომენტში მას არ გააჩნია მამხილებელი ხასიათი, რის გამოც მასზე არ ვრცელდება *nemo tenetur*.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებითაც, „მართალია „სისხლის სამართალწარმოებაში ბრალდების მხარემ ბრალდებულის ბრალეულობა უნდა ამტკიცოს მისი ნების წინააღმდეგ იძულების გზით მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენების გარეშე“⁸¹ და საქართველოს სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-17 ნაწილის თანახმად ბრალდებულს უფლებამოსილია მონაწილეობა არ მიიღოს საგამოძიებო მოქმედებაში, მაგრამ თვითნაკრძალისგან დაცვის უფლება არ ვრცელდება სისხლის სამართალწარმოების პროცესში ისეთი მასალების გამოყენებაზე – ბიოლოგიური, ანატომიური, გენეტიკური და სხვა ნიმუშების აღებაზე – რომლებიც მოპოვებული იყო ბრალდებულისგან მისი ნების წინააღმდეგ სასამართლოს განჩინებით (კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობის და უფლებაში ჩარევის თანაზომიერების შემონახვის შემდეგ). მიუხედავად იმისა, რომ [სუნთქვის ტესტის ან სისხლის ნიმუშის აღების] ნიმუშის აღების პროცედურა თავისი არსით „არის ერთგვარი ჩარევა ეჭვმიტანილის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში, მათი გამოყენება ზოგადად მაინც გამართლებულია მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით, რადგან აუცილებელია სისხლის სამართლის დანაშაულის თავიდან ასაცილებლად“⁸²; არ არღვევს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ თვითნაკრძალისგან დაცვის უფლებას, რადგან ის პირველ რიგში ეხება ბრალდებულის ნების პატივისცემას – გამოიყენოს დუმილის უფლება – არ ვრცელდება სისხლის სამართალწარმოებაში იმ მასალის გამოყენებაზე, რომელიც შეიძლება მიღებული იქნეს ბრალდებულისგან მისი ნების წინააღმდეგ – იძულებითი ღონისძიებების განხორციელების გზით, მაგრამ რომლებიც არსებობს ბრალდებულის ნებისგან დამოუკიდებლად⁸³ როგორცაა, *inter alia*, სასამართლოს ნებართვის საფუძველზე მოპოვებული დოკუმენტები, სუნთქვის, სისხლის, შარდის ნიმუშები და სხეულის ქსოვილი დნმ-ის ანალიზისთვის.⁸⁴ „...ბრალდებულს მოეთხოვება მშვიდად მიიღოს უმნიშვნელო ჩარევა მის ფიზიკურ ხელშეუხებლობაში (მაგ.: სისხლის, თმის ან ორგანული ქსოვილის ნიმუშის აღებისას) მაშინაც კი, როდესაც საჭიროა ბრალდებულის აქტიური მონაწილეობა. ეს ეხება ორგანიზმის ჩვეულებრივი ფუნქციონირებით წარმოშობილ მასალებს (როგორცაა: სუნთქვის, შარდის ან ხმის ნიმუშები)“.⁸⁵ შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ საქართველოს სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-17 ნაწილზე აპელრება ირელევანტურად მიიჩნია.

სასამართლომ ასევე გაითვალისწინა საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის პირველი პუნქტის დანაწესი და ისიც, რომ „ხელშემკვრელ სახელმწიფოებსა და სხვა ქვეყნებში, საყოველთაო გაგებით, თვითნაკრძალისგან დაცვის უფლება ნიშნავს ბრალდებულის ნების პატივისცემას შეინარჩუნოს დუმილი დაკითხვისას და მისცეს ჩვენება იძულების გარეშე“⁸⁶ და „არ არის აუცილებელი ყველა პირდაპირმა იძულებამ დაარღვიოს ბრალდებულის უფლების

⁸⁰ *Saunders v. the United Kingdom*, [GC], no. 19187/91, par. 69, ECtHR, 17/12/1996

⁸¹ *Saunders v. the United Kingdom*, [GC], no. 19187/91, par. 68, ECtHR, 17/12/1996; *Bykov v Russia* [GC], no. 4378/02, §92, ECtHR, 10/03/2009

⁸² *Jalloh v. Germany*, [GC], no. 54810/00, par. 115, ECtHR, 11/07/2006

⁸³ იხ. *Detlef-Harro Schmidt v. Germany*, no. 32352/02, ECtHR, 05/01/2006

⁸⁴ *Saunders v. the United Kingdom*, no. 19187/91, par. 69, ECtHR, 17/12/1996; *O’Halloran and Francis v. the United Kingdom*, [GC], nos. 15809/02, 25624/02, par. 47, ECtHR, 29/06/2007; *Jalloh v. Germany*, [GC], no. 54810/00, par. 112, 114, ECtHR, 11/07/2006

⁸⁵ *Jalloh v. Germany*, [GC], no. 54810/00, par. 114, ECtHR, 11/07/2006.

⁸⁶ იხ. *Jalloh v. Germany*, [GC], no. 54810/00, par. 110, ECtHR, 11/07/2006.

არსი – არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ – და გამოიწვიოს მე-6 მუხლის დარღვევა.⁸⁷

ამდენად, საქართველოს საერთო სასამართლოების მყარად დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ბრალდებულისგან სასამართლოს განჩინების საფუძველზე ნიმუშის აღება არ მიიჩნევა თვითინკრინირებისგან დაცვის უფლების დარღვევად.

ბრალდებულისგან ნიმუშის მოპოვების უზრუნველყოფისთვის (როდესაც ნიმუშის აღება არ იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას) საქართველოს სსსკ-ის 147-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს ნიმუშის აღებას სასამართლოს განჩინების საფუძველზე იძულების პროპორციული ზომის გამოყენებით საქართველოს სსსკ-ის მე-4 მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სსსკ-ის 111-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, ხოლო საქართველოს სსსკ-ის 381-ე მუხლი ადგენს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინების შეუსრულებლობის ან მისი შესრულებისთვის ხელის შეშლისთვის. მიუხედავად იმისა, რომ სტატიის განხილვის საგანს არ წარმოადგენს ბრალდებულზე ნიმუშის აღების შესახებ სასამართლოს განჩინების შეუსრულებლობისთვის საქართველოს სსსკ-ის 381-ე მუხლით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების კონსტიტუციურობის ან/და სამართლიანობის განხილვა, აღსანიშნავია, რომ პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას საერთო სასამართლოები ყურადღებას ამახვილებენ ბრალდებულის უარის მიუხედავად განჩინების აღმსრულებელი პირების მხრიდან საქართველოს სსსკ-ის 111-ე მუხლის მე-7 ნაწილით და მე-4 მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განჩინების აღსრულების მიზნებისთვის იძულების პროპორციული ძალის გამოყენებაზე.⁸⁸ კერძოდ, საქართველოს სსსკ-ის 381-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება შესაძლებლად მიიჩნევა, თუ საპროცესო მოქმედების განმახორციელებელი პირის (განჩინების აღმსრულებელი პირი) მიერ, ბრალდებულისგან განჩინების ნებაყოფლობით აღსრულებაზე უარის მიღების შემდეგ, ადგილი ჰქონდა იძულების პროპორციული ზომის გამოყენებას.

აღნიშნულ მიდგომასთან დაკავშირებით, ერთი მხრივ გასათვალისწინებელია საქართველოს სსსკ-ით ნებადართული იძულების პროპორციული ზომების ვარგისიანობა მიზნის მისაღწევად (იძულების პროპორციული ძალის გამოყენება ყველა სახის ნიმუშის აღების მიზნებისთვის არ არის ვარგისი ან/და ეფექტური (მაგალითად, ხმის ნიმუში) – მნიშვნელოვანია იძულების პროპორციული ძალის გამოყენებით ექსპერტული კვლევისათვის ვარგისი და არა უბრალოდ შესაბამისი სახის ნიმუშის მოპოვება (მაგ., ხმის ან თითის ანაბეჭდების მოპოვებისთვის). კერძოდ, თუ ბრალდებულმა შეკრა მუშტი და არ შლის ხელს, იძულების წესით ხელის კვლების აღება ექსპერტის განმარტებით შეუძლებელია.⁸⁹ საქსპერტო კვლევისათვის ვარგისი სუნის ნიმუშის აღებისთვის საჭიროა ნიმუშის მოპოვება სპეციალური პროცედურის დაცვით – ბრალდებულმა ხელში უნდა დაიკავოს გარკვეული დროის განმავლობაში შესაბამისი ობიექტი და ა.შ.). მეორე მხრივ, საქართველოს სსსკ-ის 381-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობად საპროცესო მოქმედების ფარგლებში პროპორციული ძალის გამოყენების უშედეგობის/არაეფექტურობის მიჩნევა შეიძლება ქმნიდეს ძალის გადამეტების საფრთხეს (მათ შორის აღნიშნული განზრახვის არარსებობის შემთხვევაშიც). ამიტომ აღნიშნული მიდგომა საჭიროებს ძალიან ფრთხილ გამოყენებას, და შეიცავს ბრალდებულთა უფლებების ხელყოფის მომეტებულ საფრთხეს (ფიზიკური დაზიანების, ღირსების შემლახავი ან დამამცირებელი მოპყრობის საფრთხეს). შესაბამისად, ბრალდებულის უფლებების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე

⁸⁷ იხ. O'Halloran and Francis v. the United Kingdom, [GC], nos. 15809/02; 25624/02, par. 53, ECtHR, 29/06/2007; იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 18 მაისის განჩინება საქმეზე N 951აპ-21.

⁸⁸ იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 26 ოქტომბრის განჩინება საქმეზე N 703აპ-22; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 18 მაისის განჩინება საქმეზე N 951აპ-21.

⁸⁹ იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 30 ივლისის განაჩენი საქმეზე N 1/308-20

ყურადღება უნდა ექცეოდეს ერთი მხრივ ნიშნის სახეს და პროპორციული იძულების გამოყენების ვარგისიანობას მიზნის მისაღწევად, და მეორე მხრივ – იგივე ნიშნის სხვა გზით მოპოვების შესაძლებლობის არსებობას⁹⁰.

6. ბრალდებულის მხრიდან თანამშრომლობის მოლოდინი

საქართველოს საპროცესო კანონმდებლობისგან განსხვავებით, ბრიტანული კანონმდებლობა მართალია არ ითვალისწინებს ნიშნის აღების შესახებ სასამართლოს განჩინების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას, იმავდროულად ითვალისწინებს, ბრალდებულის მიერ ნიშნის გაცემაზე უარის თქმის მისავე სანააღმდეგოდ ინტერპრეტირებას და გამოყენებას. კერძოდ, ბრიტანეთში CJPOA-მ და უფლებათა რე-ბალანსის კონცეფციამ პრაქტიკულად გაამარტივა ბრალდების მხარის მტკიცების ტვირთი და გაჩნდა ეჭვიმტანილის და ბრალდებულის მხრიდან გამოძიების ორგანოებთან და სასამართლოსთან აქტიური თანამშრომლობის მოლოდინი. ბრიტანეთის სააპელაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ე.წ. „იძულებითი მონაწილეობის ('coerced participation') „ნორმატიული მოლოდინი“ – პრეზუმირება, რომ უდანაშაულოს არაფერი აქვს დასამალი და ბრალდებული, ისევე როგორც პროცესის ის მონაწილეები რომლებსაც არაფერი აქვთ დასამალი, სრულად უნდა თანამშრომლობდეს პროცესის მწარმოებელ ორგანოსთან; უდანაშაულო პირის მიმართ, როგორც წესი, არსებობს მოლოდინი რომ გამოიყენებს შესაძლებლობას და უარყოფს მისთვის წაყენებულ ბრალდებას⁹¹ – ეწინააღმდეგება როგორც უდანაშაულობის პრეზუმეციას, ასევე ბრალდების მხარის მიერ ბრალდებულის ბრალეულობის მტკიცების ტვირთის ბრალდების მხარეზე დაკისრების პრინციპს. მიუხედავად იმისა რომ სასამართლომ განმარტა რომ მტკიცების ტვირთი კვლავაც ბრალდების მხარეზეა, პრაქტიკულად ხდება სასამართლოს დარბაზში იმ ეჭვის გადმოტანა, რაც პოლიციას გააჩნია ბრალდებულთან მიმართებით.

ბრალდებულის აქტიური მონაწილეობა პროცესში ღირებულია მართლმსაჯულების განხორციელების მიზნებისთვის და ხელს უწყობს ბრალდებულსაც საკუთარი დაცვის ეფექტიანად განხორციელებაში. და მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულის პასიურობამ სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის სტადიაზე შეიძლება თავად განსასჯელის ინტერესებიც დააზიანოს, ბრალდებულის აქტიური მონაწილეობის ნახალისება უნდა განხორციელდეს დაცვის გარანტიების გაზრდის გზით, რამაც არ უნდა ჩაანაცვლოს მონაწილეობაზე უარის თქმის უფლება.

ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულებები საჭიროებს ახსნა-განმარტებას, რომელიც ბრალდებულს შეუძლია გააკეთოს, მისი დუმილის საფუძველზე შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ არ არსებობს ახსნა და ბრალდებული დამნაშავეა. მეორე მხრივ, თუ ბრალდების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს იმდენად მცირე მტკიცებულებითი ღირებულება აქვს, რომ არ მოითხოვს ახსნა-განმარტებას, დუმილის საფუძველზე დაუშვებელია პირის ბრალეულობის შესახებ დასკვნის გამოტანა⁹².

Telfner v. Austria საქმეში John Murray v. the UK- ის საქმისგან განსხვავებით, სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებები არ იძლეოდა „ბრალდებულის დუმილის საფუძველზე ერთადერთი კეთილგონივრული დასკვნის – რომ მას არ შეეძლო მის წინააღმდეგ არსებული

⁹⁰ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021წლის 10 დეკემბრის განაჩენი საქმეზე N 511აპ-21, II-14

⁹¹ *Quirk H., The Right of Silence in England and Wales: Sacred Cow, Sacrificial Lamb or Trojan Horse? in the Book: Obstacles to Fairness in Criminal proceedings Individual rights and Institutional Forms, Jackson J., Summers S. (editors), Hart Publishing, 2018, 96*

⁹² *John Murray v. the United Kingdom, [GC], no. 18731/91, par.51, ECtHR, 08/02/1996*

ექვის ახსნა – გაკეთების შესაძლებლობას.⁹³ ამიტომ ამ შემთხვევაში ევროპულმა სასამართლომ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევა დაადგინა.

ამგვარად, ერთის მხრივ სახეზეა პირის დუმილისა და თვითინკრიმინირებისგან დაცვის უფლებები, რომლებიც ბრალდებულს გააჩნია მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე, ხოლო მეორეს მხრივ – ბრალდებულს გარკვეულწილად ეზღუდება დაცვის უფლება, როდესაც მისგან იძულების წესით ხდება ბიოლოგიური მასალის აღება, რომელზეც ჩატარებული კვლევის შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მის წინააღმდეგ.⁹⁴

დასკვნა

იძულების ღონისძიების შიშით ბრალდებულის მონაწილეობას სამართალწარმოებაში, ბრალდებულის მიერ ბრალდების მხარისთვის ნივთიერი მტკიცებულებების/დოკუმენტების გადაცემის დავალდებულებას შეუძლია დაეხმაროს გამოძიებას ახალი მტკიცებულების მოძიებაში, რომლებიც ბრალდებულის წინააღმდეგ იქნება გამოყენებული სასამართლოში.⁹⁵ ამიტომ მნიშვნელოვანია იმის სწორად განსაზღვრა თუ რა სახის და მოცულობის ინფორმაციის გამოთხოვა შეიძლება იქნეს დასაბუთებული ბრალდებულისგან მის მიმართ იძულების ან სისხლის სამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიებების გამოყენების შიშით; განისაზღვროს მაქსიმალურად ზუსტად და მკაფიოდ როდის/რა გარემოებებში/ რა ვითარებაში უნდა იყოს ასეთი ინფორმაციის გამოთხოვა დასაშვები და რა სახის დაცვის ღონისძიებები უნდა იქნეს ხელმისაწვდომი ბრალდებულისთვის ასეთ შემთხვევაში. რადგან „ის რაც ბრალდებულს გამოძიების სტადიაზე სჭირდება არის... ეფექტიანი დაცვა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისგან“.⁹⁶

⁹³ *Telfner v. Austria*, no. 33501/96, par. 17, ECtHR, 20/03/2001

⁹⁴ იხ. მიქავა ნ., ბრალდებული სისხლის სამართლის პროცესში, სამაგისტრო ნაშრომი, 2018, 21

⁹⁵ *Owusu-Bempah A.*, Defendant Participation in the Criminal Process, Routledge, 2017, 180

⁹⁶ *Zuckerman A. AS*, The Right against Self-Incrimination: An Obstacle to the Supervision of Interrogation (1986) 102, Law Quarterly Review 43, 70. წიგნში: *Choo A.*, Give us what you have _ Information, Compulsion and the Privilege Against Self-Incrimination as a Human Right, in the book: Criminal Evidence and Human Rights, *Roberts P., Hunter J.*, (editors), Hart Publishing, 2012, 258.

ირიზი ჩვენების დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში

ბიორბი საჰვარელიძე

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართალმემოქმედების დეპარტამენტის სპეციალისტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრი.

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შორის განსაკუთრებული ადგილი საპროცესო უფლებებს უჭირავს. საპროცესო უფლებების დაცვა ყველაზე აქტუალური და მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის პროცესში. თავის მხრივ, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ქვაკუთხედი მტკიცებულებითი სტანდარტი და მტკიცებულებები, იმდენად რამდენადაც ისინი განაპირობებენ თუ რა სახის განაჩენი დადგება სისხლის სამართლის საქმეზე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ერთ-ერთ დამოუკიდებელ მტკიცებულებად ირიბ ჩვენებას გამოყოფს, თუმცა, კოდექსით ირიბი ჩვენების მიმართ დადგენილი ზოგადი რეგულაციები არ განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევაში შეიძლება ასეთი მტკიცებულების გამოყენება და მის საფუძველზე განაჩენის გამოტანა. ირიბი ჩვენების დასაშვებობა და მის საფუძველზე განაჩენის დადგენა, ერთ-ერთი აქტუალური და პრობლემური საკითხია, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში ისე საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში, სადაც განსხვავებული მიდგომები და პრინციპები მოქმედებს ასეთი მტკიცებულების გამოყენებასთან დაკავშირებით.

საქართველოს დღეს მოქმედი კანონმდებლობა მხოლოდ მწირ მითითებებს შეიცავს ირიბი ჩვენების დასაშვებობასთან დაკავშირებით. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, ირიბი ჩვენება დასაშვებია მტკიცებულებათა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებს ინფორმაციის წყაროს, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემოწმება შესაძლებელია, ხოლო სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს – თუ იგი დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება. შესაბამისად, ასეთი მტკიცებულებები შეიძლება იმ შემთხვევაშიც იქნეს გამოყენებული, როდესაც, მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, ამის აუცილებლობა არ არსებობს.

ადამიანის უფლებების დაცვაში განსაკუთრებული როლი საკონსტიტუციო სასამართლოს აკისრია, რომელმაც საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების გზით უნდა დაიცვას კონსტიტუციით აღიარებული და გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. ბოლო დროს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც სისხლის სამართლის პროცესში ადამიანის უფლებების დაცვას უზრუნველყოფს. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება, რომლითაც სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა ირიბი ჩვენების საფუძველზე.⁹⁷ ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო არ გამოორიცხავს გამონაკლის

⁹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

შემთხვევებში ირიბი ჩვენების გამოყენების მართლზომიერებას.⁹⁸ შესაბამისად, მნიშვნელოვანი და საინტერესოა თუ რა გარემოებათა ერთობლიობის არსებობისას შეიძლება ირიბი ჩვენების გამოყენება და ამით უტყუარობის კონსტიტუციურ სტანდარტის განმტკიცება.

სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში მტკიცებულების, მათ შორის, ირიბი ჩვენების დასაშვებობასთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არასაკმარისი რეგულაციები არსებობს. აღნიშნულ გარემოებაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც მიუთითებს – „**კანონი მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს, თუ რა შემთხვევებშია დასაშვები ირიბი ჩვენების გამოყენება, მკაცრი და ზედმინვნით ზუსტი უნდა იყოს მისი დასაშვებობის პირობები**“;⁹⁹ სწორედ აღნიშნული გარემოება უნდა გახდეს მიზეზი რათა საპროცესო კოდექსით განისაზღვროს ირიბი ჩვენების არსი და მკაფიოდ ჩამოყალიბდეს ის პირობები, რომელთა დაკმაყოფილებაც ამ სახის მტკიცებულების დასაშვებად მიჩნევისთვისაა აუცილებელი.

სტატიის მიზანია ირიბი ჩვენების დასაშვებობის პრობლემის განხილვა სისხლის სამართლის პროცესში, რა წინაპირობების არსებობისას არის დასაშვები ირიბი ჩვენების გამოყენება და მის საფუძველზე განაჩენის გამოტანა, რამდენად თავსებადია აღნიშნული მტკიცებულების გამოყენება ბრალდებულის კონსტიტუციურ უფლებებთან. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი და საინტერესოა საკითხის ირგვლივ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების მიმოხილვა.

1. ირიბი ჩვენების ცნება და არსი

1.1. ირიბი ჩვენების საკანონმდებლო ცნება

საქართველოს პარლამენტმა 2009 წლის 9 ოქტომბერს მიიღო ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც 2010 წლის 1 ოქტომბერს შევიდა ძალაში. ახალი კოდექსი, მთელ რიგი პრინციპულ სიახლეებთან ერთად, ირიბი ჩვენების საკანონმდებლო განმარტებას გვთავაზობს. 2009 წლის კოდექსის ამოქმედებამდე ირიბ ჩვენებას კანონმდებლობა არ იცნობდა და ის მხოლოდ იურიდიულ ლიტერატურაში იყო გამოყოფილი მტკიცებულების ცალკე სახედ. ახალმა კოდექსმა იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული ტერმინი საკანონმდებლო ჩარჩოში მოაქცია.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის X თავში (მტკიცებულება, მტკიცების საგანი და პროცესი) ჩამოთვლილია მტკიცებულებათა სახეები, სადაც ერთ-ერთ დამოუკიდებელ მტკიცებულებად ირიბი ჩვენება არის მოხსენიებული. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის პირველ ნაწილში კი განსაზღვრავს ირიბი ჩვენების დეფინიციას, რომლის მიხედვითაც „**ირიბია მოწმის ის ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას**“. როგორც ირიბი ჩვენების საკანონმდებლო განმარტებიდან ჩანს, მოწმე, რომელიც ირიბი ჩვენებას იძლევა ფაქტის უშუალო თვითმხილველი მოწმე არ არის და ის მხოლოდ მოსმენილ ინფორმაციას გადმოსცემს.

ირიბი ჩვენება ეყრდნობა სხვა წყაროდან მოპოვებულ, როგორც წესი, მოდიფიცირებულ ფაქტობრივ ინფორმაციას. ირიბ ჩვენებას იძლევა პირი, რომლისთვისაც აღნიშნული ინფორმაცია სხვა პირის მეშვეობით გახდა ცნობილი ანუ მოწმეს საკუთარი თვალთ არ დაუწახავს ან სხვაგვარად უშუალოდ არ აღუქვამს (არ მოუსმენია, არ განუცდია და ა.შ.) ის გარემოება,

⁹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, §36.

⁹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, §32.

რომლის თაობაზეც იძლევა ჩვენებას.¹⁰⁰ ირიბი ჩვენების მტკიცებულებად გამოყენება, კერძოდ, ირიბი ჩვენების მიმცემი პირის დაკითხვა იმ ინფორმაციის შესახებ, რომელიც მას უშუალოდ არ აღუქვამს, არამედ მხოლოდ მესამე პირისგან გადმოცემით იცის, წარმოადგენს მცდელობას, მტკიცებულებათა უშუალო გამოკვლევისას დადგინდეს პირველადი ინფორმაციის მქონე პირის დაკითხვის შემთხვევაში, რის დადგენა იქნებოდა შესაძლებელი.¹⁰¹

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 76-ე მუხლი არ აკონკრეტებს, ინფორმაციის გამავრცელებელმა, პირს, რომლის ჩვენებაც ირიბ ჩვენებას წარმოადგენს რა ფორმით/საშუალებით გადასცა ასეთი ინფორმაცია. შესაბამისად, აქ უნდა მოვიხიროთ ნებისმიერი ფორმითა თუ საშუალებით გადაცემული ინფორმაცია. მაგალითად, ვერბალური კომუნიკაცია, შესტიკულაცია, მოკლე ტექსტური შეტყობინება, გრაფიკული ან რაიმე სხვა მსგავსი საშუალებით ინფორმაციის გადაცემა.

ირიბი ჩვენებით დადგენილ ფაქტსა და ინფორმაციის წყაროს შორის არსებობს შუალედური რგოლი. ირიბი ჩვენების მიცემისას სულ მცირე ორი პირია, პირველი ინფორმაციის გამავრცელებელი და მეორე, რომელიც ჩვენების მიცემისას გაგონილ ინფორმაციას იმეორებს. აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის გამავრცელებელ პირს, როგორც საკონსტიტუციო სასამართლო, ისე იურიდიული დოქტრინა სხვადასხვა ტერმინით მოიხსენიებს – დეკლამატორი, განმცხადებელი, ინფორმაციის გამავრცელებელი, ინფორმაციის მფლობელი, ინფორმაციის ავტორი, ინფორმაციის პირველწყარო, პირდაპირი მოწმე, თვითმხილველი მოწმე, პირი, რომლის სიტყვებსაც ემყარება ირიბი ჩვენება და ა.შ. მიეკუთვნება თუ არა ჩვენება ირიბ ჩვენებას, დამოკიდებულია თავად ჩვენების შინაარსსა და მასში გადმოცემული ინფორმაციის წყაროზე.¹⁰² მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განმარტებით გამოძიებლის ჩვენება, რომ ბრალდებული მის სამუშაო ოთახში გამოცხადდა ორ თანმხლებ პოლიციელთან ერთად და ნებაყოფლობით წარმოადგინა მის მიერ მოპარული ელექტროსადენი, წარმოადგენს ირიბ ჩვენებას.¹⁰³ აღნიშნული ფაქტი იურიდიულ ლიტერატურაში განხილულია, როგორც პირდაპირი ჩვენება ანუ არ წამოადგენს ირიბ ჩვენებას, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში გამოძიებელი არის პირველწყარო, რომელიც მიუთითებს იმ ფაქტობრივი გარემოების შესახებ, რომლის უშუალო თვითმხილველიც თავად არის.¹⁰⁴

ერთი და იგივე ჩვენება ცალკეულ ფაქტებთან მიმართებით, შესაძლოა იყოს ირიბი, ხოლო ცალკეულ ფაქტებთან მიმართებით პირდაპირი. კერძოდ, ზემოთ განხილულ შემთხვევაში გამოძიებლის ჩვენება ბრალდებულის მიერ ქურდობის ჩადენის ფაქტთან დაკავშირებით არის ირიბი ჩვენება, რადგან გამოძიებელი უშუალო თვითმხილველი მოწმე არ ყოფილა ქურდობის ფაქტის, ხოლო იგივე ჩვენების ის ნაწილი, რომელიც ეხება ბრალდებულის პოლიციელებთან ერთად მის სამუშაო კაბინეტში ელექტროსადენით ხელში გამოცხადების ფაქტს, წარმოადგენს პირდაპირ ჩვენებას, რადგან გამოძიებელი თვითონ შეესწრო აღნიშნულ ფაქტს და ის ინფორმაციის პირველწყაროა.

მეცნიერთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ირიბი ჩვენების საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის საკანონმდებლო განმარტება არასწორია და აღნიშნავენ, რომ ტერმინი „ირიბი ჩვენება“ რუსული ენიდან პირდაპირი თარგმნის შედეგია,

¹⁰⁰ ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა (ABA ROLI), თბ., 2015, 265.

¹⁰¹ ლალიაშვილი თ., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი ზოგადი ნაწილი, თბ., 2015, 326.

¹⁰² ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა (ABA ROLI), თბ., 2015, 265-267.

¹⁰³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 23 აპრილის განაჩენი საქმე №483აპ-14, §13.

¹⁰⁴ ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა (ABA ROLI), თბ., 2015, 267.

ირიბი ჩვენება თავისი დედააზრით არასწორადაა გაგებული და იგი ამ სახით არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ირიბ ანუ არაპირდაპირი მტკიცებულების მოპოვების ცალკე დამოუკიდებელ წყაროდ, რადგან იგი დამყარებულია სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე.¹⁰⁵

აღსანიშნავია, რომ იურიდიულ დოქტრინაში მტკიცებულებების ერთ-ერთი სახის დაყოფა არის პირველადი და ნაწარმოები მტკიცებულება.¹⁰⁶ პირველად და ნაწარმოები სახის მტკიცებულებათა დაყოფას საფუძვლად უდევს ის, თუ საიდან მომდინარეობს პირველადი, თუ მეორადი (ანუ სხვა პიროვნებიდან) წყაროდან საქმეზე მტკიცებულებად წარმოდგენილი ინფორმაცია. შესაბამისად, აღნიშნული დოქტრინის მიხედვით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, წარმოდგენს არა ირიბ ჩვენებას, არამედ ნაწარმოებ მტკიცებულებას, ხოლო ირიბ ანუ არაპირდაპირ მტკიცებულებად განიხილავენ დამხმარე ფაქტს (ფაქტებს), რომლის სხვა ფაქტებთან განხილვის საფუძველზე კეთდება მთავარი ფაქტის არსებობის ან არარსებობის შესახებ.¹⁰⁷ ასევე ამ მოსაზრების მიხედვით, ირიბი მტკიცებულება პირდაპირ და უშუალოდ არ ამტკიცებს მტკიცების საგანს ან მის რომელიმე ელემენტს, მაგრამ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობაში და ობიექტურ კავშირში იძლევა იმის საშუალებას, რომ დადგინდეს საქმეზე მტკიცების საგანი ან მისი რომელიმე ელემენტი.¹⁰⁸

1.2. ირიბი ჩვენება, როგორც ფაქტების დამდგენი დამატებითი საშუალება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2015 წლის 22 იანვარის №1/1/548 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნო ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა და პირის ბრალდებულად ცნობის შესაძლებლობა. ამავე დროს, საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ირიბი ჩვენების გამოყენების შესაძლებლობაზე, როგორც ფაქტების დამდგენ დამატებით საშუალებაზე, „ირიბი ჩვენება, როგორც ერთ-ერთი მტკიცებულება, შესაძლოა პირდაპირ მიუთითებდეს ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტზე ან იყოს „დამხმარე“ ხასიათის, ადასტურებდეს საქმისთვის მნიშვნელოვან „გვერდით“ ფაქტს ან გარემოებას.“¹⁰⁹

მტკიცების წარმოება სასურველია პირველადი მტკიცებულების საფუძველზე, თუმცა, დაუშვებელია ნაწარმოები მტკიცებულების იგნორირება, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია თავდაპირველი მტკიცებულების აღმოჩენა და შემოწმება. გარკვეულ შემთხვევებში ნაწარმოებ მტკიცებულებას შეუძლია უფრო სრულად და ზუსტად ასახოს საძიებო ფაქტები, ვიდრე თავდაპირველს. ნაწარმოები მტკიცებულების გამოყენება შესაძლებელია პირველადი მტკიცებულების გადამოწმების, კორექტირების, შეფასებისათვის, ირიბი ჩვენებით პირველად მტკიცებულებასთან მიმართებით არსებული ეჭვი შესაძლებელია გაქარწყლდეს ან პირიქით, გაღრმავდეს, თავდაპირველი მტკიცებულების შევსებისათვის. მაგალითად, როდესაც თვითმხილველებს ავინყდებათ ცალკეული დეტალები (დროის ხანგრძლივობიდან გამომდინარე). აღსანიშნავია, რომ ირიბი ჩვენება წარმოდგენს პირველადი მტკიცებულების მოძიების საშუალებას

¹⁰⁵ ავტორთა კოლექტივი, ფაფიაშვილი შ., სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), თბ., 2012, 176-190.

¹⁰⁶ ხარაზიშვილი ბ., მტკიცებითი სამართალი, თბ., 1982, 112-121.

¹⁰⁷ მამნიაშვილი მ., გაბოკიძე ჯ., გაბისონია ი., (რედ.) ავტორთა კოლექტივი სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), თბ., 2012, 182-185.

¹⁰⁸ გოგშელიძე რ., აქუბარდია ი., ფაფიაშვილი ლ., გოგნიაშვილი ნ., სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), თბ., 2009, 399.

¹⁰⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-27.

მონმე მიუთითებს პირზე, ვისგანაც შეიტყო ჩვენებაში მითითებული ინფორმაცია.¹¹⁰

ირიბი ჩვენების გამოყენებასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საეჭვო და გაუგებარი ხდება ირიბი ჩვენების გამოყენების აუცილებლობა და მიზანი, როდესაც ფაქტის თვითმხილველი მონმე (ვის სიტყვებსაც ირიბი ჩვენება ეყრდნობა) შეიძლება მონვეულ იქნეს სასამართლოში ჩვენების მისაცემად ან უკვე აქვს მიცემული ასეთი ჩვენება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში, ასევე აღნიშნავს, რომ ერთდროულად ირიბი ჩვენების მიმცემი პირისა და ინფორმაციის გამავრცელებელი პირის დაკითხვა, ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება ობიექტური აუცილებლობით იყოს განპირობებული, თუმცა, ასევე შესაძლებელია მტკიცებულებათა სიმრავლის მცდარი აღქმა შექმნას და შეცდომის დაშვების ალბათობა გაზარდოს.¹¹¹ როდესაც საქმეში ირიბ ჩვენებასთან ერთად არსებობს იმავე ფაქტობრივი გარემოებების შესახებ თავდაპირველი მტკიცებულება, ნაწარმოები მტკიცებულება არ შეიძლება განხილულ იქნეს დამოუკიდებელ მტკიცებულებად თუ მასში არ არის მოცემული ახალი ინფორმაცია, რომელიც არ არის თავდაპირველ მტკიცებულებაში.¹¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თანახმად, „...ირიბ ჩვენებათა სიმრავლე თავისთავად არ უნდა განაპირობებდეს ამ ჩვენებების საფუძველზე მიღებული ინფორმაციის სანდოობას. ირიბი ჩვენების სხვა მტკიცებულების დადასტურებით არ იცვლება ამ მტკიცებულების ბუნება, იცვლება მხოლოდ ამ სახის მტკიცებულებით დარწმუნების შესაძლებლობის ხარისხი.“¹¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისა და პირის ბრალდებულად ცნობის შესაძლებლობის გამორიცხვა, მაგრამ ამით ირიბი ჩვენების არსებობას მნიშვნელობა არ დაუკარგავს. ირიბი ჩვენების არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამოძიების ეტაპზე, დანაშაულის დროული გახსნის თვალსაზრისით. ირიბი ჩვენების საფუძველზე შეიძლება ჩატარდეს სხვადასხვა საგამოძიებო, მათ შორის, ფარული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, ასევე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება. გარდა ამისა, ირიბ ჩვენებაზე დაყრდნობით შეიძლება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნების დასაბუთება. ასევე, ირიბი ჩვენება შესაძლოა უშუალოდ დანაშაულის ფაქტს არ ადასტურებდეს, მაგრამ მიუთითებდეს ისეთ მეორეხარისხოვან გარემოებაზე, რომელიც სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს (ნაფიც მსაჯულებს) სრული სურათის აღდგენაში დაეხმარება.

1.3. ირიბი ჩვენების უტყუარობა და სანდოობა

ირიბი ჩვენების გამოკვლევისას მხარე მოკლებულია შესაძლებლობას უშუალოდ პირველწყაროსგან მიიღოს ინფორმაცია, ფაქტების დადგენა ხდება მხოლოდ გაშუალებული, მოდიფიცირებული ინფორმაციის საფუძველზე. როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს „მტკიცებულების უტყუარობას – კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაციის სანდოობას განაპირობებს ის, თუ რამდენად არის შესაძლებელი ან უზრუნველყოფილი მისი შემოწმება“.¹¹⁴

¹¹⁰ ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა (ABA ROLI), თბ., 2015, 65-267.

¹¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-32-33.

¹¹² ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა (ABA ROLI), თბ., 2015, 26.

¹¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-33.

¹¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11.

საკოველთაოდ ცნობილია, რომ მტკიცებულება, განსაკუთრებით მონმის ჩვენება, შესაძლოა გახდეს მრავალი შეცდომის წყარო. ეს შეიძლება მოხდეს ფაქტებზე დაკვირვებისას ან შემდგომში, სამართალწარმოების დროს. ფაქტები შესაძლოა დამახინჯდეს მათი დამახსოვრებისას ან არასწორად იქნეს განმარტებული მათი გახსენების მომენტში, გარდა ამისა, ინფორმაცია შეიძლება არ იყოს ბოლომდე ზუსტი,¹¹⁵ რაც აღნიშნულია კიდევაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში. ცალკეულ შემთხვევაში ირიბი ჩვენების სანდოობა შესაძლებელია ეჭვქვეშ დადგეს, არაფერი გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ ირიბი ჩვენების წყარო ცდებოდეს ან განზრახ ცრუობდეს. აქედან გამომდინარე, არსებობს იმის წინაპირობები, რომ ირიბი ჩვენების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია, მისი სათანადო შემოწმების, ეჭვების გამორიცხვის გარეშე, საფუძველად დაედოს პირის ბრალდებულად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას.¹¹⁶ პროფესორ ხარაზიშვილის მოსაზრების თანახმად, „თვითმხილველი მონმის ჩვენება, როგორც პირველადი დამამტკიცებელი საბუთი უფრო სარწმუნოდ მიიჩნევა, ვიდრე ამ მონმის ჩვენება და უფრო ნაკლებ დამაჯერებლად მონმის მონმის მონმის ჩვენება და ა.შ.“¹¹⁷

ირიბი ჩვენების დროს მხარე მოკლებულია შესაძლებლობას მტკიცებულება უშუალოდ გამოიკვლიოს, კერძოდ დააკვირდეს განმცხადებლის მდგომარეობას, მის ქცევებს, მის დამოკიდებულებას საქმის მიმართ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ირიბი ჩვენება, ზოგადად, ნაკლებად სანდო მტკიცებულებაა, მისი გამოყენება შეიცავს პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით მცდარი აღქმის შექმნის საფრთხეს...“¹¹⁸ ამასთანავე, „უაღრესად რთულია შეუმომწებელი მტკიცებულების წონადობის განსაზღვრა“.¹¹⁹ კანონმდებლობა არ იძლევა რაიმე მითითებას იმასთან დაკავშირებით, თუ რა წონა უნდა მიენიჭოს ირიბ მტკიცებულებას პირის ბრალდებულად ცნობისთვის. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, შეფასებას საჭიროებს ის გარემოება, რამდენად სანდოდ ადასტურებს ირიბი ჩვენება იმ გარემოებას, რომლის დასადასტურებლადაც არის წარმოდგენილი.¹²⁰ მოსამართლემ თვალი არ უნდა დახუჭოს იმაზე, რომ ესა თუ ის მტკიცებულება არ არის ზუსტი და კატეგორიული, პირიქით, ამის წარმოუჩენლობით უფრო მეტი შესადავებული ექნება მხარეს, ამიტომ, რაც არ უნდა მწვავე იყოს პრობლემა მტკიცებულებასთან მიმართებით, მისი ახსნა აუცილებელია.¹²¹

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „**მტკიცებულების საფუძველზე მიღებულმა ინფორმაციამ უტყუარად, ერთმნიშვნელოვნად უნდა მიუთითოს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლის დასადასტურებლადაც არის წარმოდგენილი**“¹²² რაც, რა თქმა უნდა, შეუძლებელია ირიბი ჩვენების დროს. როგორც უკვე არა ერთხელ აღნიშნა, ირიბი ჩვენების მიმცემი მონმე ფაქტის უშუალო თვითმხილველი არ არის, ინფორმაციის გადაცემა ხდება სხვა პირის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ანუ ინფორმაცია სულ მცირე ორჯერ მაინც „მახინჯდება“ და მისი მიწოდება ხდება ადაპტირებულად და მოდიფიცირებულ-

¹¹⁵ ტექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010, 345.

¹¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-49.

¹¹⁷ ხარაზიშვილი ბ., მტკიცებითი სამართალი. თბ., 1982, 119.

¹¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-52.

¹¹⁹ ტექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010, 336.

¹²⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-49.

¹²¹ სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, (განკუთვნილია საერთო სასამართლოების მოსამართლეებისთვის), 2015, 48.

¹²² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7.

ლად. ამასთან, გამორიცხული არაა მოწმე, რომლის ჩვენებაც სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ეყრდნობა გულწრფელად ცდებოდეს და ფაქტები ისე ვერ აღიქვას, დაიმახსოვროს და გადმოსცეს, როგორც ინფორმაციის პირველწყარომ მიანოდა. შესაბამისად, შესაძლოა ზოგი ფაქტის დაკნინებულად ან პირიქით, გაზვიადებულად გადმოიცეს, როგორც საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, „მტკიცებულება ადეკვატურად უნდა ასახავდეს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომლის დასადასტურებლადაც არის წარმოდგენილი. მტკიცებულება ვერ იქნება უტყუარი თუ იგი იმაზე მეტ გავლენას ახდენს მართლმსაჯულებაზე, ვიდრე ეს მისი ბუნებიდან უნდა გამომდინარეობდეს. მტკიცებულება არ უნდა უქმნიდეს ფაქტების დამდგენს მცდარ წარმოდგენას ამა თუ იმ ფაქტობრივი გარემოების არსებობის ან არარსებობის თაობაზე“.¹²³ ამასთან, აღსანიშნავია, რომ არ არსებობს ფორმალიზებული პროცედურა, რომელიც ადგენს თუ როგორ უნდა შეფასდეს მოწმის სანდოობა, არც რაიმე ინსტრუქცია, რომელიც განმარტავს თუ რა ითვლება ამ მიმართებით დასაშვებ მტკიცებულებად.¹²⁴

მტკიცებულებათა უტყუარობისა და სანდოობის შეფასების კუთხით საინტერესოა და მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმის პალატის გადაწყვეტილება, სადაც უზენაესმა სასამართლომ ჩამოაყალიბა ის კრიტერიუმები, რომლებითაც მტკიცებულებათა უტყუარობა უნდა შეფასდეს „**1. თითოეული მტკიცებულება, მათ შორის, მოწმის ჩვენება, შინაარსობრივად ხომ არ შეიცავს ურთიერთსაინანაღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას; 2. თითოეული მტკიცებულება ამყარებს სხვა მტკიცებულებებს, თუ მათ შორის არის სხვადასხვა წინააღმდეგობა, რომელთა ხარისხის შეფასება ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში სასამართლოს კომპეტენციაა; 3. რამდენად გულწრფელი და მიუკერძოებელია მოწმე, ხომ არ აქვს ფიზიკური ნაკლი, რომელიც ნეგატიურ გავლენას ახდენს მოვლენების ადეკვატურ აღქმაზე; 4. როგორ პირობებში მოხდა მტკიცებულებების ფორმირება, მაგ: გარემო პირობები – ცუდი ხილვადობა (ნისლი), ხალხმრავალი ადგილი, მანძილი მოწმესა და შემთხვევის ადგილს შორის და სხვა“.** იქვე, უზენაესი სასამართლო უთითებს, რომ „...მტკიცებულებების ამ კრიტერიუმებით შეფასებისა და მათზე განაჩენში სათანადო მსჯელობის გარეშე მტკიცებულებათა უტყუარობის სიღრმისეული შეფასება ფაქტობრივად შეუძლებელია...“.¹²⁵

მტკიცებულების შეფასებაზე ყურადღებას, ამახვილებს ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავის გადაწყვეტილებაში, რომელშიც აღნიშნულია, რომ სისხლის სამართლის პროცესში დასაშვები უნდა იყოს ისეთი მტკიცებულება, რომლის სანდოობა, ზოგადად, არ იწვევს ეჭვს და, როგორც წესი, ინფორმაციის სანდო წყაროდ შეიძლება იქნეს მიჩნეული. ასე მაგალითად, ეჭვს არ იწვევს, რომ თვითმხილველი მოწმის ჩვენება, ამოღებული ნივთიერი მტკიცებულება, ექსპერტის მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენება ან სხვა მსგავსი სახის მტკიცებულება ინფორმაციის სანდო წყაროს განეკუთვნება. შესაბამისად, კანონი მათ ბრალის დასადასტურებლად ვარგის და, ამდენად, დასაშვებ საშუალებად მიიჩნევა, რაც, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ასეთი მტკიცებულებების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია, იმთავითვე, შემომწმების გარეშე, სარწმუნოდ ჩაითვლება.¹²⁶

ჩვენების შეფასებისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს მოწმის საქმიანობის სპეციფიკა და საქმის კონკრეტული გარემოებები.¹²⁷ მტკიცებულება შესაძლებელია მთლიანად, ნაწილო-

¹²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7; II-51.

¹²⁴ OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights _ TRIAL MONITORING REPORT GEORGIA 2014, §16,11.

¹²⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 აპრილის განაჩენი საქმეზე, საქმე №397აპ-14., §4.

¹²⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-26.

¹²⁷ ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა (ABA ROLI), თბ., 2015, 121.

ბრივ ან საერთოდ არ იყოს უტყუარი. მოწმის ჩვენების უტყუარობის შეფასებისას სასამართლომ და მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ მოწმის ინტელექტი, მახსოვრობა, იმ შესაძლებლობის რეალურად არსებობა, რაც აუცილებელია იმ გარემოებების აღსაქმელად, რომლის შესახებაც იძლევა ჩვენება (მაგალითად, სად უნდა მდგარიყო/ყოფილიყო პირი, რომ დაენახა/გაეგო ის, რის შესახებაც აწვდის ინფორმაციას მხარეს), მოტივი, რომელიც შესაძლებელია ამოძრავებდეს მოწმეს ჩვენების მიცემისას, მისი ქცევა ჩვენების მიცემისას, ფაქტორები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მოწმის მიუკერძოებლობაზე, შეუსაბამობა მოწმის ჩვენებაში ან/და მოწმის ჩვენებასა და საქმის სხვა მასალებს შორის და სხვა.¹²⁸

ირიბი ჩვენების, როგორც ნაკლებად სანდოა და მის შესაძლო უზუსტობაზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის უთითებს, კერძოდ, კოდექსის 76-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „**ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ირიბი ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებს ინფორმაციის წყაროს, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემოწმება შესაძლებელია**“, ასევე ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, „სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ იგი დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება“. საპროცესო კოდექსი მსგავს მითითებებს სხვა სახის მტკიცებულებებზე არ აკეთებს, რასაც კანონმდებელი მას სპეციფიკურ მტკიცებულებად და ნაკლებად სანდო მტკიცებულებად აღიარებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ირიბი ჩვენების დასაშვებობა ინფორმაციის წყაროს მითითებაზე და სხვა პირდაპირი მტკიცებულებით დადასტურებაზე არ იქნებოდა დამოკიდებული, რაც მითითებულია კიდევაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში „საყურადღებოა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ირიბ ჩვენებას ინფორმაციის სპეციფიკურ, სხვა მტკიცებულებებისაგან განსხვავებულ წყაროდ განიხილავს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ირიბი ჩვენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის სხვა მტკიცებულებით არის გამყარებული, მაშინ როდესაც თვითმხილველი მოწმის ან ექსპერტის ჩვენების დასაშვებად ცნობისთვის ასეთი პირობა დაწესებული არ არის“.¹²⁹

ირიბი ჩვენების მიმცემი პირი ფაქტის თვითმხილველი არ არის და ის მხოლოდ მესამე პირის მიერ გადმოცემულ ინფორმაციას იმეორებს, ამ დროს შესაძლოა ფაქტების ისე აღდგენა და გადმოცემა არ მოხდეს, როგორ თვითმხილველმა პირმა ირიბი ჩვენების მიმცემ პირს გადასცა. გარდა ამისა, მხარე მოკლებულია შესაძლებლობას უშუალოდ დააკვირდეს ინფორმაციის წყაროს ქცევებს ინფორმაციის გადაცემისას, ასევე, კითხვები დაუსვას. აქედან გამომდინარე, ირიბი ჩვენება სხვა მტკიცებულებებთან შედარებით ნაკლებად სანდო მტკიცებულებას წარმოადგენს. აღნიშნული სახის მტკიცებულებაზე საკონსტიტუციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში ვრცლად მსჯელობს და აღნიშნულ გარემოებაზე არაერთხელ უთითებს. გარდა ამისა, როგორც იურიდიულ ლიტერატურაში, ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში აღნიშნულია სანდოობის მხრივ ირიბი ჩვენების ნაკლოვანება.

1.4. ირიბი ჩვენების გამოყენებისას უშუალო პრინციპის შეზღუდვა

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს (ECHR) არაერთ გადაწყვეტილებაში უმჯობესია უშუალო პრინციპის როლზე სისხლის სამართლის პროცესში. ევროპული სასამართლოს განმარტებით, უშუალო პრინციპის მიზანია, ხელი შეუწყოს შეჯიბრებითობის პრინ-

¹²⁸ ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა (ABA ROLI), თბ., 2015, 290.

¹²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-26.

ციპის რეალიზაციას მეორე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების სარწმუნოების ეფექტიანად ეჭვქვეშ დაყენების გზით.¹³⁰ აღნიშნული პრინციპი გულისხმობს სასამართლოს უშუალო კონტაქტს დასაკითხ პირებთან, ბრალდებულის უფლებას, დაუპირისპირდეს მონმებს იმ მოსამართლის თანდასწრებით, რომელმაც საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საქმეზე, რათა შესაძლებელი გახდეს მონმის ქცევასა და სანდოობაზე დაკვირვება,¹³¹ მონმეთა დაკითხვის უფლება პროცესის შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის გარანტიაა.¹³² ასევე, ევროპული სასამართლოს განმარტებით, მხარეებმა შეკითხვები უნდა დაუსვან და სადავო გახადონ მონმის ობიექტურობა და კეთილსინდისიერება, მის მიერ მიცემული ჩვენებისა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების სარწმუნოობა.¹³³

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს განმარტებით, მონმეთა დაკითხვისა და მტკიცებულებათა წარმოდგენის უფლება უზრუნველყოფს, რომ ბრალდებული იყოს სამართალწარმოების აქტიური მონაწილე, გავლენა მოახდინოს სამართალწარმოების მიმდინარეობასა და მიმართულებაზე.¹³⁴ სტრასბურგის სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ მონმის დაკითხვის უფლება ემსახურება ზოგადი სამართლიანობის იდეას, მსჯელობა ხელს უწყობს ქვეყნების დადგენას. დაცვის მიერ დასმულ შეკითხვებს არა მხოლოდ გავლენის მოხდენა შეუძლია მონმის სანდოობის შეფასებაზე, არამედ შეიძლება ასევე ნათელი მოჰფინოს ისეთ გარემოებებს, რომლებიც რელევანტურია სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.¹³⁵

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი უშვებს უშუალო პრინციპის შეზღუდვას. აღნიშნულთან დაკავშირებით, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ **„მონმეთა მონვევის უფლება არ არის აბსოლუტური უფლება და შესაძლებელია შეიზღუდოს მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელების ინტერესებიდან გამომდინარე“**.¹³⁶

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმატებით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი არ გამორიცხავს, რომ საქმეზე ქვეყნების დადგენისათვის სასამართლო დაეყრდნოს ირიბ ჩვენებას, თუ საქმეში არსებული გარემოებების გათვალისწინებით მსგავსი მტკიცებულების გამოყენება არ იქნება უსამართლო.¹³⁷ უფლება მონმეთა დაკითხვაზე შესაძლებელია შეიზღუდოს მონმეთა/დაზარალებულთა უსაფრთხოების, სწრაფი და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების მიზნებიდან გამომდინარე. მაგალითად, როდესაც, მონმის დაკითხვა შეუძლებელია ობიექტური მიზეზების გამო (გარდაცვალება), არსებობს მონმის ჯანმრთელობის დაზიანების საფრთხე, ან მონმე მიეკუთვნება მონწყლად კატეგორიას (არასრულწლოვანია ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლია).¹³⁸

¹³⁰ KRČMÁŘ AND OTHERS v. THE CZECH REPUBLIC, ECHR, (Application no. 35376/97), 3 March 2000, §§38-42.

¹³¹ Matytsina v Russia, ECHR, (Application no. 58428/10), 27 March 2014, §153.

¹³² Jean Loup Charrie Code de la convention européenne de l'homme, Paris 2002, P.108.

¹³³ BOCOS-CUESTA v. THE NETHERLANDS, ECHR, (Application no. 54789/00), 10 November 2005, §71; P.S. v. GERMANY, ECHR, (Application no. 33900/96), 20 December 2001, §26; Accardi and Others v. Italy (dec.) ECHR, (Application no. 30598/02) le 20 janvier 2005; S.N. v. SWEDEN, ECHR, (Application no. 34209/96) 2 July 2002, §52.

¹³⁴ ტექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010, 331.

¹³⁵ VAN MECHELEN ET AUTRES c. PAYS-BAS, 1997, ECHR, (Application no. 55/1996/674/861-864)§50; Doorson v. the Netherlands, ECHR, (Application no. 20524/92), 26 March 1996, §67; VISSER v. THE NETHERLANDS, 2002, ECHR, (Application no. 26668/95), 14 February 2002, §4; Lucà v. Italy, ECHR, (Application no. 33354/96), 27 February 2001, §38; Sadak and Others v. Turkey, ECHR, (Applications nos. 29900/96, 29901/96, 29902/96 and 29903/96), 17 July 2001, § 63; PERNA c. ITALIE, 2001, ECHR, (Requête no 48898/99), 6 mai 2003, § 26; VIDAL c. BELGIQUE, 1992, ECHR, (Requête no12351/86), 28 octobre 1992, §34.

¹³⁶ Polyakov v Russia, ECHR, (Application no. 77018/01), 29 January 2009, §31.

¹³⁷ X. c. Allemagne, no 8414/78, décision de la Commission du 4 juillet 1979, DR 17, p. 231.

¹³⁸ Polyakov v Russia, ECHR, (Application no. 77018/01), 29 January 2009, §31.

საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი პრინციპია უშუალოების პრინციპი, რომელიც განმტკიცებულია საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლში, რომლის თანახმად „სა-სამართლოს (ნაფიც მსაჯულებს) არ უნდა წარედგინოს მტკიცებულება, თუ მხარეებს მისი უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის თანაბარი შესაძლებლობა არ ჰქონიათ...“.

უშუალოების პრინციპს გააჩნია ფორმალური და მატერიალური გაგება. ფორმალური გაგებით მხარეების მიერ წარდგენილი ყველა მტკიცებულება გამოკვლეული უნდა იქნეს უშუალოდ მოსამართლის წინაშე, რათა მოსამართლეს (ნაფიც მსაჯულებს) პირდაპირი და უშუალო წარმოდგენა შეექმნათ საქმის გარემოებებზე, ხოლო მატერიალური გაგებით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ მტკიცებულებებს, რომლებიც ყველაზე უფრო მეტად არის დაკავშირებული საქმესთან¹³⁹ ანუ საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ ინფორმაციის მიიღება უშუალოდ ინფორმაციის წყაროსგან (ეს შეიძლება იყოს როგორც პირველწყარო, თვითმხილველი, ასევე პირი, რომელმაც შექმნა, ვისთანაც ინახებოდა, ვინც მოიპოვა/წარადგინა შესაბამისი დოკუმენტი). სასამართლოში საქმისწარმოებისას, უშუალოების პრინციპი ხელს უწყობს სასამართლოს (განსაკუთრებით ნაფიც მსაჯულებს) შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებას კონკრეტულ მტკიცებულებებთან და ბრალდებულისათვის წაყენებული ბრალის დასაბუთებულობასთან დაკავშირებით.¹⁴⁰ მოწმის მოსმენა და მასთან დაპირისპირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და გადაწყვეტ როლს თამაშობს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში.¹⁴¹ აღსანიშნავია, რომ უშუალოების პრინციპი უპირატესობას ანიჭებს პიროვნულ მტკიცებულებებს, ნივთიერ და დოკუმენტურ მტკიცებულებებთან შედარებით.¹⁴² მტკიცებულება „ცოცხლად“ უნდა იქნეს წარდგენილი იმ ორგანოს წინაშე, რომელსაც ევალება საქმის შეფასება და ფაქტების დადგენა. ეს განსაკუთრებით ეხება მოწმის ჩვენებას, დაცვის მხარეს უნდა მიეცეს მოწმის ღია სასამართლო პროცესზე დაკითხვის შესაძლებლობა.¹⁴³

უშუალოების პრინციპი არ არის აბსოლუტური ხასიათის. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის მიხედვით, სასამართლოს (ნაფიც მსაჯულებს) არ უნდა წარედგინოს მტკიცებულება, თუ მხარეებს მისი უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის თანაბარი შესაძლებლობა არ ჰქონიათ, გარდა საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. საპროცესო კოდექსი რამდენიმე გამონაკლის უშვებს უშუალოების პრინციპის რეალიზებასთან დაკავშირებით, რომელთაგან ერთ-ერთია ირიბი ჩვენების გამოყენება. ირიბი ჩვენების დროს ფაქტების დადგენა ხდება შუალედური რგოლის საშუალებით, რაც უშუალოების პრინციპის მოქმედებას ზღუდავს.

უშუალოების პრინციპი მნიშვნელოვან როლს თამაშობს სისხლის სამართლის საქმეზე ქვამარიტების დადგენაში. აღნიშნულ პრინციპი ასევე, ემსახურება ბრალდებულის სამართალწარმოების პროცესში აქტიურ მონაწილეობას და თავიდან იქნეს აცილებული სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების სათანადო გამოკვლევის გარეშე დაშვება. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, ისე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შესაძლებლად მიიჩნევს უშუალოების პრინციპის შეზღუდვას, რომლის ერთ-ერთი ნიშნულია ირიბი ჩვენების გამოყენება.

¹³⁹ თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014, 86-87.

¹⁴⁰ ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა (ABA ROLI), თბ., 2015, 117-118.

¹⁴¹ Jean Loup Charrie Code de la convetion eropéenne de l' homme, Paris 2002, 108.

¹⁴² ლალიაშვილი თ., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, თბილისი 2015, 134.

¹⁴³ ტექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010, 339.

1.5. ცრუ ჩვენებისთვის ინფორმაციის გამავრცელებლისა და ირიბი ჩვენების მიმცემის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის მიხედვით, დასჯადია მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლა, რაც გამოიხატა გამოსაკითხი პირის, მოწმის ან დაზარალებულის მიერ ცრუ ინფორმაციის მიწოდებას ან ცრუ ჩვენების მიცემაში. ამ ნორმის მიზანია მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველყოფა. აღნიშნული მუხლი სუბიექტური შემადგენლობის მხრივ განზრახია, რაც იმას ნიშნავს, რომ პირი ჩვენების მიცემისას მიზანმიმართულად უნდა ცრუობდეს, მოწმე ვერ მიეცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში თუ დამტკიცდება, მოწმის არასწორი ჩვენება დაფუძნებული იყო მის მიერ ფაქტის არასწორ აღქმაზე, მახსოვრობის დეფექტზე. ხოლო ობიექტური შემადგენლობა გამოიხატება ცრუ ჩვენების/ინფორმაციის მიწოდებაში: „ჩვენება ჩაითვლება ცრუდ, თუ მასში მთლიანად ან ნაწილობრივ დამახინჯებულია ის ფაქტები, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ საქმის ობიექტურად გადანიშნულებისათვის, არა აქვს მნიშვნელობა იმას, ეს ჩვენება შეიცავს ბრალდებულის გამამართლებელ თუ გამამცყუნებელ მონაცემებს“.¹⁴⁴

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2015 წლის 18 დეკემბერს შესული ცვლილებით, აგრეთვე დასჯადია გამოსაკითხი პირის მიერ ცრუ ინფორმაციის მიწოდება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, გამოკითხვის/ჩვენების მიცემის წინ გამოსაკითხი პირს/მოწმეს აფრთხილებენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, აღნიშნულ წესს პირველ რიგში აქვს პრევენციული ხასიათი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლისათვის რეაგირების მოხდენის.

აღნიშნული ნორმის ეფექტურობა საეჭვო ხდება ირიბი ჩვენების მიცემის შემთხვევაში. აღნიშნულზე საკონსტიტუციო სასამართლოც უთითებს: „მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოწმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემისთვის გათვალისწინებულია შესაბამისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რაც მოწმის ჩვენების სანდოობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვან სამართლებრივ მექანიზმს წარმოადგენს. ირიბი ჩვენების შემთხვევაში კი ეს მექანიზმი სანდოობის უზრუნველსაყოფად ნაკლებად ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს, რამდენადაც ირიბი ჩვენების მიმცემ პირს არ შეუძლია დაადასტუროს, თუ რამდენად უტყუარია სხვა პირის მიერ გავრცელებული ინფორმაცია“.¹⁴⁵ მოწმე, რომლის ჩვენებაც სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ეფუძნება, მტკიცებით ფორმაში ვერ იტყვის მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რამდენად ნამდვილი და სარწმუნოა. მოწმეს, რომელიც ირიბ ჩვენებას იძლევა, მცდარი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ვერ დაეკისრება, რადგან ის მხოლოდ ინფორმაციის გამტარია, მის ნამდვილობასა და უტყუარობაზე პასუხისმგებელი ვერ იქნება. შესაძლებელია, მოწმე გულწრფელად ცდებოდეს ჩვენების მიცემისას, რაც, რა თქმა უნდა, მის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამორიცხავს. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ირიბი ჩვენების მიმცემი მიზანმიმართულად ცრუობს, მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა პროცესუალური მხრივ მაინც პრობლემატური იქნება, რადგან გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცება იმისა, რომ თვითმხილველი პირის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, გამოსაკითხმა პირმა/მოწმემ მიზანმიმართულად „დაამახინჯა“, თითქმის შეუძლებელი იქნება.

რაც შეეხება განმცხადებლის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ანალოგიურად რთული იქნება და შეიძლება ითქვას შეუძლებელიც კი, გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებით სტანდარტით, იმის დამტკიცება, რომ ინფორმაციის „დამახინჯების“ ავტორი განმცხადებელი

¹⁴⁴ ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., მუმლაძე დ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, თბ., 2012, 341-340.

¹⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-31.

ლია, რადგან თითქმის შეუძლებელი იქნება ისეთი მტკიცებულების მოპოვება, რომელიც იმას დაადასტურებს, თუ რა უთხრა განმცხადებელმა ირიბი ჩვენების მიმცემ მოწმეს. გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ განცხადების ავტორს ფიცი არ აქვს დადებული და ცრუ ინფორმაციის მინოდების შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებული არ არის აღნიშნული გარემოება, რა თქმა უნდა, მის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამორიცხავს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ირიბი ჩვენების მიმცემი პირის, მხოლოდ თეორიულადაა შესაძლებელი და არა პრაქტიკულად. ხოლო განმცხადებლის კი, თეორიულადაც შეუძლებელია. რაც, რა თქმა უნდა, სხვა ფაქტორების გათვალისწინებით ირიბი ჩვენების სანდოობას და უტყუარობას მნიშვნელოვნად ამცირებს.

2. ირიბი ჩვენების დასაშვებობის კრიტერიუმები

2.1. ირიბი ჩვენების რელევანტურობა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით“. ამ ნორმის თანახმად, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირმა უნდა შეამოწმოს არის თუ არა წარმოდგენილი მტკიცებულება კანონით დაშვებული, შეიცავს თუ არა ის საქმისთვის რელევანტურ, მნიშვნელოვან ინფორმაციას, კანონით დადგენილი წესით შეამოწმოს, რამდენად ადასტურებს იმ ფაქტსა თუ გარემოებას, რომლის დასამტკიცებლადაც არის წარმოდგენილი.¹⁴⁶

ირიბი ჩვენების დასაშვებობისას, როგორც მტკიცებულებათა ერთ-ერთი სახე, მტკიცებულების შეფასების სამი კრიტერიუმიდან (რელევანტურობა, დასაშვებობა და უტყუარობა), პირველ რიგში უნდა შეფასდეს რელევანტურობა, რადგან მოწმის ჩვენება თუ რელევანტური არ არის აზრს მოკლებულია მის დასაშვებობაზე და მითუმეტეს უტყუარობაზე მსჯელობა. მტკიცებულება რელევანტურია თუ მისი მეშვეობით რაიმე ფაქტის ან გარემოების არსებობა ან არარსებობა შეიძლება უფრო სარწმუნო გახდეს, ვიდრე ამ მტკიცებულების გარეშე შეიძლება ყოფილიყო და ამასთანავე, ამ ფაქტს ან გარემოებას შეიძლება ჰქონდეს გავლენა საქმის გადაწყვეტის შედეგზე. ირიბი ჩვენების რელევანტურობა უნდა შეფასდეს შეიცავს (ადასტურებს ან უარყოფს) თუ არა ინფორმაციას მტკიცების საგანთან დაკავშირებით. კერძოდ, შეუძლია თუ არა საქმისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვანი გარემოების ან ვარაუდის დამტკიცება ან უარყოფა. მტკიცებულებას შეუძლია საქმის (ქმედების, მტკიცების საგნის) ფაქტობრივ გარემოებათა შესახებ მნიშვნელოვანი რაიმე გარემოების, ვარაუდის დამტკიცება ან უარყოფა. ამასთან, ფაქტის, გარემოების ან ვარაუდის არსებობა ან არსებობის უარყოფა ლოგიკურად უნდა გამომდინარეობდეს წარმოდგენილი მტკიცებულებიდან, ხოლო მხარისა და მოსამართლის ლოგიკური მსჯელობის ჯაჭვში ეს კავშირი ნათლად უნდა ჩანდეს.¹⁴⁷

აღსანიშნავია, რომ მტკიცებულებათა შეფასების სამი კრიტერიუმიდან, წინასასამართლო სხდომაზე მტკიცებულება მხოლოდ რელევანტურობისა და დასაშვებობის კუთხით შეიძლება შეფასდეს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „**სისხლის სამართლის საქმეში შესაძლოა არსებობდეს ირიბი ჩვენება, რომელიც განსხვავებული გარემოებების დასამტკიცებლად**

¹⁴⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10.

¹⁴⁷ სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, (განკუთვნილია საერთო სასამართლოების მოსამართლეებისთვის), 2015, 42-43.

კიცებლად იქნება წარმოდგენილი და რომელიც სხვა რელევანტურ ინფორმაციასთან ერთად შექმნის მტკიცებულებათა ერთობლიობას“.¹⁴⁸

რელევანტურობისა და დასაშვებობის საკანონმდებლო დეფინიციები განსაზღვრულია ამერიკის შეერთებული შტატების მტკიცებულების შესახებ ფედერალური წესებით.¹⁴⁹ კერძოდ, რელევანტურობის განმარტება მოცემულია მტკიცებულების შესახებ ფედერალური წესების 401-ე წესში, რომლის თანახმად, „**მტკიცებულება რელევანტურია, თუ: ა) მისი მეშვეობით მოსალოდნელია, რომ რაიმე მეტად ან ნაკლებად სარწმუნო გახდეს, ვიდრე ისე იქნებოდა ამ მტკიცებულების გარეშე და ბ) ამ ფაქტს გავლენა აქვს საქმის გადაწყვეტაზე**“.¹⁵⁰

რელევანტურობა არ არის მყარი კატეგორია და შეიძლება იცვლებოდეს საქმის განვითარების კვალობაზე მტკიცების პროცესში. მაგალითად, მტკიცებულებებმა, რომლებიც ადასტურებდნენ ერთ-ერთ საგამოძიებო ვერსიას, შესაძლებელია დაკარგონ რელევანტურობა თუ სხვა მტკიცებულებების საფუძველზე ეს ვერსია იქნება უარყოფილი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მტკიცებულების რელევანტურობა არ გულისხმობს პროცესის მწარმოებელი პირის მიერ მისი გაზიარების სავალდებულობას.¹⁵¹

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბიუროს ODIHR-ის ერთ-ერთი რეკომენდაციის თანახმად, „**მოსამართლეებმა უნდა გამოიყენონ მათი უფლებამოსილება, რათა მტკიცებულებების წარდგენის დროს აკრძალონ არარელევანტური პასუხები, გააკონტროლონ განმეორებითი, შეუსაბამო ან შეურაცხმყოფელი კითხვების დასმა და დაიცვან წესრიგი სასამართლო დარბაზში**“.¹⁵² ასევე აღსანიშნავია, ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური წესებიც მტკიცებულების შესახებ, რომლის 611-ე წესის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, „სასამართლო ვალდებულია გაუწიოს გონივრული კონტროლი მოწმის დაკითხვისა და მტკიცებულებათა წარდგენის პროცესს, რათა: 1) ეს პროცედურები გახდეს ეფექტური სიმართლის დადგენაში; 2) აიცილოს დროის ხარჯვა; 3) დაიცვას დასაკითხი პირი შეურაცხყოფისა და დაშინებისაგან.“¹⁵³

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მტკიცებულების რელევანტურობის შეფასებასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ სასამართლოს ფუნქცია არ არის აზრის გამოხატვა მტკიცებულების რელევანტურობის შესახებ ან ზოგადად ბრალდებულის ბრალეულობის საკითხზე ან მის უდანაშაულობაზე, თუმცა სასამართლოს ფუნქციაა დაადგინოს, სასამართლო განხილვა მთლიანობაში, მტკიცებულებათა გამოკვლევის შესაძლებლობის საკითხის გათვალისწინებით იყო თუ არა სამართლიანი.¹⁵⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მტკიცებულებების დასაშვებობა ძირითადად ეროვნული კანონმდებლობის რეგულირების საგანია. ზოგადად, ეროვნული სასამართლოს ფუნქციაში შედის მის წინაშე არსებული მტკიცებულების გამოკვლევა და იმ მტკიცებულების რელევანტურობის შეფასება,

¹⁴⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-27.

¹⁴⁹ USA FEDERAL RULES OF EVIDENCE, effective July 1, 1975, rule 401,402, 403.

¹⁵⁰ USA FEDERAL RULES OF EVIDENCE, effective July 1, 1975, rule 401. „Evidence is relevant if: (a) it has any tendency to make a fact more or less probable than it would be without the evidence; and (b) the fact is of consequence in determining the action“.

¹⁵¹ ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა (ABA ROLI), თბ., 2015, 293-295.

¹⁵² OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights _ TRIAL MONITORING REPORT GEORGIA, §41. 14.

¹⁵³ USA FEDERAL RULES OF EVIDENCE, effective July 1, 1975, rule 611. „(a) CONTROL BY THE COURT; PURPOSES. The court should exercise reasonable control over the mode and order of examining witnesses and presenting evidence so as to: (1) make those procedures effective for determining the truth; (2) avoid wasting time; and (3) protect witnesses from harassment or undue embarrassment.“

¹⁵⁴ Asch v. Austria, ECHR, (Application no. 12398/86) 26 April 1991, §26.

რომლის წარდგენაც მხარეს უნდა.¹⁵⁵ მაგრამ, ევროპული სასამართლოს ფუნქციაში შედის იმის დადგენა, სამართალწარმოების პროცესი მთლიანობაში სამართლიანი იყო თუ არა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მნიშვნელობით.¹⁵⁶

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ირიბი ჩვენება მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იქნეს დასაშვები, თუ ის რელევანტურია ანუ მისი გამოყენებით გარკვეული ფაქტები უფრო ცხადი იქნება ვიდრე მის გარეშე. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ რელევანტურობა თვითკმარი საფუძველი არ არის ირიბი ჩვენების დასაშვებ მტკიცებულებად ცნობისათვის, რელევანტურობა სხვა ფაქტორებთან (კრიტერიუმებთან) ერთად უნდა იქნეს განხილული.

2.2. ირიბი ჩვენების მიცემისას ინფორმაციის წყაროს იდენტიფიცირება და შემოწმება

ირიბი ჩვენების დასაშვებ მტკიცებულებად ცნობის ერთ-ერთი კრიტერიუმია ინფორმაციის წყაროს იდენტიფიცირება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად „ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ირიბი ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებს ინფორმაციის წყაროს, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემოწმება შესაძლებელია“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს წესს, რომელიც, ერთი მხრივ, ბრალის წაყენების მიზნებისთვის ირიბ ჩვენებას (იდენტიფიცირებადი წყაროს მითითების შემთხვევაში) დასაშვებ მტკიცებულებად მიიჩნევს, ხოლო საქმის არსებითი განხილვისთვის ერთ დამატებით პირობას ადგენს – ირიბი ჩვენება სხვა ისეთი მტკიცებულებით უნდა დასტურდებოდეს, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება. ამავე დროს, მტკიცებულებათა დასაშვებობის მარეგულირებელი ნორმები არ შეიცავს დამატებით რაიმე მითითებას, წესს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ირიბი ჩვენება პირისთვის ბრალის წაყენების ან განაჩენის გამოტანის დროს.¹⁵⁷

სასამართლოს მიერ ისეთი ჩვენების დასაშვებად ცნობა, რომელიც ემყარება სხვა პირის მიერ გაკეთებულ განცხადებას ან გავრცელებულ ინფორმაციას, შეიცავს მრავალ რისკს. მათ შორის, რთულია იმის შეფასება, თუ რამდენად სანდოა ან სარწმუნოა ასეთი ინფორმაცია, ვინაიდან სასამართლო შეზღუდულია შესაძლებლობაში, შეამოწმოს ინფორმაციის გამავრცელებელი პირის განწყობა, მისი დამოკიდებულება იმ მოვლენების მიმართ, რომლებიც სისხლის-სამართლებრივ საქმეს უკავშირდება. ასევე, რთულია იმის განჭვრეტა, თუ როგორ ჩვენებას მისცემდა ეს პირი, ის რომ სასამართლოში გამოცხადებულიყო.¹⁵⁸ მოწმის სახით დაკითხული პირის მიერ პროცესის მწარმოებელი ორგანოსათვის მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია უნდა ეყრდნობოდეს რაიმე ფაქტობრივ საფუძველს, რომლის გადამოწმება შესაძლებელია. დაუშვებელია მოწმის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ეყრდნობოდეს ჭორებს, მოარულ ხმებს, მოსაზრებას, ვარაუდს, კონკრეტულად არაიდენტიფიცირებად პირს და ა.შ. აღნიშნული აკრძალვა ემყარება პრინციპს, რომ სამართალწარმოების ფარგლებში მოპოვებული ნებისმიერი ინფორმაცია უნდა დაექვემდებაროს დასაშვებობაზე შემოწმებას. ხოლო თუ უცნობია პირველ-წყარო, მაშინ პრაქტიკულად, შეუძლებელია იმის მტკიცება, თუ რამდენად ობიექტური შეიძლება იყოს მის მიერ გაკეთებული შეფასება, რამდენად ხელმისაწვდომია მისთვის აღნიშნული

¹⁵⁵ BARBERÀ, MESSEGUÉ ET JABARDO c. ESPAGNE, ECHR, (Requête no 10588/83; 10589/83; 10590/83), 13 June 1994, §68.

¹⁵⁶ Delta v. France, ECHR, (Application no. 11444/85) 19 December 1990, §35, and VIDAL c. BELGIQUE, ECHR, (Requête no 12351/86), 28 octobre 1992, §33.

¹⁵⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-28.

¹⁵⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-29.

ინფორმაცია. პირველწყაროს დასახელების გარეშე შეუძლებელი იქნება იმის შემოწმება, თუ: 1. რამდენად შეეძლო პირველწყაროს საერთოდ სცოდნოდა ჩვენებაში მითითებული ინფორმაცია; 2. რამდენად სწორად შეეძლო მას საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების აღქმა, დამახსოვრება და გადმოცემა; 3. მონმის მიუკერძოებლობა; 4. აღნიშნული ინფორმაცია ნამდვილად დასახელებული წყაროსგან მიიღო ირიბი ჩვენების მიმცემმა მონმემ თუ შეცდომაში შეყვანის მიზნით არასწორად უთითებს პირველწყაროს; 5. მონინააღმდეგე მხარე მოკლებული იქნება შესაძლებლობას, სადავო გახადოს ჩვენების სარწმუნოობა, გამოიკვლიოს, დაკითხოს, გამოჰკითხოს პირველწყარო, რაც დაცვის უფლებასთან ერთად არღვევს უფლებას სამართლიან სასამართლო განხილვაზე.¹⁵⁹

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს წყაროს დასახელების ვალდებულებას, მაგრამ არ ადგენს ირიბი ჩვენების სარწმუნოობის გადამოწმებისათვის დასახელებული პირველწყაროს დაკითხვის/გამოკვლევის ვალდებულებას. ინფორმაციის წყაროს გამოკვლევის არასავალდებულო ხასიათზე საკონსტიტუციო სასამართლოც უთითებს: „მართალია, სსსკ-ის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ირიბი ჩვენების მიმცემმა პირმა უნდა დაასახელოს ინფორმაციის წყარო, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემოწმება შესაძლებელია, ერთმნიშვნელოვნად არსად იკითხება ირიბი ჩვენებით იდენტიფიცირებული წყაროს სათანადოდ შემოწმების ვალდებულება და წესი“.¹⁶⁰

ირიბი ჩვენების გამოყენებისას, სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს რამდენიმე გარემოებაზე: უნდა შემოწმდეს პირველწყაროს ობიექტურად არსებობა; პირველწყაროს სარწმუნოობა; ირიბ ჩვენებაში მოცემული ინფორმაციის შესაბამისობა პირველწყაროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციასთან; ირიბი ჩვენების შინაარსობრივი სარწმუნოობა;¹⁶¹ ამასთან, გათვალისწინებული უნდა იყოს „**თუ რა პირობებში, რა ფორმითა და საშუალებით გახდა ცნობილი ირიბი ჩვენების მიმცემი პირისთვის აღნიშნული ინფორმაცია.**“¹⁶²

ირიბი ჩვენების დასაშვებობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა ინფორმაციის წყაროს იდენტიფიცირება და მისი შემოწმებაა, აღნიშნული კრიტერიუმი მჭიდრო კავშირშია ირიბი ჩვენების სანდოობასა და უტყუარობასთან, რადგან იმ პირის იდენტიფიცირება, რომლის სიტყვებსაც ემყარება ირიბი ჩვენება, მნიშვნელოვნად ზრდის ირიბი ჩვენების სარწმუნოობას. ინფორმაციის წყაროს იდენტიფიცირების მნიშვნელობაზე საკონსტიტუციო სასამართლოც ამახვილებს ყურადღებას და მას მნიშვნელოვან წინაპირობად ასახელებს, ხოლო საპროცესო კოდექსის მოქმედი რედაქცია, აღნიშნულ კრიტერიუმს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს და მეტწილად ამ წინაპირობის არსებობაზეა დამოკიდებული ირიბი ჩვენების დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა. აღსანიშნავია, რომ საპროცესო კოდექსის მოქმედი რედაქციის მიხედვით, აღნიშნული წინაპირობა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება არამხოლოდ მისი შემოწმების, არამედ ასეთის არსებობის შესაძლებლობის შემთხვევაშიც, თუმცა, მხოლოდ ინფორმაციის წყაროს იდენტიფიცირება საკონსტიტუციო სასამართლოს არასაკმარისად მიაჩნია და მისი შემოწმების არასავალდებულო ხასიათზე ამახვილებს ყურადღებას.

¹⁵⁹ ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა (ABA ROLI), თბილისი, 2015, 265-266.

¹⁶⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-29.

¹⁶¹ ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა (ABA ROLI), თბილისი, 2015, 268.

¹⁶² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-34.

2.3. ირიბი ჩვენების დასაშვებობა მართლმსაჯულების ინტერესების არსებობისას

ირიბი ჩვენების დასაშვებობა მტკიცებულებად ცნობის შემდეგი ერთ-ერთი საფუძველია, მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარეობდეს ირიბი ჩვენების დასაშვებობა მტკიცებულებად ცნობა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე ირიბი ჩვენების დასაშვებობაზე პირდაპირ მიუთითა საქმეში „ჭაჭაშვილი გერმანიის წინააღმდეგ“.¹

ზემოაღნიშნულ საქმეში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ადგილობრივი სასამართლო დაეყრდნო ორი დაზარალებულის ჩვენებას, რომელიც მათ გამოძიების ეტაპზე პოლიციას დაკითხვის დროს წარუდგინეს. დაკითხვის შემდეგ მალევე, მონმეებმა დატოვეს გერმანია, ხოლო შემდგომში უარი განაცხადეს ბრალდებულის საქმის განხილვაზე მოწმის სახით ჩვენების მიცემაზე. ისინი აცხადებდნენ, რომ დანაშაულის გამო იყვნენ ტრავმირებულები, შესაბამისად, ვერც პირველი ინსტანციის სასამართლომ დაკითხა ისინი და არც დაცვის მხარეს მიეცა მათი დაკითხვის ან დაკითხვის დროს მათი ქცევების დაკვირვების შესაძლებლობა, რათა შექმნოდათ მათი კეთილსინდისიერებისა და სანდოობის შესახებ საკუთარი შეხედულებები. გამოძიების ეტაპზე მონმეებისგან მიღებული ჩვენება, წაკითხულ იქნა სასამართლო პროცესზე, რაც ადგილობრივმა სასამართლომ დასაშვებობა მტკიცებულებად მიიჩნია. შესაბამისად, დაცვის მხარეს სამართალწარმოების არცერთ ეტაპზე არ ჰქონია მონმეებთან დაპირისპირების შესაძლებლობა. აღნიშნული მონმეების ჩვენებების დასაშვებობა მტკიცებულებად ცნობასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ გერმანიის ადგილობრივი სასამართლოს გადანაცვლება მონმეთა დაკითხვის გარეშე სასამართლო პროცესის გაგრძელებისა და მათი გამოძიების ეტაპზე ჩვენებების მტკიცებულებად დაშვების შესახებ დაეყრდნო არა მონმეთა დაკითხვის სავარაუდო შიშს, არამედ ფაქტს, რომ შეუძლებელი იყო მათთვის გერმანიაში სასამართლო პროცესზე დასწრების იძულება ან საზღვარგარეთ (სადაც მონმეები გაემგზავრნენ) სასამართლოს მიერ მათი დაკითხვის ორგანიზება. აღნიშნულ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა რომ, მართლმსაჯულების ინტერესი აშკარად მოითხოვდა მონმეთა ჩვენებების დასაშვებობა მტკიცებულებად ცნობას.² სტრასბურგის სასამართლომ ასევე, სხვა რამდენიმე საქმეში აღნიშნა, რომ მონმეთა სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობას არ შეეძლო ბრალდების მხარის დაბრკოლება, რადგან მონმეთა მიერ მიცემული ჩვენებები სამართალწარმოების მიმდინარეობისას მოპოვებული სხვა მტკიცებულებებით დასტურდებოდა.³

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ გამოცხადებს გამონაკლის შემთხვევებში ირიბი ჩვენების გამოყენების მართლზომიერებას. ასეთი გამონაკლისის დაშვება შესაძლოა გამართლებული იყოს, თუ არსებობს ობიექტური მიზეზი, რის გამოც შეუძლებელია იმ პირის დაკითხვა, რომლის სიტყვებსაც ემყარება ირიბი ჩვენება და, როდესაც ეს აუცილებელია მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე. მაგალითად, სასამართლომ შესაძლებელია განიხილოს ირიბი ჩვენების დაშვების შესაძლებლობა, როდესაც მონმე ან დაზარალებული დაშინებულია ან არსებობს მისი როგორც მონმის უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობა. ბრალდებულის კანონსაწინააღმდეგო ქმედებამ მონმის დაშინებამ არ უნდა შეაფერხოს მართლმსაჯულების განხორციელება და სწორედ ამიტომ, გამონაკლის შემთხვევებში, სასამართლო უფლებამოსილი უნდა იყოს, შეაფასოს ირიბი ჩვენების დასაშვებობისა და მისი გამოყენების აუცილებლობა. ამგვარი აუცილებლობა შეიძლება წარმოიშვას სხვა შემთხვევაშიც, როდესაც ინფორმაციის ავტორი თავად ვერ ახერხებს ან არ

¹ SCHATSCHASCHWILI v. GERMANY, ECHR, (Application no. 9154/10), 15 December 2015.

² SCHATSCHASCHWILI v. GERMANY, ECHR, (Application no. 9154/10), 15 December 2015, §70.

³ Asch v. Austria, ECHR, (Application no. 12398/86) 26 April 1991, §28. Artner v. Austria, ECHR, (Application no. 13161/87) 28 August 1992, §21; GOSSA v. POLAND, ECHR, (Application no. 47986/99), §61.

სურს ჩვენების მიცემა და ამისთვის მნიშვნელოვანი მიზეზი არსებობს. ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს ირიბი ჩვენების ზოგად დასაშვებობას, მისი გამოყენება შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, ამის აუცილებლობა არ არსებობს.⁴ ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანესი მიზანია ადამიანის უფლებების დაცვა, რაც შესაძლებელია საქმეზე მხოლოდ სწორი და ობიექტური გადაწყვეტილების მიღების გზით.⁵ ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით **„ქვეყარეშეა, რომ დანაშაულთან ეფექტური ბრძოლა და მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების ხელშეწყობა სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა“**.⁶

მხედველობაშია მისაღები, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოქმედი რედაქცია მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარეობას გარკვეული ნორმის გამოყენების წინაპირობად უთითებს. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია კოდექსის 114-ე მუხლის მე-9 ნაწილი „...მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე ან/და სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების, პირადი ცხოვრების დაცვის მიზნით, მხარის დასაბუთებული შუამდგომლობითა და მაგისტრაცი მოსამართლის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია მოწმის დაკითხვა ჩატარდეს მეორე მხარის წინასწარი ინფორმირებისა და დასწრების გარეშე.“

მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, ირიბი ჩვენების გამოყენების შესაძლებლობაზე პირდაპირ მიუთითებს, როგორც სტრასბურგის სასამართლო, ისე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. სამართალწარმოების პროცესში ირიბი ჩვენების გამოყენების მთავარი წინაპირობა სწორედ მართლმსაჯულების ინტერესებია, რადგან სისხლის სამართლის საქმეზე თუ წყმმარიტების დასადგენად საკმარისი არ არის პირდაპირი მტკიცებულება, ამან მართლმსაჯულება არ უნდა შეაფერხოს და შესაძლებელი უნდა იყოს დამატებითი მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ სახეზე იქნება ირიბი ჩვენების დასაშვებობის სხვა საფუძველებიც. ნებისმიერ შემთხვევაში, მართლმსაჯულების ინტერესი შეფასებით კატეგორიას წარმოადგენს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს, ირიბი ჩვენების დასაშვებ მტკიცებულებად ცნობა შედის თუ არა მართლმსაჯულების ინტერესებში. ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ ჯეროვანი მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესი უნდა იყოს მოწმის დაკითხვის უფლების შეზღუდვის მინიმუმამდე დაყვანა.

2.4. ინფორმაციის გამავრცელებლის სასამართლოში გამოუცხადებლობა

ირიბი ჩვენების დასაშვებობის ერთ-ერთი აუცილებელი და მთავარი წინაპირობაა განმცხადებლის სასამართლოში გამოუცხადებლობა. კერძოდ, განცხადების ავტორს გარკვეული გარემოების გამო არ შეუძლია გამოცხადდეს სასამართლოში და მისცეს ჩვენება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ირიბი ჩვენების დასაშვებობასთან დაკავშირებით არსებული ორი მოთხოვნიდან ერთ-ერთი პირველია მოწმის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის სათანადო მიზეზის არსებობა. ხოლო მეორეა, მსჯავრდება არ უნდა

⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-36.

⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-20.

⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება №3/1/574 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-26.

ეფუძნება მხოლოდ ან მეტწილად იმ პირის ჩვენებებს, რომლის დაკითხვის საშუალება ბრალდებულს არ ჰქონია.⁷

განცხადების ავტორს შეიძლება რამდენიმე მიზეზის გამო არ შეეძლოს სასამართლოში გამოცხადება და ჩვენების მიცემა, ნებისმიერ შემთხვევაში, უპირველესად უნდა შემოწმდეს, არსებობდა თუ არა მოწმის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის სათანადო მიზეზი.⁸ სათანადო მიზეზი, რის გამოც ინფორმაციის პირველ წყაროს არ შეუძლია გამოცხადდეს სასამართლოში და მისცეს ჩვენება შეიძლება იყოს რამდენიმე, მაგალითად, ერთ-ერთია განმცხადებლის გარდაცვალება. იმ შემთხვევაში თუ განცხადების ავტორის სასამართლოში გამოცხადებამდე გარდაიცვლება და თუ სახეზე იქნება, ასევე ირიბი ჩვენების დასაშვებობის სხვა გარემოებებიც, გარდაცვალებამდე სხვა პირისათვის ინფორმაციის გადაცემა შეიძლება სასამართლომ დასაშვებ მტკიცებულებად სცნოს.

ინფორმაციის პირველწყაროს სასამართლოში გამოუცხადებლობისა და ჩვენების მიცემის შეუძლებლობის მიზეზი, ასევე შეიძლება იყოს თუ განმცხადებელი განცხადების გაკეთების შემდეგ ფსიქიკურად დაავადდა ან გაუჩნდა ისეთი შეზღუდული შესაძლებლობა, რის გამოც არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს ფაქტები. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მოწმის დაკითხვის შეუძლებლობა დარღვევად არ მიიჩნია, იმ ფონზე, როდესაც დაზარალებულს დანაშაულის შედეგად მიღებული ჰქონდა პოსტ-ტრავმული აშლილობა და ამასთან სამედიცინო ცნობები მიუთითებდა, რომ მოწმეთა ფსიქოლოგიური მდგომარეობა არ შეიცვლებოდა უახლოეს პერიოდში, შესაბამისად, შეუძლებელი იყო მათი დაკითხვა ახლო მომავალში. გარდა ამისა, შესაძლოა განმცხადებლის საზღვარგარეთ ყოფნის გამო, არ შეეძლოს სასამართლოში გამოცხადება და ჩვენების მიცემა, ამასთან აღსანიშნია, რომ ამონაწერი უნდა იყოს მისი სასამართლოში წარმოდგენის ყველა გონივრული შესაძლებლობა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იმ მოწმეთა ჩვენებებთან დაკავშირებით, რომელთა დაკითხვაც ბრალდებულის ან მისი ადვოკატის თანდასწრებით შეუძლებელია, არაერთხელ აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი მე-3 პუნქტთან ერთად, ხელშემკვრელ მხარეებს ავალდებულებს, რომ გადადგან ქმედითი ნაბიჯები. კერძოდ, საშუალება მისცენ ბრალდებულს, რომ მან კითხვები დაუსვას მოწმეს ან უზრუნველყოფილ იქნეს ბრალდებულის წინააღმდეგ არსებული მოწმის დაკითხვა. ამგვარი ღონისძიებები წარმოადგენს გულმოდგინებას, რომელიც ხელშემკვრელმა მხარეებმა უნდა გამოავლინონ, რათა უზრუნველყონ კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული უფლებებით ეფექტურად სარგებლობა.⁹ აგრეთვე, განმცხადებლის გამოუცხადებლობასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ პირველ რიგში სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, იყო თუ არა უზრუნველყოფილი ხელისუფლების მიერ მოწმის პირადად გამოცხადება.¹⁰ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ფაფროვიჩის საქმეში აღნიშნა, რომ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ლეგიტიმური იყო იმ მოწმის ჩვენების გამოყენება, რომელიც გაემგზავრა საზღვარგარეთ და პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო მისი დაკითხვა. ამავე საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ ეთანხმება მომჩივნის არგუმენტს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს უნდა გადაედო ზეპირი მოსმენა მანამ, სანამ ის არ შეძლებდა მოწმის დაკითხვას.¹¹

⁷ AL-KHAWAJA AND TAHERY v. THE UNITED KINGDOM, ECHR, (Applications nos. 26766/05 and 22228/06), 15 December 2011, §119.

⁸ FAŁROWICZ v. POLAND, ECHR, (Application no. 43609/07), 17/07/2012, §56.

⁹ SCHATSCHASCHWILI v. GERMANY, ECHR, (Application no. 9154/10), 15 December 2015, §§68-69; SADAK AND OTHERS v. TURKEY, ECHR, (Applications nos. 29900/96, 29901/96, 29902/96 and 29903/96) 17 July 2001 §67.

¹⁰ MIRILACHVILI c. RUSSIE, ECHR, (Requête no 6293/04), 11 décembre 2008, §217.

¹¹ FAŁROWICZ v. POLAND, ECHR, (Application no. 43609/07), 17/07/2012.

განმცხადებლის სასამართლოში გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი, ასევე შეიძლება იყოს მისი ადგილსამყოფლის დაუდგენლობა, თუმცა, ყოველგვარი გონივრული ძალისხმევა უნდა იქნეს მიღებული მისი ადგილსამყოფლის დასადგენად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, მოწმეთა ხელმიუწვდომლობა, როგორც ასეთი, არ ხდის სისხლისსამართლებრივი წარმოების შეწყვეტას აუცილებელს.¹² წინააღმდეგ შემთხვევაში, ასევე არსებობს იმის შესაძლებლობაც, რომ ბრალდებული ან მასთან დაახლოებული პირი მიმართავს ზომებს, რათა მოწმეს ხელი შეუშალოს სასამართლოზე გამოცხადებაში. მოვლენათა ყველაზე რადიკალური განვითარება იქნებოდა მოწმის ფიზიკური ლიკვიდაცია.¹³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით მოწმის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა იმავე სამართლებრივ შედეგებს უნდა იწვევდეს, რასაც მისი სასამართლოში გამოუცხადებლობა.¹⁴ ასევე, რამდენიმე საქმეში სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ „*Impossibilium nulla est obligatio*“ პრინციპიდან გამდინარე, ხელისუფლების ორგანოებს არ შეიძლება ყოველთვის მოეთხოვოთ მოწმის გამოცხადების უზრუნველყოფა, მთავარია, ყოველგვარი გონივრული ძალისხმევა იქნეს მიღებული მისი ადგილსამყოფლის დასადგენად.¹⁵

განმცხადებლის ადგილსამყოფლის დაუდგენლობასთან დაკავშირებით საინტერესოა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსაზრება, რომ არ შეიძლება დადგინდეს პირველი ინსტანციის სასამართლო იმაში, რომ მან არ მოითხოვა სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების ევროპული კონვენციის გამოყენება, ვინაიდან არ დადგენილა, რომ სასამართლომ იცოდა სასამართლო პროცესზე გამოუცხადებელი მოწმის კონკრეტული მისამართი.¹⁶

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ჩამოყალიბებული პრინციპის მიხედვით, ირიბი ჩვენების დასაშვებობის წინაპირობებიდან, ერთ-ერთია მოწმის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობა. სტრასბურგის სასამართლოს განმარტებით, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მოწმის სასამართლო პროცესზე გამოცხადება, მაგრამ თუ ეს შეუძლებელია ამან სამართალწარმოებას ხელი არ უნდა შეუშალოს. ირიბი ჩვენება, სწორედ, იმიტომ უნდა გამოიყენებოდეს და ღირებულებას იძენდეს, რომ ინფორმაციის პირველწყაროს სხვადასხვა საპატიო მიზეზთა გამო არ შეუძლია გამოცხადდეს სასამართლოში და მისცეს ჩვენება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ირიბი ჩვენების გამოყენების აუცილებლობის საკითხი არ უნდა დადგეს. ინფორმაციის ავტორის გამოუცხადებლობა, რამდენად საპატიო და ობიექტური გარემოებიდან გამომდინარეობს, სასამართლომ ყოველი კონკრეტული საქმის გარემოების გათვალისწინებით უნდა გადაწყვიტოს.

2.5. გარემოებისა და ვითარების მნიშვნელობა განცხადების გაკეთების დროს

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „**მოწმის ჩვენება მტკიცებულება ვერ იქნება, თუ მოწმე ვერ მიუთითებს წარმოდგენილი ინფორმაციის წყაროს ან თუ დადგინდება, რომ შეზღუდული შესაძლებლობის გამო მას არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს ფაქტები.**“ აღნიშნული ნორმის მიხედ-

¹² Artner v. Austria, ECHR, (Application no. 13161/87) 28 august 1992, §21, Series A no. 242-A; Scheper v. the Netherlands, ECHR (Application no. 39209/02), 5 April 2005.

¹³ ტექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010, 355.

¹⁴ Lucà v. Italy, ECHR, (Application no. 33354/96), 27 February 2001.

¹⁵ Sadak and Others v. Turkey, ECHR, (Applications nos. 29900/96, 29901/96, 29902/96 and 29903/96), 17 July 2001, §67; D. v. Finland, ECHR, (Application no. 30542/04), 7 July 2009, §41; Gossa v. POLAND, ECHR, (Application no. 47986/99), 9 January 2007, §55.

¹⁶ FAFROWICZ v. POLAND, ECHR, (Application no. 43609/07), 17/07/2012, §56.

ვით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოწმე ფაქტის მხილველი რა გარემოებისა და ვითარებაში იყო, იმდენად რამდენადაც აღნიშნულზე დამოკიდებული ფაქტების სწორად აღქმისა და დამახსოვრების შესაძლებლობა, ამ უკანასკნელზე კი, თავის მხრივ, მოწმის ჩვენების სანდოობა არის დამოკიდებული. გარემოებისა და ვითარების მნიშვნელობა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ინფორმაციის პირველწყაროს მიერ სხვა პირისათვის ინფორმაციის გადაცემისას, რადგან ირიბი მოწმე ამ დროს ინფორმაციას ლეზულობს, რომელმაც ასევე უნდა შეძლოს ინფორმაციის სწორად აღქმა, დამახსოვრება, შემდგომ მისი აღდგენა და სასამართლო პროცესზე ჩვენების მიცემა.

ვერბალური კომუნიკაციისას განმცხადებელი ირიბ მოწმეს გადასცემს გარკვეული სახის ინფორმაციას ანუ მათ შორის დგება კომუნიკაცია. ინფორმაციის გადაცემისას გასათვალისწინებელია ისეთი კანონზომიერება, როგორცაა შეცდომების ძირითადი ტიპები მოსმენისას: შესაძლებელია ინფორმაცია მთლიანად დაიკარგოს; დაემატოს ახალი ინფორმაცია, რომელიც მოსაუბრეს არ მიუწოდებია ან დამახინჯდეს, შეიცვალოს მოსაუბრის მიერ გამოთქმული ინფორმაცია და ა.შ.

კომუნიკაციის მიზანია, მიმღებმა მხარემ სწორად გაიგოს გამგზავნის შეტყობინება. ამ დროს შეიძლება აღმოცენდეს სხვადასხვა სახის პრობლემები, რომელთა შორის ყველაზე არსებითია შემდეგი: გაიგებს, თუ არა მიმღები შეტყობინების შინაარსს ზუსტად იმგვარად, როგორც ეს მოსაუბრეს სურდა. ამასთან, ინფორმაციის სწორად აღქმას ხელს უშლის დაძაბულობა. ხშირად ხდება ხოლმე, რომ შეტყობინების საქმიანი და ხან ემოციური შინაარსი არასწორად აღიქმება მსმენელის მიერ. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ არასაკმარისი ინფორმაციის პირობებში, არსებობის ინფორმაციის შევსების ტენდენცია.

ინფორმაციის გადაცემისას, ასევე, მნიშვნელოვანია განცხადების ავტორის ემოციური, სულიერი და ფსიქიკური მდგომარეობა. ირიბი მოწმის ჩვენება გაცილებით დამაჯერებელი იქნება თუ განმცხადებელმა განცხადება გააკეთა იმნუთიერი შთაბეჭდილების ქვეშ, როდესაც განცხადება იყო იმნუთიერი რეაქცია გარკვეული ფაქტის ან სიტუაციის მიმართ, რომელსაც იგი პირადად შეესწრო, სტრესის ქვეშ, როდესაც განცხადების ავტორმა აღწერა საკუთარი იმნუთიერი ფსიქოლოგიური, ემოციური ან ფიზიკური მდგომარეობა; ან მდგომარეობაში, როდესაც იგი მიიჩნევდა, რომ აკეთებდა განცხადებას გარდაუვალი სიკვდილის წინ, ამ შემთხვევაში განმცხადებელი ინფორმაციის შეცვლის ნაკლები ალბათობაა. როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს „გაუმართლებელია ირიბი ჩვენების ავტომატურად დაშვება და მისი გამოყენება განურჩევლად იმისა, თუ რა პირობებში, რა ფორმითა და საშუალებით გახდა ცნობილი ირიბი ჩვენების მიმცემი პირისთვის აღნიშნული ინფორმაცია“.¹⁷

ირიბი ჩვენების დასაშვებობისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის ობიექტური და სუბიექტური გარემოება, რომელთა არსებობის პირობებშიც ინფორმაციის პირველწყარომ ინფორმაცია სხვა პირს გადასცა, ასევე მისი ფსიქო-ემოციური მდგომარეობა განცხადების გაკეთების დროს. აღნიშნულ გარემოებაზე მითითებას შეიცავს, როგორც საპროცესო კოდექსის ნორმები, ისე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება.

2.6. ორმაგი ირიბი ჩვენების დასაშვებობის თავისებურება

ირიბი ჩვენება, თავის მხრივ, შესაძლოა შეიცავდეს სხვა ირიბ ჩვენებას, რაც წარმოადგენს ორმაგ ირიბ ჩვენებას. ორმაგი ირიბი ჩვენების დროს ის პირი, რომლის მიერ გავრცელებულ ინფორმაციასაც ეფუძნება მოწმის ჩვენება, ასევე არ არის ფაქტის უშუალო თვითმხილველი და ეს უკანასკნელიც, თავის მხრივ ეფუძნება ასევე სხვა პირის მიერ გავრცელებული

¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-34.

ინფორმაციას. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლი, რომელიც ირიბი ჩვენების დეფინიციასა და მისი დასაშვებობის წინაპირობებს განსაზღვრავს, არავითარ მითითებას არ შეიცავს, სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში მოწმის ისეთი ჩვენების მტკიცებულებად გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება, ასევე სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ანუ მოწმის ორმაგ ირიბ ჩვენების მიცემის თაობაზე. ამ დროს სანამ ინფორმაცია მიაღწევს იმ მოწმემდე, რომელიც სასამართლოში ჩვენებას აძლევს, ინფორმაცია ორი პირის გაივლის. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ირიბი ჩვენების მიცემი პირის მიერ ინფორმაციის წყაროს მითითება, თავისთავად, არ გამორიცხავს იმის თეორიულ შესაძლებლობას, რომ პირი, ვის ინფორმაციასაც ირიბი ჩვენება ეფუძნება, ასევე არ იყოს იმ ფაქტის თვითმხილველი, რომლის დადასტურებასაც ირიბი ჩვენება ისახავს მიზნად“. მეცნიერ ხარაზიშვილის მოსაზრებით, „ნაწარმოებ მტკიცებულებათა დამაჯერებლობა უკუპროპორციულია მტკიცებულების მთავარ საგანთან დაშორებასთან, რამდენადაც მეტია ეს მანძილი, იმდენად მცირეა მისი დამაჯერებლობა“.¹⁸ პროფესორი ხარაზიშვილი ნაწარმოებ მტკიცებულებაში სწორედ ირიბ ჩვენებას მოიაზრებს ანუ ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრებით „კანონი ასევე უნდა გამორიცხავდეს ორმაგი ირიბი ჩვენების დაშვების შესაძლებლობას“.¹⁹ საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნულ მოსაზრებას, რომ ორმაგი ირიბი ჩვენება გამონაკლისის გარეშე იმპერატიულად აკრძალული იყოს, ვერ გავიზიარებ. რა თქმა უნდა, ორმაგი ირიბი ჩვენება, ასევე ორმაგად ნაკლებად დამაჯერებელი და ორმაგად მეტი საფრთხის შემცველია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის ჩვეულებრივი ირიბი ჩვენების დასაშვებობის კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს და თუ ის ამ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს, მაშინ დასაშვებ მტკიცებულებად უნდა იქნეს ცნობილი. მხოლოდ ის ფაქტი, რომ მოწმის მიერ მიცემული ჩვენება ორმაგ ირიბ ჩვენებას წარმოადგენს ვფიქრობ, დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის იმპერატიული საფუძველი არ უნდა იყოს.

ორმაგი ირიბი ჩვენების დასაშვებობის კრიტერიუმები ირიბი ჩვენების დასაშვებობის წინაპირობების მსგავსია. ამ დროსაც, ორმაგი ირიბი ჩვენების დასაშვები უნდა იყოს, თუ არსებობს შემდეგ გარემოებათა ერთობლიობა: განცხადების ავტორი იდენტიფიცირებულია და მას მნიშვნელოვანი საპატიო მიზეზით არ შეუძლია გამოცხადდეს სასამართლოში და მისცეს ჩვენება, ამასთან, მის დასაშვებად ცნობა მართლმსაჯულების ინტერესებში უნდა შედიოდეს და რაც ყველაზე მთავარია, მისი დაუშვებლად ცნობის საპროცესო კოდექსით დადგენილი, რომელიმე საფუძველი არ უნდა არსებობდეს.

ორმაგი ირიბი ჩვენების დროს ინფორმაციის შეცვლისა და მცდარი ინფორმაციის გავრცელების რისკი ორმაგად უფრო მაღალია და შესაბამისად, ასეთი ჩვენება ორმაგად უფრო ნაკლებად სანდო და უტყუარია. ასეთი პრინციპით თავდაპირველ ინფორმაციის ავტორისა და იმ პირს შორის, რომელიც სასამართლოში მოწმის სახით იკითხება შეიძლება არსებობდეს არა ორი ინფორმაციის გამტარი პირი, არამედ სამი ან მეტი. რა თქმა უნდა, ასეთი ინფორმაციის უტყუარობის თვალსაზრისით, მტკიცებულებითი ღირებულება იმდენად ექნება დაკარგული, რომ მისი გამოყენება ფაქტობრივად შეუძლებელი იქნება, თუმცა ასეთი ჩვენება თუ იქნება საქმეში ის მაინც უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით, რამდენადაც მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. მოწმის ჩვენება, უტყუარობის თვალსაზრისით, მხოლოდ გამოკვლევის შემდეგ უნდა შეფასდეს.

¹⁸ ხარაზიშვილი ბ., მტკიცებითი სამართალი, თბ., 1982, 120.

¹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-34.

2.7. ირიბი ჩვენების დასაშვებობის კრიტერიუმის კანონით განსაზღვრის აუცილებლობა

ირიბი ჩვენების დასაშვებობასთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ შეიცავს საკმარის რეგულაციებს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლი ირიბი ჩვენების დასაშვებობისათვის ორ წინაპირობას ასახელებს: ირიბი ჩვენების მიმცემი პირის მიერ ინფორმაციის წყაროს მითითებას, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემოწმება შესაძლებელია. ამასთან, საპროცესო კოდექსის ამავე მუხლის მე-3 ნაწილი სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებად ცნობასთან დაკავშირებით დამატებით პირობას უთითებს, ირიბი ჩვენება უნდა დასტურდებოდეს სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება. ირიბი ჩვენების დასაშვებობის არასაკმარის რეგულაციებზე მიუთითებს, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, ისე – ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბიუროს (ODIHR) სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს, რა ირიბ მტკიცებულებათა დასაშვებობის კრიტერიუმის საკანონმდებლო წესით განსაზღვრის აუცილებლობაზე, თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ „კანონი მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს, თუ რა შემთხვევებშია დასაშვები ირიბი ჩვენების გამოყენება, მკაცრი და ზედმინვნით ზუსტი უნდა იყოს მისი დასაშვებობის პირობები“;²⁰ ODIHR-ის ანგარიშში კი აღნიშნულია, რომ არსებული ნორმატიული ჩარჩო არ განსაზღვრავს მტკიცებულებების შესახებ საკმაოდ მკაფიო წესებს, ხოლო რეკომენდაციების ნაწილში მითითებულია, რომ საკანონმდებლო ორგანომ სიცხადე უნდა შეიტანოს არსებულ პროცედურაში იმის დასადგენად, თუ რა წარმოადგენს დასაშვებ მტკიცებულებას.²¹ ამასთან, აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს „დასაშვები მტკიცებულების“ ცნებას. მტკიცებულებათა დაუშვებლობა ე.წ. ნეგატიური ენუმერაციის პრინციპით არის გადაწყვეტილი და მტკიცებულება დასაშვებად მიიჩნევა, თუ მისი დაუშვებლად ცნობის საფუძველი არ არსებობს.²²

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ირიბი ჩვენების მიმართ დადგენილი ზოგადი რეგულაციები არ განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევაში შეიძლება ასეთი მტკიცებულების გამოყენება და მის საფუძველზე განაჩენის გამოტანა. მოქმედი კანონმდებლობა მხოლოდ მწირ მითითებებს შეიცავს იმასთან დაკავშირებით, რა შემთხვევაშია ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულება. ამდენად, ასეთი მტკიცებულებები შეიძლება იმ შემთხვევაშიც იქნეს გამოყენებული, როდესაც, მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, ამის აუცილებლობა არ არსებობს. ამავე დროს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ „ირიბი ჩვენების დასაშვებად ცნობის და მისი გამოყენების საკითხის გადაწყვეტა მკაფიოდ ფორმულირებული მარეგულირებელი ნორმებისა და სათანადო პროცესუალური გარანტიების პირობებში უნდა მოხდეს“.²³

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, შეიმუშაოს მტკიცების წესი, რომელიც უზრუნველყოფს საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების უტყუარად დადგენას, კონკრეტული პირის სამართლიან მსჯავრდებას საქართველოს კანონმდებლობის და ადამიანის უფლებათა

²⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-27.

²¹ OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights _ TRIAL MONITORING REPORT GEORGIA, 9; 12; 16.

²² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/2/579 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია რობაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13.

²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-37.

დაცვის საერთაშორისო სამართლის სტანდარტების შესაბამისად მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე.²⁴ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის, ისევე როგორც მართლმსაჯულების განხორციელებისას, ზოგადად, სახელმწიფო შებოჭილი უნდა იყოს მკაფიოდ ფორმულირებული საკანონმდებლო ნორმებით, რომლებიც მინიმუმამდე დაიყვანს თვითნებობის ან შეცდომის დაშვების საფრთხეს. სახელმწიფოს ხელთ არსებული მნიშვნელოვანი რესურსი, რომელიც დანაშაულთან დაკავშირებული ფაქტებისა და გარემოებების გამოძიებისკენ არის მიმართული, არ უნდა იქნეს ბოროტად გამოყენებული. გონივრულმა, ზედმინევით ზუსტად განსაზღვრულმა საკანონმდებლო ნორმებმა უნდა დააბალანსოს ბუნებრივი უპირატესობა, რომელიც შეიძლება ბრალდების მხარეს დაცვის მხარესთან შედარებით გააჩნდეს და შესაძლებლობა მისცეს ბრალდებულს, სრულყოფილად დაიცვას საკუთარი ინტერესები, რაც, თავის მხრივ, მართლმსაჯულების ინტერესებს ემსახურება. ასეთია კანონის უზენაესობის პატივისცემისა და სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპების მოთხოვნა. თვითნებობისა და შეცდომის თავიდან აცილება ემსახურება მართლმსაჯულების ინტერესებს, ხელს უწყობს დანაშაულის სათანადოდ გამოძიებას, რეალური დამნაშავეის გამოვლენას და შემდგომ მის მსჯავრდებას.²⁵ ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრებით, „**მტკიცებულებათა დასაშვებობის კრიტერიუმის საკანონმდებლო წესით განსაზღვრა წარმოადგენს ბრალდებულის უფლებების და თავისუფლებების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას, კრძალავს მხარეების მიერ საკუთარი საპროცესო ინტერესების რეალიზაციას სხვა პირთა ღირსების და კონსტიტუციით აღიარებული ფუნდამენტური უფლება-თავისუფლებების უკანონო ხელყოფის ხარჯზე**“.²⁶

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფოს მხრიდან მომდინარე თვითნებობის საფრთხის წინააღმდეგ უმთავრესი გარანტია იმაში მდგომარეობს, რომ კანონმდებელმა მაქსიმალურად ნათლად, არაორაზროვნად და ამომწურავად განსაზღვროს სახელმწიფოს და მის წარმომადგენელთა უფლებები და მოვალეობები, ასევე დისკრეციის ფარგლები სისხლის სამართლის პროცესში. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მეტყველებს, რომ თავიდან უნდა იქნეს აცილებული შეუზღუდავი დისკრეციის უფლება და საკანონმდებლო ნორმებმა პირს უნდა შეუქმნას ეფექტური მექანიზმები სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან უფლებებში თვითნებური ჩარევის წინააღმდეგ. ევროპული სასამართლოს სიტყვებით, „კანონმა საკმარისი სიცხადით უნდა მიუთითოს ნებისმიერი ამგვარი უფლებამოსილების ფარგლები და მისი განხორციელების ხასიათი“.²⁷ სტრასბურგის სასამართლოს ზოგადი დამოკიდებულება მტკიცებულების მიმართ არის შემდეგი: მის ფუნქციაში არ შედის ეროვნული სასამართლოების ფაქტობრივი ან სამართლებრივი შეცდომების განხილვა, იმდენად, რამდენადაც ისინი არ არღვევენ კონვენციით დაცულ უფლებებსა და თავისუფლებებს. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლი იცავს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას, თუმცა არ განსაზღვრავს მტკიცებულებათა დასაშვებობის კრიტერიუმებს, რაც უმთავრესად შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის რეგულირების საკითხია. სტრასბურგის სასამართლოს ფუნქცია არ არის იმის გადამწყვეტა, რამდენად დასაშვებია იყო ცალკეული სახის მტკიცებულება, მაგალითად, უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულება ან იყო თუ არა განმცხადებელი დამნაშავე. მთავარი კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს, მდგომარეობს იმაში, იყო თუ არა სამართალწარმოება მთლიანობაში

²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/2/579 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია რობაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2.

²⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-24.

²⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/2/579 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია რობაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6.

²⁷ *Maestri v. Italy*, ECHR, (Application no. 39748/98), 17 February 2004, §30.

სამართლიანი, მათ შორის, მტკიცებულებათა დაშვების თვალსაზრისით.²⁸

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ირიბი ჩვენება შეიძლება დასაშვები იყოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, კანონით გათვალისწინებული მკაფიო წესისა და სათანადო კონსტიტუციური გარანტიების უზრუნველყოფის პირობებში და არა მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული ზოგადი წესით.²⁹ ამდენად, მნიშვნელოვანი და აუცილებელია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გაინეროს თუ რა შემთხვევაშია დასაშვები ირიბი ჩვენება.

ირიბი ჩვენების გამოყენებასა და მისი დასაშვებობის კრიტერიუმების საკანონმდებლო წესით განსაზღვრებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი პრაქტიკა დაადგინა საქართველოს უზენაესი სამართლის სისხლის სამართლის პალატამ, რომლის განმარტებით, „სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, გამოიყენოს ირიბი ჩვენება მტკიცებულების სახით მანამ, სანამ საკანონმდებლო ორგანო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მომავალში არ შეიტანს შესაბამის ცვლილებებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე“.³⁰

კონსტიტუციური სტანდარტის შესაბამისი განაჩენის გამოტანისას, აუცილებელია, ირიბი ჩვენება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, რაც აღნიშნულია კიდევ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში: კანონი მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს, თუ რა შემთხვევებშია დასაშვები ირიბი ჩვენების გამოყენება, მკაცრი და ზედმინევი ზუსტი უნდა იყოს მისი დასაშვებობის პირობები. რამდენადაც მაღალია ირიბი ჩვენების საფუძველზე მიღებული ინფორმაციის მნიშვნელობა ბრალის დადასტურების საკითხში, მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება წესი, რომელიც ასეთი ჩვენების გამოყენებას შესაძლებელს ხდის.³¹ ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „კონკრეტული კონსტიტუციური უფლების შინაარსის კონსტიტუციით დასაშვებ ფარგლებში განსაზღვრისთვის კანონმდებელი ვალდებულია, მიიღოს ზუსტი, მკაფიო, არაორაზროვანი, განჭვრეტადი კანონმდებლობა (ნორმები), რომელიც პასუხობს კანონის განსაზღვრულობის მოთხოვნას. ეს გარემოება ერთ-ერთი გადამწყვეტი კრიტერიუმი ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას. კანონმდებლის ასეთი ვალდებულება კი სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარეობს“.³²

როგორც არაერთხელ უკვე აღინიშნა, საპროცესო კოდექსის მოქმედი რედაქცია მწირ მითითებას შეიცავს ირიბი ჩვენების დასაშვებობასთან დაკავშირებით, შესაბამისად, აღნიშნული მტკიცებულების გამოყენება შესაძლებელია იმ შემთხვევაში მოხდეს, როდესაც ამის აუცილებლობა მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე არ არსებობს. საკონსტიტუციო სასამართლომ ირიბი ჩვენების საფუძველზე ბრალის წარდგენა და განაჩენის გამოტანა არაკონსტიტუციურად სცნო, თუმცა, მხედველობაშია მისაღები ის მომენტი, რომ ეს აკრძალვა აბსოლუტური ხასიათის არ არის და გამონაკლის შემთხვევაში შესაძლებელია ირიბი ჩვენების გამოყენება, მაგრამ არა საპროცესო კოდექსით დადგენილი ზოგადი რეგულაციების ფარგლებში, არამედ დეტალურად განერილი კრიტერიუმების შემთხვევაში. თავის მხრივ, უზენაესი სამართლო შეუძლებლად მიიჩნევს ირიბი ჩვენების გამოყენებას მანამ, სანამ კანონმდებლობაში მკაფიოდ არ განისაზღვრება რეგულაციები. სტრასბურგის სასამართლოს განმარტებით კი, მტ-

²⁸ KHAN c. ROYAUME-UNI, ECHR, (Requête no 35394/97), 04/10/2000, § 34.

²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-52.

³⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 5 მაისის №440 აპ -14 გადაწყვეტილება, §51.

³¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-27.

³² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11.

კიცებულებათა დასაშვებობის წესის განსაზღვრა ეროვნული კანონმდებლობის კომპეტენციაა. ვფიქრობ, რომ ზოგადი პრინციპის მიხედვით, ირიბი ჩვენება დაუშვებელი მტკიცებულება უნდა იყოს, თუმცა, ის დასაშვები მტკიცებულება გახდება, თუ მის დასაშვებად მიჩნევას ეთანხმებიან მხარეები, ან თუ სახეზე იქნება კანონით მკაფიოდ განწერილ გარემოებათა ერთობლიობა, რომელთა არსებობაც ირიბი ჩვენების დასაშვებად მიჩნევისთვისაა აუცილებელი, რომლებიც დეტალურად არის გაანალიზებული სტატიის შესაბამის ქვეთავებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საპროცესო კოდექსით დეტალურად უნდა განისაზღვროს თუ რა წინაპირობების არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი ირიბი ჩვენების გამოყენება, მკაფიო და განჭვრეტადი საპროცესო ნორმები კი, თავის მხრივ, ბრალდებულის უფლებების დაცვას ემსახურება.

2.8. ირიბი ჩვენების დასაშვებობა საერთაშორისო პრაქტიკა

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლება – დაიკითხოს ან დააკითხვინოს ბრალდების მოწმეები და გამოაძახებინოს და დააკითხვინოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში. აღნიშნული მოიცავს პრინციპს, რომ მანამ, სანამ ბრალდებულს დაედება მსჯავრი, მის წინააღმდეგ ყველა მტკიცებულება, როგორც წესი, საქმის საჯარო განხილვაზე წარმოდგენილი უნდა იყოს მისი თანდასწრებით იმ მიზნით, რომ მას ჰქონდეს საპირისპირო არგუმენტის წარმოდგენის საშუალება. ამ პრინციპიდან შეიძლება დაიშვას გამონაკლისები, მაგრამ მან არ უნდა დაარღვიოს დაცვის მხარის უფლებები.³³ ერთ-ერთ ადრეულ გადაწყვეტილებაში განმარტებულია, რომ მე-6 მუხლის პირველი პუნქტი არ გამორიცხავს, რომ საქმეზე ქეშმარიტების დადგენისათვის სასამართლო დაეყრდნოს ირიბ ჩვენებას, თუ საქმეში არსებული გარემოებების გათვალისწინებით, მსგავსი მტკიცებულების გამოყენება არ იქნება უსამართლო.³⁴

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, როგორც წესი, ირიბი ჩვენება გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც მოწმე (ინფორმაციის პირველწყარო) გარკვეული მიზეზით თავად ვერ ან არ ცხადდება სასამართლოში და ეს მიზეზი სასამართლოსთვის ცნობილია.³⁵ ამ მხრივ ყველაზე საყურადღებოა სტრასბურგის სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე AL-KHAWAJA AND TAHERY v. THE UNITED KINGDOM, რომელშიც შემდეგი მინიმალური სტანდარტია ჩამოყალიბებული: მსჯავრდების დაფუძნება ირიბი მოწმის ჩვენებაზე ავტომატურად არ არღვევს კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტს. იმისთვის, რომ ირიბი ჩვენების გამოყენებამ არ გამოიწვიოს კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, შემდეგი ორი პირობა უნდა იქნეს დაცული: უნდა არსებობდეს მოწმის სასამართლოში არგამოცხადების მნიშვნელოვანი მიზეზი და ირიბი ჩვენება არ უნდა წარმოადგენდეს განაჩენის არსებით ან ერთადერთ საფუძველს. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლო აღნიშნული წესიდან გამონაკლისის დაშვების შესაძლებლობასაც არ გამორიცხავს. კერძოდ, როდესაც მსჯავრდება მხოლოდ და გადამწყვეტად ეფუძნება სასამართლო პროცესზე გამოუცხადებელ მოწმეთა ჩვენებებს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ეროვნულ დონეზე ჩატარებული სამართალწარმოება ძალიან დაკვირვებით უნდა შეისწავლოს. თითოეულ შემთხვევაში დგას საკითხი, არსებობდა თუ არა საკმარისი საპირწონე ფაქტორები, მათ შორის, ღონისძიებები,

³³ Lucà v. Italy, ECHR, (Application no. 33354/96), 27 February 2001, §39; Solakov v. THE FORMER YUGOSLAV REPUBLIC OF MACEDONIA, ECHR, (Application no. 47023/99), 31 October 2001, §57.

³⁴ X. c. Allemagne, ECHR, no 8414/78, décision de la Commission du 4 juillet 1979, DR 17, 231.

³⁵ HORNCastle AND OTHERS v. THE UNITED KINGDOM, ECHR, (Application no. 4184/10), 16 December 2014.

რომელიც ასეთი მონმის ჩვენების სანდოობის სამართლიანი და სათანადო შეფასების საშუალებას იძლევა. მსჯავრდება შეიძლება დაფუძნებული იყოს ამგვარ მტკიცებულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის საქმისთვის მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, საკმარისად სანდოა.³⁶

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ეროვნულმა სასამართლოებმა გარკვეული პირობების არსებობისას, უნდა გაითვალისწინონ მონმეთა ის ჩვენებები, რომლებიც მიცემულ იქნა საგამოძიებო ორგანოებისთვის. პირველ რიგში სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, იყო თუ არა უზრუნველყოფილი ხელისუფლების მიერ მონმის პირადად გამოცხადება. ამასთან, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ განმცხადებელმა რაიმე ფორმით არ განაცხადა უარი ჯვარედინ დაკითხვაზე. თუკი სასამართლო დაადგენს, რომ მონმე საპატიო მიზეზების გამო იყო მიუწვდომელი და ვერ მოხერხდა მისი დაკითხვა, სასამართლომ უნდა განიხილოს სხვა ფაქტორებიც. კერძოდ, სასამართლომ უნდა გაარკვიოს, იყო თუ არა სასამართლოში გაჟღერებული მონმის ჩვენებები დადასტურებული სხვა მტკიცებულებებით. ასევე, მხედველობაშია მისაღები სხვა ასპექტებიც, მაგალითად, ეროვნული სასამართლოების მიერ გამოყენებული პროცედურები და შეისწავლოს მონმეთა ჩვენებები.³⁷ გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება საჭირო გახდეს გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენების გამოყენება.³⁸ მაგალითად, როდესაც მონმე გარდაიცვალა³⁹ ან გარკვეული მიზეზთა გამო სასამართლოში ჩვენების მიცემაზე უარს აცხადებს⁴⁰ ან კიდევ, როდესაც ხელისუფლების გონივრული ძალისხმევა უზრუნველყო მონმის პროცესზე დასწრება, წარუმატებელი აღმოჩნდება.⁴¹ ტრავმირებულ მონმეებს, რომლებიც სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლნი არიან, არ სურთ ბრალდებულთან დაპირისპირება, რადგან ძალზე მძიმედ განიცდიან, როდესაც უწევთ დანაშაულებრივი ქმედების გახსენება და აღწერა, რაც ასოცირდება მათ დაუცველობასთან და სირცხვილის გრძნობასთან.⁴² ამგვარი სასამართლო პროცესები, დაზარალებულის წარმოდგენაში, ხშირად მძიმე განსაცდელთან ასოცირდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის ბრალდებულს უპირისპირდება.⁴³

თუ მოპასუხე მთავრობა თავის არგუმენტაციას აფუძნებს რომელიმე ზემოთხსენებულ გარემოებაზე, სასამართლო სამ ეტაპად აგრძელებს საქმის განხილვას. პირველი, ხდება იმის გარკვევა, ნამდვილად არსებობდა თუ არა გამოწვევის დაშვების მიზეზი და მოხდა თუ არა მისი საფუძვლიანი შემომწმება ეროვნული ხელისუფლების მიერ. მეორე, სასამართლო ინტერესდება, იყო თუ არა დაცვის უფლებების შეზღუდვა მინიმუმამდე დაყვანილი და უკიდურესად აუცილებელი მონმეთა დაცვის ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, და ბოლოს მონმდება, რამდენად განხორციელდა დაცვის უფლებების ჯეროვანი კომპენსირება.⁴⁴ გარდა ამისა, კიდევ ერთი ნაბიჯი, რომელიც წესით პირველი უნდა იყოს, გულისხმობს იმის გარკვევას, რამდენად ემყარებოდა მსჯავრდება მონმის შეუმომწმებელ ჩვენებას.

ირიბი ჩვენების დასაშვებობის საკითხის განხილვისას, ასევე, საინტერესოა საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის გაცნობა. საერთო სამართლისა და კონტინენტური სამართლის ქვეყნების სისხლის საპროცესო სამართალში ირიბი ჩვენების დასაშვებობის წესები და

³⁶ AL-KHAWAJA AND TAHERY v. THE UNITED KINGDOM, ECHR, (Applications nos. 26766/05 and 22228/06), 15 December 2011, §147.

³⁷ MIRILACHVILI c. RUSSIE, ECHR, (Requête no 6293/04), 11 décembre 2008, §217.

³⁸ Lucà v. Italy, ECHR, (Application no. 33354/96), 27 February 2001, §40.

³⁹ (dec.), ECHR, no. 31243/06, 27 January 2009, §37; and Ferrantelli and Santangelo (Application no. 19874/92), 7 August 1996, §52.

⁴⁰ Vidgen v. the Netherlands, ECHR, (Application no. 29353/06), 10 July 2012 §47; Craxi v. Italy, ECHR, (Requête no 34896/97) 5 décembre 2002, §86.

⁴¹ MIRILACHVILI c. RUSSIE, ECHR, (Requête no 6293/04), 11 décembre 2008, §217.

⁴² Birutis AND OTHERS v. LITHUANIA, ECHR, (Applications nos. 47698/99 and 48115/99) 28 March 2002 §31.

⁴³ S.N. v. SWEDEN, ECHR, (Application no. 34209/96) 2 July 2002, §47.

⁴⁴ ტექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010, 353.

პრინციპები ერთმანეთისგან განსხვავებულია, რამდენადაც განსხვავდება სისტემები.

ირიბი ჩვენების (ouï-dire, hearsay) განმარტება და მისი დასაშვებობის წინაპირობები ძირითადად საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობით არის განსაზღვრული, ხოლო ევროპის ქვეყნების კანონმდებლობით ირიბი ჩვენების დასაშვებობა და მისი შეფასების წესები ცალკე არ არის გამოყოფილი.

კონტინენტური ევროპის ზოგ ქვეყანაში დადგენილია ირიბი ჩვენების დასაშვებობის მინიმალური პრინციპები (ესპანეთი, იტალია). ასევე, ესტონეთში ირიბი ჩვენების დასაშვებობის კრიტერიუმები კონკრეტიზირებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, ხოლო იმ ქვეყანაში, სადაც სამართალწარმოება დაფუძნებულია ინკვიზიციურ პრინციპებზე (მაგალითად, საფრანგეთი, ბელგია, გერმანია) ირიბი ჩვენება დასაშვებია და მოსამართლე წყვეტს ასეთი ჩვენების ღირებულებას.

ევროპულ ქვეყნების კანონმდებლობა, ირიბი ჩვენების რეგულაციებთან დაკავშირებით ძირითადად ორ ნაწილად არის გაყოფილი, ნაწილი (საფრანგეთი და გერმანია) არ მიჯნავს პირდაპირ და ირიბ ჩვენებას და მათ ერთ სიბრტყეში განიხილავს, თუმცა ამ ქვეყნების სასამართლოები ირიბი ჩვენების გამოყენებისას ითვალისწინებენ აღნიშნული მტკიცებულების ნაკლოვანებებს. ხოლო, მეორე ნაწილი (ესტონეთი, ესპანეთი, იტალია) ქვეყნის კანონმდებლობა ირიბ ჩვენებას ცალკე გამოყოფს და მისი დასაშვებობის წესებს განსაზღვრავს. ამ ქვეყნის კანონმდებლობაში ირიბი ჩვენების დასაშვებობის გამონაკლისი შემთხვევების მოკლე და კონკრეტული ჩამონათვალია. ამ მხრივ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოქმედი რეგულაციები ირიბი ჩვენებასთან დაკავშირებით მეორე კატეგორიის ქვეყნების კანონმდებლობას შეესაბამება. აღსანიშნია, რომ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, სავალდებულო არაა სასამართლოს მთავარ სხდომაზე ირიბი ჩვენების შემოტანის კანონისმიერი აკრძალვა. გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს არ გააჩნია ირიბი ჩვენების მიმართ არანაირი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ეჭვი, რომელიც განაპირობებს კანონისმიერ აკრძალვას.⁴⁵

საერთო სამართლის ქვეყნებში, ირიბი ჩვენების კონკრეტიზაცია ხდება სასამართლო პრაქტიკით, თუმცა განსხვავებულია პოზიცია კანადაში, სადაც ირიბი ჩვენების დაშვების წესი ზოგადია და სასამართლოს ეძლევა საშუალება ზოგადი პრინციპების საფუძველზე მოახდინოს ამა თუ იმ ჩვენების მტკიცებულებად დაშვება. ამერიკის ფედერალური წესებში, განსხვავებით სხვა საერთო სამართლის ქვეყნებისა, ირიბი ჩვენება დაუშვებელია, თუმცა გამონაკლისების ძალიან ფართო ჩამონათვალი არსებობს.

ანგლო-საქსონური სამართლებრივი ოჯახის ქვეყნები, რომლებსაც აქვთ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ხანგრძლივი ტრადიცია, ასევე ითვალისწინებენ ირიბი ჩვენების დასაშვებობის შესაძლებლობას (ნაფიც მსაჯულთა მოსამართლის მიერ შესაბამისი გაფრთხილებისა და განმარტებების გაკეთების შემთხვევაში). ასევე, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ ირიბი ჩვენება განსაკუთრებით საფრთხილოა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში. საქმეს, რომელსაც პროფესიონალი იურისტი ანუ მოსამართლე განიხილავს ასეთი რისკი არ არსებობს, რადგან მოსამართლემ იცის მტკიცებულებათა შეფასების წესი და ინდივიდუალურად შეაფასებს ყოველ მტკიცებულებას, მის დასაშვებობის/არდასაშვებობის საკითხს მისი უტყუარობიდან გამომდინარე გადანყვეტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ირიბი ჩვენების აკრძალვა უფრო უკეთ თავსებადია ნაფიც მსაჯულთა სისტემებთან.

⁴⁵ ჰანს-იორგ ალბრეხტი, შეხედულება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილებაზე, 15.

დასკვნა

ირიბი ჩვენების დასაშვებობის განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა და საზღვარგარეთ ქვეყნების კანონმდებლობა. აღნიშნული რეგულაციების გააზრების შედეგად, შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი პრინციპები – ზოგადი წესის მიხედვით ირიბი ჩვენება დაუშვებელი მტკიცებულება უნდა იყოს, თუმცა, გამონაკლის შემთხვევაში ის შეიძლება დასაშვებად იქნეს მიჩნეული. ირიბი ჩვენება რომ დასაშვებად იქნეს მიჩნეული, შემდეგი კუმულატიური პირობის არსებობაა საჭირო: ირიბი ჩვენების დასაშვებად ცნობა უნდა იყოს მართლმსაჯულების ინტერესებში, ასევე განცხადების ავტორი იდენტიფიცირებული უნდა იყოს და მას საპატიო მიზეზით არ შეეძლოს სასამართლოში გამოცხადება და ჩვენების მიცემა, ამასთან, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის გარემოება, რომელშიც ინფორმაციის პირველწყარომ განცხადება გააკეთა, ასევე არ უნდა არსებობდეს ირიბი ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის საპროცესო კოდექსით დადგენილი რომელიმე საფუძველი. მიუხედავად ამისა, განაჩენი მხოლოდ ირიბ ჩვენებას ან მეტწილად ირიბ ჩვენებას არ უნდა ეფუძნებოდეს. აღნიშნული პრინციპის გათვალისწინების შემთხვევაში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი მტკიცებულებითი სტანდარტი უფრო დაუახლოვდება და შესაბამისობაში მოვა საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ უტყუარობის სტანდარტთან, რაც, თავის მხრივ, პირის უფლებების დაცვის კიდევ უფრო მეტი გარანტი იქნება.

ბრალდებულის ან მისი ახლო ნათესავის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის მტკიცებულებად გაზიარების წინაპირობები

მარიამ მითაიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სამდივნოს უფროსი კონსულტანტი – მოსამართლის თანაშემწე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი.

შესავალი

საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის შინაარსმა პირის გამართლებაში ან მსჯავრდებაში რიგ შემთხვევაში, შესაძლოა, უდიდესი წვლილი შეიტანოს. თუ ხსენებული საგამოძიებო მოქმედება პირობითად, გამოსაკვლევნი გარემოების აღსადგენად ტარდება, იგი შესამონებელ ინფორმაციას (ჩვენებას) ან ვერსიას უნდა შეესაბამებოდეს.⁴⁶ აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოწმემ, რომელთანაც ხსენებული საგამოძიებო ექსპერიმენტი ჩატარდა, დაადასტუროს ან უარყოს მასში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. თუმცა, მოცემულის პარალელურად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (შემდგომში – სსსკ), ბრალდებულსა და მის ახლო ნათესავს უფლებას ანიჭებს უარი განაცხადონ ჩვენების მიცემაზე.⁴⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის (შემდგომში – უზენაესი სასამართლო) ბოლოდროინდელმა პრაქტიკამ ნათელყო, რომ ამგვარ სამართლებრივ მოცემულობაში⁴⁸ არსებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის პირდაპირი სახის მტკიცებულებად გამოყენება კონკრეტული პირობების დაცვით, გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია. ხსენებულ პირობათა მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოში მოქცევა მიზანშეუწონელია, ვინაიდან სისხლის სამართლის ყოველი საქმე ინდივიდუალური გარემოებებით გამოირჩევა, თუმცა, მიუხედავად ამისა, პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით, გამოიკვეთა ის ძირითადი აქცენტები, რომელთა საფუძველზეც საქართველოს უზენაესი სასამართლო იზიარებს საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის გარკვეულ ნაწილს ბრალდებულის ან მისი ახლო ნათესავის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებით სარგებლობისას. მოცემულ გადაწყვეტილებებში საქართველოს უზენაესი სასამართლო საგამოძიებო ექსპერიმენტის გაზიარების ან მასზე უარის თქმასთან დაკავშირებულ არგუმენტებზე ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მოტივაციას არ დაეთანხმა. მოცემული გარემოება, თავის მხრივ, განსახილველ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობის არსებობის ფაქტზე მიაჩნდება.

სტატიის მიზანს წარმოადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის საფუძველზე განისაზღვროს ბრალდებულსა და მის ახლო ნათესავთან (როდესაც იგი დაზარალებულად არის ცნობილი) ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის მტ-

⁴⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09/10/2009, 130-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

⁴⁷ იქვე, 49-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი, 74-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

⁴⁸ მაგალითად, გამოკითხვის დროს მიწოდებული ინფორმაციის აღდგენის მიზნით, ბრალდებულთან ჩატარდა საგამოძიებო ექსპერიმენტი, მაგრამ საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, იგი იყენებს დუმილის უფლებას ან აძლევს სასამართლოს ჩვენებას, თუმცა, წინააღმდეგია გამოკითხვის დროს მიწოდებული ინფორმაციის სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვაზე (საქართველოს სსსკ-ის 247-ე მუხლის პირველი ნაწილის შე-საბამისად).

კიცებულების სახით გაზიარების შესაძლებლობა, იმ შემთხვევებში, როდესაც ხსენებული პირები კანონით დადგენილი წესით უარს აცხადებენ სასამართლოში ჩვენების მიცემაზე.⁴⁹

ნაშრომი საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, თეორიული მაგალითების მოშველიებით, მოცემული საკითხით დაინტერესებულ პირებს გარკვეულწილად დაეხმარება ბრალდების დადასტურების, ან მისი უარყოფის კონტექსტში, განსაზღვრონ საგამოძიებო ექსპერიმენტის როლი და მისი გამოყენების საზღვრები, ზემოაღნიშნულ სამართლებრივ მოცემულობაში.

1. საგამოძიებო ექსპერიმენტის მიზანი, არსი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, მხარეს საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების უფლება მხოლოდ ორ, კონკრეტულ შემთხვევაში გააჩნია:

1. მიღებული ინფორმაციისა (ჩვენების) და

2. გამოძიების პროცესში წარმოშობილი ვერსიის შესამოწმებლად.⁵⁰ „საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების გზით შეიძლება გადამოწმდეს როგორც დაზარალებულის, მოწმის, ბრალდებულის მიერ მიცემული ჩვენება, ისე მათი გამოკითხვის გზით მოპოვებული ინფორმაცია.“⁵¹

მაგალითად, ბრალდებული გამოკითხვის ოქმში უთითებს, რომ დაზარალებულის სახლში მან ერთ-ერთი ოთახის ფანჯრიდან შეაღწია, თუმცა, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმზე თანდართული ფოტოსურათებით იკვეთება, რომ ფანჯრის ზომიდან გამომდინარე, ყველა ფიზიკური მონაცემების მქონე პირი ამ ფანჯრით ბინაში ვერ შეაღწევს. იმისათვის, რომ ბრალდებულის მიერ მითითებული ინფორმაცია შემოწმდეს და გამოძიების ეჭვი ნამოჭრილი ვერსიის ნამდვილობაზე უტყუარად გაქარწყლდეს, საგამოძიებო ექსპერიმენტის ფარგლებში, ბრალდებული დანაშაულის შემთხვევის ადგილზე მის მიერ დასახელებული გზით შეაღწევს, რაც საგამოძიებო ორგანოს მისცემს, ერთი მხრივ, შესაძლებლობას შეაფასოს მიწოდებული ინფორმაციის სანდოობა, უტყუარობა, ხოლო, მეორე მხრივ, დაგეგმოს შემდგომი მოქმედებები: მაგალითად, აღნიშნული ფანჯრის გარე ზედაპირიდან აიღოს ნიმუში დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ჩატარების მიზნით.

სხვა მაგალითის თანახმად, მოწმემ გამოკითხვის დროს განაცხადა, რომ მან მისი აივანიდან დაინახა ყაჩაღობის ფაქტი. საგამოძიებო ექსპერიმენტის ფარგლებში, მოწმემ დამოუკიდებლად მიუთითა ადგილზე, საიდანაც მომხდარ ფაქტს შეესწრო, აგრეთვე მიმართულებაზე, რომლისკენაც დამნაშავე გაიქცა, რაც აღიბეჭდა ფოტოსურათებზეც. ამგვარად, შეიქმნა მტკიცებულება, რომლითაც დგინდება: დაახლოებით რა მანძილია აივანსა და შემთხვევის ადგილს შორის, ამ პირობებში რამდენად შესაძლებელი იყო მოწმის მიერ ფაქტის უშუალოდ დანახვა, რამდენად თავისუფლად აღწერს მოწმე იმ ტერიტორიას, სადაც დანაშაულებრივი ქმედება ჩაიდინეს, ხომ არ არსებობს რაიმე სახის დაბრკოლება (მაგალითად, მშენებარე ბინა), რომელიც შესაძლოა ხელისშემშლელი გამხდარიყო ფაქტის დანახვის პროცესში და ა.შ.

ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეში სწორედ საგამოძიებო ექსპერიმენტის საფუძველზე, შემთხვევის ადგილიდან ყურადღება მიექცო მოწმის (იგი აცხადებდა, რომ დაინახა ძალადობის ფაქტი) აივანს, რომელიც რეალურად არ ჩანდა და ნაძვის ხე ეფარებოდა.⁵²

⁴⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09/10/2009, 49-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეუბნეტი და ამავე კოდექსის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

⁵⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09/10/2009, 129-ე მუხლი.

⁵¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი (2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით), ავტორთა კოლექტივი, თბ., 2015, 409.

⁵² საქართველოს უზენაესი სასამართლოს N782აპ-21 გადაწყვეტილება.

მოცემული საგამოძიებო ექსპერიმენტის ფარგლებში, აგრეთვე შესაძლოა შემონმდეს მონმის მიერ გაქცეული დამნაშავეის რეალურად დანახვის შესაძლებლობა იმავე პირობებში, რა პირობებშიც მონმემ გაქცევის ფაქტი იხილა. მაგალითად: ნალექიანი ამინდის, ქუჩის განათების, მხედველობის სათვალის, დამნაშავესა და მონმეს შორის არსებული მანძილის გათვალისწინებით.⁵³

ამდენად, საგამოძიებო ექსპერიმენტი წარმოადგენს ერთ-ერთ უნიკალურ საშუალებას შემონმდეს გამოძიების სტადიაზე წარმოშობილი ვერსიის რეალურობა და მიწოდებული ინფორმაციის უტყუარობა.

2. ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის მტკიცებულებად გაზიარების წინაპირობები

უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, „მონმის/დაზარალებულის ჩვენება და საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი, მართალია, რაოდენობრივად ორი სხვადასხვა მტკიცებულებაა, თუმცა, ცალსახაა, რომ ორივე შემთხვევაში, ინფორმაციის მომწოდებელი წყარო არის ერთი და იგივე პირი.“⁵⁴ აღნიშნულის ფონზე, უზენაესმა სასამართლომ პრაქტიკით, აგრეთვე, გამოკვეთა რამდენიმე საგამონაკლისო სახის შემთხვევა, როდესაც ბრალდებულის მიერ დუმის უფლების გამოყენებისას ან აღიარებითი ჩვენების უარყოფისას, სასამართლომ საგამოძიებო ექსპერიმენტი ბრალდების დამადასტურებელ, დამოუკიდებელ მტკიცებულებად მიიჩნია. კერძოდ: ერთ-ერთი განაჩენის⁵⁵ მიხედვით, აღნიშნულს განაპირობებდა თავად მოცემული საქმის უნიკალური, განსხვავებული ხასიათი, რადგანაც საგამოძიებო ექსპერიმენტის ფარგლებში, არა უბრალოდ მიეთითა თუ სად მოხდა დანაშაული, რა გზა გაიარა იქამდე ბრალდებულმა და ა.შ., არამედ სპეციალური ხერხების გამოყენებით აღდგა თავად დანაშაულად შერაცხული ქმედება. უფრო კონკრეტულად, ბრალდებულმა არა მხოლოდ მიუთითა აპარატზე, რომელზეც თამაშობდა, არამედ მან საგამოძიებო მოქმედების დროს უშუალოდ ითამაშა, აკრიფა კოდი და ახსნა თუ როგორ იგებდა თანხას. ამდენად, საგამოძიებო ექსპერიმენტის ფარგლებში ბრალდებულმა გამოავლინა სპეციალური ხერხების ცოდნა, რომელიც პრაქტიკულ ექსპერიმენტში ზუსტად იმგვარად გამოიყენა, როგორც ბრალადშერაცხულ ქმედებაში. ამ ფორმით აღდგენილი ვითარება ჩვენებად არ იქნა მიჩნეული, რის გამოც, უზენაესმა სასამართლომ მოცემული საგამოძიებო ექსპერიმენტი უკვე დამოუკიდებელ, „ცოცხალ,“ პირდაპირი სახის მტკიცებულებად განიხილა და მასზე არ გაავრცელა სსსკ-ის 247-ე მუხლით გათვალისწინებული სპეციალური წესი.

სხვა სისხლის სამართლის საქმის თანახმად,⁵⁶ ბრალდებულმა საგამოძიებო ექსპერიმენტის ფარგლებში მიუთითა არა მხოლოდ მაღაზიაზე, არამედ მასში მდებარე იმ სექციაზეც, სადაც დანები იყო გასაყიდად განთავსებული. თავის მხრივ, გამყიდველი ადასტურებდა, რომ ამ მაღაზიაში სწორედ ისეთი ფორმისა და ტიპის დანები იყიდებოდა, როგორიც სისხლის სამართლის საქმეში ფიგურირებდა, რაც ასევე დადასტურდა საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს გადაღებული ფოტომასალით. მოცემული მონაცემები იყო საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის გარკვეული ნაწილი. რაც შეეხება დანარჩენს, კერძოდ, ადგილზე შემონმებული ჩვენების სახით მიღებულ ინფორმაციას, უზენაესმა სასამართლომ იგი არ გაიზიარა იმ მოტივით, რომ ბრალდებულმა აღიარებითი ჩვენება უარყო. მოცემული საქმე განსაკუთრებულად მნიშვნელო-

⁵³ Sumbarova M., Aspects of Tactics of Investigative Experiment in Criminal Procedure of Latvia, RSU Elektroniskais juridisko zinātnisko rakstu žurnāls, 2(2), 2015, 86.

⁵⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს N211აპ-22 გადაწყვეტილება.

⁵⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს N561აპ-15 გადაწყვეტილება.

⁵⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს N424აპ-16 გადაწყვეტილება.

ვანია, ვინაიდან ორი ინსტანციის გამამართლებელი განაჩენი, უზენაესმა სასამართლომ შეცვალა გამამტყუნებელი გადაწყვეტილებით და მკვლელობის სუბიექტური შემადგენლობის ერთ-ერთ დამადასტურებელ მტკიცებულებად სწორედ ზემოხსენებულ საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმზე მიუთითა.

ზემოაღნიშნული სისხლის სამართლის საქმე არ არის ერთადერთი, რა დროსაც უზენაესმა სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი შეცვალა გამამტყუნებელი გადაწყვეტილებით, მათ შორის, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის შინაარსსა და თანდართულ ფოტოსურათებზე დაყრდნობით (მიუხედავად ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების უარყოფისა).⁵⁷ მოცემულ საქმეში, ბრალდებულმა გამოძიების სტადიაზე, საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების დროს, მაღაზიაზე მითითების შემდეგ, დეტალურად დაასახელა თუ რომელი დახლიდან, რომელ ნივთს დაეუფლა ფარულად. მოცემული საგამოძიებო მოქმედება აღიბეჭდა ფოტოსურათებზეც, რომლებიც სასამართლომ შეადარა მაღაზიის კონსულტანტის საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმსა და თანდართულ ფოტოსურათებს. შედარების საფუძველზე იკვეთებოდა, რომ ბრალდებულმა ზუსტად მიუთითა ნივთების ადგილმდებარეობაზე შესაბამისი დახლების ჩათვლით. ამდენად, მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში ორი გარემოება იყო მნიშვნელოვანი:

1) ბრალდებულს გააჩნდა ზუსტი ცოდნა არა მხოლოდ იმ მაღაზიის ადგილმდებარეობაზე საიდანაც ნივთები დაიკარგა, არამედ დეტალურად ფლობდა ინფორმაციას, თუ რომელ დახლზე, რომელი ნივთი (სამკაული, თმის სამაგრი) იყო განთავსებული;

2) ბრალდებულის მიერ მითითებული ინფორმაცია დასტურდებოდა თავად მაღაზიის კონსულტანტის ჩვენებითა და მასთან ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმით/თანდართული ფოტოსურათებით.

მოცემულ საქმეში წარმოდგენილი იყო ამოღების ოქმიც, რომლის თანახმადაც, ბრალდებულმა საგამოძიებო ორგანოს წარუდგინა დაკარგული ნივთები. შესაბამისად, ამ ნივთთა სხვა ფორმით შეძენის შემთხვევაში, ლოგიკურია, მას არ უნდა სცოდნოდა მათი კონკრეტულ მაღაზიაში, კონკრეტულ დახლებზე განთავსების ზუსტი ადგილი.

თუ ზემოხსენებულ სისხლის სამართლის საქმეებს გავაანალიზებთ იმ ფაქტის გამოკლებით, რომ ბრალდებულმა არ მიუთითა კონკრეტულ სექციაზე, სადაც ზუსტად ისეთივე დანები იყიდებოდა (რაც საქმეში ფიგურირებდა), ან სხვა მსგავსი მაგალითის თანახმად, ბრალდებულმა მიუთითა მხოლოდ იმ მაღაზიაზე, საიდანაც მოიპარა ნივთი, კონკრეტული დახლის იდენტიფიცირების გარეშე, საინტერესოა, მიჩნეული იქნება თუ არა ამგვარი საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი ბრალდების დამადასტურებელ ერთ-ერთ მტკიცებულებად. ნაშრომის ავტორის მოსაზრებით, ცალსახაა, რომ მტკიცებულების უტყუარობის ხარისხი გაცილებით მეტია, როდესაც ბრალდებულს გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ყველა დეტალი თავად აქვს იდენტიფიცირებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ფარგლებში. შესაბამისად, მკვლელობის იარაღის, მოპარული ნივთის ადგილმდებარეობა, რაც უფრო მეტად იქნება დაზუსტებული და შემდეგში სხვა მტკიცებულებებით შემონმებული/გამყარებული (მაგალითად, კონსულტანტის ჩვენებით, რომ ნივთი მართლაც იმ თაროზე იყო განთავსებული), საგამოძიებო ექსპერიმენტის უტყუარობის ხარისხი და რელევანტურობაც პროპორციულად იზრდება. აღნიშნული გარემოებები, საბოლოო ჯამში, ქმნიან მყარ საფუძველს კონკრეტული ფაქტის მტკიცებისათვის.

ასევე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნივთებს, რომლებზეც ბრალდებული საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს მიუთითებს. როგორც წესი, ისინი სურათდება და თან ერთვის ოქმს. ამ შემთხვევაშიც, კონკრეტული ფაქტის მტკიცების თვალსაზრისით, შესაძლოა, საგამოძიებო ექსპერიმენტის მხოლოდ ნაწილი იქნეს გამოყენებული და არა მასში ასახული ბრალდებულის გამოკითხვის დროს მიწოდებული ინფორმაცია. მაგალითად, საგამოძიებო ექსპერიმენტის ფარგლებში ბრალდებულმა დანაშაულის ადგილთან ერთად მიუთითა სკამზეც,

⁵⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს N569აპ-22 გადაწყვეტილება.

რომელზეც დაზარალებული თოკით მიაბა. შემდგომში, ექსპერტიზის დასკვნით აღნიშნული გარემოება მართლაც დადასტურდა. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, თუ ბრალდებულის უარყოფს გამოძიების სტადიაზე მიცემულ ჩვენებას ან გამოიყენებს დუმილის უფლებას, საგამოძიებო ექსპერიმენტის ის ნაწილი, სადაც იგი უშუალოდ მიუთითებს სკამზე, რომელიც თავისუფლების აღსაკვეთად გამოიყენა რელევანტური და დასაშვებია, რადგან შემთხვევის ადგილზე კონკრეტულ საგანზე უშუალო მითითება არ წარმოადგენდა გამოკითხვის ოქმში მინოდებული ინფორმაციის ნაწილს და ამასთან, სწორედ აღნიშნულის საფუძველზე ამოიღეს კვალი, რომელზეც ჩატარდა ექსპერტიზა, რამაც საბოლოოდ დაზარალებულის ნივთთან შემხებლობა დაადასტურა.

ამდენად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ქვედა ინსტანციის სასამართლოების განაჩენის შეცვლის მოტივაცია მონობს, რომ მოცემული მტკიცებულების შეფასების წინაპირობები პრაქტიკაში ერთგვაროვანი არ არის. ამავდროულად, უზენაესი სასამართლოს განაჩენთა გაანალიზების საფუძველზე იკვეთება თუ რა შემთხვევებშია შესაძლებელი საგამოძიებო ექსპერიმენტის მტკიცებულებად გაზიარება, მაშინ როდესაც ბრალდებული იყენებს დუმილის უფლებას, ან სასამართლოს აძლევს ჩვენებას, მაგრამ წარდგენილ ბრალდებას უარყოფს. ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს არსად მიუთითებია, რომ ამ საგამონაკლისო შემთხვევათა ჩამონათვალი ამომწურავი ხასიათისაა.

პრაქტიკის პარალელურად, ჰიპოთეტური მაგალითის სახით, შესაძლოა განვიხილოთ შემდეგი შემთხვევა: გამოძიების სტადიაზე ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ფარგლებში, ბრალდებული უთითებდა შემთხვევის ადგილზე მისასვლელ შემოვლით, ნაკლებად ცნობილ გზაზე. ვინაიდან, ექსპერიმენტი ტარდებოდა მომხდარი ფაქტიდან მეორე დღეს და იმ პერიოდში იყო ნალექიანი ამინდები, ხოლო გზა უსწორმასწორო და ტალახიანი, ბრალდებულმა შემთხვევის ადგილამდე უშუალოდ მიუთითა მისი ნაფეხურების კვალზე. მოცემული კვალიდან გამომდინარე, ექსპერტმა დაამზადა ტვიფარი, რომელიც შემდეგში შესაბამისი დასკვნით შედარდა ბრალდებულისაგან ამოღებული ფეხსაცმლის ძირთან და დადასტურდა მათი ერთმანეთთან მსგავსების ფაქტი. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, არა მხოლოდ მიეთითა შემოვლით, ნაკლებად ცნობილ გზაზე, არამედ მის მიღმა, ასევე ბრალდებულის მითითებით შეიქმნა ისეთი ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს ბრალდებულის დანაშაულის ადგილამდე მისვლის ტრაექტორიას. იმ შემთხვევაში, თუ არსებითი განხილვის სხდომაზე ბრალდებული გამოიყენებს კანონით მისთვის მინიჭებული დუმილის უფლებას, ნაშრომის ავტორის მოსაზრებით, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის ის ნაწილი, სადაც ბრალდებული შემთხვევის ადგილამდე მიმავალ ნაფეხურის კვალზე ნებაყოფლობით მიუთითებს, შესაბამის ექსპერტიზის დასკვნასთან ერთობლივად შესაძლოა გამოყენებულ იქნეს იმ ფაქტის მტკიცებისათვის, რომ ბრალდებული შემთხვევის ადგილზე ნამდვილად იმყოფებოდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის/ბრალდების უარყოფის შემთხვევაში, ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს საგამოძიებო ექსპერიმენტის მტკიცებულებად გაზიარების საკითხი, კერძოდ:

- პირველ რიგში, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმში ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს მასში ასახული ბრალდებულის გამოკითხვის ოქმის შინაარსი და მის მიღმა შექმნილი ინფორმაცია (როგორც აღინიშნა, სსსკ-ის 247-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ის რაც დაკავშირებულია გამოკითხვის დროს მინოდებულ ინფორმაციასთან მტკიცებულების სახით გამოყენებული ვერ იქნება);
- გამოკითხვის დროს მინოდებული ინფორმაციის მიღმა არსებულ ფაქტობრივ გარემოებაზე (მაგალითად, ამოღებული საგანი), უნდა შეფასდეს მისი კავშირი ბრალადმერაცხულ ქმედებასთან;
- უნდა გაანალიზდეს რა გზით შეიძლება სცოდნოდა ბრალდებულს იმ ნივთთა ადგილ-

სამყოფელი, მდებარეობა, ფაქტი, რომელიც საგამოძიებო ორგანომ მისი მითითებით აღმოაჩინა;

- ბრალდებულის მითითებული ინფორმაცია, რამდენად დასტურდება სხვა მტკიცებულებით.

ეს არის ძირითადი წინაპირობები, რომლებზე დაყრდნობითაც საგამოძიებო ექსპერიმენტის გამოყენების შესაძლებლობა საგამონაკლისო შემთხვევებში უნდა შემონმდეს.

ამასთან, არამართებულია, როდესაც პროკურატურა საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმს მოიხსენიებს როგორც ბრალდების დამადასტურებელ მტკიცებულებად, მხოლოდ იმ პირობებში, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტის შინაარსი სრულად ეფუძნება მოწმის გამოკითხვის ოქმში მითითებულ ინფორმაციას (მიუხედავად იმისა, რომ ამავე მოწმემ არსებითი განხილვის სხდომაზე ჩვენების მიცემაზე განაცხადა უარი). ამგვარ ვითარებაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს შეფასებით, გამოკითხვის ოქმი საგამოძიებო ექსპერიმენტით ვერ ჩანაცვლდება.⁵⁸

3. ბრალდებულის ახლო ნათესავის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის მტკიცებულებად გაზიარების წინაპირობები

სასამართლოში ჩვენების მიცემისას მოწმის სტატუსით სარგებლობს, მისი უფლებები და მოვალეობები ენიჭება, მათ შორის, დაზარალებულს.⁵⁹ როგორც აღინიშნა, მოწმეს უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს როგორც მას, ისე მის ახლო ნათესავს.⁶⁰ ამასთან, საპროცესო კანონი ამომწურავად ჩამოთვლის თუ ვინ მოიაზრება ახლო ნათესავში.⁶¹

ერთ-ერთი ოჯახური დანაშაულის კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეში⁶² დაზარალებული იყო ბრალდებულის მეუღლე. მან არსებით სასამართლო სხდომაზე ისარგებლა კანონით მისთვის მინიჭებული უფლებით და პროცესზე არ დაადასტურა და არც უარყო საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის შინაარსი (რომელშიც ასახული იყო დაზარალებულის მიერ აღდგენილი ფაქტები და მითითებული იყო ადგილებზე, სადაც მეუღლე მას ფიზიკურად შეურაცხყოფდა და ემუქრებოდა). მიუხედავად ბრალდებულის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა, პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი, როგორც პირის ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად მიიჩნიეს ორ კონკრეტულ არგუმენტზე დაყრდნობით:

„ა) მტკიცებულებისათვის პრეიუდიციული მნიშვნელობის მინიჭება გულისხმობს, რომ მხარემ აღნიშნული მტკიცებულება მიიღო გამოკვლევის გარეშე, ისე როგორც არის წარმოდგენილი საქმეზე და მასზე არაფერი აქვს სადავო მეორე მხარესთან;

ბ) მოწმის ან დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შემთხვევაზე არ ვრცელდება საქართველოს სსსკ-ის 247-ე მუხლით დადგენილი შეზღუდვა, რომ თუ ბრალდებული წინააღმდეგია, სასამართლოში საქმის არსებით განხილვამდე მის მიერ გამოკითხვის დროს მიწოდებული ინფორმაციის სასამართლო სხდომაზე რაიმე ფორმით დემონსტრირება და ზემოაღნიშნული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენება დაუშვებელია. მსგავსი შინაარსის დათქმას სასამართლო სხდომაზე დასაკითხი სხვა სტატუსის მქონე პირების მიმართ კანონი არ ითვალისწინებს.“

⁵⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს N801აპ-19 გადაწყვეტილება; იხ. აგრეთვე საქართველოს უზენაესი სასამართლოს N464აპ-19 გადაწყვეტილება.

⁵⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09/10/2009, 47-ე მუხლი.

⁶⁰ იქვე, 49-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.

⁶¹ იქვე, მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ახლო ნათესავში მოიაზრება: „მშობელი, მშვილებელი, შვილი, მინდობით აღსაზრდელი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული).“

⁶² საქართველოს უზენაესი სასამართლოს N682აპ-21 გადაწყვეტილება.

ამდენად, მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში, პირველმა და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის პირობებში, შეაფასეს არა – უშუალოდ საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის შინაარსი (იმ საგამონაკლისო ფორმით, როგორც უზენაესმა სასამართლომ ზემოთ მოხსენიებულ საქმეებში გააანალიზა), არამედ პროცესუალურ წესზე დაყრდნობით, მიიჩნიეს, რომ არ იკვეთებოდა რაიმე სახის სამართლებრივი დაბრკოლება მისი გამამტყუნებელ მტკიცებულებად მიჩნევისათვის.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, უზენაეს სასამართლოს მოცემულ საქმეში უნდა შეეფასებინა დაზარალებულ მონმესთან ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის უდაო მტკიცებულებად მიჩნევის შემთხვევაში, შესაძლებელი იყო თუ არა მისი ავტომატურად გაზიარება ჩვენების მიცემაზე უარის თქმის პირობებში.

საქართველოს უზენაესი სასამართლო ზემოხსენებულ ორ არგუმენტზე დაყრდნობით, საგამოძიებო ექსპერიმენტის ბრალის დამადასტურებელ მტკიცებულებად გაზიარების ფაქტს არ დაეთანხმა და ერთი მხრივ, იმსჯელა პრეიუდიციის არსზე,⁶³ ხოლო, მეორე მხრივ, მიუთითა მსგავს ვითარებაში ოქმის შინაარსის შეფასების მნიშვნელობაზე. კერძოდ, უზენაესი სასამართლოს მოტივაციის თანახმად, პრეიუდიცია არ გულისხმობს, რომ მტკიცებულების შინაარსი უნდა შეფასდეს ყველა, სხვა საქმის მასალისგან განყენებულად. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში გამტყუნების ერთ-ერთ საფუძველს არ ქმნიდა საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი, ვინაიდან, მონმემ არ დაადასტურა/არც უარყო სასამართლო სხდომაზე გამოძიების სტადიაზე მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება, მაშინ როდესაც უშუალოდ მისი ჩვენება სადავოდ იყო გამხდარი და ამასთან, ოქმის შინაარსში გადმოცემული იყო მხოლოდ და მხოლოდ დაზარალებულის ჩვენება.

ნაშრომის ავტორის მოსაზრებით, განსხვავებული ვითარება მოცემულ საქმეში იმ შემთხვევაში შეიქმნებოდა, თუკი: დაზარალებულის გამოკითხვის ოქმი არსებითი განხილვის სხდომაზე კანონით დადგენილი წესით საჯაროდ იქნებოდა წაკითხული⁶⁴ (ვინაიდან, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი და დაზარალებულის ჩვენება არის ერთი წყაროდან მოპოვებული მტკიცებულება,⁶⁵ ამ შემთხვევაში მხოლოდ წერილობითი ფორმით შედარდებოდა ისინი ერთმანეთთან).

აგრეთვე, თუ დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის პირობებში, თავად საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის შინაარსს ექნებოდა განსხვავებული, უნიკალური ხასიათი, როგორც ეს გამოკვეთილი იყო ზემოაღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეებში.⁶⁶

მაგალითად, საგამოძიებო ექსპერიმენტის ფარგლებში აღმოჩენილი იქნებოდა რაიმე საგანი, დოკუმენტი, კვალი, თუ სხვა ობიექტი. ესე იგი, საგამოძიებო ექსპერიმენტში გამოიკვეთებოდა ჩვენებისგან დამოუკიდებელი მნიშვნელობის მატარებელი ინფორმაცია, რომლის რეალურობაც სწორედ მისი ჩატარების ფარგლებში შემოწმდებოდა;⁶⁷ ან შესაძლოა, საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების დროს, მითითებული ადგილიდან აღმოჩენილ კვალზე, შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნით დადასტურებულიყო ბრალდებულის კავშირი მოცემულ სისხლის სამართლის საქმესთან. მაგალითად, დაზარალებული აცხადებს, რომ ბრალდებულმა ფიზიკური შეურაცხყოფის დროს იგი კედელს მიაყრდნო, რაზეც მან სისხლის კვალი დატოვა. საგამოძიებო მოქმედების დროს მართალია, სისხლის კვალი პირდაპირი შეხედვით არ იკვეთება, თუმცა, ვინაიდან ქმედებიდან გარკვეული დროა გასული და გამორიცხული არაა კედლის ზედაპირ-

⁶³ ამ საკითხთან მიმართებით, იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს N455აპ-18 და N682აპ-21 გადაწყვეტილებები.

⁶⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09/10/2009, 243-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

⁶⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს N456აპ-21 გადაწყვეტილება.

⁶⁶ იგულისხმება მაგალითად: საქართველოს უზენაესი სასამართლოს N561აპ-15, N424აპ-16, N569აპ-22 გადაწყვეტილებები; სწორედ ამ საქმეებში აღწერილი საგამონაკლისო შემთხვევები მოჰყავს მაგალითად საქართველოს უზენაეს სასამართლოს N682აპ-21 გადაწყვეტილებაში.

⁶⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს N637აპ-21 და N682აპ-21 გადაწყვეტილებები.

ულად განმნდის ფაქტიც და ამასთან, დაზარალებული პირდაპირ უთითებს ადგილს, სადაც კედელზე იყო მიყრდნობილი, ექსპერტი შესაბამისი ნესის დაცვით აიღებს ნიმუშს, რომლის საფუძველზეც ჩატარებული შესაბამისი დასკვნით, დადასტურდება დაზარალებულის კედელთან შეხების ფაქტი.⁶⁸ მოცემულ ვითარებაში, ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებებს: მითითებულ კედელზე რამდენად ლოგიკურია კვალის ამოსვლა, მაგალითად, ხომ არ ცხოვრობს დაზარალებული იმავე სახლში, ზოგადად, ხშირად ხომ არ იმყოფებოდა იგი შემთხვევის ადგილზე და რა მიზნით, სხვა პირობებში რატომ უნდა შეხებოდა იგი კედელს და ა.შ.

შესაბამისად, ცალკე აღებული არგუმენტები, რომ: დაზარალებულთან ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი უდაოდ არის მიჩნეული და რომ სსსკ-ის 247-ე მუხლის პრივილეგიით დაზარალებული არ სარგებლობს, არ გულისხმობს, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტი უპირობოდ, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს პირის ერთ-ერთ გამამტყუნებელ მტკიცებულებად.

ამდენად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის ანალიზით, ცალსახად გამოიკვეთა, რომ რიგ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ გამამტყუნებელი განაჩენი შეცვალა გამამართლებით, ხოლო რიგ შემთხვევაში კი პირიქით, გამამართლებელი განაჩენი შეცვალა გამამტყუნებელი გადაწყვეტილებით, მათ შორის, იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ არამართებულად იყო შეფასებული საგამოძიებო ექსპერიმენტის გამოყენების შესაძლებლობანი, როდესაც ბრალდებული/მისი ახლო ნათესავი დაზარალებული უარს აცხადებდნენ სასამართლო სხდომაზე ჩვენების მიცემაზე.

ბრალდებულის მიერ დუმის უფლების გამოყენების შემთხვევაში შესამონმებელი გარემოებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით, ზემოთ უკვე იქნა მიმოხილული, რაც შეეხება დაზარალებულთან ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის შეფასებას, აქ ყურადღება უპირველესად შემდეგი სახის გარემოებებს უნდა მიექცეს:

- დაზარალებულის გამოკითხვის ოქმის სადაოობის პირობებში, არსებით სასამართლო სხდომაზე მოწმემ დაადასტურა ან უარყო თუ არა საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმში ასახული ფაქტობრივი გარემოებები;
- თავად საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის შინაარსი ეყრდნობა მხოლოდ დაზარალებულის ჩვენებას, თუ მასში იკვეთება აგრეთვე საქმისათვის მნიშვნელოვანი სხვა სახის ინფორმაცია (მაგალითად, დაზარალებულის მითითებით აღმოჩენილი კვალი), რომელმაც შეიძინა დამოუკიდებელი მნიშვნელობა, ვინაიდან არსებობს დამატებითი მტკიცებულება, რაც ადასტურებს დაზარალებულის მითითებით აღმოჩენილი გარემოების რეალურობას.

ზემოაღწერილი პირობები დაახლოებით მსგავსია ბრალდებულის მიერ დუმის უფლებით სარგებლობის შემთხვევაში შესაფასებელ გარემოებებთან (მიუხედავად იმისა, რომ სსსკ-ის 247-ე მუხლში დაზარალებული მოხსენიებული არ არის). აღნიშნული კი განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მოწმის ჩვენების სადაოობის შემთხვევაში, მან უშუალოდ უნდა დაადასტუროს ან უარყოს გამოძიების სტადიაზე მიწოდებული ინფორმაცია. ხოლო ჩვენების მიცემაზე უარის თქმის დროს, კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გარემოებები მართებულია შედარდეს იმ სისხლის სამართლის საქმეთა გარემოებებთან, რომლებშიც უზენაესმა სასამართლომ გამონაკლისის სახით საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი გამოიყენა, როგორც პირდაპირი სახის მტკიცებულება, ან პირიქით, მიიჩნია, რომ ამ მტკიცებულების გაზიარება მიზანშეუწონელი იყო.

⁶⁸ დაახლოებით მსგავსი ვითარება გამოკვეთილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს N231აპ-18 გადაწყვეტილებაში (თუმცა, მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებული არ იყო ბრალდებულის ახლო ნათესავი).

დასკვნა

ამდენად, არსებობს იმგვარი შემთხვევები, როდესაც, მაგალითად, საგამოძიებო ექსპერიმენტის ფარგლებში გამოსაკვლევი გარემოების აღდგენის შემდეგ, სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის სტადიაზე, ბრალდებული/დაზარალებული მონმე ჩვენების მიცემაზე აცხადებს უარს და შესაბამისად, აღარ ადასტურებს/უარყოფს გამოძიების ეტაპზე მიწოდებულ ინფორმაციას.

მიუხედავად იმისა, რომ სსსკ-ის 247-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე, მოცემული ფაქტორი სასამართლოს აღარ აძლევს შესაძლებლობას მტკიცებულებად გაიზიაროს ბრალდებულთან ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის ის ნაწილი, რომელიც გამოკითხვის ოქმში ასახულ ინფორმაციას ეფუძნება, აღნიშნული ავტომატურად არ გულისხმობს საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის სრულად გამოყენების შეუძლებლობას; როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებით დგინდება, მოცემულ სამართლებრივ ვითარებაში, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის მტკიცებულების სახით გაზიარების საკითხის გადასაწყვეტად, სსსკ-ის 247-ე მუხლის პირველი ნაწილის პირობების არსებობისას, დამატებით უნდა შემოწმდეს გარკვეული სახის გარემოებები, რის შემდეგაც, საგამონაკლისო ფორმით მისი რელევანტურ მტკიცებულებად მიჩნევა, დასაშვებია.

რაც შეეხება ბრალდებულის ახლო ნათესავის (როდესაც იგი დაზარალებულია) მიერ არსებითი განხილვის სხდომაზე ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შემთხვევას, მასთან ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის უდაოდ მიჩნევის პირობებშიც კი, უნდა გააანალიზდეს უშუალოდ ამ მტკიცებულების შინაარსი, კერძოდ, ეფუძნება იგი მხოლოდ გამოკითხვის ოქმში ასახულ ინფორმაციას, თუ მის მიღმა მითითებულია იმგვარ გარემოებაზეც, რომელიც უშუალოდ ამ საგამოძიებო ექსპერიმენტის მსვლელობის დროს მიეთითა და შემოწმდა.

ამდენად, ბრალდებულისა და დაზარალებულის მიერ არსებითი განხილვის სხდომაზე ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ზემოგანხილულ პრაქტიკაზე დაყრდნობით, უნდა გააანალიზდეს საგამოძიებო ექსპერიმენტის შინაარსი, თანდართული ფოტოსურათები, მის საფუძველზე ამოღებული საგნების, კვალის, ტვიფარის, ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის კავშირი მოცემულ სისხლის სამართლის საქმესთან და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა იქნეს გამოყენებული/გაზიარებული იგი ბრალდების რეალურობის დასადასტურებლად ან მის უარსაყოფად. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის შინაარსი მხოლოდ მონმის გამოკითხვის ოქმში მითითებულ ინფორმაციას ეფუძნება და ხსენებული მონმე სასამართლო სხდომაზე ჩვენების მიცემაზე აცხადებს უარს, მისი ბრალდების დამადასტურებელ მტკიცებულებად მიჩნევა, არამართებულია.⁶⁹

მაშასადამე, უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს რამდენიმე საგამონაკლისო შინაარსის მქონე განაჩენის საერთო ანალიზით გამოკვეთილი წინაპირობები, გარკვეულწილად ქმნიან ერთიან სახელმძღვანელო ბაზას, როგორც ბრალდებისა და დაცვის მხარისათვის, ისე საერთო სასამართლოებისათვის.

ამასთან, ნიშანდობლივია, რომ სისხლის სამართლის საქმეთა მრავალფეროვანი ბუნებიდან გამომდინარე, გამორიცხული არ არის, ხსენებული საგამონაკლისო შემთხვევები მომავალში შეიცვალოს/მეტად გაფართოვდეს.

⁶⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს N424აპ-22 გადაწყვეტილება.

ოჯახში ძალადობის ზომიერითი პრობლემატური საკითხი (შეღარებით სამართლებრივი ანალიზი)

თამარ მაზანაშვილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის სხდომის მდივანი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი.

შესავალი

სახელმწიფოს სამართალშემოქმედებითი პოლიტიკის სწორი კურსის შედეგი გახლავთ ოჯახური ძალადობის კრიმინალიზაცია.⁷⁰ ოჯახში ძალადობა ყველა საზოგადოების სამწუხარო რეალობას წარმოადგენს და მთელს მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული კომპლექსური პრობლემაა, რომელსაც სპეციფიკური ხასიათისა და სოციალური სამიშროების გათვალისწინებით, დამანგრეველი შედეგები მოყვება, არა მხოლოდ დაზარალებულისთვის, არამედ მთლიანად საზოგადოებისთვის.

თემის აქტუალობას ის გარემოება განსაზღვრავს, რომ ძალადობა თანამედროვე საზოგადოების გამოწვევად იქცა. ამიტომ აღნიშნული პრობლემის შესწავლა და განზოგადება საჭიროა, როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნულ დონეზე.⁷¹ მსოფლიოს მასშტაბით ქალთა დაახლოებით ერთი მესამედი (35%) ერთხელ მაინც ყოფილა პარტნიორის ან ყოფილი პარტნიორის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი.⁷² სტატისტიკა მეტად საგანგაშოს ხდის ოჯახში ძალადობას. 2020-2021 წლებში (სისხლისსამართლებრივი დევნის დანყების ჯამური რაოდენობა გახლავთ 5918) საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დანაშაული ოჯახში ძალადობა იყო.⁷³ ამ დანაშაულის მსხვერპლთა მნიშვნელოვან სეგმენტს, უმეტესწილად, სწორედ ქალები წარმოადგენდნენ.⁷⁴ კვლავაც პრობლემატურ საკითხად რჩება დანაშაულის ფარულობა. სტიგმისა თუ სხვა ფაქტორთა გამო, რიგ შემთხვევებში, ოჯახში ჩადენილი ძალადობა არ მჟღავნდება.

თემა განსაკუთრებულად აქტუალური გახდა ბოლო ორი წლის განმავლობაში განვითარებული მოვლენებმა. კერძოდ, ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში, საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. აღნიშნული, ერთი მხრივ, ვირუსის გავრცელების პრევენციას, მეორე მხრივ კი, უამრავი ადამიანის პოტენციურ მოძალადესთან ერთ სივრცეში იზოლირებას უკავშირდება. COVID-19-ის არსებობამდეც კი, ოჯახში ძალადობა ადამიანის უფლებების ერთ-ერთი ყველაზე აშკარა დარღვევას წარმოადგენდა. ბოლო პერიოდის განმავლობაში, 243 მილიონმა ქალმა და გოგონამ (15-49 წლის ასაკში) მთელს მსოფლიოში განიცადა პარტნიორის მხრიდან სექსუალური ან ფიზიკური ძალადობა.

⁷⁰ ხერხეულიძე ი., პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისთვის და საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის მიმოხილვა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, თბ., 2016, 265.

⁷¹ ივანიძე მ., ოჯახში ჩადენილი დანაშაული, გურამ ნაჭყებია – 75, საიუბილეო კრებული, 2016. 50.

⁷² World Health Organization, factsheet, violence against women, 29 ნოემბერი, 2017.

⁷³ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში (2020-2021 წლის მონაცემები).

⁷⁴ სახელმწიფო აუდიტის სამსახური, ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში – ოჯახში ძალადობისგან დაცვისა და პრევენციის მექანიზმები, 8 თებერვალი 2019, 9.

სტატიაში განხილული გახლავთ ოჯახში ძალადობასთან მიმართებით პრაქტიკაში არსებული ზოგიერთი პრობლემური საკითხი. ოჯახში ჩადენილი ფიზიკური ძალადობის კვალიფიკაციის პრობლემა, საერთო სასამართლოების არაერთგვაროვანი პრაქტიკა მტკიცებულებათა შეფასებისას, ოჯახში მოძალადის მიმართ გამოყენებული სასჯელის პროპორციულობა. თითოეული მათგანის სიღრმისეული გაანალიზება და სწორი დასკვნების გამოტანა უაღრესად მნიშვნელოვანია, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. სტატიის მიზანია, ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფის და საერთაშორისო სტანდარტებთან მოყვანის შესაძლებლობების გაანალიზება. ასევე, ზოგიერთი მონივნავე ქვეყნის საუკეთესო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, ეროვნული კანონმდებლობის დახვეწასთან მიმართებით რეკომენდაციების შეთავაზება.

1. ოჯახში ძალადობის რეგულირება საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით

1.1 ოჯახში ძალადობის ცალკე მუხლად რეგულირების აუცილებლობა

ჯანმრთელობის სანინაალმდეგო დანაშაულებს, 2012 წლის 12 ივნისის საქართველოს კანონით, დაემატა ოჯახში ძალადობა (სსკ-ის 126¹ მუხლი), რაც გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობას, სისტემატური შეურაცხყოფას, შანტაჟს ან დამცირებას, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი.⁷⁵ ამ დანაშაულის ამსრულებელია არა საერთო სუბიექტი, არამედ მხოლოდ ოჯახის ბრალუნარიანი წევრი, რომელიც პასუხისმგებლობის ასაკსაა მიღწეული. ამდენად, როგორც ამსრულებელი, ისე მსხვერპლიც უნდა იყოს ოჯახის წევრი და არა სხვა პირი.⁷⁶ განსახილველი დანაშაულისგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანის (ოჯახის წევრის) ფიზიკური ჯანმრთელობა. ოჯახში ძალადობა შედეგიანი დელიქტია და მისი შემადგენლობისთვის აუცილებელია, რომ სუბიექტის ქმედებით დაზარალებულმა განიცადოს ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა.

აღნიშნული ნორმა თავის თავში ნაწილობრივ აერთიანებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დამოუკიდებელ დანაშაულთაგან რამდენიმეს, თუმცა, კანონპროექტის ავტორთა მოსაზრებით, ნორმის ერთ მუხლად ჩამოყალიბებას ხელი უნდა შეეწყოს გამოვლენილ დანაშაულზე ადეკვატური რეაგირებისათვის.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს, ზოგადად, ახასიათებს დე-გენდერული ჩარჩო, მათ შორის, ოჯახური ძალადობის აღწერისას. შესაბამისად, კანონმდებლობის მიხედვით, არც მსხვერპლს და არც მოძალადეს არ გააჩნია სქესი და გენდერი.⁷⁷ აღნიშნული შესაძლოა აიხსნას სახელმწიფოს მხრიდან პირთა თანასწორუფლებიანობის დაცვის სურვილით, თუმცა, ისეთი სენსიტიური საკითხის მიმართ, როგორც ოჯახში ძალადობა და იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული დანაშაული უმეტესად მჭიდრო კავშირშია სქესთა შორის დისბალანსთან და დისკრიმინაციულ მიდგომებთან, შესაძლოა, დასაფიქრებელი იყოს რაიმე სახით მეტად მონყვლადი ჯგუფების, მათ შორის, ქალებისა და გოგონების მიმართ განხორციელებული ძალადობისათვის პასუხისმგებლობის გამკაცრება.

⁷⁵ სახელმწიფო აუდიტის სამსახური, ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში – ოჯახში ძალადობისგან დაცვისა და პრევენციის მექანიზმები, 8 თებერვალი 2019, 265.

⁷⁶ ლეკვიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I, თბ., 2019, 171.

⁷⁷ ჭაბუკიანი ნ., ჯიბლაძე გ., უბილავა ნ., საქართველოში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის ანალიზი, თბ., 2014, 19.

1.2. ოჯახში ძალადობასთან მიმართებით ზოგიერთი პრობლემატური საკითხი

1.2.1 ოჯახში ჩადენილი ფიზიკური ძალადობის კვალიფიკაციის პრობლემა

სსკ-ის 126¹ მუხლის დისპოზიციის განმარტებისას ხშირია გარკვეული სახის აზრთა სხვადასხვაობა. მოცემული მუხლით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომა დაკავშირებულია მოძალადის მხრიდან განხორციელებულ ფიზიკურ ან ფსიქიკურ ძალადობასთან. ამასთანავე, მნიშვნელოვანია დავადგინოთ მუხლის დისპოზიციის ნახსენები „სისტემატურობის“ მნიშვნელობა. აღნიშნული საკითხი საგულისხმოა ქმედების სწორი კვალიფიკაციისთვის.

პრობლემის უკეთ წარმოსაჩენად მოვიყვანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან. კ. მეუღლეს – ბ.-ს წლების განმავლობაში ავიწროებდა გენდერის ნიშნით, კერძოდ, მიმართავდა, რომ ის იყო ქალი და უფლებო, მათ შორის, არ ჰქონდა მუშაობის უფლება და უნდა ყოფილიყო სახლში. ასევე, თანაცხოვრების პერიოდში ა. სისტემატურად ძალადობდა მეუღლეზე. კერძოდ, 2017 წლის ნოემბერში, არასრულწლოვანი შვილის – გ.-ს თანდასწრებით, მეუღლეს ხელი რამდენჯერმე დაარტყა სახის არეში, ხელი ნაუჭირა ყელის არეში და ითრია თმებით, რის შედეგადაც ბ.-მ განიცადა ძლიერი ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა.

2018 წლის 29 მაისს, ა. მეუღლეს – ბ.-ს არასრულწლოვანი შვილის – გ.-ს თანდასწრებით მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, რის შედეგადაც ბ.-მ განიცადა ძლიერი ფიზიკური ტკივილი. 2018 წლის 1 ივნისს, ა. მეუღლეს გ.-ს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, რის შედეგადაც გ.-მა განიცადა ძლიერი ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა. ამის გამო ა.-ს წარედგინა ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹, 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ა.-ს მიერ ჩადენილი იყო ოჯახში ძალადობა. სასამართლო არ დაეთანხმა ბრალდებულის მიერ ჩადენილი ქმედებების კვალიფიკაციას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹, 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტით, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლით გათვალისწინებული ძალადობა მოიცავს როგორც ერთჯერადად განხორციელებულ ძალადობას, ისე სისტემატურად განხორციელებულ ძალადობასაც. მაგალითად, თუ ქმარმა ერთჯერადად იძალადა მეუღლეზე, მისი ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 126¹ მუხლით. ასევე, თუ ქმარი სისტემატურად ძალადობს მეუღლეზე, მისი ქმედება ასევე დაკვალიფიცირდება 126¹ მუხლით, ოღონდ არა ცალ-ცალკე ეპიზოდებად, არამედ ერთიან დანაშაულად, რადგან სსკ-ის 126¹ მუხლით გათვალისწინებული ძალადობა მოიცავს, მათ შორის, სისტემატურად განხორციელებულ ძალადობრივ აქტებსაც, სასამართლოს შეფასებით, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ ერთჯერადად განხორციელებული ძალადობა ამ მუხლით ისჯება, ხოლო მრავალჯერ განხორციელებული ძალადობა კი არა, რაც არასწორი იქნება. სისტემატურად განხორციელებული ძალადობა ოჯახის წევრის მიმართ უნდა დაკვალიფიცირდეს სპეციალური მუხლით – სსკ-ის 126¹ მუხლით და არა სსკ-ის 11¹, 126-ე მუხლის 1² ნაწილით, ვინაიდან მხოლოდ სისტემატურობის გამო ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული ძალადობის დაკვალიფიცირება არასპეციალური მუხლით – სსკ-ის 11¹, 126-ე მუხლის 1² ნაწილით არასწორი იქნება.

ამ არგუმენტზე დაყრდნობით ა.-ს ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹, 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე და ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2018 წლის 22 ივნისამდე მოქმედი რედაქციით) და სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა.⁷⁸

⁷⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 5 სექტემბრის განაჩენი, საქმის №1/3083-18.

სააპელაციო პალატა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის აღნიშნულ მსჯელობას არ დაეთანხმა. პალატა მიუთითებს, რომ კანონმდებელმა საქართველოს სსკ-ის 126¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულად და შესაბამისად, დასჯად ქმედებებად გამოაცხადა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი და დამცირება, რამაც უნდა გამოიწვიოს ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა. აღნიშნული მუხლის დისპოზიციის საკანონმდებლო კონსტრუქციის მიხედვით, ნათლად ჩანს, რომ ქმედების სისტემატურობასთან დაკავშირებით, კანონმდებელმა აქცენტი გააკეთა მხოლოდ შეურაცხყოფაზე, შანტაჟსა და დამცირებაზე და არა ძალადობაზე. ამდენად, დაუშვებელია ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სისტემატურად განხორციელებული ძალადობა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 126¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულად. რაც შეეხება მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულ ა.-ს მიერ მეუღლის მიმართ, არასრულწლოვნის თანდასწრებით, ჩადენილი ძალადობრივი ქმედებების სისტემატურობას, სააპელაციო პალატა არ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის დასკვნას მსჯავრდებულ ა.-ს მიერ მეუღლის მიმართ, არასრულწლოვნის თანდასწრებით ჩადენილი ძალადობრივი ქმედებების სისტემატურობასთან დაკავშირებით. სასამართლო განმარტავს, რომ სისტემატურობა უკავშირდება ძალადობის განხორციელებას გარკვეული სისტემატურობით, ანუ ქმედება მეორდება გამუდმებით, განუწყვეტლივ, რაც ქმნის გარკვეულ სისტემას. ამ თვალსაზრისით, გამეორება, ე.ი. მომდევნო ქმედება, მინიმუმ ორჯერ მაინც უნდა მოხდეს, ანუ მინიმუმ ჯამში სამჯერ მაინც, რათა გამოიკვეთოს სისტემატურობის ელემენტი და ცხადი გახდეს, რომ ძალადობას გააჩნია არაერთგზისი რეციდივი, ანუ მისი გამეორების ალბათობა გარკვეულ „სისტემას“ უკავშირდება და მუდმივად მოსალოდნელია. ამიტომ, წარმოუდგენელია, ძალადობა მივიჩნიოთ სისტემატურად, როდესაც ქმედებები დროის ინტერვალით იმდენად დამორებულია ერთმანეთისგან, რომ მათ შორის აღნიშნული სისტემური ჯაჭვი ქრება, რაც შეფასებითი ცნებაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მას სასამართლო ადგენს. შესაბამისად, სასამართლოს განმარტებით, სისტემატურობა სახეზეა მაშინ, როდესაც ძალადობრივ ქმედებებს შორის გასული დროის პერიოდი იმდენად მოკლეა, რომ პირველი ქმედებით მიყენებული ფიზიკური ტკივილი ან/და ფსიქიკური ტანჯვა ჯერაც არ გამქრალა და მას კვლავ განიცდის დაზარალებული, სწორედ ესაა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმარტებელი ინდიკატორი სისტემატურობის შესაფასებლად. მოცემულ შემთხვევაში, ა.-ს ბრალად ედებოდა მეუღლის მიმართ სამი ძალადობრივი ქმედების ჩადენა, რომელთაგან პირველი განხორციელდა 2017 წლის ნოემბერში, მეორე – 2018 წლის 29 მაისს, ხოლო მესამე – იმავე წლის 1 ივნისს. საქართველოს სსკ-ის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. აღნიშნული წესის გათვალისწინებით, თუ მივიჩნევთ, რომ პირველი ქმედება განხორციელდა 2017 წლის ნოემბერში, ხოლო მეორე – 2018 წლის 29 მაისს, გამოდის, რომ პირველი ძალადობრივი ქმედებიდან მეორე ქმედებამდე გასულია თითქმის 6 თვე. სასამართლოს შეფასებით, ეს იმდენად ხანგრძლივი პერიოდია, რომ პირველ შემთხვევაში განხორციელებული ძალადობრივი ქმედების ხასიათისა და ხერხის გათვალისწინებით, წარმოუდგენელია განცდილი ფიზიკური ტკივილი ამ ხნის განმავლობაში იმ ინტენსივობით შენარჩუნებულიყო, რომ მას სისტემატური ძალადობისთვის დამახასიათებელი ელფერი შეეძინა. შესაბამისად, ა.-ს მიერ განხორციელებული ძალადობრივი ქმედებების სერიაში 2017 წლის ნოემბრის ეპიზოდი, სისტემურობის თვალსაზრისით, ამოვარდნილია და აღნიშნული ჯაჭვის ნაწილი ვერ გახდება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დანარჩენი ორი ქმედების სისტემატურობასთან მიმართებით, განხილვის საფუძველი აღარ არსებობს, რადგან ა.-ს მხრიდან ადგილი არ ჰქონია სისტემატურ ძალადობას, თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს, რომ მის მიერ

ბრალად წარდგენილი ქმედებები დანაშაულს არ წარმოადგენს.⁷⁹

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დილემის წინაშე დადგა თბილისის საქალაქო სასამართლო. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, ა.-ს, ბრალი დაედო ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებაში, რომელიც სიცოცხლისათვის სახიფათო არ არის, მაგრამ დაკავშირებულია ჯანმრთელობის ხანგრძლივ მოშლასთან. ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სისტემატურ ცემაში. ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სისტემატურ შეურაცხყოფაში და დამცირებაში, რამაც ტანჯვა გამოიწვია.

ა. ცხოვრობდა დედასთან – ბ.-თან ერთად. თანაცხოვრების პერიოდში, დაახლოებით 2017 წლის მარტიდან – 2017 წლის 8 სექტემბრის ჩათვლით, მას შემდეგ, რაც ა.-მ დაიწყო ალკოჰოლური სასმლის ხშირად მიღება, დედის მიმართ გახდა აგრესიული. იგი დედაზე ძალადობდა – სისტემატურად სცემდა მას. და მუდმივად ამყოფებდა სტრესისა და შიშის მდგომარეობაში, რის შედეგადაც დაზარალებული განიცდიდა ფიზიკურ ტკივილსა და ფსიქიკურ ტანჯვას.

თანაცხოვრების პერიოდში, 2017 წლის მარტიდან – 2017 წლის 4 ოქტომბრის ჩათვლით, სხვადასხვა მიზეზით, ხშირ შემთხვევაში კი საყოფაცხოვრებო საკითხებზე წარმოშობილი უთანხმოების ნიადაგზე, დედას – ფიზიკურ შეურაცხყოფასთან ერთად სისტემატურად ამცირებდა და აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, კერძოდ, უნმანური სიტყვებით აგინებდა და ლანძღავდა მას, რითაც დაზარალებული მუდმივად იმყოფებოდა სტრესისა და შიშის მდგომარეობაში და განიცდიდა ტანჯვას.

2017 წლის 4 ოქტომბერს, საღამოს საათებში, ა. დედასთან – ერთად იმყოფებოდა თავის საცხოვრებელ ბინაში, რა დროსაც საყოფაცხოვრებო საკითხებზე წარმოშობილი უთანხმოების ნიადაგზე, იძალადა მასზე. კერძოდ, ხელებისა და ფეხების სახისა და სხეულის სხვადასხვა ადგილას მრავალჯერადი დარტყმებით მიაყენა მრავლობითი დაზიანებები, მათ შორის, ზედა ყბის ძვლისა და მარჯვენა იდაყვის ძვლის მოტეხილობები, რითაც დაზარალებულს მიადგა ნაკლებად მძიმე დაზიანება, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 25 იანვრის განაჩენით ა.-ს წარდგენილი ბრალდება დანაშაულისთვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 11¹, 126-ე მუხლის 1² ნაწილით, როგორც ზედმეტად წარდგენილი, ამოერიცხა.

ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 11¹, 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით, ხოლო საქართველოს სსკ-ის 126¹ მუხლის 1-ლი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 6 თვით. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, ა.-ს დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 26 აპრილის განაჩენით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 25 იანვრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

პროკურორმა საკასაციო საჩივრით მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 26 აპრილის განაჩენში ცვლილების შეტანა და ა.-ს დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 11¹, 126-ე მუხლის 1² ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის.

მოცემულ შემთხვევაში, პროკურორმა განაჩენი გაასაჩივრა სასამართლოს მიერ დადგენილი კვალიფიკაციის ნაწილში და აღნიშნა, რომ ა.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებით დადგენილია ოჯახის წევრის მიმართ სისტემატური ცემისა და შეურაცხყოფის შემთხვევები, გამოკვეთილია დანაშაულთა ერთობლიობა და შესაბამისად,

⁷⁹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი, 19 ნოემბერი, 2018, საქმის N 18/1292-18.

სისტემატური შეურაცხყოფის ნაწილში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 126¹ მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო სისტემატური ცემის ნაწილში – საქართველოს სსკ-ის 11¹, 126-ე მუხლის 1² ნაწილით (სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა), რასაც საკასაციო პალატაც დაეთანხმა შემდეგ გარემოებათა გამო: ოჯახური დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება არა მხოლოდ სსკ-ის 126¹ მუხლით, არამედ მე-11¹ მუხლში აღნიშნული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით, 11¹ მუხლზე მითითებით. შესაბამისად, საკასაციო პალატა არ დაეთანხმა სასამართლოების მსჯელობას, რომლის თანახმად, ა.-ს საქართველოს სსკ-ის 11¹, 126-ე მუხლის 1² ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, როგორც ზედმეტად წარდგენილი, ამოერიცხა ბრალდებიდან, ვინაიდან საქმის ფაქტობრივი გარემოებებით დადგენილია, რომ ა. 2017 წლის მარტიდან – 2017 წლის 8 სექტემბრამდე პერიოდში სისტემატურად სცემდა დედას (საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1² ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა) და მისი ქმედება ამ ნაწილში უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 11¹, 126-ე მუხლის 1² ნაწილით.

საკითხის შეფასებისას საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1² ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, თავისი ხასიათისა და საშიშროების (საქართველოს სსკ-ის 126¹ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისგან განსხვავებით, სსკ-ის 126-ე მუხლის 1² ნაწილით გათვალისწინებული ქმედება დასჯადია იმ შემთხვევაშიც, თუ სისტემატურმა ცემამ ან ძალადობამ გამოიწვია ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანება) გათვალისწინებით, უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს, ვიდრე საქართველოს სსკ-ის 126¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რაც დამატებითი არგუმენტია იმისა, რომ საქართველოს სსკ-ის 126¹ მუხლის პირველ ნაწილში მითითებული ძალადობა არ მოიცავს სისტემატურ ძალადობასაც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 26 აპრილის განაჩენში შევიდა ცვლილება და ა.-ს ქმედება **სისტემატური** ცემის ნაწილში დაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 11¹, 126-ე მუხლის 1² ნაწილით. რაც შეეხება სასჯელს, პალატა მხედველობაში მიიღო საქართველოს სსკ-ის 53-ე და 39-ე მუხლების მოთხოვნები, კერძოდ, მსჯავრდებულის პიროვნულ მახასიათებლები, მისი წარსული ცხოვრება, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და ა.-ს საქართველოს სსკ-ის 11¹, 126-ე მუხლის 1² ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სამართლიანია და სრულად შეესაბამება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ სასჯელის მიზნებს.⁸⁰

1.2.2. საერთო სასამართლოების არაერთგვაროვანი პრაქტიკა ოჯახში ძალადობის საქმეებზე მტკიცებულებათა შეფასების და განაჩენის დადგენის კონტექსტში

სასამართლოსა და მხარეებს შორის ურთიერთობის ერთ-ერთი სახე წერილობითი ფორმით ურთიერთობაა. საკმარისი არ არის, რომ გადაწყვეტილება იყოს მხოლოდ კანონიერი. ამავდროულად, აუცილებელია, იგი იყოს დასაბუთებული და გასაგები ენით დაწერილი, რათა მხარეებმა, რომელთა სასარგებლოდ/საუარესოდ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, გაიგონ რა არგუმენტებზე დაყრდნობით მიიღო სასამართლომ კონკრეტული გადაწყვეტილება, მხარეთა რომელი მოსაზრებები გაითვალისწინა ან უარყო და რა გახდა დამდგარი შედეგის ძირითადი სამართლებრივი საფუძველი.⁸¹ სწორედ სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილების დასაბუთება გვაძლევს ანალიზისა და დაკვირვების შესაძლებლობას. საერთო სასამართლოებში

⁸⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 3 დეკემბერის განაჩენი, საქმე N355აპ-18.

⁸¹ თევზაძე ლ., დასაბუთებული განაჩენი, როგორც ჯეროვანი მართლმსაჯულების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი, *ჟ. მართლმსაჯულება და კანონი* №4 (60) 2018, 8.

ოჯახში ძალადობის საქმეთა განხილვისას ჩამოყალიბდა არაერთგვაროვანი პრაქტიკა, რომელიც შეეხება საქმეებზე მოსამართლის მხრიდან მტკიცებულებების შეფასებას და ხშირ შემთხვევაში, მხარეთათვის ბუნდოვანი რჩება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება. მოსამართლეთა მხრიდან, სისხლის სამართლის საქმეში ინდივიდუალურად ხორციელდება მტკიცებულებათა სტანდარტის განსაზღვრა, რის შემდგომაც, დამოუკიდებლად მიიღება გადაწყვეტილებები. განაჩენის დადგენისას, კონკრეტულ მტკიცებულებებს მოსამართლეთა ნაწილი მიიჩნევს საკმარისად, ხოლო მეორე ნაწილი – არასაკმარისად.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით გარანტირებულია ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება. ამავე კოდექსის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოწმედ დაკითხვის ვალდებულება არ ეკისრება ბრალდებულის ახლო ნათესავს.

ოჯახში ძალადობა უშუალოდ შეეხება თანაცხოვრებით ერთმანეთთან დაკავშირებულ პირებს, ატარებს ლოკალურ და ჩაკეტილ ხასიათს და მის წინააღმდეგ ბრძოლა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის არსებული საერთო პრაქტიკული გამოცდილებით ნაკლებ ეფექტურია.⁸² შესაბამისად, ოჯახში ძალადობის საქმეები ხასიათდება განსაკუთრებული სირთულით, კერძოდ, ოჯახში ძალადობის ფაქტს, ხშირ შემთხვევაში, არ ჰყავს შემსწრე პირი და ბრალდება ეფუძნება მხოლოდ დაზარალებულის და მისი ახლო ნათესავების ჩვენებებს, ხოლო აღნიშნული პირები ხშირ შემთხვევაში სარგებლობენ მათთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებით და არ აძლევენ სასამართლოს ახლო ნათესავის საწინააღმდეგო ჩვენებას. დაზარალებულს ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მრავალი, მათ შორის, ლოგიკური საფუძველი შეიძლება ჰქონდეს. მაგალითად, ა) შერიგების შესაძლებლობა, ხოლო ჩვენებამ კი, შესაძლებელია ცოლ-ქმრულ ურთიერთობას საფრთხე შეუქმნას; ბ) შიში ფინანსურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით; გ) ბავშვების კეთილდღეობაზე ფიქრი; დ) ოჯახის სხვა წევრების მხრიდან ზეწოლა, არ მისცეს ჩვენება; ე) კულტურული თუ რელიგიური შეხედულებები, რომლითაც დაგმობილია და ოჯახიდან განდევნას იწვევს მეუღლის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა; ვ) ძალადობის სისტემატურობიდან გამომდინარე, დაზარალებული მოწმის მიერ ძალადობის მსხვერპლად საკუთარი თავის აღქმის პრობლემა; ზ) მარტოობის შიში, ბრალდებულის მიმართ გრძნობა ან ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლო პროცესის შიში, ინფორმაციული ვაკუუმი, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მეორეული ვიქტიმიზაცია.⁸³

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ფაქიზი მიდგომით, შესაძლებლობის ფარგლებში, დაზარალებულის რეალური მოტივების გამოაშკარავება. მსხვერპლი ქალის უუნარობა, მიმართოს მართლმსაჯულებას ან/და ბოლომდე დაიცვას საკუთარი უფლებები, წარმოადგენს კომპლექსურ სოციალურ ფენომენს, რაც სამართლებრივ, ინსტიტუციურ, სტრუქტურულ, ეკონომიკურ და კულტურულ დონეზე არსებული უთანასწორობის, ხშირ შემთხვევაში, მათი კომბინაციის, შედეგია.⁸⁴

საკითხზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია განვიხილოთ სასამართლოს პრაქტიკა. კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 3 აგვისტოს განაჩენის საფუძველზე ა. გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში, სისხლის სამართლის საქმეში არსებობდა სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნები, სადაც დაფიქსირებული იყო ბრალდებულის ორი არასრულწლოვანი შვილი-

⁸² გოგიბერიძე გ., (რედ.), სახელმძღვანელო პოლიციის მუშაკთა ტრენინგებისათვის სასწავლო კურსისათვის თემაზე: „ოჯახში ძალადობა და მის წინააღმდეგ მოქმედი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით“, თბ., 2011, 7.

⁸³ Burton M., Evans R., and Sanders A., Are Special Measures for Vulnerable and Intimidated Witnesses Working? Evidence from the Criminal Justice Agencies, Home Of? ce Online Report 01/06 (Home Of?ce: London, 2006); Doak J., Victims' Rights, Human Rights and Criminal Justice: Reconceiving the Role of Third Parties (Hart Publishing: Oxford and Portland, 2008), 325.

⁸⁴ ხატიაშვილი გ., საქართველოს საერთო სასამართლოების მნიშვნელოვანი განმარტებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებზე, 2016-2018, თბ., 2019, 76-77.

სა და ცოლის დაზიანებები, ექსპერტიზის ჩატარებისას დაზარალებულთა მხრიდან ცალსახად დაფიქსირებულ იქნა ძალადობის განმასხვრციელებელი პირის ვინაობა, ამასთან, სასამართლო განხილვისას ექსპერტებმა დაადასტურეს მათ მიერ შედგენილი ექსპერტიზის დასკვნების სისწორე და განაცხადეს, რომ დაზიანებები ბრალდებულმა მიაყენა ოჯახის წევრებს. აღნიშნული არ იქნა გაზიარებული სასამართლოს მიერ, ა. გაამართლა წარდგენილ ბრალდებაში და სასამართლომ მიუთითა, რომ არ არსებობდა სისხლის სამართლის საქმეში პირდაპირი მტკიცებულება, ვინაიდან დაზარალებულებმა სასამართლო განხილვის ეტაპზე ისარგებლეს მათთვის მინიჭებული უფლებით და ოჯახის წევრის საწინააღმდეგოდ არ ისურვეს ჩვენების მიცემა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 26 ივლისის განაჩენით მიღებულ იქნა საპირისპირო გადანყვეტილება და მოძალადე პირი დამნაშავედ იქნა ცნობილი ცოლის მიმართ განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობაში. აღნიშნული საქმის გარემოებებიც გახლდათ მსგავსი. დაზარალებულმა და ბრალდებულის დედამ, რომლებიც იყვნენ თვითმხილველი მონშეები, სასამართლოში არ მისცეს ოჯახის წევრის საწინააღმდეგოდ ჩვენება. სასამართლოს წინაშე დარჩა ირიბი მტკიცებულებები – სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთა ჩვენებები, რომლებიც დაუყოვნებლივ მივიდნენ შემთხვევის ადგილზე და შეესწრნენ მხოლოდ სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტს. აღნიშნულ საქმეში არ მოიპოვებოდა სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა და არც სასწრაფო სამედიცინო შემონშეების ბარათი, რაც დადასტურებულად ასახავდა დაზარალებულის სხეულზე რაიმე ძალადობის ფაქტს. მიუხედავად დაზარალებულის და ბრალდებულის დედის პოზიციისა, სასამართლომ პირი დამნაშავედ ცნო ოჯახში ძალადობის ჩადენისათვის. ამავე განაჩენში სასამართლო აღნიშნავს, რომ – „სწორედ დაზარალებულისათვის მიყენებულმა ფიზიკურმა ტკივილმა და ტანჯვამ განაპირობა ის, რომ თავდაცვის მიზნით მსხვერპლმა და მოძალადისვე დედამ გამოიყენეს უკიდურესი საშუალება, – მიმართეს სამართალდამცავ ორგანოებს“. მოსამართლის გადანყვეტილების მართებულობის დასაბუთებისათვის შეიძლება აქვე აღინიშნოს – მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ირიბი ჩვენების გამოყენება გამამტყუნებელი განაჩენის და ბრალის დადგენილების დასაბუთებისათვის, ის აღნიშნავს, რომ ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება არსებობდეს ვითარება, როდესაც მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებელია ირიბი ჩვენების გამოყენება. მაგალითად, მონშე ან დაზარალებული დაშინებული ან არსებობს მისი, როგორც მონშის უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობა. მართლსაწინააღმდეგო ქმედებამ, მონშის დაშინებამ არ უნდა შეაფერხოს მართლმსაჯულების განხორციელება და სწორედ ამიტომ, გამონაკლის შემთხვევებში სასამართლო უფლებამოსილი უნდა იყოს შეაფასოს ირიბი ჩვენების დასაშვებობისა და მისი გამოყენების აუცილებლობა.⁸⁵

გორის რაიონული სასამართლოს გადანყვეტილების თანახმად, მოსამართლემ ბრალდებული დამნაშავედ ცნო ყველა წარდგენილ ბრალდებაში და, გარდა იმისა, რომ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად სქესზე დაფუძნებული დისკრიმინაცია და ძალადობის ჩადენის დროს დამნაშავის სიმთვრალე მიიჩნია, აგრეთვე არ გაიზიარა დაზარალებულის სანოტარო წესით დამონშეებული განცხადება ბრალდებულთან „შერიგებისა და მის მიმართ პრეტენზიის არქონის შესახებ“. სასამართლომ განმარტა: „აღნიშნული შეგვიძლია მხოლოდ ფორმალური ხასიათის დოკუმენტად მივიჩნიოთ, რომელიც მოტივირებულია საერთო შვილის მამის მიმართ გამოსატული მოჩვენებითი შემწყნარებლური პოზიციით. სასამართლოს აზრით, აღნიშნული დოკუმენტი არ ასახავს რეალობას და არ გამომდინარეობს არასრულწლოვნის საუკეთესო/ჭემ-მარიტი ინტერესებიდან. სასამართლო სარწმუნოდ ვერ მიიჩნევს დაზარალებულის პოზიციას იმის შესახებ, რომ იგი შეურიგდა მოძალადეს და მის მიმართ პრეტენზია არ გააჩნია, რამდენადაც საქმის მასალებით დასტურდება საწინააღმდეგო. იმ პირობებში, როდესაც დროის მცირე

⁸⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადანყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-36.

პერიოდში დაზარალებული ამხელს ბრალდებულს ძალადობაში (რამაც მსხვერპლი საბოლოოდ თვითმკვლელობის ცდამდე მიიყვანა), რასაც არ ჰქონდა ერთჯერადი ხასიათი, დაზარალებულის ამგვარი შემწყნარებლური პოზიცია ბრალდებულის მიმართ გამომდინარეობს საქართველოში დამკვიდრებული არასწორი დისკრიმინაციული სტერეოტიპებიდან და ადეკვატურად არ ასახავს შექმნილ ვითარებას“. სასამართლო აღნიშნავს, რომ, „მოცემულ შემთხვევაში, სახელმწიფომ ქალის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტებზე დროული რეაგირება მოახდინა, რითაც შეასრულა პოზიტიური ვალდებულება ოჯახში ძალადობის აღსაკვეთად ადეკვატური სისხლისსამართლებრივი მექანიზმების მყისიერი ამოქმედების თვალსაზრისით. სამართალდამცავი ორგანოების ამგვარმა დროულმა რეაგირებამ, საბოლოო ჯამში, უზრუნველყო ძალადობის მსხვერპლი ქალის სათანადო დაცვა და საქმეზე დროული, ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელება“.⁸⁶

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის პირველი მაისის №614აპ.-17 განაჩენის საფუძველზე გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 27 სექტემბრის გამამართლებელი განაჩენი და ა. დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში: ა.-მ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მეუღლეს. 2017 წლის 15 მაისის თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით ა. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ, აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 27 სექტემბრის განაჩენით. საკასაციო სასამართლო განაჩენის დასაბუთებისას საუბრობს არაერთ საერთაშორისო ხელშეკრულებაზე და მიუთითებს სახელმწიფოს განსაკუთრებულ როლს ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ვინაიდან, ოჯახში ძალადობა უმეტეს შემთხვევაში ხორციელდება დახურულ სივრცეში, სახლში, სადაც ობიექტურად ვერ იქნა სხვა გარეშე პირი, რომელმაც, შესაძლოა, სასამართლოს ან სამართალდამცავ ორგანოს მიაწოდოს საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია და დაეხმაროს სახელმწიფოს მტკიცებულებათა მოპოვებაში. ოჯახში ძალადობის საქმეებში, ხშირ შემთხვევაში, დაზარალებულის ჩვენებასთან ერთად სწორედ ირიბი მტკიცებულება გამოიყენება. დაცვის მხარე, სასამართლოში ხშირად იშველიებს ირიბი მტკიცებულების „არ გაზიარების“ საკითხს, ვინაიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების თანახმად, ირიბი ჩვენება ვერ აკმაყოფილებს უტყუარობის სტანდარტს და მხოლოდ ირიბი ჩვენება არ შეიძლება დაედოს საფუძველად გამამტყუნებელ განაჩენს. საგულისხმოა, რომ ხშირ შემთხვევაში სასამართლო პირდაპირ მტკიცებულებად იშველიებს იმ მოწმეთა ჩვენებებს, რომლებმაც უშუალოდ ნახეს დაზარალებული ძალადობის შემდეგ და რომელთაც უშუალოდ, პირველივე ჯერზე მოუყვა დაზარალებულმა მომხდარი ფაქტის შესახებ. 2018 წლის 21 ივნისის თბილისის საქალაქო სამართლოს განაჩენში სასამართლო აღნიშნავს, რომ ირიბი ხასიათის მტკიცებულებად არ უნდა იქნეს განხილული იმ მოწმეთა ჩვენები, რომლებსაც კონფლიქტის შემდგომ დაზარალებულმა უშუალოდ მოუყვა მასზე განხორციელებული ძალადობა, ამასთანავე, ნახეს დაზარალებულის ფიზიკური და ემოციური მდგომარეობა. ამდენად, როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილებაში, სასამართლოს მიდგომა ყველა ინსტანციის სასამართლოში უნდა იყოს მაქსიმალურად მიახლოებული ერთმანეთთან და იდენტური მტკიცებულებების საფუძველზე არ უნდა ხორციელდებოდეს რადიკალურად განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღება. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში ოჯახში ძალადობის დანაშაული განისაზღვრა, როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტული დანაშაული, რომელიც საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ ძალისხმევას.⁸⁷

⁸⁶ ხატიაშვილი გ., საქართველოს საერთო სასამართლოების მნიშვნელოვანი განმარტებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებზე, 2016-2018, თბ., 2019, 76-77.

⁸⁷ საქართველოს პროკურატურის სტრატეგია (2017-2021 წლები), 22-25.

მოსამართლემ განაჩინი უნდა გამოიტანოს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით. „გონივრულ ეჭვს მიღმა“ – არსობრივად ეს არის მოთხოვნა უტყუარობის და არა ალბათობის.⁸⁸ მოცემული მტკიცებულებითი სტანდარტი ნიშნავს იმას, რომ ობიექტურად დამკვირვებელ პირს სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებების შედეგად ცალკეული ფაქტების არსებობაში, ბრალდებულისათვის წარდგენილი ბრალდების ჭეშმარიტებაში და ამ უკანასკნელის ბრალეულობაში გონივრული ეჭვის საფუძველიც არ უნდა გააჩნდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერი ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ (ე.წ. ინ დუბლო პრო რეო-ს პრინციპი).⁸⁹ გადანყვეტილებების დასაბუთებისას, როდესაც დაზარალებული უარს აცხადებს ოჯახის წევრის მიმართ ჩვენების მიცემაზე, მოსამართლეთა ერთი ნაწილი უთითებს ბრალდებულის ინტერესების დაცვაზე, რომ არ მოხდეს მისი მსჯავრდება უსაფუძვლო ბრალდებაში, მხოლოდ ირიბი და არასაკმარისი მტკიცებულებების საფუძველზე, ხოლო მეორე ნაწილი ხაზს უსვამს ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოს განსაკუთრებულ როლს და ცდილობს, დაზარალებულის უარის მიუხედავად სისხლის სამართლის საქმეში დაეყრდნოს სხვა მტკიცებულებებს და ბრალდებული დამნაშავედ ცნოს ოჯახში ძალადობის განხორციელებაში. „ცალკეულ შემთხვევებში, ირიბი ჩვენება შესაძლოა იყოს ირიბი მტკიცებულება და ასევე, ირიბი ჩვენების შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლებელია იგი წარმოადგენდეს პირდაპირ მტკიცებულებასაც“.⁹⁰ ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ განხორციელდეს ერთიანი სტანდარტი სწორედაც ოჯახში ძალადობის საქმეებზე, ვინაიდან, უმეტეს შემთხვევაში, დაზარალებულთა მხრიდან ჩვენების მიცემაზე უარის თქმა სასამართლოში გამოწვეულია მოძალადის შიშით ან სიბრალულით, რომელიც გამომდინარეობს მსხვერპლისა და მოძალადის თანაცხოვრების კავშირით და მიჯაჭვულობით.

1.2.3. ოჯახში მოძალადის მიმართ გამოყენებული სასჯელის პროპორციულობა

სასჯელის შეფარდება წარმოადგენს პროცესის ყველა წინმდევნი ნაბიჯის კულმინაციას და ყველაზე მკაფიო გზას იმის საჩვენებლად, რომ საზოგადოებისთვის მიუღებელია ძალადობა და დამნაშავეს დაუსჯელობა.⁹¹ მოცემული პრობლემის გაანალიზების შემდეგ პასუხი გაეცემა შეკითხვას მიიღწევა თუ არა სასჯელის მიზნები ოჯახში ჩადენილ ძალადობის საქმეებზე. ამასთანავე, შემოწმდება ჰიპოთეზა ზრდის თუ არა ნაკლებად მკაცრი სასჯელი ოჯახში ძალადობის რეციდივის მაჩვენებელს. ამ საკითხთან მიმართებით სწორი კვლევა და პასუხის მოძიება მნიშვნელოვანია ოჯახში ძალადობის პრევენციის გრძელვადიან პერსპექტივაზე.

ოჯახში ძალადობის სანქციიდან გამომდინარე, იგი წარმოადგენს ნაკლებად მძიმე დანაშაულს, თუმცა, სანქცია კიდევ უფრო მსუბუქი იყო 2015 წლის 18 თებერვლის ცვლილებამდე. სანქციის გამკაცრების გადანყვეტილების მიღებას რთული ტესტის გავლა სჭირდება. უპირატესად ყურადღებას გავამახვილებ პროპორციულობაზე, როგორც კონსტიტუციური სამართლის მნიშვნელოვან პრინციპზე. სასჯელის პროპორციულობასთან მიმართებით, საგულისხმოა, შევხვით საზოგადოებრივი საჭიროების ცნებას, რომელიც ცვალებადია, რასაც განაპირობებს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მოცემულობების ცვალებადობა. რამდენადაც

⁸⁸ აქუბარდია ი., შეჯიბრებითობის ქართული მოდელის ზოგიერთი ასპექტი, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, 2/2016, 2016, 11.

⁸⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, 33.

⁹⁰ მალაკელიძე ლ., თუმანიშვილი გ., არაპირდაპირი (ირიბი) მტკიცებულებების მნიშვნელობა ქართული და საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით, ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“ 1(53), თბ., 2017, 31.

⁹¹ COE, Preventing and Combating Domestic Violence against Women, A learning resource for training law enforcement and justice officers, 2016, 51.

იცვლება სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მოცემულობა, შესაბამისად იცვლება მასზე დამოკიდებული საზოგადოებრივი აუცილებლობის გაგებაც.⁹²

აღნიშნული მუხლის სანქციის გამკაცრება და თავისუფლების აღკვეთის შემოტანა, შესაძლებელს ხდის, საჭიროების შემთხვევაში, პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა იქნეს გამოყენებული. ბოლო პერიოდში ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ პატიმრობა ხშირად გამოიყენება ოჯახში ძალადობის გამო ბრალდებულის მიმართ. ამ საკითხზე თბილისის სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე ერთმნიშვნელოვნად უმკაცრესი ღონისძიების გამოყენება არ არის ალტერნატივა ვითარების გამოსწორებისა და რომ მას შესაძლოა მძიმე შედეგიც მოჰყვეს თუ არა სხვა მსუბუქი ღონისძიების გათვალისწინება და გამოყენება, მით უფრო, რომ ოჯახური კონფლიქტისას ბრალდებულის საპატიმრო ადგილას ყოფნა არ აისახება ამ ოჯახის წევრების კეთილდღეობაზე. დანაშაულის პრევენცია უმრავლეს შემთხვევაში მიზანშეწონილია აღმოფხვრილ იქნას მსუბუქი ზომების გამოყენებით.⁹³ ბუნებრივია, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება უკიდურესი საშუალებაა, თუმცა, სასამართლოს მართებს სწორად გაიაზროს ოჯახში ძალადობის ერთმნიშვნელოვნად ნეგატიური მოქმედება დაზარალებულ პირზე, მით უფრო, როდესაც შემთხვევათა უმრავლესობაში მსხვერპლი ქალია, სასამართლომ უმჯობესია დანაშაული განიხილოს გენდერული დისკრიმინაციის ქრილში და ამგვარად მიუდგეს საკითხს.

მოსამართლეთა მხრიდან აღნიშნული დანაშაული ზოგჯერ ღმობიერ დამოკიდებულებას იმსახურებს. მართალია, ძირითად შემთხვევაში გამამტყუნებელი განაჩენი დგება, თუმცა, შეფარდებული სასჯელი გახლავთ ღმობიერი.⁹⁴ საინტერესოა, ის გარემოებები, რომელთა დაყრდნობითაც სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ ჩადენილი ძალადობის მიუხედავად არ უნდა ხდებოდეს პირის საზოგადოებისგან იზოლირება და მას უნდა დაენიშნოს სასჯელი, რომელიც ჩაეთვლება პირობითად. აქვე აღვნიშნავ, რომ სტატიის მიზანი არ გახლავთ სახელმწიფოს მიერ არჩეული ლიბერალური სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის კრიტიკა, მით უფრო, უპირობოდ საპატიმრო სასჯელის შეფარდება ოჯახში მოძალადის მიმართ, თუმცა, სტამბოლის კონვენციის ხელმოწერა საქართველოს ავალდებულებს, რომ ხელისუფლების ორგანოებმა ეფექტურად მოახდინონ ძალადობრივი აქტების პრევენცია, გამოძიება და დასჯა.

სასჯელის სიმკაცრესა თუ ღმობიერებაზე დილეტანტური აპელირება სისხლის სამართლის სფეროში დაუშვებელია, რამეთუ სასჯელის საკანონმდებლო საზღვრების დადგენას მრავალი კრიტერიუმი უდევს საფუძვლად. სასჯელის სამართლიანობა უნდა შეაფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით. დანიშნული სასჯელი უნდა იყოს მკაცრად პერსონალური, თანაზომიერი და პროპორციული მსჯავრდებულის პიროვნებასა და ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან. სასჯელის სამართლიანობის პრინციპს განამტკიცებს ასევე, სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილიც, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელის გამოყენებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს. ამასთანავე, სასჯელი მხოლოდ დანაშაულით გამონვეული უბრალო შედეგი როდია, მას წაეყენება მოთხოვნა, რომ დააკმაყოფილოს დაზარალებულის და საზოგადოების ინტერესებიც. ეს მხოლოდ სამართლიან სასჯელს შეუძლია. სასჯელის სამართლიანობა სასჯელის ბრალთან და დამნაშავის პიროვნებასთან შეუსაბამობის პირობებში, როგორც წესი, შეუძლებელია.⁹⁵

⁹² ცქიტიშვილი თ., სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016, 509.

⁹³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2016 წლის 11 ნოემბრის განჩინება, №1 გ/1722-16.

⁹⁴ ხატიაშვილი გ., ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეები, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ., 2017, 22.

⁹⁵ ცქიტიშვილი თ., სასჯელის ცნების საკითხისათვის, ირინა აქუბარდია – 60, საიუბილეო კრებული, თბ., 2020, 75.

საინტერესოა აღწევს თუ არა ამგვარი შემწყნარებლური დამოკიდებულება სასჯელის მიზნებს. ვინაიდან სტატია არ ითვალისწინებს სასჯელის მიზნების ფართოდ მიმოხილვას, ამასთანავე, მიმაჩნია რომ არასაპატიმრო სასჯელის გამოყენებისას სამართლიანობის აღდგენა და რესოციალიზაცია არ არის პრობლემატური, მხოლოდ ახალი დანაშაულის თავიდან აცილება იქნება ოჯახში ძალადობის კონტექსტში განხილული.

ახალი დანაშაულის თავიდან აცილება – ამ მიზნიდან გამომდინარე, სასჯელი უნდა განვიხილოთ როგორც საზოგადოების დაცვის ღონისძიება, რომელიც მონოდებულია, ზეგავლენა მოახდინოს არა მხოლოდ დამნაშავეზე, არამედ საზოგადოების სხვა წევრებზე, რადგანაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ისეთი სიმკაცრის სასჯელი უნდა დაინიშნოს, რომ მსჯავრდებულს დაეკარგოს მომავალში დანაშაულის ჩადენის სურვილი, ასევე დაშინდნენ სხვებიც და თავი შეიკავონ დანაშაულებრივი ქმედებებისაგან. ამ მიზანში უფრო მეტად სასჯელის პრაქტიკული დანიშნულების იდეაა აღიარებული და იგი გამომდინარეობს ცივილიზებული სახელმწიფოს ვალდებულებისაგან, თავიდან აიცილოს დანაშაული, სანამ იგი იმაზე ფიქრს დაიწყებს, თუ როგორ დასაჯოს დამნაშავე. სასჯელის მიზნის უტილიტარული გაგება გულისხმობს სასარგებლო შედეგის მიღებას, კერძოდ, დამნაშავის ან სხვათა მხრიდან მომავალში დანაშაულის ჩადენის შეზღუდვასა და შემცირებას.⁹⁶ მეცნიერთა უმრავლესობა ახალი დანაშაულის თავიდან აცილებაში ზოგად და სპეციალურ პრევენციას მოიაზრებს. სასჯელის ზოგადი და სპეციალური პრევენციული მიზნები გულისხმობს მათ შეგნებულ, გონივრულ და რაციონალურ გამოყენებას დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში მაქსიმალური ეფექტიანობის მისაღწევად.⁹⁷ დამნაშავისათვის სასჯელის შეფარდება ფსიქოლოგიურად აკავებს მას, კვლავ არ ჩაიდინოს დანაშაული, რაც ნიშნავს სპეციალური პრევენციის განხორციელებას. ზოგადი პრევენცია კი გულისხმობს სასჯელის უნარს, გავლენა მოახდინოს საზოგადოებაზე, რათა მათ თავი შეიკავონ დანაშაულის ჩადენისაგან.⁹⁸

სასჯელის ზოგადი პრევენცია იწყება კანონის გამოქვეყნების მომენტიდან და ხორციელდება, ასევე, კონკრეტული პირის მიმართ სასჯელის დანიშვნის დროსაც, რადგანაც მოსალოდნელი სასჯელის მუქარა აიძულებს საზოგადოებას, უარი თქვას დანაშაულის ჩადენაზე.⁹⁹ დავის საგანს წარმოადგენს არის თუ არა სასჯელის შეფარდების მიზანი გენერალური პრევენცია. თუკი ადამიანი მიზანია და არა საშუალება, დაუშვებელია სასჯელის შეფარდების მიზნად გენერალური პრევენცია განიხილებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსჯავრდებული იქცევა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის შიშველ ობიექტად, რაც მის ხელშეუვალ ადამიანურ ღირსებას დაარღვევს. მაშასადამე, გენერალური პრევენცია არ არის სასჯელის შეფარდების მიზანი. ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს სასჯელის მიზანი და სასჯელის შეფარდების მიზანი.¹⁰⁰

სასჯელის პირობითად დანიშვნის დროს სპეციალურ-პრევენციული თვალთახედვა მეტადაა გათვალისწინებული, ვიდრე გენერალურ-პრევენციული. სასჯელის პირობითად დანიშვნის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დამნაშავის პიროვნებას, მის წარსულს და სხვა ინდივიდუალურ გარემოებებს, რაც უფრო მეტად სპეციალურ პრევენციას აინტერესებს, ვიდრე გენერალურს.¹⁰¹

⁹⁶ ლეკვეიშვილი მ., სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4, თბ., 2014, 20.

⁹⁷ ლეკვეიშვილი მ., სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4, თბ., 2014, 20.

⁹⁸ დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013, 29.

⁹⁹ ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბ., 2016, 168.

¹⁰⁰ ცქიტიშვილი თ., სასჯელის შეფარდების საკითხისათვის, გურამ ნაჭყებია – 75, საიუბილეო კრებული, თბ., 2016.

¹⁰¹ ცქიტიშვილი თ., სასჯელის ცნების საკითხისათვის, ირინა აქუბარდია – 60, საიუბილეო კრებული, თბ., 2020, 94.

არასაპატიმრო სასჯელისა თუ პირობითი მსჯავრის გამოყენებისას საზოგადოება ხედავს, რომ მსჯავრდებული არავის მოუთავსებია სასჯელალსრულების დაწესებულებაში, რის გამოც ადამიანებში შეიძლება გაჩნდეს განცდა, რომ ღირს რომელიმე კონკრეტული ქმედების ჩადენა, რადგანაც სახელმწიფოს მხრიდან ამას არ მოსდევს მკაცრი რეაგირება. შესაბამისად, მოსალოდნელი სასჯელის გარდაუვლობის მუქარა საზოგადოებისათვის აქტუალობას კარგავს, ვინაიდან, მათი შეფასებით, პირი, ფაქტობრივად, დაუსჯელი დარჩა. ამ შემთხვევაში იგულისხმებიან საზოგადოების ის წევრები, რომლებსაც არანაირი შეხება არ ჰქონიათ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან, თუმცაღა, მონყვლად ჯგუფს განეკუთვნებიან. მათი ეჭვი დანაშაულის გამო მოსალოდნელი სასჯელის გარდაუვლობაში კონკრეტული ქმედებისკენ – კანონის დარღვევისკენ მიემართება. მოცემულ საკითხთან მიმართებით, სამართლიანად მიმაჩნია განვიხილო საწინააღმდეგო მოსაზრებებიც. მოვიშველიოთ საქართველოს სსკ-ის პირველი მუხლის მე-3 ნაწილი, სადაც განსაზღვრულია, რომ ამ კოდექსის მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პრევენციულობა უმნიშვნელოვანესია სანქციის განსაზღვრისას.

სპეციალურ პრევენციასთან მიმართებით, ცალსახად რადიკალური პოზიციის დაფიქსირება რთული იქნება. ერთი მხრივ, პიროვნების გამოსწორებას ნაკლებად მკაცრი სასჯელი უფრო იწვევს, ვიდრე – სამაგიეროს გადახდა და კანონის სრული სიმკაცრით ამოქმედება. მეორე მხრივ, საგულისხმოა ოჯახში ძალადობის სპეციფიკური ბუნება, ჩაკეტილი და არაერთჯერადი ხასიათი, დანაშაულის რეციდივის მაღალი მაჩვენებელი, რაც გვაფიქრებინებს, რომ სპეციალური პრევენციის მიზანი ჯეროვნად ვერ მიიღწევა.

სასამართლომ აუცილებლად უნდა გაამახვილოს ყურადღება რამდენად გულწრფელია მოძალადის სინანული წარდგენილი ბრალდების მიმართ, რამეთუ სასამართლო სხდომაზე ბრალდებულები ხშირად აპელირებენ აღიარებასა და სინანულზე, რაც, თავისთავად, სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებას წარმოადგენს. თუმცა, რეკომენდაციის თანახმად, სასამართლომ მოძალადის მხრიდან ქმედების აღიარება და მონანიება ავტომატურად არ უნდა განიხილოს შემამსუბუქებელ ფაქტორად. ასეთ დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბრალდებულის წარსული ან/და ძალადობრივი დამოკიდებულების განგრძობადი ხასიათი.¹⁰²

სასჯელის მიზანი დაზარალებულის დაკმაყოფილება და საზოგადოების დამშვიდებაც არის, მაგრამ სასჯელის პირობით დანიშვნაზე არ შეიძლება უარი ითქვას დაზარალებულის პერსონალური დაკმაყოფილების ინტერესიდან გამომდინარე. მაშინ, პირობითი მსჯავრის ინსტიტუტი დაკარგავს თავის ფუნქციას.

გამოჩენილი კრიმინოლოგების აზრით, სასჯელის და განსაკუთრებით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება ადამიანში იწვევს ტკივილს.¹⁰³ გამოსავალი ერთია, რაც შეიძლება ნაკლები ტკივილი იქნას მიყენებული. თუმცა, არ შეიძლება უგულებელვყოთ სისხლის სამართლის პოლიტიკა და მართლმსაჯულების თანმხლები პროცესები. ამასთანავე, ქმედების თანაზომიერი და პროპორციული სასჯელი, რომელიც ერთადერთი ბერკეტია სამართლიანობის აღდგენის თვალსაზრისით.

¹⁰² COE, Preventing and Combating Domestic Violence against Women, A learning resource for training law enforcement and justice officers, 2016, 61.

¹⁰³ კრისტი ნ., ტკივილის საზღვრები, სასჯელის როლი სასჯელალსრულების პოლიტიკაში, ქართულ-ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია, 2017, 7.

2. ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის მექანიზმები საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანაში

2.1. ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის ესპანური მოდელი

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული სტრატეგიის შემუშავების თვალსაზრისით, ესპანეთი წარმოადგენს ერთ-ერთ მონივრულ ქვეყანას. 2004 წელს, ქვეყანამ მიიღო კანონი გენდერული ნიშნით ძალადობისაგან კომპლექსური დაცვის შესახებ. კანონი ითვალისწინებს ძალადობის პრევენციისა და მართვის მიმართ მულტიდისციპლინურ მიდგომას, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება განათლებაზე, რეკლამირებასა და მედიის მიერ ძალადობის გაშუქებაზე და ამ კონტექსტში ღირსების და თანასწორუფლებიანობის პატივისცემის მოთხოვნაზე. გენდერული ნიშნით ძალადობის შესახებ ესპანეთის კანონმდებლობის მიხედვით, არაკანონიერია ნებისმიერი რეკლამა, სადაც ქალი წარმოჩენილია დამამცირებელ ან დისკრიმინაციულ კონტექსტში. კანონის მე-14 მუხლი, აგრეთვე, არეგულირებს მედიის მიერ ქალთა მიმართ ძალადობის გაშუქებას.¹⁰⁴

ესპანეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელება 2003 წლიდან დაიწყო.¹⁰⁵ ორგანული კანონი 38/2002, სისხლის სამართლის კოდექსის მნიშვნელოვანი მონაპოვარია, რომელიც საშუალებას იძლევა განხორციელდეს სწრაფი მართლმსაჯულება. კერძოდ, ის საშუალებას იძლევა ოჯახში ძალადობის საქმეების განხილვა მოხდეს დანაშაულიდან 15 დღის ვადაში.¹⁰⁶

ესპანეთის სამეფოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, ოჯახური ძალადობის სფეროში სისტემატური ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობა ადრე განსაზღვრული იყო 153-ე მუხლში, ახლა მისი სისტემატური ხასიათის დადასტურების შემთხვევაში წარმოადგენს 173.2 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულს, რომელიც მოქცეულია მორალური მთლიანობის წინააღმდეგ დანაშაულთა თავში. 13/2003 ორგანული კანონით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა განიცადა ცვლილება, კერძოდ, ნებადართულია წინასწარი პატიმრობის ღონისძიების მიღება იმ სახის დანაშაულებისთვის მაშინაც კი, თუ დანაშაული ისჯება ორ წელზე ნაკლები ვადით. პატიმრობა მიზანშეწონილია, როდესაც მისი მიზანია დაზარალებულის კანონიერი უფლებების წინააღმდეგ ახალი დანაშაულებრივი ქმედებების თავიდან აცილება.

ინტეგრალური აქტის მთავარი მიზანი გახლდათ ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე სპეციალიზებული სასამართლოების შექმნა. 2005 წლის 28 ივნისს, ინტეგრალური კანონის ამოქმედებით, შეიქმნა ქალთა მიმართ ძალადობის 17 ახალი სასამართლო.

ყველა მაგისტრატი სასამართლო ექსკლუზიურად სპეციალიზებულია გენდერთან დაკავშირებულ საკითხებზე. სასამართლოებს ჰყავთ ფსიქო-სოციალური გუნდი (ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკი) და დაზარალებულის დახმარების ოფისი, რომელიც აცნობებს მსხვერპლებს მათი უფლებების შესახებ და აფასებს დახმარების რისკებსა და საჭიროებებს. მნიშვნელოვანია მათ გაიგონ ძალადობის ციკლის განსაკუთრებული გარემოებები და ფსიქოლოგიური შედეგები მსხვერპლისა და მისი ოჯახისთვის, განსაკუთრებით ისეთ ჯგუფებში, როგორცაა მაღალი რისკის ან განსაკუთრებული მონყვლადობის კატეგორია.

დამცავი ორდერი, მოძალადის დაზარალებულთან კონტაქტის აკრძალვა, რომელიც მოი-

¹⁰⁴ ვრცლად იხ.: [http://noticias.juridicas.com/base_datos/Admin/ lo1- 2004.t1.html#c2](http://noticias.juridicas.com/base_datos/Admin/lo1-2004.t1.html#c2).

¹⁰⁵ The Organic Act 3/1989, on Criminal Code Review, punished the physical violence perpetrated on a regular basis on the spouse or on the common law relationship, on daughters and sons under parental custody, pupils, minors or disabled individuals under guardianship or custody (section 153). This legal regulation excluded most forms of domestic violence, especially psychological violence, which tends to be the initial manifestation of physical violence.

¹⁰⁶ როდესაც პოლიცია გარკვევს თუ ვინ არის დანაშაულის სავარაუდო ჩამდენი პირი, დააკავებს და უზრუნველყოს დაზარალებულის და მონმეების გამოძახებას. მაგისტრატი მოსამართლე უმოკლეს ვადაში განიხილავს საქმეს. თუ პირი თავს დამნაშავედ ცნობს, მაგისტრატი მოსამართლე გაასამართლებს, სხვა შემთხვევაში, სასამართლო განხილვა ჩატარდება თხუთმეტი დღის განმავლობაში.

ცავს. აკრძალვას მიუახლოვდეს მის საცხოვრებელ ადგილს, მის სამუშაო ან ნებისმიერ სხვა ადგილს, სადაც მსხვერპლი შეიძლება იმყოფებოდეს. დამატებითა და ძირითადად სანქციებმა მათი გამოყენების სირთულეების გამო დისკუსია გამოიწვია – ბევრ ქალს არ სურს პარტნიორთან ძალადობრივი ქმედების შემდეგ განშორება და დამატებითი სანქციის სავალდებულო ხასიათი, რომელიც მიმართულია ძალადობის ახალი ქმედებების თავიდან ასაცილებლად. შესაბამისად, გამოითქვა მოსაზრება, რომ სასამართლომ თითოეულ შემთხვევაში, ინდივიდუალურად უნდა შეაფასოს და გამოიყენოს ნებისმიერი სახის შეზღუდვა, მათ შორის, დამნაშავეებისთვის ცეცხლსასროლი იარაღის ფლობის აკრძალვა.¹⁰⁷

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო პროცესის მთავარი პრობლემა არის მეუღლის ან ყოფილი პარტნიორის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მუდმივი ტენდენცია. აღნიშნული დათქმა გათვალისწინებულია ესპანეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლით, ბრალდებულის ნათესავებმა შესაძლოა არ მისცენ ჩვენება ახლო ნათესავის წინააღმდეგ, რაც მიემართება ოჯახის ინსტიტუტის დაცვას.

ესპანეთის სხვადასხვა კომპეტენტურ ორგანოებში მუშავდება რეკომენდაციები როგორ აიცილონ ერთადერთი მტკიცებულების დაკარგვა. შესაბამისად მიაჩნიათ რომ ძალზედ მნიშვნელოვანია წინასწარი გამოძიების ფაზა. რეკომენდაციის თანახმად, პოლიციელმა უნდა გადაიღონ დაზარალებულის ჩვენება, გადაღებაში იგულისხმება როგორც ვიდეო კონფერენცია, ისე ვიდეო კამერით პირდაპირ გადაღება. ესპანეთის საკანონმდებლო ბაზა კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე და 731-ე მუხლები აღნიშნულის საშუალებას იძლევიან.

არსებობს მოსაზრება, რომ ოჯახში ძალადობის საქმეში არ უნდა იქნას გამოყენებული 416-ე მუხლით გათვალისწინებული შეღავათი, ვინაიდან ის არ მიემართება ოჯახის ღირსების დაცვის მიზანს.¹⁰⁸ ესპანელი კანონმდებელი ამგვარად არ ფიქრობდა 1882 წელს, როდესაც გაითვალისწინა ოჯახის წევრის ეს პრივილეგია. კანონმდებელი გულისხმობდა ისეთ სიტუაციას მაგალითად, რომელშიც ქალმა იცის, რომ მისმა ქმარმა ჩაიდინა თაღლითობა არ სურს ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა.

კიდევ ერთი მოსაზრების მიხედვით, დაზარალებულთან წინასწარი კონსულტაციის გავლის შემდგომ, როდესაც მას განუმარტავენ პროცედურებს, და თუ ის არსებით სხდომაზე უარს განაცხადებს ჩვენების მიცემაზე, შესაძლებელი უნდა იყოს მისი ჩვენების გამოქვეყნება. თუმცა, სადავოა, მაშინ ზოგადად პრივილეგიის არსიც. როგორც ვხედავთ ესპანეთშიც კი, რომელიც მიიჩნევა ერთ-ერთ წარმატებულ ქვეყნად ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის საკითხებში არსებობს გარკვეული სახის სირთულეები, რომელიც მედლის მხოლოდ ერთი მხარის შეფასებით ვერ გადაწყდება.¹⁰⁹

ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია პრევენციული ღონისძიებების დანერგვა. თანამედროვე მსოფლიოში პოლიციელის მიერ რისკის შეფასების

¹⁰⁷ Méndez Carmen de la Fuente, Spanish Legislation on Violence against Women: Challenges and Facts, Expert Group Meeting on good practices in legislation on violence against women United Nations Office at Vienna, Austria 26 to 28 May 2008, PP. 9-11.

¹⁰⁸ En este mismo sentido MAGRO SERVET entiende que incluso podría incurrirse en fraude de ley si se aplica no a los testigos sino a víctimas denunciante (Véase MAGRO SERVET, «La imposibilidad de conceder a las víctimas de violencia de género la dispensa de declarar contra sus agresores (artículo 416 LECrim): ¿es necesaria una reforma legal?», La Ley, (4), 2005, pp. 1701 y 1702). En contra, HURTADO YELO, «Se debe suprimir el art. 416 LECrim en los delitos de violencia de género?», La Ley Penal, (76), 2010, 43. Sostiene una posición intermedia MARTÍN RÍOS, quien entiende excesivo no aplicar el art. 416 LECrim a todos los testigos víctimas, por lo que es partidario de limitar su alcance a los casos en que fuera la única prueba (Véase MARTÍN RÍOS, «Reflexiones acerca de la negativa a declarar en juicio de la mujer víctima de violencia», Revista General de Derecho Procesal, (15), 2008, 5).

¹⁰⁹ Montoliu A. B., VÍCTIMA DE VIOLENCIA DE GÉNERO Y LA DISPENSA DEL ART. 416 LECRIM: EVOLUCIÓN JURISPRUDENCIAL, REVISTA DE DERECHO PENAL Y CRIMINOLOGÍA, 3.ª Época, N.º 19 (enero de 2018), 32-34.

სხვადასხვა მოდელი არსებობს. ერთ-ერთ წარმატებულ და საინტერესო მოდელს ესპანური მოდელი წარმოადგენს. აღნიშნული მოდელის მიხედვით,¹¹⁰ პოლიციის მიერ ძალადობის ფაქტის შეტყობინებისთანავე უნდა გაიხსნას ანკეტა. პოლიციელის მიერ რისკის შეფასებისას ინფორმაცია რამდენიმე კატეგორიად იყვება: პირველ მათგანში არის ინფორმაცია მსხვერპლის, მოძალადის, განუვლი დახმარების, მოწმის შესახებ. მეორე კატეგორიაში ძალადობის ფაქტის განმეორების ალბათობის შეფასება ხდება. მესამე კატეგორიაში კი განსაზღვრულია ძალადობის ფაქტის სიხშირე შემდეგი ფორმულირებით: დაბალი, საშუალო, მაღალი და ძალიან მაღალი. გარდა ამისა მიეთითება ძალადობის რომელი ფორმა თუ ფორმებია გამოყენებული თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში. მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ალგორითმული მეთოდით ხდება სისტემის მიერ რისკის ავტომატურად შეფასება. ძალიან მაღალი დონის არსებობისას, მსხვერპლის დაცვა იწყება პოლიციის განყოფილებიდანვე, ვინაიდან მაქსიმალურად იქნეს დაცული მსხვერპლი ნებისმიერი საშიშროებისგან. სწორედ ამიტომ მსხვერპლზე ხდება მუდმივი მეთვალყურეობის განწევა, ხოლო მოძალადეზე მუდმივი კონტროლი, რაც ხორციელდება მოძალადისთვის სამაჯურის გამოყენების გზით. მაღალი რისკის არსებობის შემთხვევაში პოლიციის მიერ ხდება მსხვერპლის მუდმივი მეთვალყურეობა სახლში, სამსახურში, სადაც მსხვერპლი იმყოფება.

მსხვერპლის დაცვა ხდება შესაბამისი, ადეკვატური მეთოდების გამოყენებით. საშუალო რისკის დონის არსებობისას, ძირითადად ხდება პოლიციის მიერ მსხვერპლის თავშესაფარში გადაყვანა. დაბალი რისკის არსებობისას პოლიციის მხრიდან მსხვერპლთან კონტაქტი ხორციელდება სატელეფონო ფორმით. რაც შეეხება, რისკი არ არის დონის შემთხვევას, პოლიციის მიერ მსხვერპლის დახმარება კონსულტაციის ფორმით შემოიფარგლება, სადაც მსხვერპლს მიწოდება შესაბამისი ინფორმაცია, თუ როგორ უნდა მოიქცეს მის მიმართ განხორციელებული ძალადობრივი ქმედების არსებობისას.¹¹¹ პოლიციის მიერ განსახორციელებელი ქმედების შემდეგ ეტაპს წარმოადგენს რისკის განვითარების შეფასება, სადაც უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს შესაბამისი ინდიკატორების შეფასება,¹¹² რომელთა შეფასება ხდება ორი მიმართულებით: მსხვერპლის და მოძალადის. აღნიშნული ინდიკატორები კონკრეტულადაა განსაზღვრული როგორც მსხვერპლის, ისე მოძალადის კუთხით.

აღსანიშნავია, რომ შემაკავებელი ორდერი მოძალადის მიმართ პოლიციის მიერ გამოიცემა სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში. შემაკავებელი ორდერის გამოწერა/არ გამოწერის თაობაზე გადაწყვეტილებას პოლიცია იღებს რისკის შეფასების კითხვარზე სავარაუდო მსხვერპლის მიერ გაცემულ პასუხებზე დაყრდნობით. რისკის შეფასების ეს ინსტრუმენტი გამოიყენება მხოლოდ შემაკავებელი ორდერის ნაწილში და არა გამოძიების დაწყება/არ დაწყების გადაწყვეტილების მისაღებად, იმ დროს როცა ბევრად უფრო მეტი კომპეტენციაა საჭირო გამოძიების დაწყება/არ დაწყების გადაწყვეტილების მისაღებად, ვიდრე ადმინისტრაციული აქტის-შემაკავებელი ორდერის გამოცემა/არ გამოცემისას.

ჩამოთვლილი რისკების შესამცირებლად ესპანეთის პენიტენციურ სისტემაში მოქმედებს მოძალადეებზე მორგებული პროგრამები, რომლებიც მიმართულია მათი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისაკენ. ამ პროგრამის წარმატებით განხორციელებაზე პასუხისმგებელია

¹¹⁰ მესხი. მ., „პოლიციის მიერ რისკის შეფასების მნიშვნელობა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევებისას, მოდელები და გამოცდილება ესპანეთის მაგალითზე“. ჟ. „პოლიცია და უსაფრთხოება“, N1, თბ., 2018, 8.

¹¹¹ მესხი. მ., „პოლიციის მიერ რისკის შეფასების მნიშვნელობა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევებისას, მოდელები და გამოცდილება ესპანეთის მაგალითზე“. ჟ. „პოლიცია და უსაფრთხოება“, N1, თბ., 2018, 10-11.

¹¹² მესხი. მ., „პოლიციის მიერ რისკის შეფასების მნიშვნელობა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევებისას, მოდელები და გამოცდილება ესპანეთის მაგალითზე“. ჟ. „პოლიცია და უსაფრთხოება“, N1, თბ., 2018, 10-11.

პენიტენციური დაწესებულების ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები და იურისტები. განსაკუთრებული როლი ფსიქოლოგებს ენიჭებათ. პროგრამის მიზანია, რომ მსჯავრდებულმა, პირველ რიგში, აღიაროს და გაითავისოს მის მიერ ჩადენილი დანაშაული, საბოლოო მიზანს კი წარმოადგენს მოძალადის ცნობიერების ამალღება ამ მიმართულებით, დანაშაულის განუმეორებლობა, ფსიქოლოგიურ დონეზე დამნაშავეს ცვლილება. ესპანეთში პროგრამას წარმატებით გადის მსჯავრდებულთა 70%. სტატისტიკის თანახმად, მოძალადეების 93%-მა, ვინც გაიარა პროგრამა, აღარ ჩაუდენიათ დანაშაული, ხოლო დარჩენილი 7% და 4%-მა გაიმეორა ოჯახური დანაშაული, ხოლო 3%-მა ჩაიდინა სხვა ტიპის დანაშაული. მსჯავრდებულებისათვის ამ პროგრამის გავლის მოტივაციას წარმოადგენს მათთვის შეფარდებული სასჯელის შემცირება ან/და უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა.¹¹³

2.2. ოჯახში ძალადობის საკანონმდებლო რეგულირება საერთო სამართლის რამდენიმე ქვეყანაში

საერთო სამართლის ქვეყნებში, გარდა მცირედი განსხვავებისა, კანონმდებლობა ითვალისწინებს მეუღლე მონმის მიერ ჩვენების მიცემის ვალდებულებას. კერძოდ, ზოგიერთ ქვეყანაში საკანონმდებლო ნორმა იმპერატიულად ადგენს მეუღლე მონმის მიერ ჩვენების მიცემის ვალდებულებას კონკრეტულ კატეგორიის დანაშაულებთან მიმართებით. ამ მხრივ, შედარებით განსხვავებულია კანადის კანონმდებლობა, რომელიც უფრო ზოგადი შინაარსისა და ჩვენების მიცემის ვალდებულებას აწესებს ნებისმიერი კატეგორიის დანაშაულთან მიმართებით. აქვე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ავსტრალიის ზოგიერთ შტატში დამკვიდრებულია დისკრეციული მიდგომა, რომლის თანახმადაც, მოსამართლე უფლებამოსილია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირებით, დაადგინოს მონმე მეუღლის მიერ ჩვენების მიცემის ან ამ ვალდებულებისგან გათავისუფლების საკითხი. შოტლანდიის სამართლებრივი სისტემა ეფუძნება შეჯიბრებითობის პრინციპს, პროკურატურის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების დისკრეციულ უფლებამოსილებას, ვიდრე სავალდებულო დანაშესს, რაც იმას ნიშნავს, რომ პროკურორებს შოტლანდიაში არ მოეთხოვებათ აღძრან სისხლის სამართლის საქმე, თუ არ მოიპოვება სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის დასამტკიცებლად საკმარისი მტკიცებულებები. შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პროკურორებს აქვთ დისკრეციული უფლებამოსილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე განსაზღვრონ საჯარო ინტერესი. აღსანიშნავია, რომ ოჯახური დანაშაულის შემთხვევაში სწორედ მსხვერპლია ბრალდების მხარის მთავარი მონმე.¹¹⁴ შესაბამისად, შოტლანდიის სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისა და ლიცენზირების 2010 წლის აქტის 86-ე ნაწილი¹¹⁵ ადგენს მეუღლის ან სამოქალაქო პარტნიორის მიერ ჩვენების მიცემის ვალდებულებას ოჯახში ძალადობის საქმეებში.

ევროპის საბჭოს წევრი უმრავლესი ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობა ზოგადად ითვალისწინებს ბრალდებულის მეუღლის ან მისი რეგისტრირებული პარტნიორის (ფინეთი, ნორვეგია, შვედეთი, შვეიცარია), ან იმ პირის უფლებას, რომელიც ბრალდებულთან ერთად ეწევა ერთიან საოჯახო მეურნეობას (ფინეთი, გერმანია, უნგრეთი, ლიტვა, ნორვეგია, თურქეთი, შვედეთი, უკრაინა, პოლონეთი, სლოვაკეთი, ანდორა) ისარგებლოს მონმის იმუნიტეტით და

¹¹³ ცაგარეიშვილი ს., ესპანური მოდელის თავისებურებები ოჯახში ძალადობის თემაზე და ამ კუთხით საქართველოში არსებული გამოწვევების გააზრება, <http://femicide.ge/geo/list/show/253-espanuri-modelis-taviseburebi-odjakhshi-dzaladobis-temaze-da-am-kutkhit-saqartveloshi-arsebuli-gamotsvevebis-gaazreba>

¹¹⁴ Michael C. Wutz, Evidentiary Barriers to Conviction in Cases of Domestic Violence: A Comparative Analysis of Scottish and German Criminal Procedure, 78.

¹¹⁵ Criminal Justice and Licensing (Scotland) Act 2010, <https://www.legislation.gov.uk/asp/2010/13/contents>

არ მისცეს ჩვენება. ამ შემთხვევაში გამონაკლისია საფრანგეთი და ლუქსემბურგი, სადაც ამგვარი პრივილეგია არ არსებობს და ჩვენების მიცემა სავალდებულოა ყველასთვის, ხოლო ბელგიაში, მალტასა და ნორვეგიაში ბრალდებულის მეუღლის ჩვენება ავტომატურად გამოირიცხება.¹¹⁶

დასკვნა

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები უტყუარად ასახავენ ქვეყანაში მდგარ გამოწვევებს. სისხლის სამართლის ნორმათა გამოყენების თვალსაზრისით პრაქტიკაში ვაწყდებით სირთულეებს. ეს უკავშირდება შესაბამისი მუხლის დისპოზიციის არასწორ განმარტებას, რასაც მოჰყვება არასწორი კვალიფიკაციით პირის მსჯავრდება, რაც თავისთავად საფრთხეს უქმნის სასჯელის მიზნების მიღწევას. ცალკე საკითხია სწორი კვალიფიკაციით და სასამართლოს მიერ არჩეული ტენდენციით გამოიყენოს არასაპატიმრო სასჯელი, მიიღწევა თუ არა სასჯელის მიზნები. შესაბამისი ლიტერატურის, ასევე ოჯახში ძალადობის რეციდივის მაჩვენებელთა გაანალიზებით მივედით დასკვნამდე, რომ არასაპატიმრო სასჯელის გამოყენებისას სამართლიანობის აღდგენა და რესოციალიზაცია არ არის პრობლემატური. რაც შეეხება დანაშაულის თავიდან აცილებას სპეციალური მიზნის მისაღწევად, პიროვნების გამოსასწორებლად, შესაძლოა, ნაკლებად მკაცრი სასჯელი უფრო მიზანშეწონილი იყოს, ვიდრე სამაგიეროს გადახდა, თუმცა, ოჯახში ძალადობის სპეციფიკური ბუნება და რეციდივის მაღალი მაჩვენებელი საპირისპიროს მეტყველებს. რაც შეეხება ზოგად პრევენციას, ის უფრო მეტად პრობლემატურია. მოძალადის მიმართ ზედმეტი ჰუმანურობისა და შეუსაბამოდ მსუბუქი სასჯელის დანიშვნამ, შესაძლოა საზოგადოებაში გამოიწვიოს დაუსჯელობის განცდა და ერთგვარი ნახალისებაც კი მოახდინოს.

სტატიაზე მუშაობისას გამოყენებული გახლდათ შედარებითი კვლევის მეთოდი, რათა საზღვარგარეთის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის ანალიზის შედეგად შემუშავებული ყოფილიყო რეკომენდაციები. შესაძარებლად არჩეული იქნა ესპანეთის სამეფო, სადაც ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობა მწვავე პრობლემას წარმოადგენს. წლების განმავლობაში, მათ მიერ შემუშავებული მეთოდები, დღეს საკმაოდ დამსახურებულად იკავებს მონინავე პოზიციებს და ბევრი განვითარებადი სახელმწიფოს მისაბაძი მოდელი გახლავთ. ესპანური მოდელის წარმატება არ გამომდინარეობს მხოლოდ და მხოლოდ მოძალადისადმი რადიკალური მიდგომებით. ზოგიერთ შემთხვევაში ქართული კანონმდებლობა მეტად მკაცრ დამოკიდებულებას იჩენს.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, შემაკავებელი ორდერი პოლიციის მიერ გამოიცემა ადმინისტრაციული აქტის სახით. შემაკავებელი ორდერის დარღვევისათვის ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ცვლილებებით განისაზღვრა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. საქართველოში მოძალადის მიმართ გამოცემული შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული პირობების შესრულება/არ შესრულების მონიტორინგის მექანიზმი უტოლდება ესპანეთში ზემოაღნიშნული საშუალო და დაბალი რისკის დონის დროს შემუშავებულ მექანიზმს. შესაბამისად, საქართველოში ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რისკის შეფასების, მართვისა და მონიტორინგის სრულყოფილი მექანიზმის არ არსებობა ამ ეტაპზე გამოწვევად რჩება და შესაბამისად მსხვერპლთა დაცვის ერთადერთ საშუალებად ჩვენს პრაქტიკაში გამოიყენება ბრალდებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება.

საგულისხმოა, მსხვერპლის მიერ ჩვენებაზე უარის თქმის შედეგად გამამართლებელ განაჩენთა სიმრავლე. ჩვენებაზე უარის თქმის ტენდენცია მხოლოდ ქართველ მსხვერპლს არ ახასიათებს. იგივე პრობლემის წინაშე დგას ესპანეთის სამეფოც, სადაც პირთა განსაზღვრულ წრეს უფლება აქვთ უარი თქვან ჩვენების მიცემაზე. მიმაჩნია, რომ აღნიშნული შეღავათი

¹¹⁶ ვან დერ ჰეიჯენი ნიდერლანდების წინააღმდეგ, Van Der Heijden v. The Netherlands [დიდი პალატა] (ნო.42857/05, §32-35, 3 აპრილი, 2012).

არ მიემართება ოჯახის ღირსების დაცვის მიზანს. შესაბამისად, მიზანშეწონილია, საერთო სამართლის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, სადაც მსხვერპლი ვერ სარგებლობს ჩვენებაზე უარის თქმის პრივილეგიით. ამასთანავე, შესაძლებელია მსხვერპლის ჩვენების ვედოკამერით გადაღება. მიზანშეწონილია, განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილებები, რითაც გამოძიების სტადიაზე შესაძლებელი გახდება ოჯახში ძალადობის საქმეზე დაზარალებულის/მონმის დაკითხვა მაგისტრატ მოსამართლესთან ბრალდების და დაცვის მხარეების მონაწილეობით და შესაბამისად, სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის სტადიაზე აღარ იქნება დაზარალებულის ხელმეორედ დაკითხვის საჭიროება. ოჯახის წევრებს შორის ჩადენილ დანაშაულებებზე სრულყოფილი გამოძიების ჩატარების მიზნით, საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად საგამოძიებო ორგანოებს უნდა მიეცეთ ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების უფლება.

საბოლოო ჯამში, კვლევის ფარგლებში გამოვლინდა არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ყურადღებას მოითხოვს. აშკარაა, რომ ოჯახში ძალადობა სახელმწიფოთა მხრიდან მაღალი ხარისხით ჩარევას მოითხოვს, შესაბამისად, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება გულმოდგინედ უნდა იქნას შესრულებული.

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანი ასპექტები

ზინიკო ქობალია

საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს პროკურორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი.

შესავალი

2006 წლის 25 ივლისს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი იქნა ცვლილება, რომელმაც ქართულ კანონმდებლობაში შემოიტანა მნიშვნელოვანი სიახლე, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტის სახით. აღნიშნული ცვლილება განაპირობა ანგლო-ამერიკულმა ზეგავლენამ, რომელმაც ჩაანაცვლა ქართულ სისხლის სამართალზე, მანამდე არსებული გერმანული სამართლის გავლენა.¹¹⁷

ზემოაღნიშნული სისხლისსამართლებრივი სიახლის საფუძველს ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენდა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მოთხოვნების შესრულება და საქართველოს ინტეგრაცია ერთიან ევროპულ სამართლებრივ სივრცეში. ცვლილება, ასევე, დასაბუთდა იმ გარემოებით, რომ იურიდიული პირები ჩართული იყვნენ მძიმე, ორგანიზებულ დანაშაულში და რიგ შემთხვევებში, ფაქტობრივად შეუძლებელი იყო დამნაშავე ფიზიკური პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება. გარდა ამისა, ხაზი გაესვა, რომ იურიდიული პირის მიმართ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ზომები არ იყო საკმარისად ეფექტიანი.¹¹⁸

აღსანიშნავია, რომ მეცნიერებს შექმნის დღიდან არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გააჩნიათ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიმართ, მათ შორის, მიიჩნევენ, რომ აღნიშნული ინსტიტუტის შემოღებამ **„განაპირობა კლასიკურ ინდივიდუალურ სისხლის სამართალში კოლექტიური პასუხისმგებლობის დაკანონება, სისხლის სამართლის ნორმის ადრესატად გამოცხადდა იურიდიული პირიც, რამაც გამოიწვია ბრალეული, პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპის უარყოფა“**.¹¹⁹ მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, მოცემულ შემთხვევაში, მძიმე დანაშაულთან ეფექტიანი ბრძოლის სურვილი და ქართული კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, აღმოჩნდა ის ძირითადი საფუძველი, რამაც განაპირობა ხსენებული ინსტიტუტის დამკვიდრება ქართულ კანონმდებლობაში.

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში, მნიშვნელოვნად გაიზარდა იურიდიული პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის სტატისტიკა, რაც მეტყველებს აღნიშნული ინსტიტუტის ეფექტიანობის გაზრდაზე. კერძოდ, საქართველოს პროკურატურის მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით, 2015-2021 წლებში, იურიდიული პირის მიმართ სისხლისსამართლებ-

¹¹⁷ ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, 621.

¹¹⁸ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, იხ. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/175073> {ბოლოს ნანახია 04.04.2022}.

¹¹⁹ ოხანაშვილი ა., იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (ქართული და ზოგიერთი უცხოური კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი, „სამართლის ჟურნალი“, N2, 2009, 184-185.

ბრივი დევნის ყოველწლიური სტატისტიკა გამოიყურება შემდეგი სახით: 2015 წელი – 1 პირი, 2016 წელი – 1 პირი, 2017 წელი – 0, 2018 წელი – 1, 2019 წელი – 2, 2020 წელი – 2, ხოლო, 2021 წელს – 18 პირი.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებში დევნის მხოლოდ ერთეული შემთხვევები იყო, 2021 წელს უკვე მნიშვნელოვნად არის გაზრდილი სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი. პრაქტიკის ზრდის პარალელურად, მნიშვნელოვანია აღნიშნული საკითხი უფრო ინტენსიურად დამუშავდეს მეცნიერულად, მოხდეს შესაბამისი სამართლებრივი გამოწვევების იდენტიფიცირება და ანალიზი. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ზრდა ასევე შეინიშნება სხვა არაერთ ქვეყანაში¹²⁰ და თავის მხრივ, მიზნად ისახავს დანაშაულზე რეაგირების გზით, ფინანსური სტაბილურობის განმტკიცებას და მათ შორის, ინვესტორთა ნდობის ამაღლებასაც, რაც, საერთო ჯამში, ხელს უწყობს კორპორაციათა მართვის მაღალი სტანდარტების დანერგვას.¹²¹

ეფექტიანი იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტის მნიშვნელობაზე მეტყველებს ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (Moneyval)¹²² მეხუთე რაუნდის შეფასების ანგარიში,¹²³ რომელშიც განისაზღვრა საქართველოში იურიდიული პირის ჩართულობის რისკები ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ნაწილში, FATF-ის¹²⁴ რეკომენდაციების შესაბამისად. ანგარიშის მიხედვით, 2018 წლის მდგომარეობით, რეგისტრირებულია 274 953 იურიდიული პირი და მათ შორის, არააქტიურია დაახლოებით 130 000. მათი უმრავლესობა რეგისტრირებულია, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომიტეტი, იურიდიულ პირებთან მიმართებაში ფულის გათეთრების ჩადენის რისკს აფასებს, როგორც საშუალო-მაღალს (Medium-high) და ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ შეფასების დროისთვის იურიდიული პირების მიმართ არ იყო საკმარისი რაოდენობის განაჩენები.

ასევე, მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას ევროპის საბჭოს „ვარშავის კონვენციის“ კომიტეტის 2021 წლის 19 ნოემბრის შეფასებას, რომლის მიხედვითაც საქართველოს მიერ „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ კონვენციის მოთხოვნების იმპლემენტაციის პროცესი იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით შეფასებულია დადებითად.

სტატიაში განხილულია ქართულ კანონმდებლობის მიხედვით, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტის შექმნის წინაპირობები, მათ შორის საერთაშორისო სამართლებრივი რეგულაციები, რამაც არსებითი გავლენა იქონია ხსენებულ პროცესებზე. გარდა ამისა, სტატია ასევე მოიცავს დანაშაულთა წრის და სასჯელები განხილვას იურიდიულ პირებთან მიმართებაში. მნიშვნელოვან ნაწილს ასევე წარმოადგენს იურიდიული პირის მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების თავისებურებები. ნაშრომის ძირითადი მიზანია იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ ქართული კანონმდებლობის კვლევა, განსაკუთრებით საერთაშორისო რეგულაციებთან შესაბამისობის ქრილში და არსებული საკანონმდებლო ხარვეზებისა და გამოწვევების ანალიზი.

¹²⁰ Clifford Chance, Corporate Criminal Liability, 2016, 5.

¹²¹ Polidori, Teobaldelli D., Corporate Criminal Liability and Optimal Firm Behavior: Internal Monitoring Versus Managerial Incentives, European Journal of Law & Economics, Springer, 2018, 252.

¹²² კომიტეტი მიზნად ისახავს ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების ეროვნული სისტემების შესაბამისობის შეფასებას, რა დროსაც ის იყენებს FATF-ის რეკომენდაციებსა და პრაქტიკას.

¹²³ Committee of Experts on the Evaluation of Anti-Money Laundering Measures and the Financing of Terrorism (MONEYVAL), Anti-money Laundering and Counter-terrorist Financing Measures, Fifth Round Mutual Evaluation Report, 2020, 81.

¹²⁴ Financial Action Task Force.

1. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტის შექმნის წინაპირობები

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, როდესაც დღის წესრიგში დადგა ნორმატიული ბაზის სრულყოფა და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის ფუნდამენტის შექმნა, იურიდიულმა წრემ ქართული კანონმდებლობის და ზოგადად სამართლის ბაზად აირჩია კონტინენტური სამართლის სისტემა. ფაქტობრივად, სისხლის სამართლის კოდექსი შექმნილია სწორედ კონტინენტური და გერმანული სამართლის პრინციპების საფუძველზე. შესაბამისად, ბუნებრივია, რომ ამ პერიოდში არ დამდგარა დღის წესრიგში, რომ ქართულ კანონმდებლობაში დაწესებულიყო იურიდიული პირის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა, რადგან ქართულ სისხლის სამართალში გაბატონებული იყო შეხედულება, რომ „**იურიდიული პირი არ შეიძლება წარმოადგენდეს დანაშაულის სუბიექტს, რადგან მისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება სისხლის სამართლის პრინციპებთან შეუსაბამოდ მიიჩნეოდა.**“¹²⁵ აღსანიშნავია, რომ იურიდიული პირის პასუხისმგებლობის ინსტიტუტი ჯერ კიდევ მე-18 საუკუნიდან იწყებს განვითარებას. აღნიშნულ პოზიციას თავიდანვე ჰყავდა მონინააღმდეგეები. სახელმწიფოთა ერთი ჯგუფი მიიჩნევს, რომ კორპორაციათა დასჯადობა, უბრალო ფიქციაა. ე.წ. „კოლექტიური პასუხისმგებლობა“ არღვევს სამართლის ფუნდამენტს – ინდივიდუალური შერაცხვის პრინციპს. იურიდიული პირისათვის დაწესებული სასჯელი მოქმედებს ხსენებულ კორპორაციაში დასაქმებულ თანამშრომლებზეც, რომელთა მონაწილეობა კონკრეტულ დანაშაულში არ დასტურდება და მათი ერთადერთი „დანაშაული“ მხოლოდ ამ ორგანიზაციაში საქმიანობაა. სწორედ ამ ფაქტორის გამო მიიჩნევა, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა შემოიფარგლებოდეს დანაშაულის უშუალო ამსრულებლების მიმართ, ვინც ხელმძღვანელობს ან პასუხისმგებელია კომპანიის საქმიანობაზე და ვისმა ქმედებებმაც გამოიწვია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დასჯადი ქმედება.¹²⁶ შესაბამისად, მეცნიერთა ნაწილი კატეგორიული წინააღმდეგია იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის და მიიჩნევა, რომ ეწინააღმდეგება რომაული სამართლის პრინციპს – *Societas Delinquerre Non Potest*-ს.¹²⁷

როგორც აღინიშნა, იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საკითხი თავდაპირველად ინგლისში გაჩნდა და შემდგომ გავრცელდა საერთო სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებში, ხოლო, აღნიშნული ინსტიტუტის ძირითად მონინააღმდეგედ დღემდე რჩება გერმანული სისტემის ქვეყნები, „**სადაც ინსტიტუციური თვალსაზრისით იურიდიული პირის წარმოშობის თაობაზე გერმანული სამართალმცოდნეობა სამ ძირითად თეორიას იცნობს: ფიქციის თეორია, რეალური კავშირის თეორია და მიზნობრივი ქონების თეორია.**“¹²⁸ უნდა აღინიშნოს, რომ ე.წ. რეალისტური თეორიის მიხედვით, „**ყურადღება უნდა გადავიტანოთ არა თვით იურიდიულ პირზე, როგორც უკვე შექმნილ შედეგზე, არამედ იურიდიული პირის შემქმნელ ფიზიკურ პირებზე, რომელთა რეალურობა ეჭვს არ იწვევს.**“¹²⁹ აღნიშნული თეორიები მნიშვნელოვანია, ვინაიდან იურიდიული პირის პასუხისმგებლობა პირდაპირ უკავშირდება იურიდიული პირის წარმოშობის თაობაზე არსებულ განმარტებებს. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის დროს მნიშვნელოვანია გუსტავ შვარცის პოზიცია, რომელიც მიიჩნევს, რომ იურიდიული პირის შესახებ ურთიერთსაწინააღმდეგო თეორიების შექმნის ფაქტი, ადასტურებს, იმ გარემოებას, რომ სამართლის სუბიექტის ცნება ყალბია. „**ამიტომ, შვარცი წინადადებას იძლევა სამართლის სუბიექტის ტერმინის**

¹²⁵ ტურავა მ., სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, „დანაშაულის მოძღვრება“, თბ., 2011, 617.

¹²⁶ ტურავა მ., სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, „დანაშაულის მოძღვრება“, თბ., 2011, 617-619

¹²⁷ ლეკვეიშვილი მ., და სხვები, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 1, თბ., 2006, 11.

¹²⁸ ბურდული ი., ეგნატაშვილი დ. და სხვები, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 1, თბ., 2017, 184-185.

¹²⁹ ნაჭყებია გ., და სხვები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ., 2012, 993.

მაგიერ იურისპრუდენციაში შემოვიღოთ „სამართლებრივი მიზნის“ ცნება“.¹³⁰

ცხადია, იურიდიული პირისთვის პასუხისმგებლობის საკითხის დაწესება არ იყო ნაკარნახევი ქვეყნების სურვილით სამართლის სისტემაში მოხდინათ რევოლუციური ცვლილებები და შემოეღოთ იმ პერიოდისათვის საკმაოდ ამბიციური ცვლილება კანონმდებლობაში, რომელსაც საუკუნეების შემდგომაც კვლავ ჰყავს მონინაალმდეგები. ამ ინსტიტუტის შემოღება განაპირობა საბაზრო ეკონომიკის განვითარებამ. განსაკუთრებით მომრავლდა კოლექტიური გაერთიანებები, ე.წ. კორპორაციები, რომლის გავლენა ქვეყნების ეკონომიკასა თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე დღითიდღე იზრდებოდა. შესაბამისად, იზრდებოდა ამ გაერთიანებების სახელით და სასარგებლოდ პასუხისმგებელი პირების მხრიდან ჩადენილი დანაშაულები, რაც ქმნიდა ეკოლოგიური და სხვაგვარი კატასტროფების გამოწვევის წინაპირობას. აღნიშნულის აცილების ერთადერთ საშუალებად ქვეყნებს სწორედ იურიდიული პირისათვის პასუხისმგებლობის დაწესება ესახებოდათ. ამოსავალი წერტილი იყო ის სარგებელი, რასაც აღნიშნული ინსტიტუტის შემოღებით ქვეყნები მიიღებდნენ, განმსაზღვრელი იყო სწორედ სარგებლიანობის პრინციპი, რომელიც დაუპირისპირდა სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს, თუმცა, სასწორის პინმა გადანონა სწორედ სარგებლიანობის სასარგებლოდ. ამ გადანყვეტილებით ფაქტობრივად სახელმწიფოებმა გამოხატეს თავისი დამოკიდებულება სამართლის მიმართ, რომ სამართალი უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფოს და საზოგადოების კეთილდღეობას და არა პირიქით – სახელმწიფოს განვითარება უნდა იყოს შებოჭილი სამართლის პრინციპებით.¹³¹ როგორც შემდგომმა მოვლენებმა და ამ ინსტიტუტის განვითარებამ ცხადყო, ასეთი ცვლილება აუცილებელი იყო, რადგან სისხლის სამართალს უნდა შეეზღუდა საზოგადოებრივი თანაცხოვრებისათვის სამომავლო საფრთხეები, რაც გამოიხატებოდა კოლექტიური ინტერესების დაცვით, ვინაიდან ხდებოდა მომხმარებელთა და საზოგადოების ინტერესთა იგნორირება. ამისათვის კი სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართლებრივი სანქციები არ აღმოჩნდა საკმარისი. განსაკუთრებით პრობლემურია პასუხისმგებელი პირის გამოვლენა დიდ კორპორაციებში, რომელიც სტრუქტურულად და ტერიტორიულად აერთიანებს რამოდენიმე სახელმწიფოს და ასეულობით თანამშრომელს. ასეთი კომპანიების მხრიდან მიყენებული ზიანი არის საკმაოდ მძიმე, თუმცა პასუხისმგებელი პირის და უშუალო ამსრულებლის გამოვლენა მოითხოვს დიდ დროს და რესურსს. ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელია დანაშაულის სათავეში მდგომი ინდივიდის გამორჩევა, თუმცა, ასეთი სანარმოები იმდენად მნიშვნელოვან ზარალს იწვევენ, რომ საზოგადოების რეაქციის ერთადერთ ეფექტიან საშუალებად გვევლინება მათი სისხლისსამართლებრივი წესით დასჯა, „რამაც გამოიწვია ბრალეული, პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპის უგულბე-
ლყოფა“.¹³² აღნიშნულიდან გამომდინარე, მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნება ეფუძნება „პრაგმატიზმის და მიზანშეწონილობის იდეას“ და შეუთავსებელია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგადთეორიულ იდეასთან.¹³³

იურიდიული პირის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სუბიექტად აღიარება და მისთვის პასუხისმგებლობის დაწესება, ერთი შეხედვით, ეწინააღმდეგება პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპს, რომლის თანახმადაც სამართლის სუბიექტი მხოლოდ ფიზიკური პირია და არ შეიძლება ვიმსჯელოთ კორპორაციაზე, როგორც სუბიექტზე, თუმცა, მეორე მხრივ, კოლექტიური გაერთიანება ხომ სწორედ ადამიანთა ერთობაა. ნებისმიერი ფორმის ორგანიზაციული წარმონაქმნი იმართება სწორედ ადამიანების, ფიზიკური პირების მიერ და შესა-

¹³⁰ გოკიელი ფ., „ცივილისტური შტუდიები მოგონებები“, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2017, 19.

¹³¹ ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, 622.

¹³² ოხანაშვილი ა., „იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (ქართული და ზოგიერთი უცხოური კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი), სამართლის ყურნალი, N2, 2009, 184-185.

¹³³ ლეკვეიშვილი მ., და სხვები, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 1, თბ., 2006, 16-17.

ბამისად, იურიდიული პირის პასუხისმგებლობა დგება სწორედ მასში დასაქმებული ფიზიკური პირის ქმედებებისათვის, „ანუ, უფრო ხატოვნად, იურიდიული პირი ფიზიკურ პირთა შემდგომი სამართლებრივი ემანაციაა“.¹³⁴

იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად დავობენ, თუ რომელი ტერმინი უნდა იქნეს გამოყენებული “იურიდიული პირის პასუხისმგებლობა” თუ “კორპორაციის დასჯადობა”? ხშირად იურიდიული პირისა და კორპორაციის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სინონიმებად არის მიჩნეული.¹³⁵

მიუხედავად აღნიშნულ საკითხზე არსებული რადიკალურად განსხვავებული პოზიციებისა და იურიდიულ ლიტერატურაში შემუშავებული სხვადასხვა თეორიებისა, ფაქტია, რომ თანამედროვე სამყაროში საკითხი იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ მეტად აქტუალურია. მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული პირისათვის შესაბამის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას დაკისრების საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა დღემდე გრძელდება. საბოლოო ჯამში, შესაძლებელია ითქვას, რომ მეტ-ნაკლებად ყველა თანხმდება, იმაზე, რომ ის სარგებელი, რაც ამ ინსტიტუტის შემოღებით მიიღეს ქვეყნებმა და ზოგადად, საზოგადოებამ, გაცილებით მეტია, ვიდრე ტრადიციული სამართლის პრინციპებისგან გადახვევა.

2. საერთაშორისო სამართლებრივი რეგულაციები

როგორც აღინიშნა, საქართველოც შეუერთდა იმ ქვეყნების რიცხვს, რომელთა სისხლის სამართლის კოდექსი აწესებს იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობას. საქართველოს პარლამენტის მიერ 2006 წლის 25 ივლისის კანონით მიღებული საკანონმდებლო ცვლილება შეეხო სისხლის სამართლის სუბიექტის ინსტიტუტს და შემოიღო – იურიდიული პირის პასუხისმგებლობა. ხსენებული კანონპროექტის განმარტებით ბარათში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესების მიზეზად მითითებულია იმ საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მოთხოვნების შესრულება, რომლის მონაწილეც არის საქართველო ან რომელთა ხელმოწერასაც და რატიფიცირებასაც აპირებს ქვეყანა.¹³⁶

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ცდილობს კანონმდებლობის და პრაქტიკის ჰარმონიზაციას საერთაშორისო რეგულაციებთან, მნიშვნელოვანია განხილული იქნას ძირითადი რეგულაციები, რომლებიც საერთო ჯამში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კანონშემოქმედებით პროცესებზე.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, ევროპის საბჭოს 1997 წლის 27 იანვრის „კორუფციის შესახებ სისხლის სამართლის კონვენცია“, რომლის რატიფიცირება მოხდა საქართველოს პარლამენტის მიერ 2006 წელს. კონვენციის მიზანს წარმოადგენს კორუფციულ და მასთან დაკავშირებულ დანაშაულებთან ბრძოლა, პრევენცია და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება.

კონვენცია განსაზღვრავს იურიდიული პირის პასუხისმგებლობას სარგებლის მიღების მიზნით, ქრთამის მიცემის, ზეგავლენით ვაჭრობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ჩადენისთვის. დანაშაული შესაძლებელია ჩადენილი იყოს ფიზიკური პირის მიერ, რომელსაც აქვს იურიდიული პირის წარმომადგენლობითი, მაკონტროლებელი ან გადანყვეტილების მიღ-

¹³⁴ გოკიელი ფ., „ცივილისტური შტუდიები მოგონებები“, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2017, 18.

¹³⁵ ოხანაშვილი ა., „იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (ქართული და ზოგიერთი უცხოური კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი), სამართლის ჟურნალი, N2, 2009, 183.

¹³⁶ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/175073_ბოლოს_ნანახია_04.04.2022.

ბის უფლებამოსილება და მოქმედებდა დამოუკიდებლად ან იურიდიული პირის სახელით.

კონვენციის თანახმად, იურიდიული პირის პასუხისმგებლობა უნდა დადგინდეს იმ შემთხვევაშიც, თუ ზემოხსენებული ფიზიკური პირის მიერ იურიდიული პირის სასარგებლოდ დანაშაულის ჩადენა გამოიწვია კონტროლის/ზედამხედველობის ნაკლებობამ.

გარდა ამისა, ხაზგასმულია, რომ იურიდიული პირის პასუხისმგებლობა არ გამორიცხავს ფიზიკური პირების პასუხისმგებლობას.

ევროსაბჭოს ხსენებული კონვენციის თანახმად, ყველა მხარემ უნდა უზრუნველყოს იურიდიული პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება, ეფექტიანი და სათანადო სისხლის ან არასისხლისამართლებრივი სასჯელების გამოყენება, მათ შორის ფულადი სახის.

ასევე, მნიშვნელოვან სამართლებრივ დოკუმენტს წარმოადგენს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1999 წლის 15 ნოემბრის კონვენცია „ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ“, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია 2002 წელს. კონვენციის მეხუთე მუხლის თანახმად, კონვენციის მონაწილე თითოეული სახელმწიფომ, კონვენციური დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში იურიდიულ პირებს უნდა დააკისროს სისხლის სამართლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სახის პასუხისმგებლობა. აღნიშნული, თავის მხრივ, არ ათავისუფლებს დანაშაულის ჩამდენ ფიზიკურ პირებს პირადი პასუხისმგებლობისაგან.

ხაზი უნდა გაესვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2000 წლის 15 ნოემბრის კონვენცია „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“, რომელიც რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2006 წელს. კონვენციის მიზანია, ხელი შეუწყოს თანამშრომლობას ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის პრევენციასა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. გაეროს ხსენებული კონვენციის თანახმად, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ იურიდიული პირების პასუხისმგებლობა დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერ მძიმე დანაშაულის და კონვენციით განსაზღვრული დანაშაულებში მონაწილეობისათვის. სამართლებრივი პრინციპების გათვალისწინებით, იურიდიული პირის პასუხისმგებლობა შეიძლება იყოს სისხლისამართლებრივი, სამოქალაქო სამართლებრივი ან ადმინისტრაციულ სამართლებრივი. იურიდიული პირის პასუხისმგებლობა არ გამორიცხავს ფიზიკური პირის პასუხისმგებლობას.

რაც შეეხება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2003 წლის 31 ოქტომბრის კონვენციას „კორუფციის წინააღმდეგ“, აღნიშნული დოკუმენტი რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2008 წელს. კონვენცია წარმოადგენს იურიდიული პირის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამართლებრივ დოკუმენტს. კონვენციის მიზანია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, კორუფციული დანაშაულების კრიმინალიზების, პრევენციული მექანიზმების და საერთაშორისო თანამშრომლობის გზით. კონვენცია წარმოადგენს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პირველ საერთაშორისო ინსტრუმენტს, რომელსაც აქვს სავალდებულო ძალა.¹³⁷ კონვენციის მიხედვით, კორუფციის წინააღმდეგ ეფექტიანი, პრევენციული ბრძოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბერკეტად სწორედ იურიდიული პირის პასუხისმგებლობა მოიაზრება.

რაც შეეხება ევროპის საბჭოს 2005 წლის 16 მაისის კონვენციას „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“, აღნიშნული რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2013 წელს. კონვენციის მიზანს წარმოადგენს ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების პრევენცია. ხსენებული აქტით გაფართოვდა იმავე საკითხზე ევროპის საბჭოს 1990 წლის 8 ნოემბრის კონვენციის ფარგლები.¹³⁸

კონვენციის თანახმად, მონაწილე ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ იურიდიული პირის პა-

¹³⁷ <https://www.unodc.org/unodc/en/corruption/uncac.html> {ბოლოს ნანახია 10.04.2022}.

¹³⁸ <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list?module=treaty-detail&treaty-num=198> {ბოლოს ნანახია 10.04.2022}.

სუბსიგებლობა ფულის გათეთრებასთან მიმართებაში, როდესაც დანაშაული ჩადენილია იურიდიული პირის სასარგებლოდ ფიზიკური პირის მიერ, რომელიც მოქმედებდა დამოუკიდებლად ან იურიდიული პირის სახელით.

აღსანიშნავია, რომ ევროპის საბჭოს „ვარშავის კონვენციის“ კომიტეტის 2021 წლის 19 ნოემბრის შეფასების მიხედვით, საქართველოს „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ კონვენციის მოთხოვნები იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით სრულად აქვს იმპლემენტირებული.¹³⁹

ასევე მნიშვნელოვან სამართლებრივ დოკუმენტს წარმოადგენს ევროპის საბჭოს 2005 წლის 16 მაისის კონვენცია „ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, რომლის მიზანს წარმოადგენს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა, პრევენციული ღონისძიებების გატარება, მსხვერპლთა დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება. კონვენციის 22-ე მუხლი ასევე განსაზღვრავს, რომ მხარეებმა უნდა უზრუნველყონ იურიდიული პირის პასუხისმგებლობა, რომლის სახე უნდა განისაზღვროს ქვეყნის სამართლებრივი პრინციპების შესაბამისად.

აღნიშვნის ღირსია ევროსაბჭოს 1988 წლის 20 ოქტომბრის N88 რეკომენდაცია, რომლის მიღების დროსაც მინისტრთა კომიტეტმა გაითვალისწინა მითითება, იმის შესახებ, რომ გაზრდილი იყო დანაშაულთა სტატისტიკა, რომელიც ჩადენილი იყო იურიდიულ პირთა სახელით და დიდ ზიანს აყენებდა საზოგადოებას. გარდა ამისა, ხაზგასმული იყო, რომ ხშირ შემთხვევაში, იურიდიული პირების რთული ორგანიზაციული სტრუქტურის გამო, რთული იყო დამნაშავე ფიზიკური პირის იდენტიფიცირება. რეკომენდაციასთან მიმართებაში, ახსნა-განმარტებით მემორანდუმში ასევე მითითებული იყო, რომ ძირითად პრობლემას წარმოადგენდა დავა იმის თაობაზე, შესაძლებელი იყო თუ არა იურიდიულ პირის ჰქონოდა განზრახვა, იმ სამართლებრივ სისტემებში, რომელშიც ბრალი პასუხისმგებლობის დაკისრების აუცილებელი წინაპირობაა.¹⁴⁰

შეჯამების სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ ზემოხსენებული აქტები მოითხოვენ პასუხისმგებლობის დაკისრებას იურიდიული პირისთვის, თუმცა, პასუხისმგებლობის სახე დამოკიდებულია ქვეყნის როგორც საკანონმდებლო მოწყობაზე, ისე პოლიტიკაზე. ეს სისხლისსამართლებრივი იქნება თუ არა, დამოკიდებულია ქვეყნის სამართლებრივ პოლიტიკაზე.¹⁴¹

ზემოაღნიშნული აქტებისგან განსხვავებით, 2001 წლის 11 დეკემბრის „ევროპის ფინანსური ინტერესების დაცვისა და ევროპული პროკურატურის შექმნის შესახებ მწვანე წიგნი“ პირდაპირ უთითებს, რომ თაღლითობის, აქტიური კორუფციის (ქრთამის მიცემის) და ფულის გათეთრების შემთხვევაში უნდა დადგეს, როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს, როგორც კომპანიის ხელმძღვანელის პირდაპირი ჩართულობა, ასევე, ის შემთხვევა, როდესაც დანაშაული გამოიწვია არასათანადო ზედამხედველობამ და ხელმძღვანელობამ.¹⁴²

Corpus Juris (CJF) (ფლორენციის რედაქცია, 1999), რომლის მიზანსაც ასევე წარმოადგენს ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დაცვა არეგულირებს მნიშვნელოვან სისხლისსამართლებრივ საკითხებს, მათ შორის ერთ-ერთ ეფექტიან ინსტრუმენტად მოიაზრებს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულმა დოკუ-

¹³⁹ <https://www.coe.int/en/web/portal/-/states-should-effectively-apply-corporate-liability-to-money-laundering-offences-war-sa-convention-report> {ბოლოს ნანახია 10.05.2022}.

¹⁴⁰ Liability of Enterprises for Offences, Recommendation No. R (88) 18 Adopted by the Committee of Ministers of the Council of Europe on 20 October 1988 and Explanatory Memorandum, Strasbourg, 1990, 10.

¹⁴¹ ოხანაშვილი ა., იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (ქართული და ზოგიერთი უცხოური კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი, „სამართლის ჟურნალი“, N2, 2009, 208.

¹⁴² Commission of the European Communities, Green paper on Criminal Law Protection of the Financial Interests of the Community and the Establishment of a European Prosecutor, 11.12.2001, Brussels, 40.

მენტმა მნიშვნელოვან გავლენა მოახდინა ევროპული სისხლის სამართლის წარმოშობასა და განვითარებას.¹⁴³

ყველა აქტი, რომელიც იქნა განხილული არის მიმართული ისეთი მძიმე დანაშაულების აღსაკვეთად, როგორცაა ტრეფიკინგი, ფულის გათეთრება, ტერორიზმი, კორუფცია და სხვა არაერთი მძიმე დანაშაული, რომელიც საფრთხეს უქმნის მსოფლიოში წესრიგს, ადამიანთა უსაფრთხოებას და სახელმწიფოთა ნორმალურ განვითარებას. აღნიშნული დანაშაულების გავრცელების ერთ-ერთი საფუძველი იყოს სწორედ მოძველებული მიდგომა, იმის შესახებ, რომ მხოლოდ ფიზიკური პირის მიმართ იყო შესაძლებელი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, რაც საკმაოდ კარგად გამოიყენა კრიმინალურმა სამყარომ და მრავალი სტრუქტურისგან შემდგარი კომპანიების გამოყენებით დაიწყო დანაშაულის ჩადენა. სწორედ ამგვარი საერთაშორისო აქტები გახდა საჭირო, რომ სახელმწიფოებს ეზრუნათ იურიდიული პირის პასუხისმგებლობის დანესებაზე და დაეწყოთ რეალური ზრუნვა საზოგადოების კეთილდღეობისათვის.

მნიშვნელოვანია, რომ ქართველმა კანონმდებელმა რეალურად შეაფასა სარგებელი, რაც ამ ინსტიტუტს ახასიათებდა და დაანესა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. აღნიშნული გადაწყვეტილება, იმ პერიოდისათვის, ნამდვილად იყო ქვეყნისთვის წინგადადგმული ნაბიჯი და წარმოადგენდა დეკლარირებულ პოზიციას იმის შესახებ. რომ საქართველოს არ სურს იყოს თავშესაფარი ისეთი მძიმე დანაშაულებისათვის, რომლებიც ზემოთხსენებულ საერთაშორისო აქტებში არის აღწერილი.

შეჯამების სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ ფაქტობრივად ყველა საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ბაზისს და ქმნის წესრიგს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების პროცესში, აწესებს იურიდიული პირის პასუხისმგებლობას და ხელშემკვრელ სახელმწიფოებსაც ავალდებულებს ამგვარი პასუხისმგებლობის დანესების თაობაზე. პირდაპირი მითითება იმის შესახებ, რომ ქვეყნებმა დაადგინონ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ არის არცერთ ზემოხსენებულ საერთაშორისო დოკუმენტში, რაც სავსებით ბუნებრივია, რადგან თანამედროვე სამყაროში წესრიგი დამყარებულია ურთიერთთანამშრომლობაზე, ერთმანეთის პატივისცემაზე და თანასწორობაზე. ამ შემთხვევაში, ამოსავალ წერტილს წარმოადგენს, რომ სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები იყოს ეფექტიანი და რეალურ შედეგზე ორიენტირებული, რომელიც შესაძლებლობას მისცემს, რომ გამოავლინოს და აღკვეთოს ის მძიმე დანაშაულები, რომელზეც ზემოხსენებულ კონვენციებშია საუბარი.

3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ

3.1. იურიდიული პირის, როგორც დანაშაულის სუბიექტის ცნება

როგორც უკვე აღინიშნა, იურიდიული პირის პასუხისმგებლობა განსაზღვრულია სსკ-ის 6¹ კარში. ამავე კოდექსის 107¹ მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ კოდექსის მიზნებისათვის იურიდიულ პირი ნიშნავს, როგორც სამეწარმეო, ისე არასამეწარმეო იურიდიულ პირს. კოდექსი დამატებით მითითებას იურიდიული პირის განსაზღვრების შესახებ არ აკეთებს, რაც ადასტურებს, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფარგლებში იურიდიული პირის განმარტებისთვის უნდა მივმართოთ კერძო სამართალს.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო

¹⁴³ შრამი ე., ევროკავშირის ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები: სამართლებრივი ჩარჩოები და ინსტიტუციები, ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო სამართალზე, 2019, 623.

პრაქტიკა იურიდიული პირის ადგილთან დაკავშირებით კერძო სამართალში. სამოქალაქო კოდექსების ნაწილი შეიცავს მხოლოდ ზოგად დებულებებს, ხოლო ნაწილი – სრულყოფილად ანესრიგებს აღნიშნულ საკითხს. მათ შორის, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი შეიცავს მხოლოდ ზოგად ნორმებს და ეხება არაკომერციულ იურიდიულ პირებს. სწორედ აღნიშნული პრაქტიკა იქნა გათვალისწინებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსში.¹⁴⁴

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლი ადგენს იურიდიული პირის ცნებას, რომლის თანახმადაც – იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.¹⁴⁵

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსხვავებს კერძო სამართლის და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს¹⁴⁶. და თავის მხრივ, კერძო სამართლის იურიდიულ პირებსაც ჰყოფს სამენარმეო და არასამენარმეო იურიდიულ პირებად.

როგორც უკვე აღინიშნა, არასამენარმეო იურიდიულ პირთა საქმიანობა რეგულირებულია სამოქალაქო კოდექსით, ხოლო, სამენარმეო იურიდიული პირთა საქმიანობა – „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით. ამ ორ სუბიექტს ერთმანეთისგან განასხვავებს მხოლოდ საქმიანობის მიზანი: თუკი კომერციული იურიდიული პირის საქმიანობის მიზანს მოგების მიღების მიზნით განხორციელებული მართლზომიერი, არაერთჯერადი, დამოუკიდებელი და ორგანიზებული საქმიანობა წარმოადგენს¹⁴⁷, ამგვარი საქმიანობა უცხოა არასამენარმეო იურიდიულ პირებთან მიმართებით¹⁴⁸.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი განსაზღვრავს, რომ მენარმე შესაძლებელია იყოს როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირი, თუმცა, სამენარმეო საქმიანობა მხოლოდ სამენარმეო საზოგადოების ან ინდივიდუალური მენარმის ფორმით შესაძლებელია განხორციელდეს. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. თავის მხრივ, როგორც უკვე აღინიშნა, საზოგადოების სამენარმეო ფორმებს წარმოადგენს: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, კოოპერატივი და სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, მათ შორის ყველაზე გავრცელებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კერძოდ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება – 238 056, სააქციო საზოგადოება 2042, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება – 2087, კომანდიტური საზოგადოება – 159, კოოპერატივი – 3 097.¹⁴⁹ ანგარიშის მიხედვით, აღნიშნულს განაპირობებს სხვა სამენარმეო იურიდიულ

¹⁴⁴ ზოიძე ბ., ვეროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., 2005, 227.

¹⁴⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 24, I ნაწილი, 1997.

¹⁴⁶ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად „საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, აგრეთვე, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას“.

¹⁴⁷ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი.

¹⁴⁸ არასამენარმეო იურიდიული პირი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამენარმეო საქმიანობას, ხოლო მსგავსი საქმიანობიდან მიღებული მოგება გამოყენებულ უნდა იქნას იურიდიული პირის მიზნების განხორციელებისათვის და დაუშვებელი ამ მოგების განაწილება დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე, ხელმძღვანელებსა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

¹⁴⁹ საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების ანგარიში, 2019, 49.

პირებთან შედარებით, მის შექმნასა და მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნების და ხარჯების სიმცირე.

პრაქტიკის ანალიზი ასევე ცხადყოფს, რომ ძირითად შემთხვევებში, სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიმართ, რომლებიც, ხშირად გამოყენებულია ფიქტიური შინაარსითაა წარმოდგენილი.

3.2. პასუხისმგებელი ფიზიკური პირის ქმედება ქმედება, როგორც იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საფუძველი

აღსანიშნავია, რომ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან მიმართებაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო სამართლებრივ აქტებთან და სტანდარტებთან. კერძოდ, კოდექსის 107¹ მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, იურიდიულ პირს პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ დანაშაულისთვის, რომელიც ჩადენილია პასუხისმგებელი პირის მიერ, იურიდიული პირის სახელით, ან მისი მემკვიდრით (გამოყენებით), ან/და მის სასარგებლოდ. აღნიშნული დათქმები, სხვა პირობებთან ერთად, ასევე გამომდინარეობს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შეზღუდვიდან.¹⁵⁰

„იურიდიული პირის სახელით“ დანაშაულის ჩადენა გულისხმობს შემთხვევას, როდესაც პასუხისმგებელი პირი სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ ქმედებას სჩადის არა საკუთარი სახელით, არამედ კომპანიის სახელით. ამ შემთხვევაში, ყველა უკანონო აქტიური თუ პასიური ქმედება სწორედ იურიდიული პირის სახელით ხორციელდება. ასეთ დროს სარგებლის მიმღები ძირითადად არის სწორედ პასუხისმგებელი პირი, რომელიც ცდილობს უკანონო ქმედების შენიღბვას იურიდიული პირის საფრქვემ.

„იურიდიული პირის მემკვიდრით“ დანაშაულის ჩადენა გულისხმობს, როდესაც პასუხისმგებელი პირი უკანონო ქმედებას იურიდიული პირის „დახმარების“ გარეშე ვერ განახორციელებს. იურიდიული პირი არის მიზნის მიღწევის საშუალება. იურიდიული პირის სახელით ჩადენილი დანაშაულისაგან განსხვავებით, უშუალოდ სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობებში პასუხისმგებელი პირი არ გამოდის იურიდიული პირის სახელით, თუმცა იყენებს მის სახელს სხვა დანაშაულის ჩადენის გასაადვილებლად.

ფაქტობრივად, ორივე შემთხვევაში ქმედება ხორციელდება პასუხისმგებელი პირის სასარგებლოდ და მისი ინტერესებისათვის. ამ შემთხვევაში იურიდიული პირის გამოყენება ხორციელდება ფიზიკური პირის ინტერესების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად, მაშინ როცა მესამე ელემენტის დროს, დანაშაულის ჩადენა ხორციელდება სწორედ იურიდიული პირის სასარგებლოდ.

თუკი იურიდიული პირის სახელით ან მისი გამოყენებით ქმედების ჩადენა მხოლოდ პასუხისმგებელი პირის ქმედების შემთხვევაშია დასჯადი, უფრო ფართო განმარტებას აწესებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2008 წლის 26 სექტემბრის კანონით მიღებული ცვლილება, რომელიც ადგენს რომ იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება თუ პასუხისმგებელი პირის მიერ ზედამხედველობისა და კონტროლის არაფეროვნად განხორციელების გამო შესაძლებელი გახდა იურიდიული პირის დაქვემდებარებაში მყოფი ფიზიკური პირის მიერ დანაშაულის ჩადენა იურიდიული პირის სასარგებლოდ.¹⁵¹ შესაბამისად, აღნიშნული დათქმიდან გამომდინარე, იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება მაშინ, როცა იურიდიულ პირის პასუხისმგებელი პირის დაქვემდებარებაში

¹⁵⁰ ლეკვეიშვილი მ., და სხვები, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 1, თბ., 2006, 15-16; იხ. ციტირება: პრადაელი ე., შედარებითი სისხლის სამართალი, თბ., 1999, 228-233.

¹⁵¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1074 მუხლის 1-ლი ნაწილი.

მყოფი პირი ჩაიდენს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ ქმედებას კომპანიის სასარგებლოდ. კანონმდებელი ადგენს, რომ ამ შემთხვევაში დაქვემდებარებული პირი დანაშაულს ჩადის სწორედ პასუხისმგებელი პირის არაჯეროვანი კონტროლის გამო, თუმცა, აღნიშნული არ გულისხმობს იმას, რომ აუცილებლად დადგება პასუხისმგებელი პირის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა და მისი არაჯეროვანი საქმიანობა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება უნდა იყოს.

აღნიშნული ცვლილების მიღების მიზანი იყო სწორედ ზემოთგანხილული საერთაშორისო აქტებით დადგენილი მოთხოვნები, თუმცა, თავისი არსით ცვლილების შემოღებამ სსკ-ის 107¹ მუხლში, ერთგვარი კოლიზია წარმოქმნა მე-2 და 4¹ ნაწილებს, შორის. კერძოდ, კანონის გრამატიკული თუ სიტყვასიტყვითი განმარტების გამოყენების შემთხვევაში, დავრწმუნდებით, რომ მეორე ნაწილის დათქმა „პასუხისმგებელი პირის მიერ“ ვრცელდება სამივე ელემენტზე. შესაბამისად, ამ ნორმის მიხედვით, იურიდიული პირის პასუხისმგებლობისთვის აუცილებელია პასუხისმგებელი პირის მიერ დანაშაულის ჩადენა იურიდიული პირის სახელით, მისი გამოყენებით ან მის სასარგებლოდ, ხოლო, 4¹ ნაწილი კი, ერთგვარად მისგან განსხვავებულ წესს ადგენს და შესაძლებლად მიიჩნევს იურიდიული პირის პასუხისმგებლობას შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არჩადენის შემთხვევაშიც. ამ შემთხვევაში, აღსანიშნავია, რომ პასუხისმგებელი პირი არ ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობას ნამდვილი კომერსანტის გულისხმიერებით და საშუალებას აძლევს სხვა ფიზიკურ პირს ჩაიდინოს დანაშაული იურიდიული პირის სასარგებლოდ.

მართალია, კანონის აღსრულების დროს, არ იკვეთება, რომ ამგვარი დათქმა განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს და 4¹ ნაწილი საგამონაკლისო შემთხვევად განიხილება, თუმცა, ცვლილების შეტანის დროს უმჯობესი იყო კანონმდებელს ცვლილება შეეტანა სწორედ მეორე ნაწილში და 4¹ ნაწილში დადგენილი გამონაკლისი შემთხვევა სწორედ მეორე ნაწილში ყოფილიყო ასახული, რაც ნორმის სტრუქტურულიდან გამომდინარე უფრო სწორი იქნებოდა, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით.

ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იურიდიული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე აუცილებელია დადგინდეს ის პირი, ვის მიერ განხორციელებულმა ქმედებამაც უნდა გამოიწვიოს იურიდიული პირის პასუხისმგებლობა. ამგვარ პირთა წრეს ადგენს სსკ-ის 107¹ მუხლის მესამე ნაწილი, რომლის მიხედვითაც პასუხისმგებელი პირს წარმოადგენს იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე ან წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, იურიდიული პირის სახელით გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი პირი და იურიდიული პირის სამეთვალყურეო, საკონტროლო ან სარევიზიო ორგანოს წევრი. მნიშვნელოვანია, განხილული იქნას თითოეული მათგანი:

ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში საწარმოს სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მოიცავს საწარმოს სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. როგორც წესი, ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება მოიცავს წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც, თუ პარტნიორთა შეთანხმებით (წესდებით) წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირად სხვა სუბიექტი არ არის განსაზღვრული.

საზოგადოების სახელით გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელი პირს წარმოადგენს, პირი, რომელიც, როგორც წესი, არ არის საზოგადოების ხელმძღვანელი, არ აქვს კანონით მინიჭებული წარმომადგენლობითი ფუნქცია და მას დაკავებული პოზიციის შესაბამისად, კომპანიის მმართველი ორგანოს მიერ მინიჭებული აქვს უფლება საზოგადოების სახელით მიიღოს გადაწყვეტილება.

რაც შეეხება სამეთვალყურეო, სარევიზიო და საკონტროლო ორგანოს წევრებს, როგორც წესი, აღნიშნული ორგანოები შექმნილია დიდ კომპანიებში და წესდებით სწორედ ამ ორგანოებს

აქვთ მიკუთვნებული სანარმოს ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების განხორციელება.

პრაქტიკაში, როგორც უკვე აღინიშნა, ყველაზე მეტად გვხვდება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით ჩამოყალიბებული იურიდიული პირები, სადაც, როგორც წესი, ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებას ახორციელებენ საზოგადოების დირექტორები. არსებული მოცემულობის მიხედვით, დირექტორები, თავის მხრივ, შესაძლოა იყვნენ, როგორც კომპანიის დამფუძნებელი პირები, ისე მათ მიერ დაქირავებული გარეშე პირი, რომელიც პასუხისმგებელია კომპანიის საქმიანობაზე.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ სსკ-ის 107¹ მეოთხე ნაწილის მიხედვით, იურიდიული პირს პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაშიც ეკისრება, თუ დადგენილი არ არის დადგენილი დანაშაულის ჩამდენი ფიზიკური პირი. აღნიშნულ დათქმას განაპირობებს ის სირთულეები, რაც შეიძლება იყოს დანაშაულის ფიზიკური პირის იდენტიფიცირების კუთხით, განსაკუთრებით, რთული, კომპლექსური დანაშაულის გამოძიების დროს, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია დგინდებოდეს დანაშაულის ჩადენის ფაქტი.

გარდა ამისა, ამავე მუხლის მეექვსე ნაწილის მიხედვით, იურიდიული პირის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ გამოორიცხავს იმავე დანაშაულისათვის ფიზიკური პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. აღნიშნულ დათქმას, ასევე, ძალიან დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან შესაძლებელია საწყის ეტაპზე არ იყოს იდენტიფიცირებული დანაშაულის ჩამდენი ფიზიკური პირი და იურიდიული პირის მიმართ დევნის შემდეგ, მოხდეს გამოძიების მიერ ფიზიკური პირის მიმართ კანონით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვება.

შეჯამების სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ ზემოხსენებული საფუძვლები სრულად გამომდინარებს საერთაშორისო რეგულაციებიდან და მიზნად ემსახურება იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტის ეფექტიანობის გაზრდას.

3.3. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფარგლები – დანაშაულთა წრე

ქართულ კანონმდებლობაში, ფიზიკურ პირთა პასუხისმგებლობისგან განსხვავებით, იურიდიული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა მხოლოდ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაიწყოს, თუ ეს მითითება არის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლში. დღეის მდგომარეობით, იურიდიული პირის პასუხისმგებლობა განერილია 89-ე მუხლში. შესაბამისად, კანონმდებელი ადგენს ამდენივე დანაშაულს, რომელთა ჩადენის შემთხვევაში შესაძლებელია დადგეს იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საკითხი. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ფაქტობრივად ყოველდღიურად იზრდება და ფართოვდება დანაშაულთა წრე, რომელზეც დგინდება იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საკითხი.

იურიდიული პირის პასუხისმგებლობა დგება შემდეგ დანაშაულებთან მიმართებაში: სსკ-ის XXIII თავი (დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ) – 10 დანაშაული; XXIV თავი (დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვანის წინააღმდეგ) – 1 დანაშაული (არასრულწლოვანის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში); XXV თავი (დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ) – 2 დანაშაული; XXVI თავი (დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ) – 8 დანაშაული; XXIX თავი (დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ) – 1 დანაშაული (კომერციული მოსყიდვა); XXX თავი (დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ) – 10 დანაშაული; XXXII თავი (დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ) 5 დანაშაული; XXXIII თავი – (ნარკოტიკული დანაშაული) – 13 დანაშაული; XXXV თავი (კიბერდანაშაული) – 5 დანაშაული; XXXVI თავი – (გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ

მიმართული დანაშაული) – 3 დანაშაული; XXXVII თავი (დანაშაული საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ) – 1 დანაშაული (საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და ეროვნული უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული საქმიანობის დაფინანსების ან ამგვარი საქმიანობის სხვაგვარი მატერიალური მხარდაჭერა); XXXVIII თავი (ოკუპირებული ტერიტორიების სამართლებრივი რეჟიმის დარღვევა) – 1 დანაშაული (ოკუპირებულ ტერიტორიაზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობა); XXXVIII თავი (ტერორიზმი) – 17 დანაშაული; XXXIX თავი (სამოხელეო დანაშაული) – 2 დანაშაული (ქრთამის მიცემისა და ზეგავლენით ვაჭრობა); XL თავი (მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული) – 6 დანაშაული; XLI (სასამართლო ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული) – 2 დანაშაული; XLII თავი (დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ) – 1 დანაშაული (გამოსაკითხ პირზე, მონმეზე, დაზარალებულზე, ექსპერტზე და თარჯიმანზე ზემოქმედება) და XLVII თავი – 1 დანაშაული (მასობრივი განადგურების იარაღის დამზადება, შექმნა, შენახვა, გასაღება, გადაზიდვა, ტრანზიტი ან გადაგზავნა)

ერთი შეხედვით, საკმაოდ ამომწურავია დანაშაულთა წრე და თითქოს ყველა თავით გათვალისწინებულ დანაშაულს აერთიანებს, თუმცა, ანალიზის შედეგად დგინდება, რომ საკმაოდ ხშირად გვხვდება პრაქტიკაში, როდესაც დანაშაულს ჩადის პასუხისმგებელი პირი იურიდიული პირის სახელით, მისი გამოყენებით ან მის სასარგებლოდ, თუმცა, ვერ ხდება დევნის დაწყება, ვინაიდან აღნიშნული დანაშაულისათვის არ არის გათვალისწინებული იურიდიული პირის პასუხისმგებლობა.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოს განაჩენების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყველაზე ხშირად სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის. აღნიშნული დანაშაულის პრედიკატს, როგორც წესი, ძირითადად წარმოადგენს თაღლითობა, რომელიც არ ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობას იურიდიული პირისთვის. შესაბამისად, დგინდება, რომ ხშირ შემთხვევაში თაღლითობა ასევე უკავშირდება იურიდიული პირის სახელის გამოყენებას, თუმცა, საკანონმდებლო კუთხით არსებულ ხარვეზად უნდა ჩაითვალოს, რომ მოცემულ მუხლში გათვალისწინებული არ არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იურიდიული პირის მიმართ.

დღესდღეობით საკმაოდ ხშირია იურიდიული პირების გამოყენებით ჩადენილი თაღლითობის ფაქტები, რომლის დროსაც გამოიყენება სოციალური ქსელები, ონლაინ პლატფორმები და სხვადასხვა ონლაინ სივრცეები. ხშირად ასეთ დანაშაულებს აქვთ ტრანსნაციონალური ხასიათი და სცდება ერთი ქვეყნის საზღვრებს, რაც ართულებს ამ ტიპის დანაშაულთა გამოვლენა-აღკვეთას. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ ტიპის დანაშაულები განსაკუთრებული სენსიტიურობით და დაზარალებულთა სიმრავლით გამოირჩევა. საქართველოში მოქმედი პირის იდენტიფიცირების შემთხვევაშიც კი, რთულია ორგანიზატორთა გამოვლენა და დაზარალებულთათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. საქართველოში მოქმედი პირების დადგენისა და მათ მიმართ შესაბამისი სამართლებრივი რეაგირების გარდა, მნიშვნელოვანია დადგენს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, რაც ხელს შეუწყობს დანაშაულის როგორც კერძო, ისე ზოგად პრევენციას. შესაბამისად, აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ გზას წარმოადგენს თაღლითობის ჩადენისათვის იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საკითხის შემოღება კანონმდებლის მიერ.

ანალოგიური შეიძლება ითქვას საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ კიდევ ერთი დანაშაულის მითვისება/გაფლანგვის შემთხვევაში. პრაქტიკაში ხშირ შემთხვევაში აღნიშნული დანაშაულის ჩადენა სწორედ იურიდიული პირის გამოყენებით ხდება. შესაბამისად, აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ მითვისება/გაფლანგვის ნაწილშიც დაწესდეს იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საკითხი.

ხარვეზად ასევე უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ფულად-საკრედიტო სისტემაში და საფინანსო საქმიანობის სფეროში ჩადენილი დანაშაულისათვის არ არის დაწესებული იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საკითხი, მაშინ როცა, ფაქტობრივად, ამ თავით გათვალისწინებული თითქმის ყველა დანაშაულის ჩადენა ხდება სწორედ იურიდიული პირის სახელით და მის სასარგებლოდ.

განსაკუთრებით ყურადღება უნდა გამახვილდეს, საქართველოს სსკ-ის 210-ე (ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, გასაღება ან გამოყენება) და ამავე კოდექსის 218-ე მუხლებით (დიდი ოდენობით გადასახადისათვის განზრახ თავის არიდება) გათვალისწინებული დანაშაულებზე, რომლებზეც არ არის გათვალისწინებული იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება. აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 210-ე მუხლით გათვალისწინებული ობიექტია, ისეთი ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადება, როგორცაა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, რომელიც შეუძლებელია განხორციელდეს იურიდიული პირის მონაწილეობის გარეშე. ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ შემთხვევას წარმოადგენს, როდესაც ორ კომპანიას შორის შეთანხმების საფუძველზე ხდება ყალბი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დამზადება და დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლა. მოცემულ შემთხვევაში, როგორც ყალბი დოკუმენტის გამომწერი, ისე მიმღები, წარმოადგენენ იურიდიულ პირებს, რომელთა მეშვეობით, სახელით და სასარგებლოდ ხდება დანაშაულის ჩადენა, რაც შინაარსობრივად წარმოადგენს იურიდიული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველს. შესაბამისად, პასუხისმგებელი პირთა მიმართ სამართლებრივი რეაგირება აუცილებლად მოითხოვს იურიდიული პირის მსჯავრდებასაც.

იგივე შეიძლება ითქვას, გადასახადის განზრახ თავის არიდებაზეც. პასუხისმგებელი პირები აღნიშნულ დანაშაულს ჩადიან კომპანიის სახელით, ხშირ შემთხვევაში კი, სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი თანხების რეინვესტირება ხდება კომპანიაში და ხდება კომპანიის წარმოების ზრდა. ხსენებული დანაშაულის ჩადენა იურიდიული პირის გარეშე წარმოუდგენელია, თანხები ერიცხება სწორედ იურიდიულ პირს, სამენარმეო სუბიექტს. შესაბამისად, აუცილებელია, რომ ამ დანაშაულებისათვის იყოს დაწესებული იურიდიული პირის პასუხისმგებლობა, რაც ხელს შეუწყობს, როგორც დანაშაულის პრევენციას, ისე ზიანის ანაზღაურებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სისხლის სამართლის კოდექსში წარმოდგენილია არაერთი დანაშაული, რომლის დროსაც ასევე სავსებით შესაძლებელია დადგეს იურიდიული პირის პასუხისმგებლობა, თუმცა, ეს შესაბამისი მუხლით არ არის გათვალისწინებული. ამ პრობლემის გადაჭრის გზას წარმოადგენს კანონმდებლობაში მოხდეს ცვლილება და საერთოდ გაუქმდეს დანაშაული, რომ იურიდიულ პირთა მიმართ დევნის დაწყების შესაძლებლობა მხოლოდ შესაბამისი მუხლში არსებული დათქმის შემთხვევაში იყოს შესაძლებელი. ნებისმიერ დანაშაულის შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს დადგეს იურიდიული პირის პასუხისმგებლობა, თუკი სახეზეა ზემოთ განხილული სამი ელემენტიდან ერთ-ერთო ან რამდენიმე მათგანი.

მართალია, ამ მოსაზრებას ეყოლება მოწინააღმდეგენი და აქცენტი გაკეთდება ისეთ დანაშაულებზე, რომელთა ჩადენა იურიდიული პირის მიერ შეუძლებელია და თითქოს ეს კანონის სისტემატიზაციას შეუქმნის საფრთხეს, თუმცა, აღნიშნულის საპასუხოდ შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლის კოდექსი შეიცავს ბევრ ისეთ დანაშაულს, რომლის ჩადენაც შეუძლია მხოლოდ სპეციალურ სუბიექტს, თუმცა, ამგვარი დათქმა არ არის გაკეთებული და ნორმის დისპოზიციიდან გამომდინარეობს ის, რომ მხოლოდ სპეციალურ სუბიექტის მიმართ ვრცელდება აღნიშნული მუხლები. შესაბამისად, შესაძლებელია არსებობდეს გარკვეული დანაშაულები, რომელზეც იურიდიული პირის მიმართ დევნა შინაარსობრივად ვერ განხორციელდება, თუმცა, სხვა შემთხვევაში, დანაშაულების ძალიან დიდი ნაწილი გვაძლევს საშუალებას ეფექტიანად გამოვიყენოთ ხსენებული ინსტიტუტი. აღნიშნული კუთხით, აღსანიშნავია, სხვა ქვეყნების გამოცდილება, რომელიც ითვალისწინებს კორპორაციულ პასუხისმგებლობას ისეთი

საერთაშორისო დანაშაულებისთვისაც, კი, როგორც ომის დანაშაულია. მათ შორის, ერთ-ერთ მნიშვნელოვანს საქმეს წარმოადგენდა 2013 წელს შვეიცარიაში დაწყებული გამოძიება, რომელიც ეხებოდა უმსხვილესი კომპანიის Argo Herausis მიერ ომის დანაშაულის ჩადენას, რაც გულისხმობდა კონგოს რესპუბლიკაში, ომის დროს, ბუნებრივი რესურსების უკანონოდ დაუფლებას.¹⁵²

შესაბამისად, უმჯობესია, კანონმდებელმაც იფიქროს ამგვარი შესაძლებლობის გამოყენებაზე, რადგან თუკი შევეუერთდით იმ ქვეყნების რიცხვს, ვინც აწესებს იურიდიული პირის პასუხისმგებლობას, აუცილებელია სრულად ავითვისოთ ის სიკეთეები, რაც ამ ახალ ინსტიტუტს გააჩნია. მართალია, არაერთი ცვლილება შევიდა კოდექსში ამ მიმართულებით და დაემატა დანაშაულთა კატეგორია, თუმცა ყველა ეს ცვლილება ნაკარნახევი იყო პრაქტიკაში არსებული გამოწვევების ფონზე.

შესაბამისად, შეუძლებელია კანონმდებელმა წინსწრებით ზუსტად განსაზღვროს დანაშაულთა ჩამონათვალი, რომელიც შესაძლო პრაქტიკაში გამოვლინდეს. იმის გათვალისწინებით, რომ დანაშაულის კატეგორიები ციფრულ ეპოქაში მკვეთრად სახეცვლილია და სამართალდამცავ ორგანოებს უწევთ ფეხის აწყობა თანამედროვე ტექნოლოგიებთან, დამატებითი ბარიერი კომპანიის მსჯავრდებასთან დაკავშირებით კანონმდებელს არ უნდა ჰქონდეს დაწესებული.

შეჯამების სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ, როგორც არსებული პრაქტიკა ცხადყოფს, ინსტიტუტის ეფექტიანობის გასაზრდელად აუცილებელია გაიზარდოს დანაშაულთა წრე, რომელზეც შესაძლებელი იქნება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, რაც ხელს შეუწყობს, რომ თავის მხრივ, უფრო მეტად იყოს ის მიზნები შესრულებული, რის გამოც ხსენებული ინსტიტუტი შეტანილი იქნა კანონმდებლობაში.

3.4 იურიდიული პირისთვის განსაზღვრული სასჯელები

საქართველოს სსკ-ის 107³ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, იურიდიული პირის სასჯელის სახეებია: ლიკვიდაცია, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, ჯარიმა და ქონების ჩამორთმევა. ამავე მუხლში განსაზღვრულია, რომ ლიკვიდაცია და საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შესაძლებელია დაინიშნოს მხოლოდ ძირითად სასჯელად, რაც ლოგიკურია სასჯელის სიმძიმედან და ხასიათიდან გამომდინარე, ჯარიმა შესაძლებელია დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად, ხოლო, ქონების ჩამორთმევა ინიშნება მხოლოდ დამატებით სასჯელად.

სსკ-ის 107⁴ მუხლის მიხედვით, განსაზღვრულია, რომ ლიკვიდაცია შესაძლებელია გამოყენებული იქნას იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ დანაშაულებრივი საქმიანობა წარმოადგენს იურიდიული პირის შექმნის ძირითად მიზანს ან მისი საქმიანობის ძირითად ნაწილს.

რაც შეეხება ლიკვიდაციის პროცესს, სსკ-ის 107⁴ მუხლის მიხედვით, სასამართლო ნიშნავს ლიკვიდატორს, რომელიც უზრუნველყოფს ლიკვიდაციის პროცესს, გარდა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. კომერციული ბანკებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების ლიკვიდაციის შემთხვევაში, ლიკვიდატორს ნიშნავს ეროვნული ბანკი.

სსკ-ის 107⁵ მუხლის მიხედვით, საქმიანობის უფლება მოიცავს უვადოდ ან ერთიდან 10 წლამდე საქმიანობის ერთ ან რამდენიმე სახის აკრძალვას. თავის მხრივ, სასჯელის შინაარსიდან გამომდინარე, აღნიშნული სასჯელის დაკისრება დაკავშირებული უნდა იყოს ჩადენილ დანაშაულთან.

რაც შეეხება ჯარიმას, სსკ-ის 107⁶ მუხლის მიხედვით, ჯარიმის მინიმალურ ოდენობად განსაზღვრულია ამავე კოდექსის 42-ე მუხლით ფიზიკური პირისთვის გათვალისწინებული

¹⁵² Stewart, James G. The turn to Corporate Criminal Liability for International Crimes; Transcending the Alien Tort Statue, New York University Journal of International Law & Politics, 2015, 125-126.

ჯარიმის ორმოცდაათმაგი ოდენობა. აღნიშნული მუხლის მიხედვით, კი, ფიზიკური პირისთვის განსაზღვრულია მინიმალური ოდენობა 2 000 ლარი, ხოლო, იმ შემთხვევაში თუკი მუხლის სანქცია ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით ჯარიმის მინიმალური ოდენობა შეადგენს 500 ლარს. შესაბამისად, იურიდიულ პირთან მიმართებაშიც უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული დათქმა მის მიმართაც უნდა გავრცელდეს და თუკი ზოგადად მინიმალურ ოდენობად უნდა მივიჩნიოთ 100 000 ლარი, იმ დანაშაულისათვის, რომლის სანქცია სამ წელს არ აღემატება სასამართლოს შეუძლია სასჯელის სახედ დაადგინოს ჯარიმა 25 000 ლარის ოდენობით.

ამავე მუხლში ასევე განსაზღვრულია, რომ ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის დროს სასამართლო ითვალისწინებს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, დანაშაულით მიღებულ სარგებლისა და იურიდიული პირის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელიც განისაზღვრება მისი ქონებით, შემოსავლითა და სხვა გარემოებებით.

მუხლში ასევე გაკეთებულია, დათქმა, რომ იმ შემთხვევაში თუ დანაშაული ჯარიმას ითვალისწინებს, როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად, ძირითადი სასჯელის სახით ჯარიმის გამოყენების შემთხვევაში დამატებით სასჯელად ჯარიმა აღარ გამოიყენება.

სსკ-ის 107⁷ მუხლის მიხედვით, ქონების ჩამორთმევაზე ვრცელდება ამავე კოდექსის 52-ე მუხლის მოთხოვნები, რომელიც, თავის მხრივ, ითვალისწინებს დანაშაულის საგნის ან/და იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ან/და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას.

იურიდიული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და სასჯელის აღსრულების ნაწილში, ასევე სადაო გარემოებას წარმოადგენს იმ პარტნიორების ინტერესები და უფლებები, რომლებიც არ იყვნენ დანაშაულში ჩართული. სწორედ აღნიშნული საკითხი იწვევდა კამათს მეცნიერებში, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ იურიდიული პირის პასუხისმგებლობის დანესებით წესდება კოლექტიური პასუხისმგებლობა, რადგან ასეთ დროს გარკვეული წილი პასუხისმგებლობა ეკისრება ისეთ პირებსაც, რომლებიც არ არიან ჩართული დანაშაულებრივ საქმიანობაში. პირველ რიგში, იგულისხმება პარტნიორები და დასაქმებული პირები, რომლებიც სასჯელის აღსრულების პროცესში ერთგვარად ზარალდებიან, თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ მსგავსი სახის ზიანი დგება ფიზიკური პირის მსჯავრდების დროსაც, როდესაც მსჯავრდებულ პირისათვის ხდება სასჯელის სახედ ქონების ჩამორთმევა ან/და ჯარიმის დანესება, აღსრულების პროცესით ასევე შესაძლებელია ფაქტობრივად ერთგვარად დაზარალდნენ დამნაშავე პირის ოჯახის წევრებიც, თუმცა, აღნიშნული გარემოება არ გამოორიცხავს ფიზიკური პირის მსჯავრდებას.

ასევე, საინტერესოა, როგორ უნდა გადაწყდეს პასუხისმგებლობის საკითხი იურიდიული პირის მიმართ, იმ შემთხვევაში, თუ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე მოხდა იურიდიული პირის რეორგანიზაცია, რათა გამოირიცხოს ახალი სუბიექტის არასამართლიანი დასჯა.¹⁵³ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი იძლევა შესაძლებლობას განხორციელდეს იურიდიული პირის რეორგანიზაცია, რაც გულისხმობს გარდაქმნას (სამართლებრივი ფორმის ცვლილებას); შერწყმას (გაერთიანება, მიერთება); – გაყოფას (დაყოფა, გამოყოფა).

სამივე ზემოაღნიშნული ქმედების შედეგად იურიდიული პირი განიცდის სტრუქტურულ ცვლილებებს და შესაბამისად, ახალი ფორმა განსხვავებულია რეორგანიზაციამდე/შერწყმამდე/გაყოფამდე არსებული სუბიექტისგან.

გარდაქმნა, როგორც წესი გულისხმობს სამართლებრივი ფორმის ცვლილებას, რაც ნაკლებ პრობლემას წარმოადგენს პასუხისმგებლობის დანესების დროს, რადგან როგორც წესი, ახალი სამართლებრივი ფორმით ჩამოყალიბებულ სუბიექტზე სრულად გადადის უფლებამონაცვლეობის საკითხი.

¹⁵³ Diamantis M. E., Successor Identity, Yale Journal on Regulation, VOL 36, 2019, 1.

შერწყმის დროს, ხდება ორი ან მეტი სუბიექტის გაერთიანება ერთი სამართლებრივი ფორმის ქვეშ. როგორც წესი, ერთი საწარმო უერთდება მეორეს (მიერთება) ან ორი საწარმო ერთიანდება ერთ ახალ საწარმოდ (გაერთიანება). საწარმო, რომელმაც საწარმო მიერთა, ან გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი საწარმო არის თავდაპირველი საწარმოს/საწარმოების სამართალმემკვიდრე. შესაბამისად, შერწყმა ხელს არ უშლის იურიდიული პირის პასუხისმგებლობის დაყენებას რეორგანიზაციამდე ჩადენილი დანაშაულისათვის და შესაბამისად, არც ამ შემთხვევაში არ არის რთული პასუხისმგებელი პირის გამოკვეთა, რადგან ახალი საწარმო არის სრულად ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი რეორგანიზაციამდე განხორციელებული ქმედებებისათვის. არც გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა) გამორიცხავს იურიდიული პირის პასუხისმგებლობის დაყენებას რეორგანიზაციამდე ჩადენილი დანაშაულისათვის. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია განისაზღვროს გაყოფის შედეგად წარმოქმნილი რომელი საწარმო აგებს პასუხს სისხლისსამართლებრივად რეორგანიზაციამდე ჩადენილი დანაშაულისათვის. როგორც წესი, გაყოფის გადაწყვეტილებაშივე არის მითითება, თუ რომელი საწარმო არის პასუხისმგებელი რეორგანიზაციამდე არსებულ პერიოდზე. შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც მიზანშეწონილია დადგეს არა ყველა დაყოფილი სუბიექტის, არამედ უფლებამონაცვლე საწარმოს მიმართ.

მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობის დადგენის მომენტში გამოძიების მიერ დეტალურად იქნას გამოკვლეული რეორგანიზაციის მიზეზები, ხომ არ ისახავდა მიზნად მოსალოდნელი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდებას. შესაძლოა, რეორგანიზაციის შედეგად დადგენილი უფლებამონაცვლე სუბიექტი იყოს არასმქონე და მის მიმართ დევნის დაწყება და სასჯელის დაკისრება ატარებდეს ფორმალურ სახეს და რეალურად ვერ მოხდეს მისი აღსრულება. ცხადია, ასეთ დროს შესაძლოა გამოიკვეთოს სხვა დანაშაულიც და პასუხისმგებლობა დადგეს რეორგანიზაციის შედეგად წარმოქმნილი ყველა სუბიექტის მიმართაც.

3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თავისებურებები იურიდიულ პირთან მიმართებაში

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XXIX თავი განსაზღვრავს პროცესის ნორმებს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დროს. ამავ ე კოდექსის 325-ე მუხლის თანახმად, იურიდიული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დროს სისხლის სამართლის პროცესი მიმდინარეობს კოდექსით დადგენილი ზოგადი წესებისა და ზემოაღნიშნული თავის შესაბამისად, შინაარსის გათვალისწინებით.

სსსკ-ის 326-ე მუხლის მიხედვით, იურიდიული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი წარმოების დროს დაუშვებელია სალიკვიდაციო ან რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების წარმოება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტამდე ან გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე. აღნიშნულ დათქმას აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა, ვინაიდან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდგომ, იურიდიული პირის რეორგანიზაციამ შესაძლოა ხელი შეუშალოს მართლმსაჯულების განხორციელებას და სასჯელის აღსრულებას, ვინაიდან დღის წესრიგში დადგება საკითხი, არის თუ არა ახალი სუბიექტი პასუხისმგებელი რეორგანიზაციამდე ჩადენილი დანაშაულისთვის. ასეთ შემთხვევაში, იქმნება სივრცე, რომელიც აძლევს შესაძლებლობას დამნაშავე ფიზიკურ პირებს, რომ მანიპულირების გზით თავი აარიდონ პასუხისმგებლობა მათთვის სასურველ იურიდიულ პირებზე. რაც შეეხება ლიკვიდაციას, ვინაიდან აღნიშნული პროცესი გულისხმობს იურიდიული პირის დაშლას, რის გამოც სისხლის სამართლის წარმოების გაგრძელება დგება ეჭვქვეშ.

ასევე, საინტერესოა, სსსკ-ის 327-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს, რომ გადაწყვეტილე-

ბას საქმის სასამართლოში გაგზავნის შესახებ იღებს პროკურორი, რომელიც იურიდიული პირის ადვოკატს აცნობებს აღნიშნულის თაობაზე და განუმარტავს მის უფლებას, გაეცნოს საქმის მასალებს. ამავე მუხლის მიხედვით, საქმის მასალების გაცნობის წესი განისაზღვრება ამავე კოდექსით. ზემოაღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა, კერძოდ, 2019 წელს საქართველოს პროკურატურამ ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე მიმართა სსიპ – იურიდიული დახმარების სამსახურს და მოითხოვა ბრალდებული იურიდიული პირის ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად ადვოკატის დანიშვნა, ვინაიდან საქმეში არ მონაწილეობდა ბრალდებულის მიერ აყვანილი ადვოკატი (დაცვა შეთანხმებით). იურიდიული დახმარების ბიუროს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება ადვოკატის დანიშვნაზე უარის თქმის თაობაზე, რომლის საფუძველს წარმოადგენდა „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, კერძოდ, კანონის მეორე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც იურიდიული დახმარების მოსარგებლე პირს წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი, უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილ კრიტერიუმებს; ამავე კანონის მეოთხე მუხლის თანახმად, დგინდება, რომ ფიზიკურ პირს უფლება აქვს, ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით ისარგებლოს იურიდიული დახმარებით სახელმწიფოს ხარჯზე. შესაბამისად, ბიუროს პოზიციით, კანონის ჩანაწერის გამო, ბრალდებული იურიდიული პირი არ წარმოადგენდა „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ფიზიკურ პირს.

იურიდიული დახმარების ბიუროს აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა სასამართლოში, რომლის მიერაც გაზიარებული იქნა პროკურატურის პოზიცია, კერძოდ, სასამართლოს მიერ განმარტებული იქნა, რომ ბრალდებული იურიდიული პირი – სარგებლობს ბრალდებულის ყველა უფლებით, მათ შორის დაცვის უფლებით, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს კონსტიტუციით გათვალისწინებულ ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებას. გარდა ამისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 45-ე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბრალდებულს სავალდებულოა ჰყავდეს ადვოკატი ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში. ხოლო, კოდექსის 327-ე მუხლის თანახმად კი – იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის სასამართლოში გაგზავნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შესახებ პროკურორი აცნობებს იურიდიული პირის ადვოკატს და განუმარტავს მის უფლებას, გაეცნოს საქმის მასალებს. შესაბამისად, ხსენებული დათქმიდან გამომდინარე, იურიდიული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა წარმოადგენს სწორედ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევას, რა დროსაც სავალდებულოა, რომ მას ჰყავდეს ადვოკატი, რომელიც დაიცავს და წარმოადგენს მის ინტერესებს. მართალია, ბიუროს ზემოაღნიშნული განმარტების გაზიარების შემთხვევაში, დაირღვეოდა ბრალდებულის, როგორც პროცესის მონაწილის და სუბიექტის უფლება, უზრუნველყოფილი იყოს ადვოკატის მონაწილეობით, მაშინ როდესაც არ არის წარმოდგენილი შეთანხმებით მოწვეული ადვოკატი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ იურიდიული პირისათვის ადვოკატის დანიშვნაზე უარის თქმით პირდაპირ ილახება პირის საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული დაცვის უფლება, რომელიც თანაბრად არის გარანტირებული საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით.¹⁵⁴

ამდენად, აღნიშნულ გადაწყვეტილებით პრაქტიკაში არსებული პრობლემა აღმოიფხვრა და ერთგვარად განმტკიცდა იურიდიული პირის დაცვის უფლება, რაც გულისხმობს, რომ თუკი მას არ ჰყავს ადვოკატი შეთანხმებით, იგი დაენიშნება სავალდებულო წესით.

¹⁵⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული პალატის 2021 წლის 16 სექტემბრის განჩინება N პს-168 (კ21).

ასევე, მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას თავისებურებებს, რომელიც გააჩნია იურიდიული პირის მიმართ პროცესის წარმოებას გამოძიებისა და სასამართლო ეტაპზე. როგორც უკვე აღინიშნა, სისხლის სამართლის პროცესი ვრცელდება იურიდიული პირის მიმართ, მათი შინაარსის გათვალისწინებით. აღნიშნული კუთხით ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ კონკრეტული საპროცესო მოქმედებები ვერ გავრცელდება ბრალდებულ იურიდიულ პირზე, მათ შორისაა აღკვეთის ღონისძიებები. პრაქტიკის ანალიზიც ცხადყოფს, რომ ბრალდებულ იურიდიული პირის პირველადი წარდგენის დროს ხდება მხოლოდ წინასასამართლო სხდომის განსაზღვრა, აღკვეთი ღონისძიების შუამდგომლობის გარეშე. აღნიშნულს აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული საფუძვლები, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, აღკვეთი ღონისძიება გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, უზრუნველყოფილი იქნეს განაჩენის აღსრულება და აღკვეთის დანაშაულებრივი საქმიანობა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მიხედვით, აღკვეთის ღონისძიებებია გირაო, შეთანხმება გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა, სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა და პატიმრობა.

შინაარსის გათვალისწინებით, პატიმრობა, სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა და შეთანხმება გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ ვერ გავრცელდება. იგივე შეიძლება ითქვას, პირად თავდებობაზე. აღნიშნული ასევე გულისხმობს, რომ სანდო პირები კისრულობენ წერილობით ვალდებულებას, რომ უზრუნველყოფენ ბრალდებულის სათანადო ქცევას და გამოძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში გამოცხადებას. ფაქტობრივად, შინაარსობრივად, თავდები იღებს აღკვეთი ღონისძიების მიზნების შესრულებას, რომელიც, მათ შორის, მოიცავს ბრალდებულის მიმალვის პრევენციას, რაც ასევე არარელევანტურად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან შეუძლებელია ბრალდებულ იურიდიული პირი დაიმალოს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ წარმომადგენელი არ იქნება უზრუნველყოფილი სამართალწარმოების დროს, წარმომადგენლის მიმალვა არ შეიძლება ჩაითვალოს იურიდიული პირის მიმალვად, ვინაიდან წარმოადგენენ სხვადასხვა სუბიექტს.

შესაბამისად, უნდა აღინიშნოს, რომ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის გარდა, ბრალდებულის მიმალვა და განაჩენის აღსრულების უზრუნველყოფა შინაარსის გათვალისწინებით არარელევანტურია ბრალდებულ იურიდიულ პირთან. რაც შეეხება დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთას, ხსენებული შესაძლებელია ჩაითვალოს რელევანტურად, თუმცა, ამ შემთხვევაში, ფაქტობრივად, არაეფექტიანია მოცემულ შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიების გამოყენება შემდეგი გარემოების გამო: როგორც უკვე აღინიშნა, ბრალდებულ იურიდიული პირის თავისებურებების გათვალისწინებით, ერთადერთი აღკვეთის ღონისძიება, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იქნას არის გირაო, თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულ გირაოს არ გადაიხდის ან არ უზრუნველყოფს ქონებით, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლში, ბრალდების მხარეს არ აქვს ფაქტობრივი შესაძლებლობა, რომ სასამართლოს მიმართოს უფრო მკაცრი ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით, ვინაიდან შინაარსობრივად უფრო მკაცრად შეიძლება მხოლოდ პატიმრობა ჩაითვალოს, რაც მოცემულ შემთხვევაში ვერ აღსრულდება. შესაბამისად, გირაოს შეფარდების შემთხვევაში, თანხის გადახდა არის ბრალდებულ იურიდიული პირის მესაკუთრის კეთილ ნებაზე დამოკიდებული და ასეთის არარსებობის შემთხვევაში, ბრალდების მხარეს არ რჩება რეალური სამართლებრივი ბერკეტი, რომ აღკვეთის სხვა ღონისძიებით უზრუნველყოს ახალი დანაშაულის ჩადენის პრევენცია.

ასევე, მნიშვნელოვანია, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის V თავი, რომელიც ეხება ბრალდებულის უფლებებს. თავში მითითებული ყველა უფლება, მათ

შორის დუმის, ადვოკატის ყოლის, გამოძიების ჩატარების, მტკიცებულებების მოპოვების უფლება შესაძლებელია რეალიზდეს მისი მესაკუთრის/წარმომადგენლის მეშვეობით.

საინტერესოა, როდესაც ბრალდებული იურიდიული პირის მესაკუთრე/წარმომადგენელი, რომელიც თვითონაც ბრალდებულის სტატუსით არის წარმოდგენილი, არ აღიარებს დანაშაულს თავისი ბრალდების ნაწილში, თუმცა, აღიარებს იურიდიულ პირთან მიმართებაში. ცხადია, ბრალდებულის უფლებაა როგორც აღიარება, ისე დუმის უფლებით სარგებლობა, რაც გულისხმობს, რომ იგი არ აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. აღნიშნული უფლებით სარგებლობს იურიდიული პირიც, რომელიც საკუთარი უფლებების რეალიზებას ახორციელებს საკუთარი წარმომადგენლის ან ადვოკატის საშუალებით. თუკი იურიდიული პირი წარმოდგენილია პასუხისმგებელი პირის სახით, რომელიც იმავდროულად იმავე საქმეში არის ბრალდებული ფიზიკური პირი, მას აქვს უფლება გამოიყენოს დუმის უფლება, როგორც იურიდიული პირის წარმომადგენელმა, რადგან ამ მომენტში ის არის არა მონმე, არამედ როგორც ბრალდებულის წარმომადგენელი. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ფიზიკურ პირს აქვს უფლება თავისი ბრალდების ნაწილში გამოიყენოს დუმის უფლება, არ ცნოს თავი დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში, თუმცა, როგორც იურიდიული პირის წარმომადგენელმა, აღიაროს იურიდიული პირის მიმართ წარდგენილი ბრალდება. თუკი ბრალდების არსი გულისხმობს იმ ქმედებას, რისთვისაც მას როგორც ფიზიკურ პირს აქვს ბრალი წარდგენილი, ასეთ შემთხვევაში შესაძლოა მის მიმართ გავრცელდეს უფლება, რომ საკუთარი თავის წინააღმდეგ არ მისცეს ჩვენება და სასამართლოც მას უნდა განუმარტოს ამ უფლების შესახებ. რამდენადაც პარადოქსულად არ უნდა ჟღერდეს, ბრალდებული იურიდიული პირის წარმომადგენელი ფიზიკური პირი არის მონმე ბრალდებული ფიზიკური პირის ბრალის ნაწილში. შესაბამისად, აუცილებელია მოსამართლემ მას განუმარტოს ამ უფლების შესახებ და თუკი ამის მიუხედავად ეს პირი მისცემს ჩვენებას, ვფიქრობ, სასამართლოს აქვს უფლება მის მიერ მიცემული ინფორმაცია გამოიყენოს როგორც მისი ბრალის მამხილებელი ინფორმაცია და განაჩენში დაეყრდნოს სასამართლოს სხდომაზე მის მიერ გაჟღერებულ გარემოებებს.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ კანონმდებელი არ აწესებს რაიმე გამონაკლისს იურიდიულ პირთან მიმართებაში და მას აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათებით, როგორცაა საპროცესო შეთანხმება და განრიდება.

საპროცესო შეთანხმების გაფორმების ზოგადი წესი რეგულირდება სსსკ-ის XXI-ე თავით, რაც გულისხმობს სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას, რომლის თანახმადაც ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და უთანხმდება პროკურორს სასჯელზე, ბრალდების შემსუბუქებაზე ან ნაწილობრივ მოხსნაზე. აგრეთვე, დამატებით შეიძლება შეუთანხმდეს თანამშრომლობაზე ან/და ზიანის ანაზღაურებაზე. იურიდიული პირის მიმართ აღნიშნული ინსტიტუტის გამოყენებასთან დაკავშირებით სამართლებრივ შეზღუდვას კანონმდებელი არ ითვალისწინებს. შესაბამისად, დაშვებულია იურიდიულ პირთან საპროცესო შეთანხმების გაფორმება.

განრიდების შემთხვევაშიც კანონმდებელი არ აწესებს რაიმე შეზღუდვას ბრალდებულის სტატუსის მიმართ, შესაბამისად აღნიშნული გულისხმობს, რომ ეს ინსტიტუტი გამოიყენება, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირის მიმართ. განრიდების გამოყენებით პროკურორს შეუძლია არ დაინყოს ან შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა პირის მიმართ ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, თუ ბრალდებული იურიდიული პირი (განრიდების სუბიექტი) შეასრულებს განრიდების კანონით განსაზღვრულ პირობებიდან ერთს ან რამდენიმეს.

აღსანიშნავია, რომ ამერიკის შერთებული შტატებში არსებული პრაქტიკის მიხედვით, დიდი კომპანიები, როგორც წესი, იყენებენ კანონით გათვალისწინებულ სისხლისსამართლებრივი

დევნის ალტერნატივებს, რათა თავი აარიდონ განაჩენით მსჯავრდებას.¹⁵⁵ აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ იურისტთა გარკვეული ნაწილი ეწინააღმდეგება, იურიდიული პირების მიერ, განსაკუთრებით დიდი კომპანიების შემთხვევაში, სასამართლოს გვერდის ავლით შეღავათების განხორციელებას და მიიჩნევენ, რომ მსგავსი ქმედებები ამცირებს ინსტიტუტის ეფექტიანობას¹⁵⁶.

ასევე, გარკვეული სპეციფიკა ახასიათებს იურიდიული პირის მიმართ დამდგარი განაჩენის გამოქვეყნებას. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 328-ე მუხლის მიხედვით, განსაზღვრულია იურიდიული პირის მიმართ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის გამოქვეყნების წესი. ასევე, მითითებულია, რომ განაჩენი ქვეყნდება ბრალდებული იურიდიული პირის ხარჯით. გამოქვეყნების ფორმას განსაზღვრავს სასამართლო და დაზარალებულის ვინაობის გამჟღავნება დასაშვებია მხოლოდ მისი თანხმობით.

შეჯამების სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ ბრალდებული იურიდიული პირი სარგებლობს ფიზიკური პირისთვის გათვალისწინებული ყველა უფლებით, შინაარსის გათვალისწინებით და მნიშვნელოვანია, მართლმსაჯულება განხორციელდეს იგივე სტანდარტით, როგორც ფიზიკური პირის შემთხვევაში.¹⁵⁷

დასკვნა

დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ 2006 წლიდან მოქმედი იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტი ქართულ კანონმდებლობაში არის წინგადადგმული ნაბიჯი, რომელიც სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან და იმ მიზნებთან, რის გამოც იქნა მიღებული. აღნიშნული კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს ქართული კანონმდებლობის ინტეგრაციას ერთიან ევროპულ სივრცეში. ნაშრომში დეტალურად იქნა განხილული ის სამართლებრივი აქტები, რომელმაც ფაქტობრივად დიდი ზეგავლენა მოახდინა ქართულ კანონმდებლობაზე და განსაზღვრა აღნიშნული ინსტიტუტის სამართლებრივი ფორმა და პასუხისმგებლობის საფუძვლები. შესაბამისად, კვლევის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ქართული კანონმდებლობის შესაბამისობის დადგენა იმ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებთან და დოკუმენტებთან, რომელიც საფუძვლად უდევს აღნიშნული ინსტიტუტის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მსოფლიოს მასშტაბით.

ნაშრომში ასევე განხილული იქნა იურიდიული პირის, როგორც დანაშაულის სუბიექტის და პასუხისმგებელი ფიზიკური პირის ცნებები. ასევე, დანაშაულთა წრე, რომელზეც შესაძლებელია იურიდიული პირის პასუხისმგებლობა. კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი შეეხო მატერიალურ და საპროცესო თავისებურებებს, რაც ახასიათებს ხსენებულ ინსტიტუტს. საკითხის კვლევის დროს ცალსახად დადგინდა აღნიშნული კუთხით არსებული პრობლემები, რომელიც საჭიროებს რელევანტურ საკანონმდებლო ცვლილებებს.

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს დანაშაულთა წრე, რომლითაც შეზღუდულია იურიდიული პირის პასუხისმგებლობა, მაშინ როდესაც იურიდიული პირთან დაკავშირებული დანაშაულების მუდმივი ზრდა და დანაშაულის ჩადენის ახალი ხერხები განაპირობებენ ცვლილებების საჭიროებებს, რითაც გაფართოვდება დანაშაულთა ჩამონათვალი. აღნიშნული კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ინსტიტუტის ეფექტიანობის გაზრდას და მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებთან ბრძოლას, როგორც გამოვლენის, ისე პრევენციის კუთხით.

¹⁵⁵ Polidori, Teobaldelli D., Corporate Criminal Liability and Optimal Firm Behavior: Internal Monitoring Versus Managerial Incentives, *European Journal of Law & Economics*, Springer, 2018, 279,-280.

¹⁵⁶ Werle N., Prosecuting Corporate Crime When Firms are Too Big to Jail: Investigation, Deterrence and Judicial Review, *The Yale Law Journal*, 2019, 1422.

¹⁵⁷ Doyle Ch., Corporate Criminal Liability, an Overview of Federal Law, Congressional Research Service, 2013, 13.

ეკონომიკური ინტერესისა და მოტივის მნიშვნელობა ეკონომიკურ და არაეკონომიკურ დანაშაულში

ელეზარ ფუტყარაძე

თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

ეკონომიკური დანაშაულები რომ ხელყოფენ სამართლებრივ სიკეთედ აღიარებულ და დაცულ ეკონომიკურ ინტერესს, ეს ისედაც ნათელი უნდა იყოს.¹⁵⁸

საინტერესოა ეკონომიკური ინტერესისა და ანგარებითი მოტივის საკითხი ე. წ. არაეკონომიკურ დანაშაულებში. აქ ვგულისხმობთ ეკონომიკური დანაშაულის კარით გაუთვალისწინებელ დანაშაულებს, სადაც ძირითად სამართლებრივ სიკეთედ არ არის აღიარებული ეკონომიკური ინტერესი. მაგრამ ამ დანაშაულთა ჩადენის მოტივი აშკარად ანგარებითია და დამნაშავის ეკონომიკური ინტერესის დაკმაყოფილებას ან კიდევ უფრო ეკონომიკურ გამდიდრებას ემსახურება.

მართალია ბევრი დანაშაულის ჩადენის დროს ქმედება მიმართულია სხვა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისაკენ ან საფრთხის შესაქმნელად, შესაბამისად, ქმედების შემადგენლობაც სხვა სამართლებრივი სიკეთის დასაცავად არის ჩამოყალიბებული, მაგრამ თუ კარგად გავანალიზებთ ამ შემადგენლობათა ნიშნებს და არც მათი გამონწვევის კრიმინოლოგიურ მიზეზების მიმართ ვიქნებით გულგრილი, ვნახავთ, რომ ეკონომიკური ინტერესის დასაკმაყოფილებლად „არაეკონომიკურ“ დანაშაულთა ხვედრითი წილი საკმაოდ დიდია და ხშირად მიღებული ეკონომიკური შედეგებით აღემატება კიდევ ეკონომიკური დანაშაულით ხელყოფილი სამართლებრივი სიკეთეთა ფინანსურ-მატერიალურ ღირებულებას.

ზოგიერთ ეკონომიკური დანაშაულისათვის კი ასეთი არაეკონომიკურ დანაშაულის ჩადენა აუცილებელი წინაპირობაც კი არის (მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლი). ფულის გათეთრების საკითხი დღის წესრიგში არ დადგება, რომ არ იყოს ის დანაშაულებრივი გზით მოპოვებული. აქ აღარ შევუდგები სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის შემადგენლობის სისხლისსამართლებრივ დახასიათებას.

ეკონომიკური ინტერესი აქვს არა მხოლოდ ინდივიდს, არამედ ცალკეულ საზოგადოებრივ ჯგუფებს (ძირითადად დანაშაულებრივს) და სახელმწიფოებსაც კი (უკიდურეს შემთხვევაში ზოგიერთ სახელმწიფოებრივ უწყებებს ან იქ მომუშავე პირებს). სწორედ ეს განაპირობებს ეკონომიკური ინტერესის დასაკმაყოფილებლად დანაშაულებრივ ქმედებათა ჩადენას ინდივიდუალურ, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ დონეზეც კი.

საკითხი შეიძლება მარტივად გადაწყდეს ერთი ინდივიდის მიერ ეკონომიკური ინტერესის დასაკმაყოფილებლად დანაშაულის, მათ შორის, როგორც ეკონომიკური დანაშაულის, ისე არაეკონომიკური დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში.

საკითხი საინტერესოა და სადავო ხდება საზოგადოებრივი ჯგუფების, გაერთიანებების მხრივ ეკონომიკური ინტერესის დასაკმაყოფილებლად დანაშაულის ჩადენისას. აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის

¹⁵⁸ ამაზე ვწერდით ადრეც სხვა ნაშრომებში. იხ. ფუტყარაძე ე., ეკონომიკური დანაშაულის საკითხისათვის, გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, №10, 2020, 34-41.

საკითხი. თუ კარგად გავანალიზებთ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამის მუხლებს, სადაც ფიზიკურ პირთან ერთად ალტერნატიულად იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული, ნაკლებ მტკიცებას საჭიროებს იურიდიული პირის ეკონომიკური ინტერესი. იურიდიული პირი დანაშაულს სჩადის ეკონომიკური ინტერესების გამო და ნაკლებად წარმოსადგენია სხვა მოტივი ამოძრავებდეთ გარდა ანგარებისა, იურიდიული პირის მესვეურებს.

იურიდიულ პირთა დანაშაულებრივი საქმიანობის მოტივი ძირითადად ანგარებითა და ემსახურება ეკონომიკური ინტერესების მოპოვებას, დაკმაყოფილებას ან გაფართოებას. რამ შეიძლება უბიძგოს იურიდიულ პირს დანაშაულის ჩადენაზე, თუ არა ეკონომიკურმა ინტერესმა? ხშირად დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ იურიდიული პირების შექმნა ხდება დანაშაულებრივ ქმედებათა ჩასადენად ან მათ შესანიღბად. ამიტომ ხშირად ძნელდება ასეთ დანაშაულთა გამოვლენა – დადგენა. ეს არანაკლებ საინტერესო საკითხია. საერთოდ დავას ინვესტს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი პირადი და ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპთან მიმართებაში.

რამდენად შეიძლება სახელმწიფო იყოს დანაშაულის ჩამდენი ეკონომიკური ინტერესის გამო და მის დასაკმაყოფილებლად ანდა გასაძლიერებლად. შეიძლება თუ არა არსებობდეს ქვეყნის ეკონომიკური ინტერესი, როგორც ასეთი და სახელმწიფომ როგორც სამართლის სუბიექტმა ჩაიღინოს ესა თუ ის „არაეკონომიკური დანაშაული“ ქვეყნის ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე. ეკონომიკური ინტერესი აქვს როგორც ინდივიდს, ისე საზოგადოებასა და სახელმწიფოს. თუკი ინდივიდს შეუძლია დაიკმაყოფილოს ეკონომიკური ინტერესი დანაშაულებრივი გზით, შეიძლება იგივე გააკეთოს საზოგადოების დანაშაულებრივმა ნაწილმა სხვადასხვა ფორმით. შეიძლება თუ არა ინდივიდისა და საზოგადოების (თუნდაც დანაშაულებრივი ნაწილის) მსგავსად მოიქცეს სახელმწიფო და ეკონომიკური ინტერესების დასაკმაყოფილებად მიმართოს დანაშაულებრივ ქმედებათა ჩადენას?

ეკონომიკური ინტერესი ხდება ხოლმე სახელმწიფოთა შორის კონფლიქტის და ომების საფუძველი. ეკონომიკური ინტერესი იყო, არის და იქნება მსოფლიოში სახელმწიფოთა გავლენების მოპოვებისა და გადანაწილების მოტივიც და მიზანიც.

ეკონომიკური ინტერესი იყო, არის და იქნება – მისი მიღწევის ფორმა კი სახელმწიფოთა განვითარების შესაბამისად შეიცვალა. ხშირად სახელმწიფოსა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემადგენლობათა ნიშნები იცვლება როგორც შიდასახელმწიფოებრივ, ისე საერთაშორისო დონეზე, ძირითად სამართლებრივ სიკეთედ აღიარებულია სხვა სამართლებრივი სიკეთეები, მაგრამ ამ მასშტაბის დანაშაულებიც ძირითადად ეკონომიკური ინტერესის მიღწევას ემსახურება.¹⁵⁹

ოფიციალურად სახელმწიფოები ვერ აცხადებენ თავიანთ ეკონომიკურ ინტერესს, „ეკონომიკურ მადას“ და თავიანთ ჩარევას სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში კეთილშობილური, თუნდაც დემოკრატიის განვითარების მიზნით ნიღბავენ, მაგრამ ყველაფერს სჭარბობს ეკონომიკური ინტერესი და საბოლოოდ ის მაინც თავს იჩენს. თუ ქმედების ჩადენის დროს ამის შენიღბვა ხერხდება, მოგვიანებით გაკეთებული ანალიზი მაინც ადასტურებს, რომ სახელმწიფო დონეზე არსებობდა ეკონომიკური ინტერესი და სწორედ ამან განაპირობა სხვა დანაშაულის ჩადენა. ეს შეიძლება სადავოდ მიიჩნიონ კოლეგებმა, მაგრამ სახელმწიფო ისე, როგორც ცალკეული ინდივიდი, ხშირად რომ დანაშაულს ეკონომიკური ინტერესის გამო სჩადის, ამას ისტორიის მაგალითებიც ადასტურებს. განა ცოტა ომის დანაშაული ჩადენილა ცალკეული სახელმწიფოების მიერ ისტორიის მანძილზე. რა იყო კოლონიზატორ სახელმწიფოთა მიერ კოლონიების დაპყრობის ერთ – ერთი მამოძრავებელი მოტივი? ვფიქრობ, აქ ეკონომიკური ინტერესის უარყოფა ზედმეტი იქნებოდა.

¹⁵⁹ ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეექვსე გამოცემა, თბ., 2020.

ეკონომიკური ინტერესი იყო ცალკეულ სახელმწიფოთა გაძლიერების მოტივი, მამოძრავებელი ძალა. განა ტყუილად არსებობს გამოთქმა, რომ „არ არსებობს პოლიტიკური თავისუფლება ეკონომიკური თავისუფლების გარეშე.“ ეკონომიკური დამოკიდებულება კი განაპირობებს სხვაგვარ დამოკიდებულებასაც როგორც სახელმწიფოთა, ისე ადამიანთა შორის. ამიტომ ეკონომიკურ – ფინანსური სიძლიერე სხვაზე ბატონობის მნიშვნელოვანი იარაღია. ეს ასეა, როგორც სახელმწიფოთა, ისე ინდივიდთა შორის. ეს თუნდაც იმიტომ, რომ ეკონომიკური სიძლიერე (შესაძლებლობა) ხელს უწყობს (წარმოადგენს აუცილებელ პირობას) სხვა მხრივ განვითარებისათვისაც.

ეკონომიკური შესაძლებლობისა და გარანტიების გარეშე შეუძლებელია სხვა აღიარებულ უფლებათა რეალიზაცია.

ამიტომ ეკონომიკური ინტერესი მუდამ იარსებებს. შესაბამისად იარსებებს მისი მიღწევის ლეგიტიმური და დანაშაულებრივი გზაც.

ხშირად არაეკონომიკურ დანაშაულებში არსებული ეკონომიკური ინტერესის დანახვის სირთულე იწვევს მისი ჩადენის ნამდვილი მიზეზის გაგების სირთულეს. მიზეზის დაუდგენლობა კი მის აღმოფხვრას უშლის ხელს.

ეკონომიკური ინტერესის აღმოფხვრა შეუძლებელია. მაგრამ მისი მიღწევა კანონიერად უნდა მოხდეს. ცალკეული ინდივიდის მიერ ეკონომიკური ინტერესის დანაშაულებრივ მიღწევაზე უფრო საზიანო და საშიშია სახელმწიფოს მიერ ამ მოტივით სხვადასხვა დანაშაულის ჩადენა, რომელიც ხშირად ისე კარგად არის შენიღბული, რომ მისი დადგენა ძნელდება. არადა ეკონომიკური ინტერესის არარსებობის შემთხვევაში ასეთი დანაშაულის ჩადენას ადგილი არ ექნებოდა.

როგორ მოვთხოვოთ ინდივიდს უარი თქვას ეკონომიკური ინტერესის დანაშაულებრივ დაკმაყოფილებაზე, როცა ეს ხდება სახელმწიფოებრივ დონეზე. მართალია დღეს ძლიერი სახელმწიფოები ძველებურად ოფიციალურად არ/ვერ ახორციელებენ დაპყრობით ომებს სხვისი მიწებისა და სხვა ეკონომიკური სიმდიდრის ხელში ჩასაგდებად, ეს დღეს, 21-ე საუკუნეში დაუშვებელია სხვადასხვა მიზეზის გამო, მაგრამ უარს ვერ/არ ამბობენ ეკონომიკური სიძლიერისათვის აუცილებელ სხვის „ეკონომიკურ ინტერესზე“.

ეკონომიკური ინტერესი განაპირობებს როგორც სამხედრო დაპირისპირებებსა და მართვად ლოკალურ კონფლიქტებს, ისე მის ირგვლივ ცალკეულ სახელმწიფოთა გაერთიანებას ან დაპირისპირებას.

ეკონომიკური ინტერესი რჩება, მაგრამ იცვლება ამ ინტერესის გზაზე მხარდამჭერთა და მოწინააღმდეგეთა რიგები. „არ არსებობს ინგლისის მუდმივი პარტნიორები, არსებობს ინგლისის მუდმივი ინტერესები“ – ამბობდა უ. ჩერჩილი. ლოგიკურია, აქ ინგლისის ეკონომიკური ინტერესებიც იგულისხმებოდა.

ეკონომიკური ინტერესი უდევს საფუძვლად და განაპირობებს უმეტესწილად როგორც სახელმწიფოს, ისე ინდივიდის განვითარებას.

რა თქმა უნდა, არსებობს სხვა ღირებულებები, რომელთა განხილვას აქ არ შევუდგები და რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ როგორც ადამიანის, ისე საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარებისათვის, თუმცა მის მიმართ ინტერესი ისეთი დიდი არ არის, როგორც მატერიალურ – ეკონომიკური კეთილდღეობისადმი.

მატერიალური კეთილდღეობის, ეკონომიკური ინტერესის უზრუნველყოფის შემდეგ შეიძლება ადამიანს გაუჩნდეს და იზრუნოს ინტელექტუალურ, მეცნიერულ, ხელოვნების, შემოქმედებით და ასე შემდეგ ინტერესზე. ასეთი და სხვა მსგავსი მაღალღირებულებითი ინტერესი სათანადო ინტელექტისა და შესაძლებლობის ადამიანს გააჩნია და ის ზრუნავს მის დაკმაყოფილებაზე.

ეკონომიკური ინტერესი კი ყველა ადამიანს აქვს სხვადასხვა მოცულობით. სწორედ ეს

განაპირობებს ამ ინტერესის მიმართ სხვადასხვა ძალითა და მისწრაფებით დამოკიდებულებას. ეს კი შესაბამისი ქმედების ჩადენის მიზეზი ხდება.

შინაგანი მოთხოვნილების მიხედვით, ეკონომიკური ინტერესი ყველა ადამიანშია. სხვა ინტერესები კი ადამიანთა ნაწილში (ხელოვნება, ინტელექტი). სწორედ ეკონომიკური ინტერესის ადამიანში არსებობა უბიძგებს მას ამ ინტერესის დასაკმაყოფილებლად ნაბიჯების გადასადგმელად, რომელიც ხშირად კრიმინალურია.

მაგალითად, ხელოვნებისადმი ინტერესი, მისი აღქმა და მისით ტკობა ყველას არ შეუძლია, შესაბამისად, არც ყველა ინტერესდება ხელოვნებით და არ მისწრაფვის მისკენ. ეკონომიკური ინტერესით და სიმდიდრით ტკობა დიდ ინტელექტს არ მოითხოვს და ყველას შეუძლია. თუმცა, ეკონომიკური ინტერესის და სიმდიდრის დაგროვება (მით უმეტეს კანონიერად) ყველას არ შეუძლია. ეს კი უბიძგებს მათ ეკონომიკური ინტერესის დანაშაულებრივად დაკმაყოფილებისკენ.

რადგან განსხვავებულია ეკონომიკური ინტერესის მოცულობა, განსხვავებულია მის მისაღწევად ჩადენილი დანაშაული. არის ე. წ. პრიმიტიული ეკონომიკური დანაშაულები და ე. წ. თეთრსაყელოანი ეკონომიკური ინტერესის ხელმყოფი დანაშაულები.

ეკონომიკური ინტერესი აქვს როგორც მაღალი, ისე დაბალი ინტელექტის მქონე ადამიანს. დანაშაულებრივი გზით ეკონომიკური ინტერესის მისაღწევად ისინი განსხვავებულ დანაშაულს სჩადიან. ხშირად ძნელდება ე. წ. თეთრსაყელოან დანაშაულთა გახსნა – გამოძიება. ასეთ დანაშაულს ხშირად მაღალი ინტელექტის მქონე ადამიანები სჩადიან. მათ აქვთ ეკონომიკური უზრუნველყოფა, თუმცა, უფრო მეტი სიმდიდრე სურთ. ეკონომიკური ინტერესი გულისხმობს როგორც ელემენტარულ ეკონომიკურ უზრუნველყოფას, ისე სიმდიდრის დაგროვებას. შესაბამისად ეკონომიკური ინტერესის მქონე დანაშაულები ჩადენილია ან ეკონომიკური უზრუნველყოფისათვის, ელემენტარული საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ან „უფრო მეტი სიმდიდრის დასაგროვებლად“.

ყოველთვის არსებობენ როგორც ელემენტარული ეკონომიკური პირობების არმქონე, ისე უფრო მეტად გამდიდრების მსურველი ადამიანები. მათი ეკონომიკური ინტერესები განსხვავებულია, მაგრამ მაინც არსებობს. ამიტომ არსებობს მათი მიღწევის გზებიც. სამწუხაროდ, ეს გზები არც თუ ისე იშვიათად დანაშაულებრივია. სხვადასხვა მიზეზის გამო ადამიანი უარს ვერ/არ ამბობს ეკონომიკურ ინტერესზე, თუნდაც, მის მიღწევაზე დანაშაულის გზით.

მხოლოდ გამონაკლის ადამიანს შეუძლია ჩაკლას თავისი ეკონომიკური ინტერესი კანონიერი გზით მიუღწევლობის გამო და უარი თქვას დანაშაულზე, მაგრამ გამონაკლისი ვერ იქნება კანონზომიერება. ადამიანური სისუსტის გამო, შესაძლებლობის შემთხვევაში, ადამიანი იკმაყოფილებს თავის, შეიძლება ითქვას ბუნებით თანდაყოლილ ეკონომიკურ ინტერესს, თუნდაც, დანაშაულებრივი გზით.

ეკონომიკური ინტერესი ადამიანში იმდენად ძლიერია, რომ ლეგიტიმური გზით მისი მიუღწევლობის შემთხვევაში, იგი უარს არ ამბობს დანაშაულის ჩადენაზე. მხოლოდ მაღალი მართლშეგნებისა და სამართლებრივი კულტურის მქონე ადამიანს შეუძლია უარი თქვას ეკონომიკურ ინტერესის მიღწევაზე დანაშაულის გზით და შეეცადოს თავისი საქმიანობის ლეგიტიმაციას.

თუმცა, ყოველივე ამას ხშირად არა მხოლოდ პიროვნული ფაქტორი, არამედ სხვა გარემოებებიც განაპირობებენ. ეს არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია კრიმინოლოგიური თვალსაზრისით.

სათანადო ეკონომიკური პირობების არარსებობამ შეიძლება უბიძგოს ადამიანს მათ უზრუნველსაყოფად და ეკონომიკური ინტერესის დასაკმაყოფილებლად ჩადენილი დანაშაულის მოტივი გახდეს, თუმცა, მეცნიერული თვალსაზრისით ძნელდება ეკონომიკურად უზრუნველყოფილ ადამიანთა კორუფციული ქმედების ახსნა, რომელიც ასევე ეკონომიკური ინტერ-

ესის გამოა ჩადენილი. პირველ შემთხვევაში მნიშვნელოვანია გარეგანი (ობიექტური), მეორე შემთხვევაში კი შინაგანი, პიროვნული ფაქტორები. ასე, რომ ეკონომიკური ინტერესის გამო დანაშაულის ჩადენას ხელს უწყობს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ფაქტორები. სხვადასხვა მიზეზით, ობიექტური და სუბიექტური ფაქტორით, ანგარებითი მოტივით ეკონომიკური ინტერესის გამო დანაშაულის ჩადენა ზრდის როგორც ეკონომიკურ დანაშაულთა, ისე „არაეკონომიკურ დანაშაულთა“ კარებში გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენას.

ეკონომიკური დანაშაულების ქვაკუთხედი, სამართლებრივი სიკეთე ეკონომიკური ინტერესია, მაგრამ სხვა „არაეკონომიკურ“ დანაშაულებს საკანონმდებლო დონეზე ძირითად სამართლებრივ სიკეთედ სხვა რამ აქვთ აღიარებული. თუმცა, მათი ჩადენაც უმეტესწილად ეკონომიკური ინტერესის გამო ხდება, რაც არც თუ ისე კარგად ჩანს ერთი შეხედვით. ეს კი ართულებს მისი ჩადენის ნამდვილი მოტივის დადგენას და შესაბამისად მის წინააღმდეგ ბრძოლასაც.

როგორც ცნობილია, ეკონომიკური დანაშაულის ქვაკუთხედი ეკონომიკური ინტერესი. თუმცა შეიძლება ამ საკითხზე სხვა მოსაზრებაც მოვისმინოთ, მაგრამ მეცნიერებაში გაბატონებული შეხედულებისა და ამ კარში გათვალისწინებულ შემადგენლობათა საკანონმდებლო კონსტრუქციის გაანალიზებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკონომიკური დანაშაულით ხელყოფილი (ან დასაცავი) სამართლებრივი სიკეთე ეკონომიკური ინტერესია მისი სხვადასხვა ფორმის მიხედვით.¹⁶⁰

სწორედ ეკონომიკური ინტერესის სხვადასხვა ფორმის არსებობაა ამ კარში სხვადასხვა თავისა და თავებში შემავალ ქმედების შემადგენლობათა საკანონმდებლო ჩამოყალიბების საფუძველი. ეს არანაკლებ საინტერესო საკითხია სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით. მართლაც მნიშვნელოვანია სხვადასხვა ქმედების შემადგენლობის სისხლისსამართლებრივი კონსტრუქციის, შემადგენლობის შესაბამისი ნიშნების ცოდნა, რომელიც საშუალებას გვაძლევს მათ შორის მსგავსება-განსხვავების გასაკეთებლად.

ეკონომიკური დანაშაულის კარში გათვალისწინებულ შემადგენლობათა მსგავსება – გაერთიანების საფუძველი სწორედ სისხლისსამართლებრივად დაცული ეკონომიკური ინტერესია.¹⁶¹

ეკონომიკური ინტერესისა და მისი ხელყოფის ფორმების მრავალფეროვნება წარმოადგენს განსხვავებულ შემადგენლობათა საკანონმდებლო ჩამოყალიბების საფუძველს.

ეკონომიკური ინტერესის სამართლებრივ სიკეთედ აღიარება, ამ ნიშნის შესაბამისად ქმედების შემადგენლობათა საკანონმდებლო ჩამოყალიბება ნამდვილად ემსახურება ეკონომიკური ინტერესის სისხლისსამართლებრივ დაცვას. რამდენად ხორციელდება პრაქტიკაში ამ შემადგენლობათა გამოყენება ეკონომიკური ინტერესის დასაცავად ეს არანაკლებ საინტერესო საკითხია.¹⁶² თუმცა, ამ ეტაპზე მის განხილვა-გამოკვლევას აქ აღარ შევუდგებით.

საინტერესოა ერთი საკითხი: ეკონომიკური ინტერესი მნიშვნელოვანი ფაქტორია (დაცული სამართლებრივი სიკეთეა) მხოლოდ ეკონომიკურ დანაშაულში, თუ ის ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკონომიკური დანაშაულის კარით გაუთვალისწინებულ სხვა, ასე ვთქვათ, „არაეკონომიკურ დანაშაულშიც“?

ამ საკითხზე სწორი პასუხის გასაცემად ქმედების შემადგენლობათა საკანონმდებლო კონსტრუქციების, მეცნიერებაში გაბატონებული შეხედულებებისა და მათ პრაქტიკაში გამოყენების გარდა, საჭიროა დანაშაულის გამომწვევ მიზეზზე ყურადღების გამახვილება. ე. ი. დანაშაულის ნიშნების სისხლისსამართლებრივი დახასიათება – ცოდნის გარდა აუცილებელია დანაშაულის გამომწვევ მიზეზთა კრიმინოლოგიური ცოდნა-დახასიათება. დამნაშავეობის შეს-

¹⁶⁰ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, თბ., 2004, 377; დვალიძე ი., მახარობლიშვილი გ., სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლება და სისხლის სამართლით დაცული სამართლებრივი სიკეთე (სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი), თბ., 2016, 159.

¹⁶¹ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი I, მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019.

¹⁶² ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, თბ., 2004, 377.

ამცირებლად ნამდვილად არ არის საკმარისი მხოლოდ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია ანდა პენალიზაცია – სასჯელის გამკაცრება. ესენი სისხლის სამართლის პოლიტიკის ცვლილების შესაბამისად აუცილებელი ღონისძიებებია დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად. თუმცა, საკმარისი არ არის. ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაციით ხდება დამდგარი შედეგის აღიარება, მაგრამ არ კმარა ამ შედეგის გამომწვევი მიზეზის დასადგენად. შედეგის თავიდან ასაცილებლად კი საჭიროა მისი გამომწვევი მიზეზის დადგენა და აღმოფხვრა. აღმოფხვრა თუ ვერ/არ მოხერხდება, შემცირება მაინც.

სწორედ დანაშაულის ჩადენის გამომწვევი მიზეზის დადგენისა და მასთან ბრძოლის გარეშე, შეუძლებელია შედეგის თავიდან აცილება – დანაშაულის ჩადენა. დანაშაულის ჩადენის, მისი გამომწვევი კრიმინოლოგიური მიზეზი დაკავშირებულია ამ დანაშაულის საკანონმდებლო ნიშნებთანაც. ეს იმიტომ, რომ სხვადასხვა დანაშაულს, ქმედების საკანონმდებლო ნიშნებიდან გამომდინარე, სხვადასხვა შედეგის დადგომა/გამომწვევა შეუძლია. ეს შედეგი კი, სისხლის-სამართლებრივი თვალსაზრისით, არის ხელყოფილი ან საფრთხეშემქმნელი სამართლებრივი სიკეთე, მაგალითად, სიცოცხლე, ჯანმრთელობა, საკუთრება, ეკონომიკური ინტერესი და ა. შ.

თუ რატომ უნდა მოქმედს სისხლისსამართლებრივად დაცული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა ან მისთვის საფრთხის შექმნა, რაც კრიმინოლოგიურად დანაშაულის ჩადენის გამომწვევი მიზეზია, დაკავშირებულია ქმედების შემადგენლობის ისეთ სუბიექტურ ნიშნებთან, როგორცაა მოტივი და მიზანი.¹⁶³ აქ აღარ შევუდგები მოტივისა და მიზნის სისხლისსამართლებრივ დახასიათებას და მათ მნიშვნელობას ქმედების დანაშაულად როგორც საკანონმდებლო, ისე სასამართლო კვალიფიკაციისათვის. ეს ისედაც ნათელია და ამ ეტაპზე არ წარმოადგენს ჩვენი კვლევის საგანს.¹⁶⁴

მეცნიერებაში გაბატონებული აზრის მიხედვით, მოტივი არის ის შინაგანი მამოძრავებელი ძალა, რის გამოც სჩადის მოქმედი ქმედების შემადგენლობას, ხოლო მიზანი ის საბოლოო შედეგი, რის მიღწევასაც ცდილობს მოქმედი.¹⁶⁵ მაგალითად, მკვლელობის დროს მოტივი – მიზეზი შეიძლება იყოს შურისძიება, რის გამოც მოქმედმა დაისახა მიზანი – სხვისი სიცოცხლის ხელყოფა.

როგორ დგას ეს საკითხი ეკონომიკურ ინტერესთან დაკავშირებით. ეკონომიკურ დანაშაულებში ეკონომიკური ინტერესი არის მოქმედის მიზანი, მას სურს სხვისი ეკონომიკური ინტერესის ხელყოფა. მაგალითად, სხვისი საკუთრების ხელყოფა მოძრავი ნივთის დაუფლებით. მაგრამ რატომ აკეთებს ამას? იმიტომ, რომ აქვს ეკონომიკური ინტერესი, რომელიც უზიდავს ამ ინტერესის დასაკმაყოფილებლად, თუნდაც სხვისი ეკონომიკური ინტერესის ხელყოფით.

შეიძლება ბევრს სადავოდ მოეჩვენოს, მაგრამ ეკონომიკური დანაშაულების ერთ-ერთი არსებითი განმასხვავებელი ნიშანი სხვა არაეკონომიკურ დანაშაულებისგან არის ის, რომ მოქმედი საკუთარი ეკონომიკური ინტერესის დასაკმაყოფილებლად ხელყოფს სხვის ეკონომიკურ ინტერესს.

საკითხავია ეკონომიკური ინტერესის დანაშაულებრივი გზით დასაკმაყოფილებლად მხოლოდ ეკონომიკური დანაშაულის ჩადენაა საშუალება, თუ ამ მიზანს სხვა არაეკონომიკური დანაშაულების ჩადენაც მოემსახურება?

¹⁶³ დვალიძე ი., მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თბ., 2008, 159.

¹⁶⁴ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის სახელმძღვანელო, ზოგადი ნაწილი, მესამე გამოცემა, თბ., 2018, 719; ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა თანდართული ტესტების ნიმუშებითა და კაზუსის ამოხსნის მეთოდის გამოყენებით, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, 545;

¹⁶⁵ ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა თანდართული ტესტების ნიმუშებითა და კაზუსის ამოხსნის მეთოდის გამოყენებით, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, 545; ნაჭყებია გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის სახელმძღვანელო, ზოგადი ნაწილი, მეოთხე გამოცემა, თბ., 2019; ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, 691.

ეკონომიკურ დანაშაულებში რომ აშკარაა მოქმედის ეკონომიკური ინტერესი და მათ დასაკმაყოფილებლად რომ მოქმედებს, თუნდაც სხვის ეკონომიკურ ინტერესებზე, ეს დიდ მტკიცებას არ უნდა საჭიროებდეს. ეკონომიკური დანაშაულის ფორმულა ასე შეიძლება ჩამოვყალიბოთ: საკუთარი ეკონომიკური ინტერესის დანაშაულებრივი უზრუნველყოფა სხვისი ეკონომიკური ინტერესის ხელყოფით. არაეკონომიკური დანაშაულების მოტივი და გამომწვევი მიზეზიც შეიძლება იყოს და არის ხშირად პრაქტიკაში ეკონომიკური ინტერესი. სწორედ ეკონომიკური ინტერესის გამო ხდება სხვადასხვა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, რომლებიც არ არიან ეკონომიკური ხასიათის და უშუალოდ არ ხელყოფენ ეკონომიკურ ინტერესს. ამიტომ ამ შემადგენლობათა სამართლებრივი სიკეთე არ არის ეკონომიკური ინტერესი, თუმცა, როგორც იურიდიულ ლიტერატურაში ამბობენ, ხშირად მოისაზრება დამატებით სამართლებრივ სიკეთედ, დამატებით ობიექტად.

დავას არ უნდა ინვესტდეს ის საკითხი, რომ საკმაოდ ბევრი „არაეკონომიკური დანაშაულის“ გამომწვევი მიზეზია მოქმედის ეკონომიკური ინტერესი. ასეთ დროს მოქმედი თავის ეკონომიკურ ინტერესს იკმაყოფილებს ანდა აფართოებს სხვა დანაშაულის ჩადენით, რომლის სამართლებრივ სიკეთეს არ წარმოადგენს ეკონომიკური ინტერესი და მაშასადამე, მოქმედის მიზანიც არ არის სხვისი ეკონომიკური ინტერესის ხელყოფა. თუმცა, თავის მიზანს – დანაშაულებრივი გზით მატერიალური კეთილდღეობის მოპოვებას ან ამაღლებას, ახდენს სხვა სამართლებრივ სიკეთეთა ხელყოფით.

ეკონომიკური ინტერესი უბიძგებს მოქმედს, მაგალითად, იარაღით ვაჭრობისკენ. ასეთ დროს ხელყოფილი სამართლებრივი სიკეთე არ არის სხვისი ეკონომიკური ინტერესი, ის სულ სხვა რამეა,¹⁶⁶ მაგრამ სწორედ ამ დანაშაულებრივი ქმედებით პოულობს მოქმედი ხშირად იმაზე მეტ ეკონომიკურ სარგებელს და მაშასადამე იკმაყოფილებს ეკონომიკურ ინტერესს, ვიდრე უშუალოდ რომელიმე ეკონომიკური დანაშაულის ჩადენით.

ეკონომიკური ინტერესი არის ადამიანის ქმედების განმაპირობებელი ფაქტორი. ეკონომიკური ინტერესისათვის შესაბამისი ქმედების განხორციელება არ არის გასაკიცხი, თუ ის არ წარმოადგენს დანაშაულს ან სხვა სახის სამართალდარღვევას. ადამიანი ყოველთვის უნდა იღწვოდეს თავისი და სხვისი მატერიალური კეთილდღეობის ასამაღლებლად, უკიდურეს შემთხვევაში კი ელემენტარულად ეკონომიკურ-მატერიალურად უზრუნველსაყოფად.

ყოველთვის ვითარდებოდა ის ინდივიდი, საზოგადოება და თუნდაც სახელმწიფო, რომელიც მატერიალურ კეთილდღეობაზე ანდა მის დღენიდად გაუმჯობესებაზე ზრუნავდა. ეს განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა და მოტივიცაა. არაფერია დასაძრახი იმაში, რომ მეცნიერი ქმნიდეს რაიმე ღირებულ ნაშრომებს ჰონორარის მისაღებად და ამით ეკონომიკური ინტერესის უზრუნველსაყოფად, ხელოვანი ქმნის ღირებულ ნაშრომს კარგი ანაზღაურების მისაღებად, სტუდენტი სწავლობს კარგად სტიპენდიის მისაღებად. აქ და სხვა შემთხვევებში ადამიანის კეთილშობილური ქმედების წარმმართველი მოტივაციაა ეკონომიკური ინტერესი. ამ გზით ეკონომიკური ინტერესის დაკმაყოფილება ემსახურება როგორც მეცნიერების, ხელოვნების, სასწავლო პროცესის განვითარებას, ისე კონკრეტული ადამიანის ეკონომიკურ გაძლიერებასაც. არ უნდა უარვყოთ ის ფაქტი, რომ ხშირად მეცნიერული თუ სხვა შემოქმედებითი საქმიანობის შთაგონების წყარო და მოტივი, სხვა გარემოებებთან ერთად, ყოფილა ფინანსური ინტერესი. ასეთ დროს ეკონომიკური ინტერესი კეთილშობილურია, ლეგიტიმურია და ემსახურება როგორც ცალკეული ინდივიდის, ისე საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარებას. ადამიანს ვერ ავუკრძალავთ მატერიალური კეთილდღეობისადმი სწრაფვას. უფრო მეტიც, არ შეიძლება მისი რაიმე ჩარჩოებში მოქცევა. ეს ხელს უშლის ეკონომიკური ინტერესის მოტივით განხორციელებულ საქმიანობას. აუცილებელია ეკონომიკური ინტერესისადმი მუდ-

¹⁶⁶ ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეექვსე გამოცემა, თბ., 2020.

მივი სწრაფვა და განვითარება. სადაც ეს არ ხდება, იქ იქმნება მძიმე ეკონომიკური პირობები. არსებული ეკონომიკური პირობებით კმაყოფილება და უწყვეტ განვითარებაზე უარი, ხელს უშლის შემდგომ პროგრესს.

კაცობრიობის განვითარების ერთ-ერთი ფაქტორი იყო, არის და იქნება მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება, ეკონომიკური ინტერესის გაძლიერება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ხდება სახელმწიფოთა დონეზე. აუცილებელია სახელმწიფომ იზრუნოს ეკონომიკურ განვითარებაზე. არ შეიძლება სახელმწიფოს არ ჰქონდეს ეკონომიკური განვითარების მისწრაფება. რამდენად და როგორ ახორციელებს ამას რეალურად, ეს არა ნაკლებ საინტერესო, მაგრამ ცალკე მსჯელობის საკითხია.

სახელმწიფოს მსგავსად, ადამიანიც უნდა ზრუნავდეს პირად (ოჯახის) ეკონომიკურ კეთილდღეობაზე და იკმაყოფილებდეს ან კიდევ უფრო აძლიერებდეს შესაბამის ეკონომიკურ ინტერესს.

ის თუ ეკონომიკური ინტერესის დაკმაყოფილების როგორ გზას აირჩევს ადამიანი ამა თუ იმ სახელმწიფოში, ხშირად პიროვნულ ფაქტორთან ერთად დამოკიდებულია ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზეც.

რა თქმა უნდა, ყველა უნდა საქმიანობდეს, მათ შორის ეკონომიკური ინტერესებისათვის კანონის შესაბამისად, ლეგიტიმურად, მაგრამ არ არის ახალი, რომ ეკონომიკურ ინტერესებს (თუნდაც საარსებოდ აუცილებელი ელემენტარული) ადამიანები ხშირად დანაშაულებრივი გზით იკმაყოფილებენ. ამას სხვადასხვა მიზეზი განაპირობებს.

ეკონომიკური ინტერესი მუდმივად არსებობს. მისი მიღწევის საშუალებები კი იცვლება დროისა და სივრცის მიხედვით.

საკუთარი ეკონომიკური ინტერესისათვის სხვისი ეკონომიკური ინტერესის ხელყოფა გვიადვილებს ამ დანაშაულის მოტივის ახსნას.

მაგრამ ხშირად ძნელდება ეკონომიკური ინტერესის დანახვა არაეკონომიკურ დანაშაულებში. არადა მათი მამოტივირებელი, განმაპირობებელი ფაქტორი უდაოა. თუმცა ხშირად ამის დამტკიცება ძნელდება, რაც ხელს უშლის დანაშაულის ჩადენის ნამდვილი მიზეზის დადგენას და შესაბამისად მის წინააღმდეგ ბრძოლას.

როგორც ადრე აღვნიშნე, უფრო ადვილია ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნების დადგენა და პროცესუალურად დამტკიცება, ვიდრე სუბიექტური შემადგენლობის. როდესაც ხელყოფილია სხვისი საკუთრება და ამით დამნაშავემ „დაიკმაყოფილა“ ან „გაიუმჯობესა“ თავისი ეკონომიკური ინტერესი, ადვილი დასამტკიცებელია, რომ მას ამოძრავებდა ეკონომიკური კეთილდღეობის, ანგარების მოტივი. ეკონომიკური ინტერესით განპირობებული ანგარების მოტივის დანახვა და მით უმეტეს დამტკიცება ძნელდება სხვა სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართულ „არაეკონომიკურ დანაშაულებში“. რომ არა ეკონომიკური ინტერესით განპირობებული ანგარებითი მოტივი, არ მოხდება ბევრი სხვა არაეკონომიკური დანაშაულის ჩადენა. ასეთი დანაშაულები კი მრავლად არის როგორც ჩვენს, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსში, სადაც მათი ჩადენის მოტივი ანგარებაა. ანგარება კი განპირობებულია ეკონომიკური ინტერესით.¹⁶⁷

პრობლემურია, ის რომ ეკონომიკური დანაშაულისგან განსხვავებით, აქ წინა პლანზე წამოწეულია სისხლისსამართლებრივად დაცული სხვა სამართლებრივი სიკეთე. მაგალითად, სიცოცხლე, სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა, საზოგადოებრივი უშიშროება და წეს-

¹⁶⁷ ლეკვიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეექვსე გამოცემა, თბ., 2020, ასევე, დვალაძე ი., მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თბ., 2008, 159; ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა თანდართული ტესტების ნიმუშებითა და კაზუსის ამოხსნის მეთოდის გამოყენებით, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, 545; ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019;

რიგი და ა. შ. თუმცა, ამ თავებსა და კარებში ჩამოყალიბებული ქმედების შემადგენლობაში აღიარებული/გათვალისწინებული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა არის მოქმედის არა თვითმიზანი, არამედ საშუალება ეკონომიკური ინტერესის დასაკმაყოფილებლად.

ამდენად, სისხლის სამართლის კოდექსის ამა თუ იმ მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობით დაცული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა განპირობებულია ეკონომიკური ინტერესით. რა თქმა უნდა, ეს ყოველთვის ასე არ არის, მაგრამ ზოგიერთ შემადგენლობაში პირდაპირ არის საკანონმდებლო ხაზგასმა, რომ ეკონომიკური ინტერესი განაპირობებს სხვა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას. ასეთ დროს ეს სამართლებრივი სიკეთე არის საშუალება, მიზანი კი ეკონომიკური ინტერესი.

ეკონომიკური ინტერესი, როგორც ქმედების განმაპირობებელი მოტივი, ხშირად ძნელი დასამტიკიცებელია და ვერ დგინდება ქმედების ჩადენის დროს. თუმცა, ობიექტური შემადგენლობის არსებობა მიუთითებს ხელყოფილ ან საფრთხეშემქმნელ სამართლებრივ სიკეთეზე. ეს კი ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

სამართლებრივი სიკეთის ცვლილება ყოველთვის იწვევს ცვლილებებს ქმედების დანაშაულის კვალიფიკაციაში, რასაც ვერ ვიტყვით მოტივის ცვლილებაზე. ერთი და იგივე სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა სხვადასხვა მოტივით შეიძლება მოხდეს. სწორედ მოტივის დადგენაა დანაშაულის ჩადენის მიზეზის ახსნის საფუძველი. ეს კი დანაშაულის პრევენციის საუკეთესო საშუალებაა. რა თქმა უნდა, მოტივი ხშირად გავლენას ახდენს ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაციაზე, მაგრამ მისი დადგენა, როგორც ქმედების გამომწვევი შინაგანი მიზეზის, არც თუ ისე ადვილია. როდესაც A თოფს ესვრის B-ს და B მოკვდება, ამის დადგენა შესაძლებელი და უფრო ადვილია, ვიდრე იმის, თუ რის გამო ესროლა A-მ B-ს. სიძულვილი, შურისძიება, ანგარება თუ სხვა რამე იყო მკვლელობის მიზეზი. შედეგის დანახვა, რაც სახეზეა უფრო ადვილია, ვიდრე მისი გამომწვევი მიზეზის. არადა შედეგის აცილება კი, მხოლოდ მისი გამომწვევი მიზეზის აღმოფხვრით შეიძლება.

ჩვენ გადაჭარბებულ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ისეთ ნიშანს, როგორც მოტივია, მაგრამ განზრახ დანაშაულებში მისი წარმმართველი ძალა უდავოა. ადამიანის ქმედებას ესა თუ ის მოტივი წარმმართავს. ამის შემდეგ იწყება განზრახვის ჩამოყალიბება და შესაბამისი მიზნის დასახვა. ქმედების ჩადენის სურვილის გაჩენა მოტივზეა დამოკიდებული. სწორედ მოტივი განაპირობებს მოქმედის გადაწყვეტილებას ქმედების ჩადენაზე, რომელიც მოტივირებული ინტერესითაა განპირობებული.

ადამიანს სხვადასხვა ინტერესი შეიძლება ჰქონდეს და ამან უბიძგოს შინაგანად რაიმე ქმედების, მათ შორის, დანაშაულებრივის ჩასადენად. სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულებრივ ქმედებაში ეკონომიკური ინტერესის მამოტივირებელი მნიშვნელობა ძალიან დიდია, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ძნელი და შეუძლებელიც კი არის მისი დანახვა და დამტიკიცება.

თუმცა, ზოგიერთი არეკონომიკური დანაშაულის საკანონმდებლო კონსტრუქცია პირდაპირ მიუთითებს მოქმედის ეკონომიკურ ინტერესებზე. ასეთ შემთხვევაში ამის დანახვა შესაძლებელიცაა და სავალდებულოც ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისათვის. ამ თვალსაზრისით საინტერესოა სისხლის სამართლის კოდექსის 410-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა – დაქირავებულის მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში. ამ მუხლის შენიშვნაში აღნიშნულია, რომ „**დაქირავებულად ითვლება ის, ვინც არ არის შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქე და მოქმედებს მატერიალურ გასამრჯელოსათვის, მუდმივად არ ცხოვრობს ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, აგრეთვე ის, ვინც გაგზავნილი არაა ოფიციალური მოვალეობის შესასრულებლად.**“ აქ აღარ შევუდგები იმის დახასიათებას, თუ რა არის სისხლის სამართლის კოდექსის 410-ე

მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობით დაცული სამართლებრივი სიკეთე.¹⁶⁸ აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული ამ დანაშაულის ჩადენისათვის მოქმედს უბიძგებს პირველ რიგში, ეკონომიკური ინტერესი – მატერიალური გასამრჯელოსათვის დანაშაულის ჩადენა.

დაქირავებულს არ ამოძრავებს რაიმე პატრიოტული ან სხვა მოტივები, მისი ძირითადი მოტივირებელია მატერიალური გასამრჯელო, რომელსაც ჩვენ შეიძლება ვუნოდოთ ეკონომიკური ინტერესი. სწორედ ეს ინტერესი განაპირობებს მის დანაშაულებრივ ქმედებას. რომ არა ეკონომიკური ინტერესის მამოძრავებელი ძალა, დაქირავებული მონაწილეობას არ მიიღებს საომარ მოქმედებაში. კაცობრიობის ისტორია მდიდარია სახელმწიფოთა შორის ომებში და კონფლიქტებში დაქირავებულების მონაწილეობის მაგალითებით.

ეკონომიკური ინტერესი შეიძლება დავინახოთ მამოტივირებელ ძალად სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებშიც. რა თქმა უნდა, აქ შეიძლება დომინირებდეს ან პარალელურად მოქმედებდეს ამ შემადგენლობისათვის სისხლისსამართლებრივად დამახასიათებელი მოტივი, რაც სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით, შესაბამისი შემადგენლობის არსებობისა და ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, მაგრამ ეკონომიკური ინტერესის გამო, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის უარყოფაც არ შეიძლება.

ხშირად ეკონომიკური ინტერესი ხდება ხოლმე სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ისეთი დანაშაულების, როგორცაა საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევა, ჯაშუშობა და ა. შ. ჩადენის მამოძრავებელი ძალა. რა თქმა უნდა, არ შეიძლება აქ სხვა მოტივებისა და დანაშაულის გამომწვევი მიზეზების უარყოფა, მაგრამ ეკონომიკური ინტერესით სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ამ და სხვა დანაშაულთა ჩადენის უარყოფაც არ შეიძლება. ისტორიამ არაერთი მაგალითი იცის საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულებრივი საქმიანობისა გარკვეული ანაზღაურების, ეკონომიკური ინტერესის სანაცვლოდ. აქ მათ ჩამოთვლას და არგუმენტირებას აღარ შევუდგები.¹⁶⁹

აღარაფერს ვსაუბრობთ სამოხელეო დანაშაულზე, რომელიც კორუფციული დანაშაულის ქვაკუთხედიცაა. კორუფციულ დანაშაულთა მამოტივირებელი ხომ ეკონომიკური ინტერესია. სწორედ ეკონომიკურ ინტერესთა მრავალფეროვნება განაპირობებს კორუფციის სხვადასხვა ფორმით არსებობას და მის გაძლიერებას როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორშიც. რომ არა ადამიანის ეკონომიკური ინტერესი, არ იარსებებდა კორუფციული დანაშაული, რომელიც სხვადასხვა ფორმითა და სიძლიერით არსებობდა, არსებობს და იარსებებს მომავალშიც. აღარ იქნება კორუფცია მაშინ, როცა აღარ იქნება ეკონომიკური ინტერესი. ეკონომიკური ინტერესი კი ყოველთვის არსებობდა, არსებობს და იარსებებს. შესაბამისად კორუფციული დანაშაულიც შეიცვლება და კიდევ უფრო დაიხვეწება მისი გამოვლენის ფორმები, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს მის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობას.

ეკონომიკური ინტერესი დიდია და მამოტივირებელი ძალაა არა მხოლოდ კორუფციულ, არამედ სხვა საყოველთაოდ ცნობილ და ერთი შეხედვით ნაკლებად მტკივნეულ დანაშაულებში, მაგალითად, როგორცაა ეკოლოგიური დანაშაული.

საინტერესოა, ეკონომიკური ინტერესის საკითხი ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში, ადამიანით ვაჭრობაში, მძევლად ხელში ჩაგდებაში, არასრულწლოვნის ჩაბმაში ანტი-საზოგადოებრივ ქმედებაში, საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში, ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა, ტარება, დამზადება,

¹⁶⁸ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი II, მეოთხე გამოცემა, თბ., 2012, 484.

¹⁶⁹ კაცობრიობის ისტორია არაერთ ასეთ შემთხვევას იცნობს ეკონომიკური ინტერესის გამო საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულებრივი საქმიანობისა.

გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღებაში, ნარკოტიკულ დანაშაულში და ა.შ.¹⁷⁰

აქ ყველგან იკვეთება მოქმედის ეკონომიკური ინტერესი და მისი მამოტივირებელი ძალა დანაშაულის ჩადენაზე. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ მოტივის დამტკიცება ძნელია და არც არის აუცილებელი ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისათვის. მაგრამ ჩვენი მიზანი ხომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია არ არის. ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია საშუალებაა რომ ზოგადი და პერსონალური პრევენციის საფუძველზე მოხდეს დანაშაულის თავიდან აცილება ან/და მკვეთრი შემცირება, რათა სისხლის სამართალმა შეასრულოს დანაშაულისგან სამართლებრივი სიკეთის დაცვის ფუნქცია. მაგრამ ამ ფუნქციის შესრულება მხოლოდ სისხლისსამართლებრივ ასპექტში საკითხის განხილვით შეუძლებელია, თუ არ მოხდა დანაშაულის გამომწვევ მიზეზთა გამოკვლევა. რადგან ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია საშუალებაა და არა მიზანი, ამიტომ ყოველთვის შეიძლება მისი ცვლილება. მიზნის შეცვლა მოითხოვს საშუალების შეცვლასაც, საშუალების შეცვლა კი უნდა ემსახურობდეს მიზნის მიღწევას.

თუკი მიზანი სამართლებრივი სიკეთის დაცვაა დანაშაულის ხელყოფისგან, მხოლოდ სამართლებრივი სიკეთის დამცავი შემადგენლობების დანაშაულად გამოცხადება, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია საკმარისი არ არის. ასევე აუცილებელია ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციასთან ერთად მისი თავიდან აცილება. დანაშაულის თავიდან აცილებისათვის კი აუცილებელია მისი გამომწვევი მიზეზების დადგენა და აღმოფხვრა. თუ გაუფრთხილებელ დანაშაულებში მნიშვნელოვანია წინდახედულობის ნორმის დაცვა, განზრახ დანაშაულებში ძალიან საყურადღებოა განზრახვის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი გარემოებების შესწავლა. განზრახვის ჩამოყალიბებას წინ უსწრებს მოქმედის გადაწყვეტილება რაიმე ქმედების ჩადენაზე. ამ გადაწყვეტილების წინაპირობა კი ქმედების ჩადენის მოტივია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გადაჭარბებულ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ მოტივს განზრახ დანაშაულებში, მაგრამ მისი განმაპირობებელი ძალა ქმედების ჩადენის გადაწყვეტილებაზე უდავოა.

სხვადასხვა მოტივმა შეიძლება მიაღებინოს მოქმედს ქმედების (დანაშაულის) ჩადენის გადაწყვეტილება. ყველაზე ხშირი და გავრცელებული მოტივი კი ეკონომიკური ინტერესია. როგორც ვნახეთ იგი დომინირებს არა მხოლოდ ეკონომიკური ინტერესის წინააღმდეგ, არამედ სხვა სამართლებრივ სიკეთეთა წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულშიც. ხშირად ეკონომიკური ინტერესია სხვა არაეკონომიკურ დანაშაულთა ჩადენის მოტივიც.

ეკონომიკური ინტერესის ზრდამ შეიძლება დღის წესრიგში დასვას ახალი ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის საკითხი, სადაც ეკონომიკური ინტერესი სამართლებრივ სიკეთედ არც კი იქნება გათვალისწინებული, მაგრამ ეს არ იქნება ამ მოტივით ჩადენილ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტური საშუალება.

კანონმდებლობის შეცვლა უფრო ადვილია, ვიდრე ადამიანთა მოტივაციის. ძნელი და შეუძლებელიც კი არის ადამიანს უარი ათქმევინო ეკონომიკურ ინტერესზე ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციით ან პენალიზაციით, თუ ეკონომიკური ინტერესის ლეგიტიმური მიღწევისათვის სათანადო პირობები არ იქნება. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი ასეთ პირობებშიც ცდილობს ეკონომიკური ინტერესის დანაშაულებრივი გზით დაკმაყოფილებას. ამიტომ შეუძლებელი ხდება კორუფციის შესუსტება, არამც თუ აღმოფხვრა. ეკონომიკური ინტერესი კორუფციული დანაშაულის ყველაზე დიდი მამოტივირებელი ძალაა.

ამდენად, ეკონომიკური ინტერესი შეიძლება გახდეს როგორც ეკონომიკური ხასიათის სამართლებრივი სიკეთის, ისე სხვა არაეკონომიკური ხასიათის სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის მიზეზი. ეკონომიკური ინტერესის გამო და მის დასაკმაყოფილებლად სხვისი ეკონომი-

¹⁷⁰ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019; ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეოთხე გამოცემა, თბ., 2012, 484.

კური ინტერესის (ეკონომიკური ხასიათის სამართლებრივი სიკეთის) ხელყოფა გავრცელებული ფაქტია და დიდ მტკიცება – დასაბუთებას არ საჭიროებს. არაიურისტისათვისაც ადვილი აღსაქმელი და გასაგებია, რომ მოქმედმა საკუთარი ეკონომიკური ინტერესის გამო ხელყო სხვისი ეკონომიკური ინტერესი და დანაშაულებრივი გზით მიაღწია „მატერიალურ კეთილდღეობას“. რა მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს სხვისი ეკონომიკური ინტერესის (შეიძლება ვუნოდოთ ეკონომიკური ხასიათის სამართლებრივი სიკეთის) ხელყოფა, თუ არა მოქმედის ეკონომიკური ინტერესის დანაშაულებრივ მოპოვებას ან გაუმჯობესებას. როგორც ადრე აღვნიშნეთ, აქ იგულისხმება ეკონომიკურ სამართლებრივ სიკეთეთა განზრახი და არა გაუფრთხილებელი ხელყოფა, რადგან გაუფრთხილებელ დანაშაულში მოქმედს არც რაიმე მოტივი უბიძგებს ქმედებისკენ და არც რაიმე მიზნის მიღწევა სურს. თუმცა, გაუფრთხილებლადაც შეიძლება სხვისი ეკონომიკური ინტერესის ხელყოფა, მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობის ჩადენა.¹⁷¹ მაგრამ ასეთი ქმედება არ არის საკუთარი ეკონომიკური ინტერესით განპირობებული და მოტივირებული.

ეკონომიკური ინტერესით მოტივირებული და განპირობებული შეიძლება იყოს მხოლოდ განზრახი ქმედება (დანაშაული). ამიტომ როცა ქმედების მამოტივირებელია ეკონომიკური ინტერესი, იგი არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ სხვისი ეკონომიკური ინტერესის ხელყოფით, მხოლოდ ეკონომიკური დანაშაულით. მით უმეტეს, ხშირად უფრო მეტ ეკონომიკურ სარგებელს იძლევა სხვა არაეკონომიკური დანაშაულის ჩადენა. ასეთია, მაგალითად, ნარკოტიკებით, იარაღით, ადამიანითი ვაჭრობა და ა. შ. ამდენად, ეკონომიკური ინტერესი ხდება არა მხოლოდ ეკონომიკური დანაშაულის, არამედ სხვა სამართლებრივი სიკეთის ხელმყოფი დანაშაულის ჩადენის მიზეზიც. სანამ იარსებებს მიზეზი, მუდამ იქნება შედეგის (დანაშაულის) დადგომის შესაძლებლობა. როდესაც ქმედების ჩადენის მიზეზი და მამოტივირებელია ეკონომიკური ინტერესი, ყოველთვის იქნება ამ ინტერესთან ერთად მისი მიღწევისთვის პირობებისა და პიროვნების შესაბამისი ქმედების ჩადენის ალბათობა სხვადასხვა ხარისხით. არ შეიძლება ვთქვათ, რომ ყველა იკმაყოფილებს თავის ეკონომიკურ ინტერესს დანაშაულის ჩადენით. ცალკე საკითხია თუ რა ქმედება სად და როდის ითვლება დანაშაულად და რატომ ანდა როგორ ხდება ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია. ეს დაკავშირებულია სისხლის სამართლის პოლიტიკასთან და ხშირად ხელისუფლების პოლიტიკურ ნებასთან.

სახელმწიფომ შეიძლება შეცვალოს თავისი სისხლის სამართლის პოლიტიკა სხვადასხვა მიმართულებით, მაგრამ ვერ შეცვლის ეკონომიკურ ინტერესისადმი ადამიანის მოთხოვნილებას. ამიტომ როგორც სისხლის სამართლის პოლიტიკამ, ისე სხვა ღონისძიებებმა კომპლექსურად ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკური ინტერესის ლეგიტიმური გზით დაკმაყოფილებას.

ეს მნიშვნელოვანი და აუცილებელი ნაბიჯია ეკონომიკური ინტერესით ჩადენილ დანაშაულთა შესამცირებლად. რა თქმა უნდა, არავის არ უნდა ჰქონდეს იმის ილუზია, რომ ეკონომიკური ინტერესით მოტივირებული დანაშაული არ იარსებებს და მის აღმოფხვრას შევძლებთ. ეს შეუძლებელია თუნდაც იმიტომ, რომ სანამ არსებობს კაცობრიობა, იარსებებს დანაშაულიც, განსაკუთრებით კი ეკონომიკური ინტერესით მოტივირებული სხვადასხვა სამართლებრივი სიკეთის ხელმყოფი დანაშაული. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მის შესამცირებლად სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და სხვა ღონისძიებები არ გავატაროთ. თუმცა, ამ მოტივით ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობა იმდენად დიდი და მრავალფეროვანია, რომ ზოგჯერ მისი დადგენაც კი შეუძლებელია. ეს საკითხი ალემატება ერთი ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივ პრობლემას და ხშირად ტრანსნაციონალურ ხასიათს ღებულობს. სხვადასხვა სახელმწიფოს კრიმინალური დაჯგუფებები სწორედ ეკონომიკური ინტერესის ირგვლივ ერთიანდებიან და სჩადიან ამ მოტივით სხვადასხვა სახის ტრანსნაციონალურ დანაშაულს. ამიტომ ეკონომიკური ინტერესით განპირობებულ დანაშაულთა მრავალფეროვნების, უწყვეტობისა და ხშირად

¹⁷¹ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019, 549-550.

ტრანსნაციონალური ხასიათის გამო, აუცილებელია შიდასახელმწიფოებრივ ღონისძიებებთან ერთად, სახელმწიფოთაშორისი სამართლებრივი თანამშრომლობა. ამ დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად არ არის საკმარისი მხოლოდ სამართლებრივი ბაზა, რაც ასევე აუცილებელია. ამასთან ერთად აუცილებელია ისეთ პირობების შექმნა, სადაც ადამიანის და საზოგადოების ჯანსაღ ნაწილს შეეძლება ეკონომიკური ინტერესის ლეგიტიმური გზით დაკმაყოფილება და შემდგომი გაუმჯობესება. ეს ბევრ ფაქტორთან არის დაკავშირებული, რომლის გამოკვლევა-განხილვას აქ არ შევუდგებით. ეკონომიკური ინტერესის ფენომენი და მისი გავლენა ადამიანის ქმედებაზე, მათ შორის, დანაშაულებრივ ქმედებაზე, სერიოზულ შესწავლა-გამოკვლევას მოითხოვს.

საინტერესოა სისხლისსამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით ეკონომიკური (ხასიათის) სამართლებრივი სიკეთე.

საყურადღებოა ასევე საკუთარი ეკონომიკური ინტერესის უზრუნველსაყოფად სხვისი ეკონომიკური სამართლებრივი სიკეთის ან არაეკონომიკური ხასიათის სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა.

ეკონომიკური ინტერესი ადამიანის განუყოფელი ნაწილი და შეიძლება ითქვას მისი ბუნებრივი თვისებაა. ამიტომ სანამ ადამიანი არსებობს სხვადასხვა სიმძლავრით მას ყოველთვის ექნება ეკონომიკური ინტერესი და იმოქმედებს მის შესაბამისად. ამიტომ ეკონომიკურ ინტერესზე, როგორც ადამიანის ქმედების მამოტივირებელ ფაქტორზე უარის თქმა შეუძლებელიცაა და მიზანშეუწონელიც. ეკონომიკური ინტერესი ყოველთვის იქნება ადამიანის ქმედების წარმმართველი. მთავარია ეკონომიკური ინტერესისათვის სამართლიანი და კეთილშობილური ქმედება და არა დანაშაულებრივი. ადამიანს არ შეუძლია უარი თქვას ეკონომიკურ ინტერესზე, მაგრამ შეუძლია უარი თქვას მისი დანაშაულებრივი ქმედებით (გზით) მიღწევაზე. აქედან გამომდინარე, ყოველთვის იქნება ეკონომიკური ინტერესი და შესაბამისად მისი მიღწევის სამართლიანი ან/და დანაშაულებრივი გზა. ადამიანმა, საზოგადოებამ და სახელმწიფომ არ უნდა თქვას უარი და ვერც იტყვის ეკონომიკურ ინტერესზე, მაგრამ უნდა უარყოს მისი დანაშაულებრივი მიღწევა. ამიტომ ეკონომიკური ინტერესის ლეგიტიმური, კანონიერი გზით დაკმაყოფილება არის ამ ინტერესით დანაშაულის ჩადენის აღმოფხვრის თუ არა შემცირების ერთადერთი საშუალება. ეს კი დამოკიდებულია როგორც ცალკეულ ინდივიდზე, ისე მის ირგვლივ შექმნილ გარემოზე.

ქალთა მიმართ ბუნდების ნიშნით ჩადენილი ძალადობის გამოძიებასთან დაკავშირებული ზომიერითი საკითხი

ღავით სურცოქი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი.

შესავალი

ქალთა მიმართ ძალადობა ადამიანის უფლებების ფუნდამენტური დარღვევაა. ის მოქმედებს საზოგადოების ყველა სეგმენტზე, გავრცელებულია ყველა ასაკობრივ ჯგუფში და გვხვდება ქალთა ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე. მიუხედავად ამისა, მსოფლიოს მრავალ კუთხეში, ამგვარი ძალადობა განიხილება როგორც პირად, კერძო საკითხად. საერთაშორისო კვლევები ცხადყოფს, რომ ქალები ყოველდღიურად ხდებიან ძალადობის სხვადასხვა ფორმის მსხვერპლები მხოლოდ იმიტომ, რომ ქალები არიან. აღნიშნული პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფოს ვალდებულებაა. ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა, მიუხედავად დამკვიდრებული საერთაშორისო თუ ეროვნული მექანიზმებისა, კვლავ გამონვევად რჩება. აღნიშნული საკითხი აქტუალურია საქართველოშიც, სადაც ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად არსებული კანონმდებლობა და პრაქტიკა ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია, მოსახლეობის ცნობიერება კი, აღნიშნული კუთხით, კვლავ დაბალია.

წარმოდგენილი სტატია ეხება ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობის გამოძიების საკითხებს. მასში განმარტებულია ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობა, საუბარია ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობის გამოძიების პროცესთან დაკავშირებულ პრაქტიკულ საკითხებსა და არსებულ გამოწვევებზე, ყურადღება ეთმობა გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის გამოკვეთის საკითხებს და სხვ.

1. ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობა

გენდერი კომპლექსური, მრავალსაფეხურიანი კულტურული კონსტრუქციაა, რომელიც კონტექსტის გათვალისწინებით, ქალისა და კაცისათვის იძენს განსხვავებულ მნიშვნელობას და მოიცავს გენდერული ნიშან-თვისებების, ემოციების, ღირებულებების, ნორმების, გარემოებების, საზოგადოებაში დამკვიდრებული როლების ერთობლიობას. გენდერი, ასევე შეიძლება მივიჩნიოთ საზოგადოებრივ სტატუსად, რომლითაც განსაზღვრულია ქალისა და კაცის სოციალური მდგომარეობა, სადაც, ჩვეულებრივ, ქალს ენიჭება ნაკლები ძალაუფლება, პრივილეგია და სტატუსი კაცთან შედარებით.

საზოგადოებაში დღეს დამკვიდრებული უთანასწორობა ქალებსა და კაცებს შორის, აძლიერებს პატრიარქალურ მსოფლმხედველობას,¹⁷² რომლის მიხედვითაც, ქალთა დაქვემდებარებული დამოკიდებულება კაცებზე არის ნორმალური, ბუნებრივი და მოსალოდნელი,

¹⁷² Glenn S., Melis S., Withers L., Gender (In)equality in the Labour Market, an Overview of Global Trends and Developments, International Trade Union Confederation, Brussels, 2009, 42.

ძლიერი და რეალიზებული ქალი კი – სტიგმატიზებული და მიუღებელი.¹⁷³ ქალებსა და კაცებს შორის არსებული ეს დისბალანსი კიდევ უფრო მეტად გვხვდება ისეთი ტიპის საზოგადოებებში, სადაც რელიგიური ან/და კულტურული ნორმების გავლენით, ქალს კაცთან შედარებით დაკნინებული სტატუსი აქვს მინიჭებული.¹⁷⁴

ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით ძალადობა ხორციელდება საზოგადოებაში დამკვიდრებული გენდერული როლებისა და სტატუსების გავლენით. სტამბოლის კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობას გენდერის ნიშნით“ განმარტავს, როგორც ქალის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას იმის გამო, რომ ის ქალია ან რომელიც არათანაზომიერად უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ქალებზე.¹⁷⁵

საინტერესოა, რომ გენდერი ქალისა და კაცისთვის განსხვავებულად აყალიბებს ძალადობრივი ქმედების მნიშვნელობასაც და ეს მნიშვნელობა იცვლება სიტუაციური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით. მაგალითად, კონკრეტული ძალადობრივი ქმედებების სიმძიმე განსხვავებულად შეფასდება იმის მიხედვით, არის თუ არა ქმედების ჩამდენი კაცი (ქალი). მსგავსი განსხვავებები ხშირად, კაცის მხრიდან ქალის მიმართ ძალადობის გამართლებას უწყობს ხელს.¹⁷⁶ ბევრ კულტურაში მიიჩნევა, რომ კაცებს აქვთ უფლება ქალებს მოეპყრონ საკუთარი შეხედულებისამებრ. ქალი სოციალურად მისთვის განსაზღვრულ როლს თუ არ ასრულებს და საზოგადოებრივ მოლოდინს არ ამართლებს, შესაძლოა, ამისათვის დაისაჯოს ოჯახის წევრის, პარტნიორის ან/და საზოგადოების სხვა წევრების მიერ. ზოგიერთ ქვეყანაში, ქალის მიმართ გამოყენებული ფიზიკური სასჯელი წარმოადგენს კაცის უფლებასა და საშუალებას, რომელიც „შეცდომილი“ ქალის გამოსწორებას ისახავს მიზნად.¹⁷⁷ ასევე, ზოგჯერ, ქალების სხეული ასოცირდება ოჯახის ღირსებასთან, რომლის დასაცავად კაცები თავს უფლებას აძლევენ აკონტროლონ და განსაზღვრონ ქალთა ცხოვრების წესი. ამრიგად, კაცები ზღუდავენ ქალთა ცხოვრების თავისუფლებას საკუთარი ღირსებისა და პატივის დაცვის მიზნით. ამას კაცები საზოგადოების სოციო-კულტურული ღირებულებების დანმარებით აკეთებენ.

ქალთა მიმართ ძალადობა მოქმედებს საზოგადოების ყველა სეგმენტზე, გავრცელებულია ყველა ასაკობრივ ჯგუფში¹⁷⁸ და გვხვდება ქალთა ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე. ეს შეიძლება მოხდეს გოგონას დაბადებამდეც – გენდერის ნიშნით სქესის შერჩევის დროს.¹⁷⁹ მიუხედავად ამისა, მსოფლიოს მრავალ კუთხეში, ამგვარი ძალადობა განიხილება როგორც პირად, კერძო საკითხად.

2. ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობის გამოძიება

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, გამოძიება განმარტებულია, როგორც უფლებამოსილი პირის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის

¹⁷³ Morrison A.R., Orlando M.B., The Costs and Impacts of Gender-based Violence in Developing Countries: Methodological Considerations and New Evidence, 2005, 5.

¹⁷⁴ ქალები თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში: გზამკვლევი გენდერ-სენსიტიური მონიტორინგისათვის, Penal Reform International, 2013.

¹⁷⁵ Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, Article 3.

¹⁷⁶ Russo N. F., Pirlott A., Gender-Based Violence _ Concepts, Methods, and Findings, New York Academy of Sciences, 2006, 178-205.

¹⁷⁷ Heise L., Ellsberg M., Gottmoeller M., A global Overview of Gender-based Violence, International Journal of Gynecology and Obstetrics, 2002, 78.

¹⁷⁸ Hadi A., Patriarchy and Gender-Based Violence in Pakistan, European Journal of Social Sciences Education and Research, May-August 2017, Vol. 4, 297.

¹⁷⁹ Greasley K., Is Sex-Selective Abortion against the Law?, Oxford Journal of Legal Studies, Vol. 36, 2016.

საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება.¹⁸⁰ გამოძიება უნდა ჩატარდეს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად. იმისათვის, რომ გამოძიება დაიწყოს, უნდა არსებობდეს გამოძიების დაწყების საფუძველი, ანუ, დანაშაულის შესახებ ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა, მიღებულ იქნეს ნებისმიერი წყაროდან. ასეთი ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, გამომძიებელსა და პროკურორს წარმოეშობათ გამოძიების დაწყების ვალდებულება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საგამომძიებო მოქმედებებს ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებით ზოგადი მოქმედებებისაგან განსხვავებულად არ ადგენს, თუმცა, მსგავსი ტიპის დანაშაულები, მათი ბუნებიდან გამომდინარე, გამოძიების კუთხით, რიგი თავისებურებებით ხასიათდება.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის მე-6 თავი ეხება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხებს. კერძოდ, კონვენციის 49-ე მუხლი ადგენს კონვენციის ხელმომწერ სახელმწიფოთა¹⁸¹ ზოგად ვალდებულებებს, რომლის მიხედვითაც, მხარეებმა ყველა საჭირო ზომა უნდა გაატარონ იმისათვის, რომ კონვენციით განსაზღვრულ ძალადობის ფორმებთან მიმართებით, გამოძიება და სასამართლო საქმის წარმოება გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე განხორციელდეს. ამავე მუხლის მოთხოვნით, სისხლის სამართლის საქმის წარმოების ყველა ეტაპზე გათვალისწინებული უნდა იქნეს მსხვერპლის უფლებები. ასევე, ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა ძირითადი პრინციპებისა და ძალადობის გენდერული გაგების მხედველობაში მიღებით, კონვენციით განსაზღვრულ დანაშაულებზე უნდა ჩატარდეს ქმედითი გამოძიება და განხორციელდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

სტამბოლის კონვენციით განსაზღვრული მსგავსი მიდგომა ორიენტირებულია საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვებაზე, ასევე, კონვენციით განსაზღვრული დანაშაულების ჩამდენ მსჯავრდებულ პირთა რაოდენობის გაზრდაზე, რამაც, საბოლოოდ, საზოგადოებაში დამკვიდრებულ დაუსჯელობის განცდა უნდა შეასუსტოს და საბოლოოდ აღმოფხვრას.

როგორც აღინიშნა, სტამბოლის კონვენცია, წევრი სახელმწიფოებისგან მოითხოვს, რომ კონვენციაში შემავალი დანაშაულების გამოძიება მოხდეს ეფექტიანად და ისინი სასამართლო წესით იქნეს დასჯილი, რაც გულისხმობს იმას, რომ უნდა მოხდეს საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დადგენა, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მქონე პირთა გამოკითხვა, შესაბამისი ექსპერტიზების ჩატარება მულტიდისციპლინური მიდგომების გამოყენებით და სისხლის სამართლის დანაშაულთა თანამედროვე საგამომძიებო მეთოდებით წარმართვა საქმის სრულყოფილი ანალიზის მიზნით.¹⁸²

როდესაც პირის ძალადობრივ ქმედებაში იკვეთება გენდერის ნიშანი, ხელისუფლებამ განსაკუთრებული გულდასმით უნდა მოახდინოს რეაგირება საგამომძიებო ღონისძიებების განხორციელებით. როდესაც არსებობს ეჭვი, რომ ძალადობა განხორციელდა გენდერის ნიშნით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ გამოძიება ეფექტურად წარიმართოს.¹⁸³

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ, იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ინფორმაცია, რომ ძალადობა განხორციელდა დისკრიმინაციული მოტივით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ გამოძიება მიმდინარეობდეს ეფექტურად და მიუკერ-

¹⁸⁰ სსსკ, მე-3 მუხლის მე-10 ნაწილი.

¹⁸¹ სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება საქართველომ 2017 წლის 5 აპრილს პარლამენტის დადგენილებით მოახდინა.

¹⁸² შიშისგან და ძალადობისგან თავისუფალ, ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის და პრევენციის შესახებ (სტამბოლის კონვენცია), Council of Europe, თბ., 75.

¹⁸³ Tërshana v. Albania, No. 48756/14, 4 August 2020.

ძობლად, რაც, ერთი მხრივ, დადასტურება იქნება იმის, რომ სახელმწიფო გამოხსნის დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილ ძალადობას და მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს მოსახლეობის ნდობის შენარჩუნებას საკუთარი ქვეყნის ხელისუფლების მიმართ, რომ საჭიროების შემთხვევაში ხელისუფლება დაიცავს მათ დისკრიმინაციული ნიშნით ძალადობისაგან.¹⁸⁴

ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევაში, სახელმწიფოს ვალდებულებაა გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა ანარმოს გენდერულად მგრძობიარე, მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომების გათვალისწინებით. გენდერულად მგრძობიარე დამოკიდებულება ნიშნავს გამოძიების ორგანოების მხრიდან, სხვადასხვა სიტუაციებში, გენდერულად მგრძობიარე წესებითა და დამოკიდებულებით მოქმედებას, ასევე, მსხვერპლის მიმართ პატივისცემით მოპყრობასა და გენდერულად მგრძობიარე, არადისკრიმინაციული ენის გამოყენებას მათთან კომუნიკაციისას. მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომა უზრუნველყოფს გამოძიების პროცესში შესაბამისი კითხვების დასმას, მსხვერპლის უფლებებისა და ღირსების დაცვას და ხელახალი ტრავმირების თავიდან აცილებას.

საქმის წარმოების ყველა ეტაპზე, გამომძიებლები, პროკურორები და მოსამართლეები ვალდებული არიან, პროაქტიურად და გასაგებად აცნობონ დაზარალებულებს მათი უფლებები, ინფორმაცია საქმის მიმდინარეობის შესახებ და დაეხმარონ მათ მათთვის საუკეთესო გადწყვეტილების მიღებაში.¹⁸⁵ ასევე, მნიშვნელოვანია, რომ მსხვერპლს მისთვის გასაგებად განემარტოს და ეცნობოს ყველა იმ სერვისის შესახებ, რომელსაც მას სახელმწიფო სთავაზობს.

მნიშვნელოვანია, რომ მსხვერპლის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვისათვის სხვადასხვა ეფექტური ნაბიჯები იქნეს გადადგმული. ეს დაეხმარება საგამომძიებო ორგანოს წარმომადგენლებს, რომ მსხვერპლის ნდობა მოიპოვონ. ხშირად, ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობის მსხვერპლებს, პირად ცხოვრების ხელშეუხებლობის გარანტიების არარსებობის პირობებში, უჭირთ გამოძიებისათვის ინფორმაციის მიწოდება. სისხლის სამართლის პროცესში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპი საპროცესო მოქმედებების ჩამტარებისგან მოითხოვს, რომ არ გაამჟღავნოს ცნობები პირადი ცხოვრების შესახებ, ასევე, არ გაამჟღავნოს პირადი ხასიათის ცნობები, რომელთა საიდუმლოდ დაცვაც პირს საჭიროდ მიაჩნია.¹⁸⁶

ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებში, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს, რომ გამომძიებლებისა და პროკურორების მხრიდან არ მოხდეს მსხვერპლისათვის ზიანის მიმყენებელი გენდერული სტერეოტიპების გამოყენება. სახელმწიფოებს მოეთხოვებათ, რომ გამოძიების ეტაპზე მსხვერპლის დაკითხვის, საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების შეგროვებისა და სხვა საგამომძიებო პროცედურების დროს გამოიყენონ სტერეოტიპებისაგან თავისუფალი, გენდერულად მგრძობიარე მიდგომები.

სამართალწარმოების პროცესში, დაზარალებულთა მხარდასაჭერად და გასაძლიერებლად მნიშვნელოვანია, რომ მათთან აქტიურად მუშაობდეს ისეთი პირი, რომელიც მათ გაუმარტივებს სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობას, დაეხმარება მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებასა და დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანისა და სტრესის შემცირებაში. ამ მიზნით, 2011 წლიდან, საქართველოს პროკურატურაში, მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური მოქმედებს.¹⁸⁷ 2019 წლიდან აღნიშნული სამსახური საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროშიც ამოქმედდა.¹⁸⁸ კოორდინატორი პრიორიტეტულად ერთვება

¹⁸⁴ Guide on Article 2 of the European Convention on Human Rights, Right to life, Council of Europe/European Court of Human Rights, Updated on 30 April 2021, 41-55.

¹⁸⁵ ევროპის საბჭოს პარლამენტის 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2012/29/EU.

¹⁸⁶ სსსკ, მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი.

¹⁸⁷ საქართველოს პროკურატურა – https://pog.gov.ge/news/mowmisa-da-dazaralebulis-koordinators-samsaxuri_1 [27.09.2022].

¹⁸⁸ შინაგან საქმეთა სამინისტრო – <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-shi-motsmisa-da-dazaralebulis-koordinators-samsakhuri-amomqmedda/12861> [07.03.2022].

სამართალწარმოების პროცესში, როდესაც პირი არის არასრულწლოვანი, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის და ტრეფიკინგის მოწმე ან დაზარალებული და სხვ.

ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობის გამოძიების პროცესში მნიშვნელოვანია, რომ გამოძიებლები ფლობდნენ სათანადო ცოდნას და ჰქონდეთ საქმის მიმართ გენდერულად მგრძობიარე დამოკიდებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ მუდმივად ხდებოდეს მათი გადამზადება. საერთაშორისო სტანდარტები ეროვნული ხელისუფლებისგან მოითხოვს, რომ ტრენინგები გენდერულად მგრძობიარე გამოძიებასთან მიმართებით ჩატარდეს ყველა გამოძიებისას.¹⁸⁹ ასევე, ეროვნულ ხელისუფლებას მოეთხოვება გამოიყენოს გენდერულად სენსიტიური პრაქტიკა (მაგ., ქალი პოლიციის თანამშრომლების გამოყენება) ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისას.¹⁹⁰ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სამინისტროში შემავალი ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის ძალისხმევით, ყოველწლიურად, უამრავი ღონისძიება ხორციელდება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, რაც მიზნად ისახავს, როგორც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების, ასევე, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას. ამასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სქესობრივ დანაშაულებზე დაიწყო გამოძიებულთა სპეციალიზაცია, რაც მსგავსი ტიპის დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლას კიდევ უფრო ეფექტურს ხდის.

გამოძიების დაწყებისათვის არ არის აუცილებელი, რომ შეტყობინება დანაშაულის შესახებ მსხვერპლმა გააკეთოს. ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლს არ აქვს იმის ვალდებულება, ამტკიცოს, რომ მის მიმართ ნამდვილად განხორციელდა ძალადობა. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი კრძალავს ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობის მსხვერპლისთვის მტკიცებულების გამყარების მოთხოვნას. მტკიცების ტვირთი სახელმწიფოს ეკისრება.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს (სტამბოლის) კონვენცია მასში შემავალ დანაშაულებთან (ფიზიკური ძალადობა, სექსუალური ძალადობა, მათ შორის, გაუპატიურება, იძულებითი ქორწინება, ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება) მიმართებით მოითხოვს, რომ გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა მთლიანად დამოკიდებული არ იყოს ძალადობის მსხვერპლის შემოტანილ განცხადებაზე ან საჩივარზე.¹⁹¹ სამართალწარმოების პროცესი უნდა გაგრძელდეს იმ შემთხვევაშიც, თუ ძალადობის მსხვერპლი გადაწყვეტს, რომ „გაიტანოს“ საჩივარი. ამასთან, სტამბოლის კონვენცია მხარეებს მოუწოდებს, წაახალისონ კონვენციით გათვალისწინებული ძალადობების მოწმე პირები, რათა მათ დანაშაულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებს.¹⁹²

ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილი დანაშაულის შესახებ შეტყობინების ინიციატორი შესაძლოა იყოს მსხვერპლი, მსხვერპლის მეზობელი, საავადმყოფოს ექიმი, ოჯახის წევრი და სხვ. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, მსგავსი ტიპის დანაშაულის შესახებ ინიციატორებად თავად მსხვერპლები გვევლინებიან.

¹⁸⁹ Integrating a Gender Perspective into Human Rights Investigations, Guidance and Practice, United Nations Human Rights Office of the High Commissioner, New York and Geneva, 2018.

¹⁹⁰ CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია №30, ქალების შესახებ კონფლიქტის პრევენციის, კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციაში, მიღებულია 2013 წელს, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის 56-ე სხდომაზე

¹⁹¹ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს (სტამბოლის) კონვენცია, 55-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფი.

¹⁹² ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს (სტამბოლის) კონვენცია, 27-ე მუხლი.

ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებით, როგორც აღინიშნა, მნიშვნელოვანია, რომ გამოძიება დაიწყოს დაუყოვნებლივ, როგორც კი დანაშაულის შესახებ ინფორმაცია ცნობილი გახდება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებისთვის. მსგავსი დანაშაულების შემთხვევაში, არ უნდა არსებობდეს წინასწარი განწყობა მტკიცებულებებთან მიმართებით, იმასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად, იმსახურებს თუ არა კონკრეტული ფაქტი გამოძიების დაწყებას.

ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ანარმოებდეს მონაცემების შეგროვებას და ზუსტი სტატისტიკის წარმოებას. მონაცემთა სისტემატიზებული და სათანადო მოპოვება და დამუშავება მიჩნეულია ეფექტური პოლიტიკის წარმოების შემადგენელ ნაწილად ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების პრევენციისა და აღკვეთის სფეროში.¹⁹³

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების მიერ დისკრიმინაციის პრევენციისა და ამ ნიშნით ჩადენილ სამართალდარღვევებზე ეფექტიანი რეაგირების ღონისძიების განხორციელების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 23 დეკემბრის №47 ბრძანების შესაბამისად, გამოძიების დაწყებისას თუ ცნობილია დანაშაულის განხორციელების სავარაუდო დისკრიმინაციული მოტივი, აღნიშნული უნდა აისახოს გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათის (ფორმა №1) დანაშაულის ფაბულის ველში.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2020 წლის 23 სექტემბერს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, გენერალურ პროკურატურას, უზენაეს სასამართლოსა და სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შორის, დისკრიმინაციის (მათ შორის, გენდერის) ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის შესახებ მონაცემთა ერთიანი სისტემის შესაქმნელად, თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.¹⁹⁴ აღნიშნული მემორანდუმის საფუძველზე მომზადებული სტატისტიკის მიხედვით, 2021 წელს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობის 1394 ფაქტზე დაიწყო გამოძიება.¹⁹⁵

ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობა, როგორც აღინიშნა, რიგი თავისებურებებით ხასიათდება. შესაბამისად, საგამოძიებო ორგანოების ვალდებულებაა გამოძიების დაწყებისთანავე, დანაშაულის ბუნებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად დაგეგმონ გამოძიების მსვლელობა და მოიპოვონ ყველა ის მტკიცებულება, რაც საქმისათვის იქნება რელევანტური. სწორედ აღნიშნულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეძლებს კანონიერი და დასაბუთებული განაჩენის დადგენას სასამართლო.¹⁹⁶

მას შემდეგ, რაც დანაშაულის შესახებ ინფორმაცია ცნობილი ხდება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებისთვის, მნიშვნელოვანია, რომ მტკიცებულებების მოპოვების პროცესი დაიწყოს დროულად, რაც პირდაპირ აისახება გამოძიების შედეგსა და ხარისხზე. ინფორმაციის დროული მოპოვება, ასევე, ეხმარება უფლებამოსილ პირს სწრაფად შეაფასოს რისკები და ამ რისკების გათვალისწინებით განახორციელოს მსხვერპლის უსაფრთხოებისათვის საჭირო მოქმედებები. ხშირად, დანაშაული შესაძლოა, რომ დამამძიმებელ გარემოებებში იყოს ჩადენილი. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ დანაშაულის მაკვალიფიცირებელი (დამამძიმებელი) გარემოებების შესახებ ინფორმაცია დროულად იქნეს მოპოვებული. წინააღმდეგ შემთხვევაში,

¹⁹³ შიშისგან და ძალადობისგან თავისუფალი, ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ, სტამბოლის კონვენცია, ევროპის საბჭო, 43.

¹⁹⁴ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – <https://www.geostat.ge/ka/single-news/1941/urtierttana-mashromlobis-otkhmkhrivi-memorandumi> [08.03.2022].

¹⁹⁵ დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში, 2021 წელი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, https://www.geostat.ge/media/43558/diskriminaciis-niSniT_2021.pdf [08.03.2022].

¹⁹⁶ აქუბარდია ი., გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2017.

არსებობს საფრთხე, რომ მსგავსი ტიპის მტკიცებულებების მოპოვება ვეღარ მოხერხდეს, რაც, უარყოფითად აისახება გამოძიების პროცესზე, მსხვერპლის ინტერესებზე და მოძალადისათვის ადეკვატური სასჯელის დანიშვნაზე.

ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობის შედეგები შესაძლოა იმგვარი იყოს, რომ მსხვერპლს დასჭირდეს სამედიცინო დახმარება. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, რომ მას უფლებამოსილმა პირმა დაუყოვნებლივ შესთავაზოს სამედიცინო დახმარება. უპირატესობა ყოველთვის უნდა მიენიჭოს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განწევას და ამის შემდეგ უნდა იყოს განხილული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება.¹⁹⁷ თუ მსხვერპლს სხეულზე აღნიშნება დაზიანებები, მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს შესაბამისი ზომების მიღება. ასეთ დროს, ვადები შესაძლოა არსებითად გადამწყვეტი იყოს, რადგან, ძალადობის შედეგად სხეულზე არსებული დაზიანებები (მაგ. სინითლეები) შესაძლოა, მალე გადავიდეს და ამის დამადასტურებელი მტკიცებულების მოპოვება შეუძლებელი გახდეს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სხეულზე ხილული დაზიანებების არარსებობა ავტომატურად არ გამორიცხავს იმას, რომ მსხვერპლზე ფიზიკურად იძალადეს, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ამ კუთხით, მოხდეს დამატებითი მტკიცებულებების მოპოვება. ამასთან, ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობის მრავალი ფორმა, გაუპატიურების ჩათვლით, ყოველთვის არ იწვევს ფიზიკურ დაზიანებებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ძალადობის ეს ფორმა უარყოფითად მოქმედებს ქალის ემოციურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.¹⁹⁸

მნიშვნელოვანია, რომ დანაშაულის შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე, დროულად მოხდეს მსხვერპლის გამოკითხვა. მსხვერპლის თავდაპირველი გამოკითხვა უნდა იყოს მაქსიმალურად ამომწურავი, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი მსხვერპლის განმეორებით გამოკითხვის აუცილებლობა. ასევე, მნიშვნელოვანია რომ მსხვერპლის ხელახალი ტრავმირების თავიდან აცილების მიზნით, მსხვერპლს საქმის მსვლელობის განმავლობაში კომუნიკაცია ჰქონდეს იმ გამოძიებელთან, რომელიც თავდაპირველად გამოკითხავს მას. ხშირად, გამოძიების პროცესში უფლებამოსილი პირების ცვლილება მსხვერპლზე უარყოფითად აისახება. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ საქმეს იძიებდეს ქალი გამომძიებელი. განსაკუთრებით, ეს ეხება სექსუალური ძალადობის საქმეებს.

ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით ძალადობას, ხშირად, მოძალადე პირველად არ ახორციელებს, ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს წინარე ძალადობის ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვებაც.

რისკების შეფასების კუთხით, განსაკუთრებულ როლს თამაშობს მოძალადის შესახებ ინფორმაციის მოგროვება. კერძოდ, ნასამართლობისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ ინფორმაციები. ასევე, უნდა გადამოწმდეს, მოძალადე იმყოფება თუ არა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებულ/უფლებამართმეულ პირთა რეესტრში.¹⁹⁹

ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობის საქმეებზე ხშირად საჭირო ხდება სხვადასხვა სახის ექსპერტიზების ჩატარება. როდესაც ძალადობის მსხვერპლს უტარდება ფსიქოლოგიური ექსპერტიზა, აღნიშნული ექსპერტიზის მიზანია იმის დადგენა და შეფასება, თუ მსხვერპლზე რა გავლენა მოახდინა ძალადობამ. საქართველოს სსსკ-ს მიხედვით, დაუშვებელია მონმის სანდოობის შესახებ ექსპერტიზის ჩატარება.

¹⁹⁷ კანადის ჩარჩო პოლიციის კოლაბორაციული რეაგირებისთვის სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე, 2019, 17. ასევე, გაიდლაინები სექსუალური ძალადობის მსხვერპლზე სამედიცინო სამართლებრივი ზრუნვის შესახებ, WHO, 2003, 32.

¹⁹⁸ გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლი ქალების მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობა, პრაქტიკოსთა სახელმძღვანელო, 167.

¹⁹⁹ აღნიშნული რეესტრის წარმოება საქართველოში ნოვაციაა და იგი ხორციელდება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 23 თებერვლის №9 ბრძანების შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების პროცედურა, ქართულ რეალობაში, ხშირად მსხვერპლისათვის მატრავმირებელია. საყურადღებოა, რომ საქართველოს სახალხო დამცველმა 2021 წლის 21 დეკემბერს, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფილიალში ქალი ექსპერტის არარსებობა ძალადობის მსხვერპლი ქალის მიმართ დისკრიმინაციად მიიჩნია. სახალხო დამცველმა დაადგინა სქესის ნიშნით ირიბი დისკრიმინაცია, ვინაიდან სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ქალს ორჯერ ჩაუტარდა ექსპერტიზა სამხარაულის ბიუროს დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტში მამაკაცი ექსპერტების მიერ, ვინაიდან ქალი ექსპერტები არ ჰყავდათ, რაც ქალი მსხვერპლისათვის იყო მატრავმირებელი.²⁰⁰

ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებში „დანაშაულის მოტივის დადგენა დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისა და ქმედების სიმძიმის შესაბამისი სასჯელის განსაზღვრის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.“²⁰¹ როდესაც ძალადობა ხორციელდება ქალთა მიმართ, მნიშვნელოვანია, რომ საგამოძიებო ორგანოებმა მაქსიმალურად სწორად და ადეკვატურად იმოქმედონ, რათა შესაძლებელი გახდეს მოტივის გამოკვეთა. ამისათვის, უნდა განისაზღვროს, პირის ძალადობრივი ქმედება ხომ არ იყო განპირობებული გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით.

დანაშაულის მოტივი წარმოადგენს ქმედების ჩადენის დროს პირის მოტივაციის შედეგს, რომელსაც პრაქტიკული მოქმედების განხორციელება მოსდევს.²⁰²

როდესაც ძალადობა ქალთა მიმართ ხორციელდება, გამოძიების წარმოება უნდა მოხდეს იმ გადმოსახედიდან, ხომ არ იყო განპირობებული დანაშაული გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით. კერძოდ, უნდა დადგინდეს, ძალადობრივი ქმედება ხომ არ იყო განპირობებული საზოგადოებაში დამკვიდრებული ნორმებისა და სტერეოტიპების მიმართ ქალის სანინაალმდეგო ქმედებებისადმი მოძალადის ძალადობრივი დამოკიდებულებით. გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის გამოკვეთისათვის, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მოძალადის მიერ გაკეთებულ შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს,²⁰³ რომელიც ეჭვქვეშ აყენებს მსხვერპლის რეპუტაციას, აუგად იხსენიებს მის სქესს, ყურადღებას მის ფუნქციებსა და ტრადიციულ როლებზე ამახვილებს.²⁰⁴

როგორც აღინიშნა, გამოძიების მსვლელობისას, გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის გამოკვეთას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან, სასამართლომ მოპოვებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით უნდა შეაფასოს ფაქტები, მიიღოს სწორი გადაწყვეტილება და დანიშნოს შესაბამისი სასჯელი. საქართველოს სსკ-ს 53-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით კი, თუ დანაშაული ჩადენილია გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, აღნიშნული პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს. ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ზოგიერთი დანაშაულისათვის დამამძიმებელ (მაკვალიფიცირებელ) გარემოებად განსაზღვრავს, თუ იგი გენდერის ნიშნით არის ჩადენილი. დანაშაულის არას-

²⁰⁰ საქართველოს სახალხო დამცველი, რეკომენდაცია სქესის ნიშნით ირიბი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020122312175323189.pdf> [10.03.2022].

²⁰¹ კვაჭაძე მ., მელაშვილი ლ., ჯუღელი ნ., ღვინჯილია ე., საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ოჯახში ძალადობის საქმეებში, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბ., 2017, 44.

²⁰² დვალიძე ი., მოტივი და მიზანი საქართველოს სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში, ქართული სამართლის მიმოხილვა, N2-3, თბილისი, 2007, 242.

²⁰³ ბაქრაძე მ., კვირიკაშვილი მ., მერებაშვილი ნ., პრაქტიკული სახელმძღვანელო მოსამართლეებისა და პროკურორებისათვის მართლმსაჯულებისადმი ქალთა ხელმისაწვდომობის საგარანტიოდ, ევროპის საბჭო, 2017, 41.

²⁰⁴ პრაქტიკული სახელმძღვანელო მოსამართლეებისა და პროკურორებისათვის მართლმსაჯულებისადმი ქალთა ხელმისაწვდომობის საგარანტიოდ, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტი – მართლმსაჯულებისადმი ქალთა ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება აღმოსავლეთ პარტნიორობის ხუთ ქვეყანაში, 2015-2016, 42.

ნორი კვალიფიკაციისას შეუძლებელია საუბარი გენდერულად მგრძობიარე სისხლის სამართლის სისტემის არსებობაზე.²⁰⁵

ევროპული სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს დამატებით მოეთხოვება, რომ გამოძიების წარმოებისას მიიღოს ყველა ზომა, რათა შესაძლებელი გახდეს დანაშაულში დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთა.²⁰⁶ ძალადობრივი ქმედებებში დისკრიმინაციული მოტივის გამოვლენის ვალდებულება მოიაზრება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-14 მუხლით.²⁰⁷ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მუხლი დამოუკიდებლად არ გამოიყენება, იგი განსაკუთრებულ როლს ასრულებს კონვენციის სხვა დებულებათა შეესებების კუთხით.²⁰⁸

სასამართლო ასევე განმარტავს, რომ დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულის არგარჩევა ასეთი მოტივის გარეშე ჩადენილი დანაშაულებისაგან, იქნება თვალის დახუჭვა ისეთი ტიპის დანაშაულზე, რომელსაც შეიძლება ძალიან მძიმე, უარყოფითი შედეგი ჰქონდეს ადამიანის უფლებებზე და ასეთი მიდგომა გამოიწვევს კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას.²⁰⁹

ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი შესაძლოა გამოვლინდეს, როდესაც მოძალადის ძალადობრივი ქმედება განპირობებული იყოს ქალის, როგორც მამაკაცზე დაქვემდებარებულ პირად აღქმის გამო, ასევე, ქალზე დომინანტობის სურვილით, შეგრძნებით, იმ შეხედულებით, რომ ქალი მამაკაცის კუთვნილებას წარმოადგენს, ქალის ქცევათა კონტროლის (მაგ. აკონტროლებს მის ჩაცმულობას, მეგობრებთან ურთიერთობას, აკონტროლებს მის პირად მიმონერას, სოციალურ ქსელებში აქტივობებს) სურვილით და სხვ.

დისკრიმინაციული მოტივი შეიძლება დადგინდეს მტკიცებულებებით, რომელიც ასახავს ინციდენტამდე, მისი მიმდინარეობისას ან ინციდენტის შემდეგ არსებულ გარემოებებს.²¹⁰ გამოძიების ეტაპზე, მნიშვნელოვანია, რომ განსაკუთრებული ყურადღება იქნეს გამახვილებული დანაშაულის ჩადენის გარემოებებზე,²¹¹ რადგან, ხშირად, მოტივის გამოვლენა შესაძლებელია დანაშაულის ჩადენილი რაიმე კონკრეტული ხერხის ან მეთოდის დაიდენტიფიცირების საფუძველზეც.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით,²¹² შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ შემუშავებულია რეკომენდაცია დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთა იდენტიფიცირებისა და ეფექტიანი გამოძიების შესახებ. აღნიშნული რეკომენდაცია, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, მოიცავს იმ კითხვების ჩამონათვალს, რომელთა დასმაც რეკომენდებულია გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე მიმდინარე გამოკითხვისას. აღნიშნულ კითხვებზე მიღებული პასუხები წარმოადგენს ერთ-ერთ ინდიკატორს გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის იდენტიფიცირებისათვის.

²⁰⁵ დეკანოსიძე თ., ფემიციდის საქმეების განაჩენები 2014, საიას კვლევა, თბ., 2016, 35-36.

²⁰⁶ Nachova v. Bulgaria, No. 43577/98 43579/98; B.S. v. Spain, No. 47159/08; Identoba v. Georgia, No. 73235/12.

²⁰⁷ მჭედლიძე ნ., საქართველოში დისკრიმინაციის საქმეებზე შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების გზამკვლევი, ევროპის საბჭო, 2015.

²⁰⁸ მიერი ე., ჰანკოვი ბ., კოუდერი ნ., ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელო პროკურორებისთვის, ევროპის საბჭო, 2008, 150.

²⁰⁹ Beganovic v. Croatia, No. 46423/06, 25 June 2009.

²¹⁰ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დევნა, პრაქტიკული სახელმძღვანელო, პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია, ეუთო (OSCE) ODIHR, 2014, 60.

²¹¹ შენგელია ს., ქალთა მიმართ ძალადობა გენდერული დისკრიმინაციის მოტივით, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, № 2, თბ., 2017, 43.

²¹² შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის ანგარიში, 2019, <https://police.ge/adamianisuflebebi/2019/index.html#p=14> [11.03.2022].

დასკვნა

ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობა რიგი თავისებურებებით ხასიათდება. შესაბამისად, საგამოძიებო ორგანოების ვალდებულებაა გამოძიების დაწყებისთანავე, დანაშაულის ბუნებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად დაგეგმონ გამოძიების მსვლელობა და მოიპოვონ ყველა ის მტკიცებულება, რაც საქმისათვის იქნება რელევანტური. სახელმწიფომ, ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევაში, გამოძიება უნდა აწარმოოს გენდერულად მგრძობიარე, მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომების გათვალისწინებით.

სტატიაში წარმოჩენილი იყო, თუ რა მნიშვნელობა აქვს მოტივის გამოკვეთას ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებში. პრაქტიკაში, ზოგჯერ, რთულია მოტივის გამოკვეთა, მაგრამ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ, რომ გამოძიების მსვლელობისას, მიიღონ ყველა ზომა, რათა შესაძლებელი გახდეს იმის იდენტიფიცირება, იყო თუ არა დანაშაული გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით განპირობებული.

ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობის საქმეებზე სათანადო სამართალწარმოების განუხორციელებლობა უარყოფითად აისახება მსხვერპლის მდგომარეობაზე, ასევე, გააძლიერებს საზოგადოებაში დაუსჯელობის განცდას და შესაძლებელია, საერთაშორისო დონეზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საფუძველიც გახდეს.

დისტანციური მართლმსაჯულების პრობლემები და პერსპექტივები სისხლის სამართლის პროცესში

გიორგი სვინანაძე

საჯარო მმართველობის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი,
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი
ინსპექტორის სამსახურის უფროსი კონსულტანტი.

შესავალი

ინფორმაციული საზოგადოებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვის პროცესი სასამართლო სისტემაში, COVID-19-ის პანდემიის პირობებში ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. მსოფლიო მასშტაბით შეზღუდვები შეეხო საპროცესო უფლებებს. ამ მხრივ, გამონაკლისი არც საქართველოა. მიუხედავად იმისა, რომ პანდემიიდან გამომდინარე შეზღუდვები არ შეხება სამართლიანი სასამართლოს უფლებას, უპირატესობა მიენიჭა დისტანციურ (ელექტრონულ) მართლმსაჯულებას. 2020 წლის 21 მარტის №1 საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. ცვლილებები შევიდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (22.05.2020), რომლის მიხედვით შესაძლებელი გახდა სასამართლო სხდომის გამართვა ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით (დისტანციურად), ხოლო იუსტიციის უმაღლესი საბჭომ დაამტკიცა რეკომენდაციათა პაკეტი, რომლის მიხედვით უპირატესობა მიენიჭა საქმეთა ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვას და პროცესის მონაწილეთა სასამართლო განხილვაში დისტანციურად მონაწილეობას.

პანდემიიდან გამომდინარე ახალმა რეალობამ კიდევ ერთხელ დაგვანახა ელექტრონული მმართველობის როლი და მნიშვნელობა, თუმცა, გარდა პანდემიით გამოწვეული რეალობისა, თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ტექნოლოგიური განვითარების ფონზე, თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ელექტრონული მმართველობა იქცა განვითარებული საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილად.

ელექტრონული მმართველობის განვითარების კონცეფციის შესაბამისად, ელექტრონული მართლმსაჯულება მიჩნეულია ელექტრონული მთავრობის მთავარ ღერძად, ვინაიდან სასამართლო ხელისუფლება, როგორც ხელისუფლების შტო, ყველაზე მეტად არის გადაჯაჭვული ხელისუფლების სხვა შტოებთან. ამდენად, მკვლევარები ელექტრონული მთავრობის შექმნის ერთ-ერთ არსებით წინაპირობად ელექტრონული მართლმსაჯულების შექმნას ასახელებენ.²¹³

საქართველოში ელექტრონულ მართლმსაჯულებაზე ფიქრის დაწყების მსჯელობის თარიღად 2000 წელს მოიაზრებენ, თუმცა, მაშინდელი მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა სხვადასხვა მიზეზების გამო (გამოუცდელობა, მოსამართლეების პროცესში არ ჩართულობა და სხვა).

საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერის ფონზე, 2005-2006 წლებში აქტიურად განახლდა მსჯელობა ელექტრონულ მართლმსაჯულებაზე. შედეგად, 2010 წელს მომზადდა ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამა Court.exe და 2011 წლიდან სატესტო რეჟიმში ჩაეშვა რუსთავის საქალაქო სასამართლოში.

საქმის წარმოების ელექტრონული სისტემის მიზნად, განისაზღვრა სასამართლოში საქმეთა წარმოებასთან დაკავშირებული პროცესების სრული ავტომატიზაცია, რაც მოიცავს შემდეგს:

- საქმის ელექტრონული ვერსიის შექმნა – რაც ხელს შეუწყობს მოსამართლეს და პროცესთან დაკავშირებული სასამართლოს სხვა თანამშრომლებს (მოსამართლეს თანაშე-

²¹³ დარჯანია თ., სასამართლოს საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა, თბ., 2015, 4.

მწე, სხდომის მდივანი და ა.შ.) საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მიღებაში, ასევე დაეხმარება მათ ყოველდღიურ საქმიანობაში. საქმის ელექტრონულ ვერსიაში შესაძლებელია აუდიო და ვიდეო ფაილების დამატება;

- საქმესთან დაკავშირებული ყველა ტიპის დოკუმენტის შენახვის, დამუშავების და მოძიების სრული ავტომატიზაცია (აქ იგულისხმება როგორც სასამართლოში შემოსული, ასევე სასამართლოს მიერ გაცემული სასამართლო დოკუმენტები);
- სასამართლოებს შორის საქმეების ელექტრონული ვერსიის “გადაადგილების” შესაძლებლობა;
- საქმეების ნუმერაციის ახალი სისტემის შემუშავება და გამოყენება, რომელიც საშუალებას იძლევა ყოველ საქმეს მიენიჭოს უნიკალური ნომერი ამ საქმის არსებობის მანძილზე.²¹⁴

ამჟამად, საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამა მოქმედებს საერთო სასამართლოების ყველა სასამართლოში, საქართველოს მასშტაბით.

აღსანიშნავია, რომ ელექტრონული პროგრამა შესაძლებლობას იძლევა საქმისწარმოებაში ჩაერთონ როგორც საჯარო, ისე კერძო ინსტიტუციები.

ელექტრონულ პროგრამას გააჩნია ადვოკატებისა და პროკურორების მოდულები. ადვოკატებს შესაძლებლობა აქვთ, შევიდნენ საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში და გაეცნონ მათი საქმის მიმდინარეობის პროცესს.

რაც შეეხება პროკურორის მოდულს, უნდა ითქვას, რომ 2013 წლამდე სისხლის სამართლის მოსამართლეები მუშაობდნენ პროკურატურის პროგრამაში (შესაბამისად, ყველა დოკუმენტი ინახებოდა პროკურატურის სერვერზე), რაც აღქმულ იქნა სასამართლოს დამოუკიდებლობის საფრთხედ, რის გამოც 2013 წლიდან სასამართლო სისხლის სამართლის მიმართულებითაც საკუთარ პროგრამაში მუშაობს და დოკუმენტებს საკუთარ სერვერზე ინახავს. თუმცა, ამან გამოიწვია ის, რომ პროკურატურას ელექტრონული წარმოების ნაცვლად, დღეს ისევ უწევს ქალაქით კომუნიკაცია სასამართლოსთან.²¹⁵

სასამართლო სისტემაში ფუნქციონირებს სასამართლო საქმის ელექტრონული სერვისი www.acourt.ge, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს ელექტრონული საშუალებით დაამყაროს ურთიერთობა სასამართლოსთან (განაცხადის წარდგენა, ინფორმაციის მიღება საქმის რეგისტრაციისა და მსვლელობის შესახებ).

ასევე, აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის გადაწყვეტილებით დაამტკიცა საქმეთა შემთხვევითი ელექტრონული განაწილების დეტალური პროცედურა, რომლის მეშვეობით, 2017 წლის 31 დეკემბრიდან სასამართლოში საქმეები ნაწილდება ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, შემთხვევითობის პრინციპით. შემუშავებული პროცედურის თანახმად, სასამართლოთა თავმჯდომარეებს ახლა მხოლოდ საქმეების ხედვის შესაძლებლობა აქვთ, რაც თავის მხრივ გამორიცხავს საქმეთა განაწილების პროცესში სასამართლოს თავმჯდომარეების ჩარევას საქმის შედეგზე რაიმე ზეგავლენის მოხდენის მიზნით.²¹⁶

თუმცა, ელექტრონული მართლმსაჯულების განვითარების კუთხით განხორციელებული რეფორმების მიუხედავად, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ 2020 წლის დასაწყისიდან შესაძლებელი გახდებოდა სასამართლო სხდომების დისტანციურად წარმართვა, მხარეთა სასამართლო დარბაზებში ფიზიკური დასწრების გარეშე.

²¹⁴ სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული სამართალწარმოების მომხმარებლის ზოგადი სახელმძღვანელო, <http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/212257/1/SasamartlosSaqmismiscarmoebisEleqtronuliSistema.pdf> (ბოლოს ნანახია: 05.08.2022).

²¹⁵ დარჯანია თ., სასამართლოს საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა, თბ., 2015, 26.27.

²¹⁶ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის 1/56 გადაწყვეტილება, <http://hcoj.gov.ge/Uploads/2021/2/56-pdf> (ბოლო ნანახია: 05.08.2022).

ამდენად, შექმნილმა ფორსმაჟორულმა ვითარებამ სასამართლო სისტემა აიძულა შეეცვა-ლა მართლმსაჯულების განხორციელების არსებული მოდელი და სასამართლო განხილვები წარმართულიყო ონლაინ სივრცეში – დისტანციური მართლმსაჯულების გზით.


1. დისტანციური მართლმსაჯულების დადებითი და უარყოფითი მხარეები

დისტანციური მართლმსაჯულების არსებული მოდელის ეფექტიანობის შეფასების მიზნით, 2021 წლის 1 თებერვლიდან 1 მარტის მონაკვეთში, სადისერტაციო კვლევის ფარგლებში „სა-სამართლოს მართვის ახალი მოდელი საქართველოში“ (რეფორმის პრობლემები და გადაჭ-რის გზები),²¹⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოში განხორციელდა სოციოლოგიური კვლევა. კვლევის მიზანს წარმოადგენდა დისტანციური მართლმსაჯულების პროცესში ნავარაუდები ხარვეზებისა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ მოქალაქეთა განწყობის შემოწ-მება, ხოლო კვლევის ამოცანებად დაისახა:

- დისტანციური მართლმსაჯულების დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოვლენა;
- საზოგადოების შეხედულება/მოლოდინების შეფასება დისტანციური მართლმსაჯუ-ლების ეფექტურობის შესახებ;
- დისტანციური მართლმსაჯულების პერსპექტივების განსაზღვრა საქართველოს სა-სამართლოს სისტემაში.

კვლევაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა სოციალური სტატუსის მქონე ადამიანები მათ შორის: მოსამართლეები, სასამართლოს საჯარო მოხელეები, კერძო და საჯარო სექტორში დასაქმებულები, უმუშევარი სტატუსის მქონე მოქალაქეები. საერთო ჯამში, კვლევაში მონაწ-ილეობა მიიღო 200 ადამიანმა, რომელთა პროცენტული შემადგენლობა სოციალური სტატუსის მიხედვით გადანაწილდა შემდეგი სახით (იხ. დიაგრამა):

1. მოსამართლე – 22 (11%);
2. სასამართლოს საჯარო მოხელე – 31 (15.5%);
3. კერძო სექტორში დასაქმებული – 96 (48%);
4. საჯარო სექტორში დასაქმებული – 42 (21%);
5. ამჟამად უმუშევარი – 9 (4.5%).



სოციოლოგიური კვლევის განხორციელების ეტაპზე, შეირჩა დისტანციურ მართლმსაჯუ-ლებაში მონაწილეობის შესაბამისი გამოცდილების მქონე სუბიექტები. კერძოდ, მათი რაოდენ-ობრივი შემადგენლობა გადანაწილდა შემდეგი სახით (იხ. დიაგრამა 2.):

1. პროცესის მხარე (121 პირი);
2. მოსამართლე (22 პირი);
3. პროცესის სხვა მონაწილე (სხდომის მდივანი, მონმე, თარჯიმანი და სხვა. ჯამში 57 პირი).

²¹⁷ ავტორი: გ. სვიანაძე.

დიაგრამა 2. დისტანციურ მართლმსაჯულებაში მონაწილეობის შესაბამისი გამოცდილების მქონე სუბიექტები

კვლევის შედეგები

დისტანციური მართლმსაჯულების დადებითი მხარეების შეფასების მიზნით, რესპოდენტებს მივმართეთ შემდეგი კითხვით:

თქვენი დაკვირვებით, რა უპირატესობა გააჩნია ელექტრონულ მართლმსაჯულებას?

საერთო ჯამში, გამოკითხულთა 70% ელექტრონული მართლმსაჯულების მთავარ დადებით მხარედ ასახელებს, რომ დისტანციური მართლმსაჯულება არის სწრაფი, იაფი და ეფექტური; 22% მიიჩნევს, რომ შუამ პირებისთვის ადვილია პროცესში მონაწილეობა; 2.2%-ს მიაჩნია, რომ ელექტრონული მართლმსაჯულების დროს სასამართლო თავისუფალია მხარეთა (მონაწილეთა) ემოციური ზეგავლენისგან; 5.5% არ დაეთანხმა არც ერთ პასუხს.

საინტერესოა, რომ მოცემული კვლევის შედეგების მიხედვით, რესპოდენტებმა უარყოფითი შედეგები დააფიქსირეს სასამართლოს ხელმისაწვდომობის, მხარეთა თანასწორობისა და ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაციის საკითხებზე (61%). მიუხედავად ამისა, ელექტრონულ მართლმსაჯულებას დადებითად მიიჩნევს რესპოდენტთა დიდი ნაწილი (70%). ამ შემთხვევაში აქცენტი გაკეთებულია სისწრაფესა და სიიაფეზე.

2. დისტანციური მართლმსაჯულების უარყოფითი მხარე

დისტანციური მართლმსაჯულების უარყოფითი მხარეების საკითხის შესაფასებლად, რესპოდენტებს მივმართეთ კითხვით „თქვენი გამოცდილებით, რა უარყოფითი მხარეები აქვს ელექტრონულ მართლმსაჯულებას“. მოცემულ კითხვაზე კვლევის შედეგები წარმოდგენილია მე-8 ცხრილში.

ცხრილი 8. დისტანციური მართლმსაჯულების უარყოფითი მხარეების ფიქსაცია, სოციალური სტატუსის მიხედვით²¹⁸

უარყოფითი მხარე		სოციალური სტატუსი			Total
		4.00			
1.00					
3.00		4.00			
1.00	რაოდენობა	7ა	2ა	1ა	10
	სავარაუდო	6.1	1.1	2.9	10.0
	შედ.				
	% სულ	3.5%	1.0%	.5%	5.0%
2.00	რაოდენობა	4ა	1ა	0ა	5
	სავარაუდო	3.0	.6	1.4	5.0
	შედ.				
	% სულ	2.0%	.5%	.0%	2.5%
3.00	რაოდენობა	81ა	12ა, ბ	21ბ	114
	სავარაუდო	69.0	12.5	32.5	114.0
	შედ.				
	% სულ	40.5%	6.0%	10.5%	57.0%
4.00	რაოდენობა	16ა	2ა	8ა	26
	სავარაუდო	15.7	2.9	7.4	26.0
	შედ.				
	% სულ	8.0%	1.0%	4.0%	13.0%
5.00	რაოდენობა	13ა	5ა, ბ	27ბ	45
	სავარაუდო შედ.	27.2	5.0	12.8	45.0
	შედ.				
	% სულ	6.5%	2.5%	13.5%	22.5%
სულ	რაოდენობა	121	22	57	200
სავარაუდო შედ.		121.0	22.0	57.0	200.0
% სულ		60.5%	11.0%	28.5%	100.0%

შეჯამება

გამოკითხულთა 57% ელექტრონული მართლმსაჯულების მთავარ უარყოფით მხარედ სასამართლო სხდომათა დარბაზში არსებულ ტექნიკურ პრობლემებს (არ ისმის ხმა, არის ცუდი გამოსახულება, ცუდი ინტერნეტი და ა.შ) მიიჩნევს.

საზოგადოების შეხედულება/მოლოდინები დისტანციური მართლმსაჯულების პერსპექტივებზე საქართველოს სასამართლო სისტემაში.

სოციოლოგიური კვლევის ნაწილი, რომელიც მიეძღვნა საზოგადოების შეხედულება/მოლოდინების კვლევას დისტანციური მართლმსაჯულების პერსპექტივებზე საქართველოს სასამართლო სისტემაში, თავის მხრივ დაიყო ორ ქვესაკითხად:

1. დისტანციური სამართლმართლების კომფორტულობაზე საზოგადოების შეხედულებების განსაზღვრა;

2. დისტანციური სამართლმართლების საქართველოს სასამართლო სისტემაში დანერგვის პერსპექტივებზე საზოგადოების მოლოდინების განსაზღვრა.

²¹⁸ შედგენილია ავტორის მიერ კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით.

საკითხი 1. დისტანციური მართლმსაჯულების კომფორტულობაზე საზოგადოების შეხედულებების კვლევა

დისტანციური სამართალწარმოების კომფორტულობის კვლევის მიზნით, საზოგადოებას მივმართეთ შემდეგი კითხვით:

რამდენად კომფორტული იყო კომუნიკაცია დისტანციური მართლმსაჯულების პროცესში სხდომათა დარბაზში?

საერთო ჯამში, გამოკითხული რესპონდენტების 80%-სთვის დისტანციური სამართალწარმოება არის კომფორტული, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა 65% აღნიშნავს, რომ დისტანციური სამართალწარმოების დროს შეექმნათ ტექნიკური ხასიათის პრობლემები.

საკითხი 2. დისტანციური მართლმსაჯულების საქართველოს სასამართლო სისტემაში დანერგვის პერსპექტივებზე საზოგადოების მოლოდინების განსაზღვრა.

აღნიშნული საკითხის კვლევის მიზნით, რესპონდენტებს მივმართეთ შემდეგი კითხვით: მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, სამომავლოდ ისურვებდით თუ არა დისტანციური მართლმსაჯულების დანერგვას სასამართლო სისტემაში?

საერთო ჯამში, (ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის) გამოკითხული რესპონდენტების 86.5% გამოთქვამენ სურვილს, რომ დაინერგოს დისტანციური მართლმსაჯულების საქართველოს სასამართლო სისტემაში.

სოციოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ დისტანციური მართლმსაჯულების სისტემის ფორმებთან დაკავშირებით საზოგადოების შეხედულებებს/მოლოდინებს შორის არსებობს განსხვავება.

კერძოდ, გამოკითხულთა 74.5% მხარს უჭერს დისტანციური მართლმსაჯულების დანერგვას კონკრეტული საპროცესო მოქმედებების ხასიათის გათვალისწინებით.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ დისტანციური მართლმსაჯულების არსებულ მოდელს აქვს როგორც ტექნიკური ხასიათის ხარვეზები, ასევე, სახეზეა სისხლის სამართლის საპროცესო ტრადიციულად ჩამოყალიბებული და დემოკრატიულ საზოგადოებაში დამკვიდრებული პრინციპების უგულვებლყოფა, რაც სამართლიანი სასამართლოს იდეას ეწინააღმდეგება. მიუხედავად ამისა, საზოგადოების მოლოდინი დისტანციური მართლმსაჯულების დამკვიდრების შესახებ მაღალია, განსაკუთრებით 16-45 წლის რესპონდენტებს შორის.

დასკვნა

საზოგადოების განვითარების კრიზისულ პერიოდებში აქტუალობას იძენს სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობების განვითარებისა და ეფექტური ფუნქციონირების პრობლემა. ამ პრობლემის გადაწყვეტა დაკავშირებულია ტრადიციული ინსტიტუტებისა და თანამედროვე მსოფლიოში საქართველოს ინტეგრაციის განმსაზღვრელი რესურსული შესაძლებლობების სისტემურ მიდგომასთან. ამ თვალსაზრისით აშკარაა, რომ კრიზისულ სიტუაციებში სასამართლო სისტემის მართვა უნდა ინარჩუნებდეს ისეთ ზოგად მიდგომებს, როგორცაა: დემოკრატიული ორიენტაციის მქონე ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის მიზნებთან და ამოცანებთან თავსებადობა და დანაშაულთან ბრძოლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ მიზნებსა და ამოცანებთან გატარებული ღონისძიებების შესაბამისობა. სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობათა სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობა კრიზისულ სიტუაციებში შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს არა მხოლოდ მისი სტრუქტურული ელემენტების გარდაქმნით (ოპტიმალურობა), არამედ მთლიანობაში, ისტორიულად ჩამოყალიბებული სისტემის ხარისხზე მუდმივი ზემოქმედების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ სისხლის სამართლის მეცნიერებაში არსებული ცოდნა და პროცესების მართვის ისტორიულად დაგროვილი გამოც-

დიღების განზოგადება პირდაპირ კავშირშია სასამართლოს მართვის შეფასების სისტემურ მიდგომასთან. როგორც პანდემიით გამოწვეული კრიზისულ სიტუაციებში სისხლის სამართლის პროცესის პრაქტიკა აჩვენებს, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით დისტანციური მართლმსაჯულების დანერგვას არა მხოლოდ ტექნიკური და სამართლებრივი მხარე გააჩნია, არამედ მას სისტემური მართვის უზრუნველყოფის მხარეც აქვს. ამიტომ, ახალი მართვითი ხასიათის მოდელის შემუშავებას დისტანციური მართლმსაჯულების პროცესში ღრმა სამეცნიერო კვლევა სჭირდება.

სოციოლოგიური კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია თამამად ვივარაუდოდ, რომ დისტანციური მართლმსაჯულება არ წარმოადგენს სასამართლო სისტემის შორეულ პერსპექტივას. ამდენად, აუცილებელია დისტანციური მართლმსაჯულების ახალი მოდელის ფორმირება, რომელიც დაეყრდნობა ინფორმაციულ-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესაძლებლობებს, სხვადასხვა პროცესუალური ქმედებების განხორციელების დროს სამართლიანი მართლმსაჯულების ტრადიციულად ჩამოყალიბებულ პრინციპებს. ტექნოლოგიების დანერგვის „ცალმხრივობა“ ამწვავებს შიდასისტემურ წინააღმდეგობებს, რადგან სისხლის სამართლის პროცესი თავის ბუნებით საკმაოდ კონსერვატიულია, ახალი ტექნოლოგიების გამოყენება ამ სფეროში გარკვეულ რისკებს შეიცავს.

ISSN 24449-3112



9 772449 311009